ვილჰელმ ბუში:

ახალგაზრდების პასტორი ესენში, ევანგელისტი, მქადაგებელი, მწერალი, მრავალი წიგნის ავტორი

იესო –

ჩვენი ბედისწერა

იესო – ჩვენი ბედისწერა – პასტორ ბუშის ქადაგებათა მთავარი თემაა.

იგი დიდი სიამოვნებით მოღვაწეობდა ესენში,თუმცა,ვინაიდან სახარების მხურვალე მქადაგებელი იყო,ბევრსაც მოგზაურობდა. ათასობით ადამიანი მოდიოდა მის მოსასმენად. მას სწამდა,რომ იესო ქრისტეს სახარება ყველაზე დიდი ხარებაა ამქვეყნად.

ვსურთ ამ ხარების მოსმენა? ეს სავსებით შესაძლებელია. წარმოიდგინეთ თავი მის მსმენელებად და სულ მალე თქვენ დარწმუნდებით,რომ მთელი კაცობრიობის მთავარი თემა, ჩვენი ცხოვრების მთავარი თემა არის: იესო – ჩვენი ბედისწერა.

Ravensberger Bleiche 6 · 33649 Bielefeld
0521 947240 · info@clv.de · **clv.de**

Christliche Literatur-Verbreitung
Bücher, die weiterhelfen

Jesus unser Schicksal - georgisch

Wilhelm Busch

Taschenbuch, 254 Seiten
Artikel-Nr.: 255795
ISBN / EAN: 978-3-89397-795-6

Jesus unser Schicksal – das war das von Pastor Wilhelm Busch gewählte Generalthema seiner ganzen Verkündigung. Er war mit großer Freude Jugendpfarrer in Essen, aber als leidenschaftlicher Prediger des Evangeliums auch immer wieder unterwegs. Tausende kamen und hörten ihm zu. Er war überzeugt, dass das Evangelium von Jesus die wichtigste Botschaft aller Zeiten ist.

Wenn Sie ein "echtes" Buch bevorzugen oder diesen Artikel verschenken möchten, können Sie diesen Download-Artikel ggf. auch käuflich erwerben, solange verfügbar.

Artikel ansehen auf clv.de

dlv

ვილჰელმ ბუში

იესო – ჩვენი ბედისწერა

CLV
Christliche
Literatur-Verbreitung e.V.
Postfach 110135 • 33661 Bielefeld

© ორიგინალის by Aussat- und Schriftenmissions-Verlag GmbH, Neukirchen-Vluyn
ორიგინალის დასახელება: Jesus unser Schicksal
© ქართული გამოცემის 1997
გარე ყრდის გაფორმება: Gerd Meussen, Essen
დასაბეჭდად გამზადდა: Enns Schrift & Bild, Bielefeld
ტიპოგრაფია: Ebner Ulm

ISBN 3-89397-795-3

სარჩევი

ღმერთი – კი, მაგრამ იესო რისთვისღა? 9
რისთვის ვცხოვრობ? 23
დრო არა მაქვს! 36
ყურადღება! სახიფათოა სიცოცხლისათვის! 49
მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ? 63
რატომ სდუმს ღმერთი? 78
ჩვენი უფლება სიყვარულისა! 93
შეიძლება თუ არა ღმერთთან საუბარი 108
როგორ გავძლოთ ცხოვრებაში,
თუ ჩვენ აღარაფერი გვწამს 120
როგორ გავიტანოთ თავი ცხოვრებაში, როცა ჩვენ
მუდმივ თან გვდევს შეცდომები და დაუდევრობანი? 136
როგორ უნდა მოვიქცეთ,
თუ ჩვენ გვაღიზიანებენ ადამიანები? 151
ყველაფერი უნდა შეიცვალოს – მაგრამ როგორ? 164
იცოდე, მე არა! 178
შეიძლება კი გავერკვეთ რელიგიურ საკითხებში? 189
არის კი ქრისტიანობა პირადული საქმე? 205
როდის დაიღუპება სამყარო? 221
რას ვიძენთ ჩვენ,
როცა ღმერთს ვუძღვნით ჩვენს ცხოვრებას? 239

იესო – ჩვენი ბედისწერა

იესო – ჩვენი ბედისწერა – ესაა პასტორ ბუშის მიერ არჩეული მთავარი თემა ევანგელიზაციის იმ დიდი პროცესისათვის, რასაც ის 1938 წელს ესენში ეწეოდა.

თავის მრავალრიცხოვან ქადაგებებში ის იესოსაკენ მოუწოდებდა – ქალაქსა თუ სოფელში, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, ევროპასა თუ მთელ დანარჩენ მსოფლიოში.

როგორ ხარობდა, როცა ადამიანთა ნაკადი მოედინებოდა მის მოსასმენად....

ათასობით ადამიანი მოდიოდა მის მოსასმენად, ის კი, როგორც ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი, თითოეულს ცალცალკე გულისხმიერ დიალოგს უმართავდა. ეს იყო მისი ხარების განსაკუთრებულობა.

მაგნიტოფონის ჩანაწერების საშუალებით შედგენილი ეს წიგნი დაე, აგრძელებდეს ამ დიალოგს, როგორც მაცნე იესო ქრისტესი, ჯვარცმულისა და მკვდრეთით აღმდგარის.

კარლ ჰაინც ერინგი

ღმერთი – კი, მაგრამ იესო რისთვისღა?

ყური მიგდეთ: ისეთ ასაკოვან პასტორს, როგორიც მე ვარ, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე დიდ ქალაქში მოღვაწეობდა, წლების განმავლობაში მუდმივად უწევს ერთი და იმავე კითხვების მოსმენა: როგორ შეუძლია ღმერთს ყოველივე ამის დაშვება? ან კიდევ: კაენი და აბელი ძმები იყვნენ. კაენმა მოკლა აბელი? საიდან ჰყავდა კაენს ცოლი? ერთი მეტად გავრცელებული კითხვა შემდეგია: ბატონო პასტორო, თქვენ მუდმივად საუბრობთ იესოზე. ეს ხომ წმიდაწყლის ფანატიზმია. ხომ არა აქვს მნიშვნელობა, რა აღმსარებლობა აქვს კაცს, მთავარია, კაცს შიში ჰქონდეს უმაღლესის, უხილავის წინაშე. დამაჯერებლად ეღერს, არა?

იგივე უთქვამს ჩემს დიდ თანამემამულეს გოეთეს.-ისიც ფრანკფურტიდან იყო: გრძნობა ყველაფერია; სახელი არის მხოლოდ ბგერა და კვამლი. სულერთია, ვახსენებთ ალაჰს, ბუდას, ბედისწერას თუ „უმაღლეს არსებას“. მთავარი ისაა, რომ საერთოდ რწმენა გაგვაჩნდეს და ფანატიზმი იქნებოდა მისი დაკონკრეტების სურვილი. ასევე ფიქრობს 50 % თქვენგან, ხომ მართალია? მე ახლაც თვალწინ მიდგას ერთი ხანში შესული ქალბატონი, რომელიც მიმტკიცებდა: ო, ბატონო პასტორო, თქვენ მუდამ იესოზე საუბრობთ! განა თვით იესომ არ თქვა: სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიან. იქ ყველასა აქვს თავისი კუთვნილი ადგილი. მეგობრებო, ეს ხომ თავგზის აბნევაა.

ერთხელ ბერლინში ვიყავი, „ტემპელჰოფის“ აეროპორტში. თვითმფრინავში ჩაჯდომამდე კიდევ ერთხელ უნდა გაგვევლო საპასპორტო კონტროლი. ჩემს წინ იდგა ერთი მაღალი კაცი. იგი ახლაც თვალწინ მყავს: ნამდვილი გოლიათი, მხარში ამოჩრილი დიდი სამგზავრო პლედით, იგი აჩქარებით აწვდის კონტროლიორს თავის პასპორტს. კონტროლიორი ეუბნება: მოითმინეთ, თქვენი პასპორტი ვადაგასულია. კაცი უპასუხებს: ნუ დაწვრილმანდებით ასე. მთავარი ისაა, რომ მე მაქვს პასპორტი, არა? მებაჟე გადაჭრით ეუბნება: მთავარი ისაა, მოქმედი პასპორტი გქონდეთ. ასევეა რწმენაც – საქმე ის არაა, რომ რაღაც რწმენა გქონდეს. რაღაცის რწმენა ყველას აქვს. ამას წინათ მითხრა ერთმა: მჯერა, რომ

საქონლის ხორცისაგან კარგი სუფი გამოდის. ესეც რწმენაა, თუმცა... ხომ გესმით მთავარი ის კი არაა, რაღაცის გწამდეს, არამედ ის, რომ ჭეშმარიტი რწმენა გქონდეს, რწმენა, რითაც შეგიძლია იცხოვრო უკიდურესი გაჭირვების ჟამსაც; რწმენა, რომელიც უდიდესი ცდუნებებისგანაც დაგიცავს, რწმენა, რითაც შეგიძლია მოკვდე. სიკვდილი საუკეთესო საშუალებაა რწმენის სისწორის გამოსაცდელად. არსებობს ერთი ჭეშმარიტი რწმენა, რითაც კაცს შეუძლია სწორად იცხოვროს და სწორად მოკვდეს – ესაა რწმენა უფალ იესო ქრისტესი, ღმერთის ძისა. იესო თვითონ ამბობს: სახლსა მამისა ჩემისასა სავანე მრავალ არიანო, მაგრამ ღმერთის სავანისაკენ მიმავალი კარი ერთია: მე ვარ კარი. ჩემ მიერ თუ ვინმე გაივლის, ცხოვნდეს.

ეს კარი იესოა. მე ვიცი: ადამიანებს არ სურთ ამის მოსმენა. ღმერთის შესახებ შეიძლება საათობით კამათი. ერთს ასე წარმოუდგენია ღმერთი, მეორეს კი სხვანაირად. მაგრამ იესო არაა კამათის ობიექტი. მე გეტყვით თქვენ: მხოლოდ იესოს, ღმერთის ძის, რწმენა არის მხსნელი და მაცხოვნებელი, რითაც შეიძლება ცხოვრება და სიკვდილი.

იმას, რომ ასეთი რწმენა ზოგს სასაცილოდაც არ ჰყოფნის, მოწმობს ერთი ფაქტი. რამდენიმე წლის წინ ესენში ქუჩაში მივდიოდი. ტროტუარზე იდგა 2 კაცი, როგორც ჩანს მეშახტეები. როცა ჩავუარე, ერთ-ერთი მომესალმა: გამარჯობათ, ბატონო პასტორო. მე მივმართე: განა ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს. გაეცინა და მიუბრუნდა მეგობარს: ეს პასტორი ბუში გახლავთ, კარგი კაცია! – მე მადლობა გადავუხადე – მხოლოდ სამწუხაროდ ცოტა მოისულელებს, – განაგრძო მან, – რას ჰქვია, მოვისულელებ, – აღვშფოთდი მე. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა: მართლაც არაა ურიგო ვინმე, მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს, სულ იესოზე საუბრობს. – კი მაგრამ, გახარებულმა შევსძახე, – ეს სულ სხვა რამეა. ასი წლის შემდეგ თქვენ მარადისობაში იქნებით და მაშინ ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, იცნობდით თუ არა იესოს. სწორედ მაშინ გადაწყდება: ჯოჯოხეთში იქნებით თუ სამოთხეში. მითხარით, იცნობთ იესოს? ხომ ხედავ, სიცილით მიმართა მან თავის მეგობარს, ხომ გეუბნებოდით, ისევ თავისას მიერეკება.

ახლაც იმასვე ვიმეორებ. ბიბლიაში არის ერთი ფრაზა, რომელიც ეპიგრაფად გამოდგებოდა, კერძოდ: „რომელსა ჰრწმენეს ძე, აქუნდეს ცხორება საუკუნო, ხოლო რომელი

ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხორება“. თქვენ ალბათ გსმენიათ იესო ქრისტეს შესახებ, მაგრამ თქვენ არ გყავთ იგი. ვისაც ძე ღმერთისა ჰყავს, გესმით, მისია ცხოვრებაც და ცხონებაც, აქაც და მარადისობაშიც. ვისაც არ ჰყავს ძე ღმერთისა, მას არა აქვს ცხოვრებაც. ამას ამბობს სიტყვა ღმერთისა. არის ასეთი ხალხური თქმა: „ვისაც აქვს, სწორედ მას აქვს“. იგივე აზრი აქვს ამ ბიბლიურ გამონათქვამს. მე მაინც მსურს დაგარწმუნოთ, თქვენივე სიკეთისათვის, რომ მიიღოთ იესო და მას მიუძღვნათ თქვენი ცხოვრება. რადგან მის გარეშე ცხოვრებას აზრი არა აქვს.

ახლა კი მსურს მოგითხროთ, რატომ არის იესო ერთადერთი და ყველაფერი და რატომაა იესოს რწმენა ერთადერთი და ჭეშმარიტი რწმენა. უკეთესად რომ ვთქვა, მომეცით ნება საკუთარ თავთან მიმართებაში გამოვხატო ჩემი აზრი: მე მინდა გითხრათ, რატომ მჭირდება მე პირადად იესო და რატომ მწამს იგი.

1. იესო არის გამოცხადება ღმრთისა

ვინმემ რომ მკითხოს – მე მწამს ღმერთი, რაღა საჭიროა იესო? მე ვუპასუხებ – რა სისულელეს ამბობთ, ღმერთი ხომ დაფარულია და იესოს გარეშე ჩვენ არაფერი ვიცით ღმერთის შესახებ.

ადამიანებს, ცხადია, შეუძლიათ მოიგონონ თავისთვის ღმერთი. მაგალითად, როგორიცაა ყველას მოყვარული უფალი ღმერთი, რომელიც არც ერთ პატიოსან კაცს არ უარყოფს, (ყოველ დღე რომ 5 ჭიქა ლუდს სვამს). მაგრამ ეს ხომ არაა ღმერთი. ალაჰი, ბუდა – ეს ხომ მხოლოდ ჩვენი სურვილების პროექციებია.

ღმერთი კი... იესოს გარეშე ჩვენ არაფერი გვეცოდინებოდა ღმერთის შესახებ. იესოა გამოცხადება ღმერთისა.. იესოში შთამოვიდა ღმერთი ჩვენდა.

ერთ მაგალითზე მინდა ნათელი გავხადო ეს თქვენთვის: წარმოიდგინეთ სქელი კვამლის ფარდა თქვენს წინ. ფარდის უკან ღმერთია. მაგრამ ადამიანს ხომ არ ძალუძს მის გარეშე ცხოვრება. ამდენად, ჩვენ ვიწყებთ მის ძებნას, ვცდილობთ შევაღწიოთ ფარდაში. ესაა რელიგიათა მიზანსწრაფვაც. ყველა რელიგია არის ადამიანთაგან ღმერთის ძებნა. და ყველა რელიგიას აქვს ერთი საერთო: ისინი გზააბნეულნი დაიარებიან ნისლში და ვერ პოულობენ ღმერთს. ღმერთი

მიუწვდომელია, დაფარულია. ადამიანმა, რომლის სახელი ესაია იყო, გულისხმაჰყო ეს დიდი საიდუმლო, იგი ჩასწვდა ამას და გულის სიღრმიდან ამოიძახა: ღმერთო, ჩვენ არ ძალგვიძს შენი წვდომა, ნეტა შენ თავად ჩამოხევდე კრეტ-საბმელს და მოხვიდოდე ჩვენთანო. და წარმოიდგინეთ, ღმერთმა ისმინა ეს ამოძახილი. მან ჩამოხია ფარდა და თავად ჩამოვიდა ჩვენთან-იესოს სახით. როდესაც ანგელოზე-ბი ბეთლემის ველზე ქოროებად გალობდნენ: „დღეს იშვა თქვენთვის მხსნელი, დიდება მაღალთა შინა ღმერთს“ – სწორედ მაშინ გარდამოვიდა ღმერთი ჩვენდა.

და ახლა ამბობს იესო: რომელმან მიხილა მე, იხილა მამა ჩემი.

იესოს გარეშე არაფერი მეცოდინებოდა ღმერთისა. იგია ერთადერთი, ვისგანაც შეიძლება გავიგო ღმერთის შესახებ. როგორ შეუძლია კაცს თქვას. მე იესოს გარეშეც შემიძლია. სამწუხაროდ, მოკლედ უნდა მოვჭრა, არადა ძალიან ბევრის მოყოლა შემეძლო თქვენთვის იესოზე. მაგრამ ახლა მხო-ლოდ უმთავრესი დებულებით შემოვიფარგლები საკითხი-სათვის: რატომ იესო?

2. იესო არის მხსნელი სიყვარული ღმერთისა

უნდა განგიმარტოთ ეს. ცოტა ხნის წინ საუბარი მქონდა ერთ ჟურნალისტთან, რომელიც ჩემგან ინტერვიუს იღებდა და მეკითხებოდა: „რისთვის კითხულობთ ასეთ ლექციებს?“ ამა-ზე მე ვუპასუხე: „ვკითხულობ იმიტომ, რომ მეშინია ადამი-ანები ჯოჯოხეთში არ მოხვდნენ.“ მაშინ გაეცინა და მითხრა: „ეს ხომ შეუძლებელია“. მე ვაგრძელებდი: მოითმინეთ, ას წელიწადში თქვენ მიხვდებით, თქვენ იყავით სწორი, თუ სიტყვა ღმერთისა. მითხარით, ოდესმე განგიცდიათ შიში ღმერთის წინაშე? „არა“, – მომიგო მან, – „არ ეგების ყოვ-ლად მოწყალე ღმერთის შიში“. მაშინ მე შევეცადე, ამეხსნა მთავარი: „თქვენ სცდებით. ვისაც კი თუნდაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ღმერთის შესახებ, ისიც კი უნდა მიხვდეს, რომ არაფერია წმიდა და მართალ ღმერთზე უფრო საშინე-ლი, ჩვენი ცოდვების განმკითხავ ღმერთზე უფრო საშინელი. თქვენ გგონიათ, ის ამართლებს თქვენს ცოდვებს? თქვენ საუბრობთ ყოვლად მოყვარული ღმერთის შესახებ. ბიბლია კი სულ სხვა რამეს ამბობს: საშინელია ცხოველი, ცოცხალი ღმერთის ხელში მოხვედრა.

გქონიათ შიში ღმერთის წინაშე? თუ არა, მაშასადამე ჯერ არც კი დაგიწყიათ წმიდა ღმერთისა და თქვენი ცოდვილი ცხოვრების რეალობის დანახვა. როცა დაიწყებთ ღმერთის შიშის განცდას, მაშინ იკითხავთ უთუოდ: როგორ დაიცვათ თავი ღმერთისაგან? ჩემის აზრით, ღმერთის რისხვის წინაშე შიშის არქონა ჩვენი დროის უდიდესი უგუნურებაა. როცა ხალხი სერიოზულად აღარ აღიქვამს ცოცხალ ღმერთსა და მის რისხვას ჩვენს ცოდვათა გამო – ესაა ნიშანი უკიდურესი შეზღუდულობისა. ერთხელ პროფ. კარლ ჰაიმი გვიყვებოდა ჩინეთში თავისი მოგზაურობის შესახებ. პეკინში რომ ჩავიდა, იქ აიყვანეს ერთ მთაზე, რომლის წვერშიც იდგა ზეციური საკურთხეველი. მას განუმარტეს, რომ „საყოველთაო მიტევების ღამეს“ მთას აწყდება ათიათასობით ადამიანი შუქურებით ხელში.

კაიზერი ადის მთაზე (მაშინ ჯერ კიდევ კაიზერები მართავდნენ ჩინეთს) და მიტევების მსხვერპლს სწირავს თავისი ხალხისთვის. როცა პროფ. ჰაიმი ამას ჰყვებოდა, მან ისიც აღნიშნა, რომ წარმართებსაც კი ჰქონდათ წარმოდგენა ღმერთის რისხვის შესახებ და იცოდნენ, რომ ადამიანს ცოდვათა გამოსყიდვა და მიტევება ესაჭიროება.

განათლებული ევროპელი კი ფიქრობს, რომ თავისუფლად შეუძლია იმსჯელოს ყოვლადმოყვარული ღმერთის შესახებ, რომელიც ბედნიერია იმით, რომ ადამიანები პატიოსნად იხდიან საეკლესიო ბეგარას. უმჯობესია, კვლავ ღმერთის შიშს მივუბრუნდეთ. ჩვენ ყველანი ხომ ცოდვილნი ვართ. თქვენ – არა? რა თქმა უნდა, კი. როცა კვლავ ღმერთის მოშიშებას ვისწავლით, მაშინ ვიკითხავთ – კი მაგრამ, სადაა ხსნა ღმერთის რისხვისაგან? სადაა ხსნა? მაშინ კი ნათელი გახდება ჩვენთვის: იესოა მხსნელი სიყვარული ღმერთისა. ღმერთს სურს, რომ ყველა ცხონდეს. მაგრამ არც უსამართლობა შეუძლია. მას არ ძალუძს, თვალი დახუჭოს ჩვენს ცოდვებზე. ამიტომ მოგვცა მან ძე თვისი მხოლოდშობილი – ჩვენს ცოდვათა გამოსასყიდად.

გამომყევით იერუსალიმს. ქალაქის შესასვლელთან ერთი ბორცვია – მასზე ათასობით ადამიანს ვხედავთ. სამი ჯვარია აღმართული, მარცხენა ჯვარს გაკრული ადამიანი ისეთივე ცოდვილია, როგორც ჩვენ, მარჯვენაზეც – ასევე. მაგრამ ის, ვინც შუაშია... შეხედეთ მას, ეკლის გვირგვინით თავზე, ძეს ცხოველი ღმერთისა?! სხივო ნათელო, კეთილშობილო. რა პატივაყრილი ხარ?... რატომ ჰკიდია ის აქ? ეს ჯვარი

საკურთხეველია ღმერთისა, იესო კი – კრავი ღმერთისა, რომელმაც იტვირთა ჩვენი ცოდვები და რომელიც შეგვარიგებს ღმერთთან ჩვენ, ცოდვილთ.

ვიდრე იესოს ვერ ჰპოვებთ, ღმერთის რისხვასაც ვერ გაექცევით, მაშინაც კი, როცა ამას ვერ ამჩნევთ ან უარყოფთ. მხოლოდ მას, ვინც იესოს მიეახლა, აქვს მშვიდობა ღმერთისა: „სასჯელი სოფლისა ჩუენისა იდო მასზედ, რაისათვის ჩუენ მშვიდობა მოვიღეთ“

ნება მომეცით, უმარტივესი მაგალითი მოგიყვანოთ. პირველ მსოფლიო ომში არტილერისტი ვიყავი. ფარებიანი ზარბაზნები გვქონდა. ერთხელ წინა ხაზზე გავედით ქვეითების გარეშე. მტრის ტანკებმა შემოგვიტიეს. ტყვიები სეტყვასავით მოდიოდა. მაგრამ ჩვენი ფარები იმდენად მტკიცე იყო, რომ მათი შემწეობით სავსებით დაცულნი ვიყავით. აქ კი გავიფიქრე: საკმარისია, ხელი გამოვყო ფარიდან, რომ ტყვია წამაძრობს ხელს და მოვკვდები, რადგან სისხლისგან დავიცლები.

ალბათ მიმიხვდით. ასეთ ფარად იქცა ჩემთვის იესო. ვიცი იესოს გარეშე დავიღუპები საღმრთო მსჯავრისაგან. იესოს გარეშე, რასაც უნდა მოვკიდო ხელი, ჩემს გულში არაა მშვიდობა, იესოს გარეშე ვერც მოვკვდები... შიშის გარეშე. იესოს გარეშე საუკუნო წარსაწყმედელში ამოვყოფ თავს. ჯოჯოხეთი არსებობს, თქვენ დარწმუნდებით ამაში, მაგრამ თუკი იესოს ჯვარს ვარ ამოფარებული, საფრთხე აღარ მემუქრება. ვიცი, იგია ჩემი შემრიგებელი ღმერთთან. იგია ჩემი მხსნელი, იესო – მხსნელი სიყვარული ღმერთისა.

გესმით, ღმერთს სურს, რომ ყველა ადამიანი ცხონდეს, რომ ყველას წილად ხვდეს ხსნა. ამიტომ გაიღო საკუთარი ძე ხსნისთვის, შერიგებისათვის და თქვენთვის.

ნუ დასცხრებით, ვიდრე არ მოიპოვებთ მშვიდობას ღმერთისას, ვიდრე არ მოიპოვებთ ხსნას.

რატომ იესო?

3. იესო – ერთადერთი, ვინც ჩვენი ცხოვრების უდიდესი პრობლემა გადაჭრა.

იცით, რა არის ჩვენი ცხოვრების უდიდესი პრობლემა? მოხუცები ცხადია, მაშინვე გაიხსენებენ თავიანთ ნაღვლის ბუშტს თუ თირკმელს – უცნაური პრობლემებია. ახალგაზრდისთვის ასეთი პრობლემა საყვარელი ქალი თუ კაცია ალბათ. ამდენად, ყველას თავისი პრობლემა აქვს, მაგრამ მერწმუნეთ:

ჩვენი ცხოვრების ყველაზე დიდი პრობლემა არის ჩვენი ცოდვა ღმერთის წინაშე.

წლების მანძილზე ახალგაზრდებს ვუქადაგებდი. მუდამ ახალ სახეობრივ ხატებს ვეძებდი, რათა მათთვის ეს უფრო თვალსაჩინო გამეხადა. ერთ-ერთი ამ ხატთაგანი მინდა აქაც მოვიხმო – წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ბუნებრივად კისერზე რკინის ჯაჭვი გვაქვს შემოჭდობილი და ყოველ ჯერზე, როცა ვცოდავთ, ერთ რგოლს კიდევ ახალი რგოლი ემატება. გამიჩნდა თუ არა უწმინდური აზრი თავში, რგოლიც მომემატა, დედას უხეშად მოვექეცი – კიდევ ახალი რგოლი; ავად მოვიხსენიე სხვები – კიდევ ახალი. ერთი დღე ლოცვის გარეშე, თითქოს ღმერთი არც არსებულიყოს – ისევ რგოლი; უპატიოსნება, სიცრუე – რგოლიც მატულობს. წარმოიდგინეთ, რა სიგრძისა უნდა იყოს ჯაჭვი, რომელსაც ასე დავათრევთ ჩვენთან ერთად, გესმით, ცოდვათა ჯაჭვი. ღმერთის წინაშე შეცოდება სრულიად რეალურია, მაშინაც, როცა ეს ჯაჭვი უხილავია. არადა გრძელზე უგრძესია ეს ჯაჭვი. და სულ თან დავატარებთ ჩვენთან ერთად. ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს – რატომ არ შეუძლიათ ადამიანებს ჭეშმარიტად და ბოლომდე ბედნიერნი იყვნენ? ვთქვათ, არაფერი არ გაკლიათ; ხართ კი ბედნიერი? ვერა, ვერც იქნებით, იმიტომ რომ თანა გაქვთ ჯაჭვი, და მისგან ვერავინ ვერ გიხსნით, ვერც ერთი მოძღვარი, ვერც ერთი მღვდელი, ვერც ერთი ანგელოზი... არც ღმერთს შეუძლია თქვენი ხსნა, რადგან ის სამართლიანია. რასაც დასთეს, იმას მოიმკი. მაგრამ, აი, იესო. იგია ერთადერთი, ვინაც ჩვენი ცხოვრების უდიდესი პრობლემა გადაჭრა. ის მოკვდა ჩვენთა ცოდვათათვის, მან საკუთარი სიკვდილით გამოისყიდა ჩვენი ცოდვები. იგია ერთადერთი, რომელსაც ძალუძს ჩვენი ცოდვის ჯაჭვისგან განთავისუფლება.

მსურს, ჩემი გამოცდილებით გაგანდოთ: უკვე იმის გაცნობიერება, რომ ცოდვები მომეტევა, არის ხსნა, უდიდესი ხსნა სიცოცხლეშიც და სიკვდილშიაც. მოხუცებო, გეძლევათ შესაძლებლობა ცოდვათა მიტევებით განუტევოთ სული თქვენი. თუ არადა მარადისობას გადაეგოთ თქვენს საუკუნო ცოდვებთან ერთად. შემზარავია!

ვიცნობ ადამიანებს, რომელნიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გაიძახოდნენ, რომ ჩვენი ცხოვრების ხომალდი მარადისობის ბნელ ნაკადებს მიაპობს – ღმერთის შესახვედრად. მათ ვერაფრის თან წაღება ვერ შეძლეს – ვერც სახ-

ლის, ვერც საბანკო ანგარიშისა, ვერც შემნახველი წიგნაკის – მხოლოდ თავისი ცოდვა წაიღეს თან. ასე წარდგომა ღმრთის წინაშე – საშინელია. მაგრამ ესაა კაცთა სიკვდილი. თუ თქვენ იტყვით – ყველა ასე კვდება – კი ბატონო, ყველა ასე კვდება. მაგრამ თქვენ არ უნდა მოკვდეთ ასე. იესო მოგიტევებთ ცოდვებს. ესაა ყველაზე უფრო დიდი ხსნა, რაც კი ამქვეყნად არსებობს.

18 წლისა ვიყავი, როცა შევიტყვე, რას ნიშნავს ცოდვათა მიტევება. ცოდვათა ჯაჭვი ჩამოწყდა. ერთი სიმღერა მახსენდება „ცოდვები მოგეტევათ“ – ასე ჰქვია. ესაა სიტყვა ცხოვრებისა წამებული სულისთვის. შენდობა ქრისტეს სახელით მოხდა. გისურვებთ, რომ თქვენც გამოსცადოთ და განიცადოთ ეს. მიეახლეთ იესოს. ის გელით თქვენ. და უთხარით მას: უფალო, ჩემი ცხოვრება ცოდვებით აღსავსეა. არასოდეს ვაღიარებდი ამას და მხოლოდ საკუთარი თავით ვამაყობდი. ახლა კი შენს წინაშე ვარ და მსურს მწამდეს, რომ შენმა სისხლმა გამოისყიდა ჩემი ცოდვები – რა მშვენიერია, როცა ცოდვები მიგეტევება.

მე-17 საუკუნეში ინგლისში ცხოვრობდა კაცი, სახელად ბუნიანი. თავისი რწმენის გამო მრავალი წელი დაჰყო ციხეში. ასეთი რამ ყოველ დროში ხდება. ღმერთის სიტყვის მერე ყველაზე სტაბილური ადამიანთა საზოგადოებაში საპატიმროა. და ციხეში მან დაწერა მშვენიერი წიგნი, რომელიც დღესაც ძალზე აქტუალურია. თავის წიგნში ის ქრისტიანის ცხოვრებას ფათერაკიანსა და თავგადასავლებით სავსე მოგზაურობას ადარებს... ამბავი ასე იწყება, ერთი კაცი ცხოვრობდა ქალაქში, სახელად სამყარო. ერთ დღეს აფორიაქებულად იგრძნო თავი და თქვა: უბედური ვარ, უნდა წავიდე აქედან. ცოლს გაანდო თავისი გადაწყვეტილება. ცოლმა დაამშვიდა, განერვიულებული ხარ, დასვენება გესაჭიროებაო. არც ამან უშველა, ისევ ისეთი აღელვებული და აფორიაქებული იყო. ერთხელაც მივიდა დასკვნამდე: აქ არაფერი არ მშველის, უნდა წავიდე აქედან. მართლაც წავიდა. გზად შეამჩნევს, რომ რაღაცა ტვირთი აქვს ზურგზე აკიდებული. უნდა გაითავისუფლოს თავი, მაგრამ ვერ ახერხებს, წინათ ვერ ამჩნევდა მას. თავისთავად არსებული რამ იყო თითქოს. რაც უფრო შორდებოდა ქალაქს, სახელად ქვეყნიერება, მით უფრო მძიმდებოდა ტვირთი. ძლივსღა დგამდა ნაბიჯებს. დიდის გაჭირვებით აუყვა ბილიკს, მთისკენ მიმავალს, ტვირთი ამძიმებს. უეცრად გზაჯვარედინზე მის წინ ჯვარი აღიმართე-

ბა. თითქმის უგონოდ ეცემა ჯვრის წინ, ებღაუჭება მას და მზერას ზეცად აღაპყრობს. იმავე წამს ის გრძნობს, რომ ტვირთი ეხსნება და ხმაურით ვარდება უფსკრულში.

საოცრადაა აღწერილი, თუ რა შეუძლია განიცადოს კაცმა იესო ქრისტეს ჯვართან: „მე მზერა აღვაპყარ ჯვარს, სადაც კრავი ღმერთისა გამომეცხადა, ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვაღიარო, 2 სასწაულის მოწმე გავხდი იქ: უდიდესი სიყვარულის მადლისა და ჩემი ცოდვის სიმძიმისა. ცოდვათა მიტევება – იესომ გამოისყიდა ჩემი ცოდვა. ჩემი ცოდვათა ჯაჭვი გაწყვეტილია. გავთავისუფლდი ტვირთისაგან. ცოდვათა განტევება – ეს ძღვენი, ეს მადლი, მხოლოდ იესოს შემწეობით გვეძლევა.

რა საჭიროა იესო? კიდევ მთხოვთ ახნას, რატომ მწამს იესო?

4. იესო – მწყემსი კეთილი

ყველას გაქვთ ცხოვრებაში გამოცდილი, რა უსასრულოდ მარტოა ზოგჯერ ადამიანი და რა ცარიელია ზოგჯერ ეს ცხოვრება. მაშინ გრძნობთ, რომ რაღაც გაკლიათ. მაგრამ რა? მე გეტყვით თქვენ: თქვენ მაცხოვარი გაკლიათ.

ახლახან გიყვებოდით, რომ იესო ჯვარზე მოკვდა, რათა ჩვენი ცოდვა გამოესყიდა. მიაქციეთ ყურადღება სიტყვებს: ჩვენ ცოდვათა წილ მშვიდობა იესოს წყალობით გვენიჭება. ამას მოსდევს იესოს საფლავთდადება, კლდეში გამოკვეთილ საფლავად. საფლავს მძიმე ქვა მიაფარეს, უფრო მეტი სიმშვიდისათვის. რომაელმა მმართველმა ბეჭდით დაბეჭდა ქვა და რომაელ ლეგიონერთა დაცვა მიუჩინა. წარმომიდგენია, მათ შორის ბევრი კარგი ვაჟკაციც იქნებოდა, რომელიც გალიაში (ახლანდელ საფრანგეთში), გერმანიაში, აზიასა და აფრიკაში იბრძოდა. ვაჟკაცები ჭრილობებით დასერილი სახით, მესამე დღის გარიჟრაჟზე იდგნენ მხარზე ფარგადაკიდებულნი, შუბით მარჯვენა ხელში და მუზარადით თავზე. რომაელი ლეგიონერი იცდის, ის იმსახურებს ნდობას, და უეცრად დღესავით განათდა. ბიბლიაში ნათქვამია: ანგელოზმა ღვთისამ, ზეცით გარდმოსულმა, გადააგორა ქვა და იესო აღსდგა მკვდრეთით. იმდენად დიდებული და დიადი იყო ეს, რომ მეომრებს გრძნობა დაეკარგათ. რამდენიმე საათის შემდეგ იესო შეხვდება ერთ ღარიბ გოგონას, ბიბლიაში ნათქვამია, რომ მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა მისგან. გოგონა ტირის.

იესო მიუახლოვდება მას, მაგრამ გოგონა არ კარგავს გონებას. პირიქით, იგი ხარობს, აღმდგარ უფალ იესოს რომ ხედავს. რაბუნი – იგი ნუგეშცემულია, რადგან იცის, რომ იესო – კეთილი მწყემსი, ცოცხალია და მის გვერდითაა.

იესო ყოველ წუთს შემწედ მჭირდება. ცხოვრებას ბნელ უფსკრულებში შთავუგდივარ არაერთხელ. ჩემი აღმსარებლობის გამო ნაცისტურ საპატიმროებში გამიტარებია მრავალი წელი. მქონდა წუთები, როცა მიფიქრია: კიდევ ერთი ნაბიჯი და დაიწყება უსასრულო ბნელი სამეუფო შეშლილობისა, საიდანაც აღარაა საშველი და სწორედ მაშინ მოვიდა იესო. და ყველაფერი მოგვარდა. ციხეში ერთი საღამო მქონდა, ნამდვილი ჯოჯოხეთი. ტრანსპორტით უნდა გადაეყვანათ ხალხი ესესში, ხალხი, რომელთაც აღარაფრის იმედი აღარ ჰქონდათ ამ ცხოვრებაში, ნაწილი – კრიმინალები, ნაწილი – სრულიად უდანაშაულო ხალხი, ებრაელები. ერთ დღესაც, შაბათ საღამოს, ამოხეთქა ხალხის სასოწარკვეთამ. რაც იქ დატრიალდა, ძნელი წარმოსადგენია – მთელი შენობა მობობოქრე საკნებად იქცა. სასოწარკვეთა მეფობდა, ილეწებოდა კარებები და კედლები. მცველები აფორიაქდნენ და იწყეს რევოლვერების ცემა სახურავებზე, დარბოდნენ და დასდევდნენ პატიმრებს, ვისაც მოიხელთებდნენ, სცემდნენ. მე ვიჯექი ჩემს საკანში და ვფიქრობდი, ალბათ ესაა ჯოჯოხეთი. ძნელია ყოველივე ამის გადმოცემა. ასეთ დროს იესო თუ მშველის მხოლოდ, ის აქაა, ჩემს გვერდით. მე გავურბივარ იმას, რაც სინამდვილეში თავად განვიცადე და გამოვცადე. ჩუმად ვიმეორებდი ამ სიტყვებს: იესო, იესო, იესო. სამ წუთში სრული სიმშვიდე დასადგურდა ჩემში. გესმით, მე ვეძახდი მას, ჩემი ძახილი კაციშვილს არ გაუგია, მხოლოდ თვით იესომ – და ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ დემონები გასცლოდნენ იქაურობას. მაშინ კი ხმამაღლა სიმღერა დავიწყე, რაც აკრძალული იყო... ყველა პატიმარს ესმოდა ჩემი სიმღერა. მცველებს ხმა არ ამოუღიათ, ასე ხმამაღლა რომ ვმღეროდი; მეგობრებო, მაშინ კი ვიგრძენი, რას ნიშნავს, გყავდეს მაცხოვარი, მსხნელი.

ჩვენ ყველამ ერთხელ უდიდესი განსაცდელი უნდა გავიაროთ – უკვე მქონდა ამაზე საუბარი – სიკვდილის განსაცდელი. ერთხელ მისაყვედურა ერთმა, თქვენ, მღვდლები სიკვდილის შიშს შთაუნერგავთ ხალხს ყოველთვის. მე კი ვუპასუხე – მე კი არ შთავაგონებ შიშს. ეს შიში ყველასა გვაქვს. იგი საერთოა ყველასთვის. და ჩვენ გვაქვს უფლება, სიკვდილის დროს კეთილ მწყემსს გავუწოდოთ ხელი, ვიგრძნოთ

მისი ხელი ჩვენს ხელში. მაგრამ მე მეუბნებიან და ეს სწორიცაა, დღევანდელ ადამიანს ნაკლებად აქვს სიკვდილის შიში, გაცილებით მეტად ცხოვრების ეშინია. ცხოვრება საშინელია, უარესი ვიდრე სიკვდილი.

კიდევ ერთი ისტორია უნდა მოგიყვეთ, ხშირად მომიყოლია. დაუჯერებელია, მაგრამ ნამდვილი. ესენში გავიცანი ერთი კაცი, პროფესიით მეწარმე, ძალიან კეთილგანწყობილი იყო ჩემს მიმართ. მან მითხრა: ბატონო მოძღვარო, რა სასიამოვნოა, რომ თქვენ ბავშვებს ჭეშმარიტების გზაზე აყენებთ. აი, თქვენ 100 მარკა გასამრჯელო. – თქვენ რაღას იტყვით, – ვკითხე მას, – არა, ბატონო მოძღვარო, მე ჩემი საკუთარი მსოფლხედვა მაქვს. გესმით, კეთილი ყმაწვილია, მაგრამ ძალზე შორსაა ღმერთისგან. ერთხელ ჯვრისწერას ვატარებდი. ძალზე ხშირია შემთხვევა, როცა ცერემონია ცარიელ ეკლესიაში ტარდება. მოდიან ნეფე-პატარძალი და კიდევ ათიოდე კაცი. ყველა ოდნავ დაბნეული ჩანს. ერთ-ერთი მოწმე ჩემი ნაცნობი მეწარმე აღმოჩნდა და მე იგი გულწრფელად შემეცოდა, ისე დაბნეული იყო – ელეგანტურ ფრაკში გამოწყობილი, ცილინდრით ხელში, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ეტყობოდა, აწუხებდა – მოედრიკა თუ არა მუხლი, გადაეწერა თუ არა პირჯვარი და საერთოდ, როგორ უნდა მოცქეულიყო ეკლესიაში. დავეხმარე, ცილინდრი გამოვართვი და მერხზე დავუდე. შემდეგ ფსალმუნები ვიგალობეთ. გალობა ხომ სულ არ იცოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე მოჰქონდა თავი. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ეს ბატონი, ამა ქვეყნის კაცი... და უცბად მოხდა სასწაული – პატარძალი ღმთისმსახურებების დროს ბავშვთა მეთვალყურე ყოფილა, ამიტომ გალერეიდან 30-მდე ქალის გალობა ისმოდა, ტკბილი ხმით მღეროდნენ უბრალო საბავშვო ფსალმუნს, რომელიც შეიძლება თქვენთვისაც ნაცნობი იყოს, ვუყურებდი კაცს, რომელსაც ჩემს თვალწინ რაღაცა ემართებოდა. ვიფიქრე, ავად ხომ არ გახდა-მეთქი. მოიკუნტა, ხელები სახეზე აიფარა და აკანკალდა. ექიმის გამოძახება დავაპირე. უცბად შევამჩნიე რომ ატირდა....ბავშვები გალობდნენ: ჩემი კეთილი მწყემსი, რომელიც მე მიფარავს, რომელსაც ვუყვარვარ, რომელიც სახელით მიხმობს. და აი, ჩემს წინაა მსხვილი მეწარმე, რომელიც ტირის, ტირის ბავშვივით...მაშინ კი მივხვდი, რაც მოხდა – მისმა გულმა იგრძნო უდიდესი ჭეშმარიტება – „ბავშვებს ჰყავთ ის, ვინც მე არა მყავს: კეთილი მწყემსი... მე კი მარტოკაცი ვარ, მარტოსული და გზააბნეული.

ხალხნო, ყველაზე დიდი მონაპოვარი ცხოვრებაში ესაა, როცა, ჩვილთა მსგავსად, იესო ქრისტეს კრავთ ეკუთვნით. და გყავთ კეთილი მწყემსი. ისწრაფეთ იმისაკენ, რომ ამის თქმა შესძლოთ, რატომ მწამს იესო? იმიტომ, რომ იგია ჩემი კეთილი მწყემსი, ჩემი საუკეთესო მეგობარი, ჩემი ცხოველი მხსნელი, ჩემი მაცხოვარი.

რისთვისაა საჭირო იესო? აი, კიდევ რისი თქმა მსურს თქვენთვის.

5. იესო – ცხოვრების მეუფე

რამდენიმე წლის წინ ახალგაზრდებთან ერთად ვისვენებდი ბოჰემის ტყეში. ყმაწვილები წავიდნენ, მე კი კიდევ ერთი დღე დარჩენა მომიწია, რადგან მანქანით უნდა მოეკითხათ ჩემთვის. იმ საღამოს ერთ ძველ სამონადირო კოშკში ვიმყოფებოდი, ადრე მეფეს რომ ეკუთვნოდა, ახლა კი მხოლოდ მეტყევე ცხოვრობდა იქ. სახლი ნახევრად დანგრეული იყო. დენი არ იყო. უზარმაზარ საცხოვრებელ ოთახში ღია ბუხარი გიზგიზებდა. ნავთის ლამფა დამიდგეს და ძილი ნებისა მისურვეს. გარეთ საშინელი ქარიშხალი ბობოქრობდა, წვიმა სცემდა სახლის გარშემო მდგარ ნაძვებს. საუკეთესო ფონი იყო ყაჩაღური თავგადასავლებისათვის. არაფერი არ აღმომაჩნდა საკითხავი. ბუხრის კარნიზზე ბროშურა ვიპოვე და ნავთქურის შუქზე დავიწყე კითხვა: უნდა გამოგიტყდეთ, არაფერი უფრო საშინელი არ წამიკითხავს ცხოვრებაში – ერთი ექიმი სიძულვილით ებრძოდა სიკვდილს. დაახლოებით ასეთი რამ ეწერა: „სიკვდილო, შენა ხარ მტერი კაცობრიობისა. მთელი კვირა ვიბრძვი ხოლმე ერთი კაცის სიცოცხლის გადასარჩენად და ისაა მგონია, უკვე ვიხსენი იგი, რომ შენ დამცინავად და გამკილავად წამოიმართები შენი ტახტიდან და გამომტაცებ მას ხელიდან. ასე ფუჭია ჩემი ყოველი გარჯა. მე ვეხმარები ადამიანებს, თუმცა ვიცი, რომ ყველაფერი ამაოა, რადგან შენ მაინც მოხვალ და შენი მსახვრალი ხელით მოსრავ ყოველივეს. ო, მოღალატე სიკვდილო, შენა ხარ უდიდესი მტერი ჩვენი“. ეს იყო წიგნი, აღსავსე სიკვდილისადმი სიძულვილით. ბოლოს კი – ყველაზე უფრო შემაძრწუნებელი: „სიკვდილო, შენა ხარ წერტილი, შენა ხარ ძახილის ნიშანი“. ამას მოჰყვება: „ეშმაკმა დალახვროს, ძახილის ნიშანი მაინც იყო... მაგრამ როცა გიყურებ, ჩემს თვალწინ კითხვის ნიშნად იქცევი ხოლმე და მე ვეკითხები ჩემს თავს,

სიკვდილი დასასრულია თუ არა? რა არის მის შემდეგ? სიკ-ვდილო, შენა ხარ საყოველთაო უდიდესი უპასუხო კითხვა!“

მე კი გეტყვით – სიკვდილი არაა დასასრული. იესო, რომელმაც იცის პასუხი ამ კითხვაზე, ამბობს: „წილი ნაყარია“. და მე ბედნიერი ვარ რომ მყავს მაცხოვარი, ცხოვრების მომნიჭებელი, თავად ცხოვრება, რომელიც ცხოვრებას გვაძ-ლევს, ამიტომ ვქადაგებ ასე მხურვალედ იესოს. I მსოფლიო ომის დროს კვირების მანძილზე დაბა ვერდენში ვიყავი, სა-დაც მაშინ ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა გაჩაღდა. ფრონ-ტის ხაზებს შორის გვამი გვამზე ეყარა. მთელი ცხოვრება ვერ მოვიცილე გვამის სუნი და ყოველთვის, როცა ვხედავ ობელისკს წარწერით – „გმირულად დაეცნენ სამშობლო-სათვის“ – მომდის გვამის სუნი, ვერდენთან რომ შევიგრძენ. როცა ვფიქრობ, რომ ასი წლის მერე ჩვენ აღარ ვიქნებით, ვგრძნობ სიკვდილის შემაძრწუნებელ სუნთქვას. თქვენც გრძნობთ ამასვე?

და ამ მოკვდავ სამყაროში არის ერთი, ვინც აღსდგა მკვდრეთით. ის ამბობს, – გესმით? – მე ვარ ცხოვრება და თქვენც მოგეცემათ ცხოვრება. გწამდეთ ჩემი. მოდით ჩემთან. მომეახლენით მე. მე გაგიძღვებით თქვენ ჭეშმარიტი ცხოვ-რების სამეუფოსკენ. ხომ შესანიშნავია? როგორ შეიძლება, ამ სიკვდილის სამყაროში მაცხოვრის გარეშე იცხოვრო, მხსნელი იესოს გარეშე, რომელიც მარადიულ ცხოვრებას გვანიჭებს. პროფესორ კარლ ჰაიმის მიერ გამოქვეყნებულ წერილს ვკითხულობდი – ესაა ქრისტიანი მეომრის წერი-ლი„ მებრძოლისა, რომელიც რუსეთში დაიღუპა II მსოფლიო ომის დროს. წერილი დაახლოებით ასეთი შინაარსისაა: „ჩვენს გარშემო უბედურება ტრიალებს, როცა რუსები სრო-ლას იწყებენ, ყველას პანიკა გვეუფლება. ამას ემატება გაუსაძლისი ყინვა და თოვლი. საშინელებაა. მაგრამ მე არ მაქვს შიშის განცდა. თუ მე დავიღუპები, ეს იქნება მშვენი-ერი. მაშინ მყისვე აღმოვჩნდები დიდების სამეუფოში, ქარიშ-ხალი ჩადგება და მე თვალს გავუსწორებ უფალს ჩემსას და მისი დიდება გამანათებს მე. მე არაფერი მაქვს საწინა-აღმდეგო, რომ აქ შევხვდე სიკვდილს. ძალიან მალე ამის შემდეგ ის დაიღუპა კიდეც. როცა ამას ვკითხულობდი, ვფიქ-რობდი – რა ბედნიერებაა, რომ ახალგაზრდას არ ეშინია სიკვდილის მარტო იმიტომ, რომ მას სწამს იესო.

იესო ჩვენი ცხოვრების მეუფეა. თავის მიმდევართ კი ის მარადიულ ცხოვრებას უბოძებს.

ერთხელ ერთ დიდ საეკლესიო დღესასწაულზე ლაიფციგის რატუშაში ეკლესიისა და მთავრობის წარმომადგენლების შეხვედრა შედგა. მთელი შეხვედრის მანძილზე არაფრის მთქმელი სიტყვები ითქმებოდა. ბოლო სიტყვა ჰაინრიხ გიზენს ეკუთვნოდა, გერმანიის ევანგელური კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს. არასოდეს არ დამავიწყდება, როგორ ადგა და წარმოთქვა: თქვენ მეკითხებით, ბატონებო რა ხალხი ვართ ჩვენ? ერთი წინადადებით მინდა გიპასუხოთ: ჩვენ ვართ ხალხი, ვინც ასე ლოცულობს: „უფალო ჩემო, მყავ მე ღვთისმოსავი რათა ზეცად მოვხვდე.“ და დაჯდა თავის ადგილზე. მისმა სიტყვამ ყველა ძალიან ააღელვა.

30-წლიანი ომის დროს პაულ გერჰარტი წერდა: „...მართალია, ჩემი ცხოვრება ამ სოფლად უნდა განვლიო, მაგრამ ამ უცხო კარავში დარჩენას არ ვლამობ, ზეციური სამშობლოსაკენ მიმავალი გზებით მივეხეტები, სადაც ნუგეშისმცემლად მამა მიმელის.“ გისურვებთ რომ თქვენც ასე გაგევლოთ თქვენი ცხოვრების გზა.

კიდევ მეკითხებით, რისთვის მჭირდება იესო? საბოლოოდ მაინც ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შეიცნობთ უფალს თქვენსას-იესოს.

რისთვის ვცხოვრობ?

შემდეგი კითხვა ასეთია: რისთვის ვცხოვრობ? ან: რისთვის ვარ ამქვეყნად მოვლენილი ან: რა არის ჩემი ცხოვრების აზრი და არსი?

ერთ დღეს ესენში მირეკავს ერთი მეწარმე, საკმაოდ აღელვებული ხმით, და მთხოვს ჩამოსვლას. მე გავემგზავრე მასთან. შემდეგი სიტყვებით შემომხვდა: „ჩემმა ვაჟმა თავი მოიკლა“. მე ვიცნობდი ყმაწვილს – სტუდენტი იყო. ყველაფერი ჰქონდა, რასაც კი მოისურვებდა. ის იყო ახალგაზრდა, ჯანმრთელი, ლამაზი და მდიდარი. კაი ხანია საკუთარი მანქანაც ჰყავდა. არც რამე ამბავში ყოფილა გარეული. და ეს ახალგაზრდა კაცი ტყვიას იხლის შუბლში. წერილში, რომელიც მან დატოვა, ეწერა: „ვერანაირ აზრს ვერ ვხედავ ცხოვრებაში, ამიტომაც ვსვამ წერტილს. ჩემს ცხოვრებას არა აქვს აზრი“. შემზარავია არა?

ხედავთ, კითხვა ცხოვრების აზრის შესახებ ასე მნიშვნელოვანი ყოფილა. და ეს იმიტომ, რომ ჩვენ ერთადერთი სიცოცხლე გვაქვს ბოძებული, იმიტომ, რომ ერთხელ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე. გიფიქრიათ, რას ნიშნავს ეს?

სკოლაში მაინცდამაინც არ გამოვირჩეოდი მათემატიკური ნიჭით. ჩემი მასწავლებელი უბრალოდ ვერც კი იგებდა ჩემს ამოხსნილ ამოცანებს. როცა შესწორებულ დავალებას მიბრუნებდა ხოლმე, ზოგჯერ მთელი რვეული აჭრელებული იყო წითელი მელნით – ასე იგნორირებდა ჩემს მონაცემებს. საზიზღრად გამოიყურებოდა ხოლმე ჭრელი რვეული. როცა რვეული ძალიან დამესვრებოდა, ვაგდებდი, მაშინაც კი, თუკი ბოლომდე გავსებული არ იყო და ვყიდულობდი ახალს, ლამაზსა და სუფთას, და ხელახლა ვიწყებდი შევსებას. რომ შეიძლებოდეს, სიცოცხლეს ასე მოვექცეთ... მერწმუნეთ, მილიონობით ადამიანი ბოლო წუთს სწორედ ამაზე ფიქრობს: ნეტა თავიდან შემეძლოს ყველაფრის დაწყება... ხომ სულ სხვანაირად მოვიქცეოდი...

სასკოლო რვეული შეიძლება ხელახლა იყიდო და თავიდან დაიწყო მისი შევსება, სიცოცხლე კი – არა. რადგან მხოლოდ ერთი სიცოცხლე მოგვენიჭა. რა საშინელებაა, თუკი ის ფუჭად განვლიეთ, თუკი არასწორად ვიცხოვრეთ, ჩვენ ხომ ერთადერთი სიცოცხლე გვაქვს ნაბოძები. თუკი ეს სიცოცხლე დაკარგულია, ის დაკარგულია საუკუნოდ.

სრულიად სერიოზულად ვამბობ: დაკარგულია, გამქრალია...

დღეს დილას, ჩემი სასტუმროს წინ, საქონლის ჯოგმა ჩაიარა. სწორედ ჩემს ქადაგებაზე ვმუშაობდი და გავიფიქრე: რა ბედნიერნი არიან ალბათ ძროხები, მათ ხომ არ უწევთ იმაზე დაფიქრება, რატომ ცხოვრობენ ამქვეყნად. მათი ამოცანა ძალზე მარტივი და ნათელია: ჯერ რძეს გვაძლევენ, მერე – ხორცს. გესმით? ცხოველს არ ესაჭიროება ცხოვრების არსზე დაფიქრება და ჩაფიქრება. სწორედ ამით განსხვავდება ადამიანი ცხოველისაგან. მაგრამ უცნაური და საშინელი ისაა, რომ არსებობს უამრავი ადამიანი, რომელიც ცხოვრობს და კვდება ისე, რომ ერთხელაც არ დაუსვამს ეს კითხვა საკუთარი თავისთვის: კი მაგრამ, რისთვის ვცხოვრობ ამქვეყანაზე? ასეთი ადამიანები არ განსხვავდებიან ცხოველებისაგან. ხედავთ: ზღვარი, საკმაოდ შეუმჩნეველია, – ჩვენ, ადამიანები, არც თუ ისე შორს ვართ ცხოველებისაგან! სწორედ ეს კითხვა: რისთვის ვცხოვრობ? რატომა ვარ ადამიანი, რაა ჩემი ცხოვრების მიზანი – აქცევს ადამიანს ადამიანად.

1. ზედაპირული და ნაჩქარევი პასუხები

მეგობრებო, არსებობს ძალიან ბევრი ზედაპირული და ნაჩქარევი პასუხი კითხვაზე: რისთვის ვცხოვრობ? მრავალი წლის წინ მე ყველა ეს ზედაპირული და ნაჩქარევი პასუხი ერთბაშად მივიღე. ეს იყო 1936 წელს, ჰიტლერის დიქტატურის ხანაში. სტუდენტებმა მიუნსტერიდან მთხოვეს, მესაუბრა მათთან თემაზე – რა არის ჩემი ცხოვრების არსი... იქვე გამომიტყდნენ, რომ გაბმული ლექციის მოსმენა კი არ სურთ, არამედ უბრალოდ დისკუსია ამ თემაზე. მე დავეთანხმე და მივმართე კითხვით – „მაშ დავიწყოთ, რაში მდგომარეობს ჩემი ცხოვრების აზრი, რისთვის ვცხოვრობ ამქვეყნად."

რადგანაც ეს ამბავი ჰიტლერის დიქტატურის ხანაში ხდებოდა, ცხადია, ერთ-ერთი იმ წუთსვე წამოდგა და განგვიმარტა: „მე ვცხოვრობ ჩემი ხალხისთვის. ესაა როგორც ფოთოლი და ხე. ფოთოლი არაფერს არ ნიშნავს, ხე – კი ყველაფერია. მე ჩემი ხალხისთვის ვცხოვრობ. ამაზე მე ვუპასუხე: „კარგით, მაგრამ რისთვისღა არსებობს ხე, რისთვის ცხოვრობს ხალხი?" პაუზა! ეს კი მან აღარ იცოდა. გესმით, ამით არსებითი კითხვა უპასუხოდ დარჩა. მაშინ კი ვუთხარი: „ძვირფასო მეგობრებო, თქვენ არ უნდა გამცეთ ისეთი პასუხები,

რომელნიც კითხვას გვერდს უვლიან და ფაქტიურად კითხვას კითხვად ტოვებენ.“

„მაშ ასე, რა არის ცხოვრების არსი? რისთვის ვცხოვრობ მე?“ – ხელახლა დავსვი შეკითხვა. მაშინ მეორემ ასე მიპასუხა: „მე ვარ ამქვეყნად იმისათვის, რომ აღვასრულო ჩემი ვალი. – საქმეც ესაა, – ვუთხარი“, – „კი მაგრამ რაში მდგომარეობს თითოეული ჩვენგანის ვალი? მე, მაგალითად, ვალად ვთვლი, მოვაწვდინო თქვენამდე სიტყვა ღმერთისა. მატილდა ლუდენჰოფი კი თავის მოვალეობად ღმერთის უარყოფას მიიჩნევს, მაშ, რომელია ვალი, მოვალეობა? – პირველი თუ მეორე?“ ერთხელ ერთმა მაღალი ჩინის მოსამსახურემ მითხრა: „ბატონო პასტორო, ერთი საიდუმლო უნდა გაგანდოთ: მთელი დღეები დოკუმენტებს ვადგენ და ვიწერ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყველა ერთად რომ დაიწვას, ცხოვრება მაინც გაგრძელდება. ძალზე ვიტანჯები იმ აზრისგან, რომ ასეთ ფუჭ და უაზრო საქმიანობს ვეწევი, რა არის ვალი? რა არის მოვალეობა?“ მესამე რაიხის ათასობით ესესელმა ასი-ათასობით ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. როცა ისინი სასამართლოს წინაშე წარსდგნენ, ერთხმად ამტკიცებდნენ, ჩვენ ვასრულებდით ჩვენს წმიდათაწმიდა მოვალეობას, ასე გვიბრძანესო; გჯერათ, რომ ადამიანის მოვალეობა შეიძლება იყოს მეორე ადამიანის მოკვლა? მე არ შემიძლია ამის დაჯერება, ამიტომ ვუთხარი ჩემს სტუდენტებს: საქმეც ისაა, კაცმა განსაზღვრო, რა არის შენი ვალი? ვის შეუძლია გამცეს პასუხი“. ისევ ჩიხში აღმოვჩნდით. ამის მერე ცოტა უფრო მეტად ჩაუფიქრდნენ კითხვას. მერე ერთი ადგა და ამაყად განაცხადა: „მე ძველი არისტოკრატიული გვარის ჩამომავალი ვარ. მე შემიძლია 16 თაობის წინაპრების დასახელება. უზარმაზარი საგვარეულოა. განა ცხოვრების არსი ის არაა, ღირსეულად გააგრძელო შენი გვარი?!“ მხოლოდ ამის პასუხიღა შემეძლო: „მეგობარო, თუკი არ იცი, რისთვის იცხოვრა ამ 16 თაობამ, ღირს კი მათთვის მე-17-ეს მიმატება?“

გესმით? ამდენი ზედაპირული და ნაჩქარევი პასუხი არსებობს. ჩვენს გაზეთებში ხშირად ნახავთ ნეკროლოგებს შემდეგი საშინელი ანდაზით: მხოლოდ შრომა იყო შენი ცხოვრება, არასოდეს გიფიქრია საკუთარ თავზე, შენი უმაღლესი ვალი იყო ყველაფრის უშურველად გაცემა. გეცნობათ? ყოველ გვერდზე, როცა ამას ვკითხულობ, ტანში ჟრუანტელი მივლის და ვფიქრობ – ესაა ცხენის ნეკროლოგი, ხომ მეთანხმებით?

ცხენი იმისთვისაა, რომ იმუშაოს – გამწევი ძალაა, მაგრამ არა მგონია, რომ ადამიანი იმისთვის იყოს ამქვეყნად მოვლენილი, რომ დღე და ღამე შრომაში გაასწოროს, ძალზე უბადრუკობა იქნებოდა. მაშინ 10 წელიწადში ყველა თვითმკვლელობით დავასრულებდით სიცოცხლეს, მხოლოდ ამაში რომ ვხედავდეთ სიცოცხლის გამართლებას. „მხოლოდ შრომაა შენი ცხოვრება....“ ეს ხომ საშინელებაა, არა, არც ესაა ცხოვრების აზრი და არსი.

მეორე სტუდენტმა ასეთი რამ თქვა: „იცით, მე მინდა გავხდე ექიმი. განა მშვენიერი არაა, ადამიანებს სიცოცხლე შევუნარჩუნო?“ მე შევეკამათე, – „კარგი, მაგრამ თუკი თქვენ არ იცით, რისთვის ცხოვრობს ადამიანი, რაღა აზრი აქვს მისი სიცოცხლის ხსნას? მაშინ ჯობს, ავადმყოფს ნემსი გაუკეთოთ, რათა მოკვდეს... სწორად გამიგეთ. ისე არ გაიგოთ და მერე ხმაც არ გამივრცელოთ, თითქოს მე ადამიანთა ხსნის წინააღმდეგი ვიყო, მე მინდა ვთქვა, რომ ეს არაა საბოლოო პასუხი კითხვაზე: რაში მდგომარეობს ცხოვრების არსი?“

გაოგნებული დავრჩი – ყველა მათგანი სტუდენტი იყო – ე. ი. განათლებული ადამიანებიც ისე ცხოვრობენ ჩვენს დროში, რომ წარმოდგენა არა აქვთ, რისთვის ცხოვრობენ.

ნება მომეცით, მცირე შენიშვნა ჩავრთო: შესაძლოა თქვენ გაღიზიანებდეთ ფორმა ჩემი საუბრისა, მე შემიძლია, რა თქმა უნდა, მაღალფარდოვანი, უცხო სიტყვებით გადატვირთულ-გადაპრანჭული ფრაზებითაც გესაუბროთ, მაგრამ ასე თქვენ ნახევარ საათში, უსათუოდ, ჩაგეძინებათ. და ვინაიდან ამის ძალზე მეშინია, ვამჯობინებ ისე საუბარს, როგორც ქუჩაში შეხვედრისას ლაპარაკობენ ხოლმე. გასაგებია? გმადლობთ.

ხედავთ, როცა ერთხელ უკვე გამოცდით ამ ყველაფერს, მაშინ მცირე მინიშნებითაც კი მიხვდებით, რაზეა საუბარი.

– ცხოვრებას საერთოდ არა აქვს ღრმა აზრი, ჩემი დაბადება – უბრალო შემთხვევითობაა. მასში არავითარი აზრი არაა ჩადებული. ამიტომ ყველაზე საუკეთესო რამ, რაც დაგვრჩენია, ესაა – შევირგოთ და შევიტკბოთ ეს ცხოვრება, სადამდეც შეგვიძლია. ყველაზე დიდი ცდუნება ადამიანისთვის ისაა, როცა აზრად გაივლებს: ჩემი ცხოვრება აზრს მოკლებულია, უმიზნო და უშინაარსოა. ჩემი მშობლები რომ არ დაქორწინებულიყვნენ, მე არც ჩავისახებოდი და არც გავჩნდებოდი. ამდენად, სრული შემთხვევითობაა, რომ მე ამქვეყნად ვარ. ძირისძირში ჩემი ცხოვრება სრულიად უაზ-

როა, ხოლო, ვისაც მძიმე ცხოვრება აქვს, მას ცოტაღა უკლია თვითმკვლელობამდე. თუკი ყველაფერი შემთხვევითობა და უაზრობაა, ჯობს წერტილი დროულად დაუსვა. იცით, რომ დასავლეთ გერმანიაში თვითმკვლელთა რიცხვი მეტია, ვიდრე ავტოკატასტროფაში დაღუპულთა? თვითმკვლელთა დაახლოებით 50% 30 წლამდე ახალგაზრდები არიან. ესაა ჩვენი დროის შემაძრწუნებელი მაჩვენებელი: ჩვენ ვეღარ ვხედავთ აზრს ცხოვრებაში.

ხშირად მისაუბრია ადამიანებთან, რომელნიც ასე უჩიოდნენ თავის ბედს: „ცხოვრება ისე აბსურდულია, რომ მე მას ან თვითმკვლელობით დავასრულებ ან უკანმოუხედავად გადავეშვები სიამოვნებათა და ტკბობათა მორევში.“ მაშინ ვეკითხები ხოლმე: „და მაინც, თუკი ცხოვრებას მაინც აქვს აზრი, თქვენ კი ასე უაზროდ გაატარეთ იგი, მაშინ როგორღა წარსდგებით სიცოცხლის დასასრულს?“

ბიბლიაში ასეთი თქმაა, რომელიც გულის სიღრმემდე მაფორიაქებს: ადამიანს ერთხელ სიკვდილი უწერია, დასასრულ კი მსჯავრი ღმერთისა. როგორც ხედავთ სრულიად აუცილებელია, ბიბლიის ეს თქმა ყოველმა ჩვენთაგანმა იცოდეს, რათა არ დაავიწყდეს ყველაზე უფრო სერიოზული კითხვა: „რისთვის ვცხოვრობთ ამქვეყნად“? როგორღა წარსდგებით ღმერთის მსჯავრის წინაშე, თუ არ გვეცოდინა, რისთვის ვიცხოვრეთ? ახლა ნათელი გახდა თქვენთვის ეს კითხვა?! მაშინ ერთი ნაბიჯით წინ წავიწევ.

2. ვის ძალუძს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა?

ვის შეუძლია გამცეს პასუხი კითხვაზე – რისთვის ვცხოვრობ? – ვის – ეკლესიას? – არა. პასტორს? – იგი ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორც თქვენ. პროფესორებს? ფილოსოფოსებს? არც მათ შეუძლიათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მხოლოდ ერთს შეუძლია, გვითხრას რისთვის ვცხოვრობთ ამქვეყნად, კერძოდ, მას, ვინც სიცოცხლე გვიბოძა, ვინც შეგვქმნა ჩვენ – ღმერთს.

ნება მიბოძეთ, ერთი უბრალო მარტივი მაგალითი მოვიყვანო: ერთ დღეს შევდივარ ოთახში – ზის ერთი ახალგაზრდა და მავთულებისა და ნათურებისაგან რაღაცას აკოწიწებს. მე ვკითხე მას: „რას აკეთებ, რა ჯოჯოხეთის მანქანას აშენებ შენ მანდ? რა არის ეს?“ ცხადია, ამიხსნა, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ვერაფერი გავიგე, ის კი გავიფიქ-

რე, ამას ვერც ვერავინ ვერასოდეს მიხვდება იმ ერთის გარდა, ვინც თავად შექმნა იგი.

ასეა ჩვენი ცხოვრებაც. მხოლოდ მას, ვინც ჩვენ შეგვქმნა, შეუძლია თქმა, რისთვის შეგვქმნა – ეს იმას ნიშნავს, რომ კითხვაზე – რისთვის ვცხოვრობ მე? – პასუხის მიღება მხოლოდ გამოცხადების წყალობით თუ შეგვიძლია. ღმერთმა თავად უნდა გამოგვიცხადოს იგი. წაკითხული რომ არ მქონოდა ბიბლია, ამ კითხვას ბიბლიამდე უნდა მივეყვანე. ვეღარ ვისვენებდი, რომ არ შემეტყო, მაინც რისთვისა ვარ ამ დაწყევლილ სამყაროში. ეს სიტყვები – „დაწყევლილი სამყარო“ მეტად მჭახე ხომ არ გეჩვენებათ? მაგრამ ეს სიტყვები ხომ ბიბლიიდანაა. ნახევარი წელი დიდი ქალაქის პასტორთან ერთად რომ გაგეტარებინათ, მიხვდებოდით, რასაც ვგულისხმობ – ეს სამყარო დიდი წყევლის ქვეშ იმყოფება. მე ვერ ვიცხოვრებდი ამ სამყაროში, რომ არ მიმეღო პასუხი საღმრთო გამოცხადების წყალობით. ღმერთი თავად გვაძლევს პასუხს კითხვაზე – რა არის ცხოვრების აზრი. სწორედ ბიბლიაშია ამის პასუხი. ესეც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომაა ბიბლია ასე მნიშვნელოვანი. მე ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც საკმაოდ ქედმაღლურად მსჯელობენ: ბიბლიას მაინც არ წავიკითხავთ, თავს ვდებ, რომ თქვენ არცერთხელ სერიოზულად არ დაფიქრებულხართ კითხვაზე – რისთვის ვცხოვრობ ამქვეყნად. მაგრამ უგუნურება ფართოდ გავრცელებული სენია და ეს დაავადება ტკივილს რომ იწვევდეს, მაშინ მთელი მსოფლიო კივილით აივსებოდა. მსურს ბიბლიის ერთი ფრაზით გაგცეთ პასუხი: ღმერთმა შეგვქმნა იმისათვის რომ მისი ძენი გავხდეთ, ჭეშმარიტი შვილნი ღმერთისა.

როგორც მამას სურს, აისახოს საკუთარ ვაჟში, ასევე ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად და მსგავსად თვისა. ღმერთს სურს, რომ მისი ძენი შევიქნათ, რომელნიც მასთან საუბარს შევძლებთ და რომელთანაც ის შეძლებს საუბარს; რომელთაც ის უყვართ და რომელნიც მას სათნო-უჩანს. ლოცულობთ კი? რა მწარეა მამისათვის, როცა მისი შვილი წლობით ხმას არ სცემს. ადამიანი, რომელიც არ ლოცულობს, არ ესაუბრება თავის ზეციერ მამას – ხედავთ, ღმერთს სურს ჩვენთან საუბარი. ამისთვისა ვართ ამქვეყნად მოვლენილი, სწორად გამიგეთ ახლა. მე მხედველობაში მაქვს არა ეკლესია, არა დოგმა, არა რელიგია და სხვა, არამედ მე ვსაუბრობ ცხოველი ღმერთის შესახებ და სწორედ მან შეგქმნათ თქვენ, რათა მისი ძენი იქმნეთ. ხართ კი ძენი ღმერთისა?

ახლა ცოტა წინ უნდა წავიწიო – ჩვენ უნდა გავხდეთ ძენი ღმერთისა, მაგრამ ბუნებით ჩვენ არა ვართ ღმერთის შვილნი. ბიბლიის დასაწყისში წერია: „და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვისა და ხატად ღმერთისა შექმნა იგი.“ შემდეგ ბიბლია მოგვითხრობს ერთი დიდი კატასტროფის შესახებ. ადამიანს შექმნისთანავე მიენიჭა სრული თავისუფლება – და ერთ დღეს ის გადაწყვეტს, აუჯანყდეს ღმერთს. ის გემოს უსინჯავს აკრძალულ ნაყოფს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას სურს სრულიად დამოუკიდებელი გახდეს. ის აცხადებს, რომ მას შეუძლია ღმერთის გარეშე ცხოვრება. გესმით, ადამს არასოდეს შეპარვია ეჭვი ღმერთის არსებობაში, ის მხოლოდ განთავისუფლდა ღმერთისგან, – მე მსურს მხოლოდ ჩემი ნებისამებრ წარვმართო ჩემი ცხოვრება, – ამას ნიშნავს ეს ამბოხი.

ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი უნდა გიამბოთ. ამას წინათ ერთმა კაცმა ქუჩაში მკითხა: „პასტორო ბუშ, მუდამ ღმერთის შესახებ საუბრობთ. მე კი მას ვერ ვხედავ. მითხარით, როგორ უნდა ვიპოვო იგი?“ მე მას ვუპასუხე: „ყურადღებით მომისმინეთ, წარმოიდგინეთ, არსებობს დროის მანქანა, რომლის მეშვეობით მე ათასწლეულებით წინ და უკან სვლა შემეძლება. ამ მანქანით კაცობრიობის საწყისს ვუბრუნდები.

თქვენ იცით, ცხადია, ცოდვით დაცემის ისტორია – წარმოიდგინეთ იქ, ბუჩქის უკან ვხვდები ადამს, პირველ კაცს – „საღამო მშვიდობისა, ადამ,“ – ვესალმები მას. – „საღამო მშვიდობისა, პასტორო ბუშ“, – მიპასუხებს იგი, – „გიკვირს, მე რომ მხედავ?“ – ვეკითხები და განვუმარტავ: „მსოფლიო თეატრის დეკორაციების შეცვლისას შემთხვევით აქ აღმოვჩნდი, ედემის ბაღში. – „კი მაგრამ, რატომ ხართ ასე ჩაფიქრებული?“ – მაშინ ვუპასუხე: „– ერთი კითხვა მაწვალებს, ახლახან რომ დამისვა ერთმა კაცმა, – კერძოდ კი, როგორ ვიპოვო ღმერთი.“ ხმამაღლა გაეცინა და მომიგო: „ეს არაა პრობლემა, ღმერთი აქაა. მართალი გითხრათ, პასტორო ბუშ, თქვენ ის კი არ გაწუხებთ, როგორ იპოვოთ ღმერთი, არამედ უფრო მეტად ის გაღელვებთ, როგორ განთავისუფლდეთ მისგან. მთელი სირთულე კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისგან განთავისუფლება შეუძლებელია.

სწორია ადამი. – ღმერთი აქაა. მისი პოვნა ყველგან შეიძლება, მაგრამ მისგან განთავისუფლებაა შეუძლებელი.

თუ გადავხედვთ კაცობრიობის უკანასკნელი 300 წლის

სულიერ ისტორიას, საკმაოდ კარგად ჩანს, რა ძალისხმევით, როგორ ცდილობდნენ ღმერთისაგან განთავისუფლებას. მაგრამ ჩვენ ვერ გავთავისუფლდით მისგან, მეგობრებო, თქვენ ყველას გწამთ ღმერთის არსებობა, თუმც მას არ ეკუთვნით. უმრავლესობის მსგავსად, თქვენ უბრალოდ არც ფიქრობთ ამ საკითხზე – ადამიანები არ უარყოფენ ღმერთს, მაგრამ არც ეკუთვნიან მას, არც მტრობენ მას და არც ემეგობრებიან.

ამდენად, ცხოვრების უდიდესი პრობლემა გადაუჭრელი რჩება.

ერთი შვეიცარიელი ექიმი თავის წიგნში ამტკიცებს: „როცა ადამიანი უძლურია გადაჭრას სასიცოცხლო პრობლემები, ის იღებს სულიერ ტრამვას. ჩვენ, დასავლეთში დაავადებულნი ვართ ღმერთით. ჩვენ მას არ უარვყოფთ, მაგრამ არც ვეკუთნით მას, ჩვენ არ გვსურს იგი, ამიტომაც ვართ დაავადებულნი მისით“. მეც ასე მწამს.

როცა ყოველი მხრიდან მესმის, რომ თანამედროვე ადამიანს აღარ აინტერესებს ღმერთი, მხოლოდ ასე შემიძლია ვუპასუხო: „თანამედროვე ადამიანის საქმე ვერ ყოფილა კარგად. მეც ხომ ერთი მათგანი ვარ და მე მაინტერესებს ღმერთი. და არ მიმაჩნია, რომ ამით ჩამორჩენილი ვარ თანამედროვე აზროვნებას.

თუკი თანამედროვე ადამიანი სულაც არ ზრუნავს საკუთარი ხსნისათვის, საქმე ძალზე ცუდად ყოფილა. უბრალო მაგალითის მოყვანა მინდა: წარმოიდგინეთ მზარეულის შეგირდი. ერთ დღეს უფროსი ახასიათებს მას: მას სრულიად არ აინტერესებს თავისი საქმე – მზარეულის ხელობა. მე ვეკითხები: „აბა რა აინტერესებს?“ – „ფირფიტები და ქალები,“ მპასუხობს. – „მაშინ თქვენ მოგიწევთ ამის გათვალისწინება, ამას იქით მხოლოდ ფირფიტებზე და ქადებზე უნდა ესაუბროთ.“ – „არა, თუკი ყმაწვილს არ აინტერესებს მზარეულის საქმე, მაშასადამე ის შესცდა არჩევანში,“ – მომიგო მან.

გესმით, ჩვენი მოწოდებაა – ღმერთის შვილებად ვიქცეთ. თუკი თანამედროვე ადამიანს ეს არ აინტერესებს, იგი შემცდარი ყოფილა თავის მოწოდებაში, როგორც ადამიანი, მაშინ აღარა აქვს აზრი ესაუბროთ მას ათას რამეზე, რაც მას შესაძლოა აინტერესებდეს კიდეც; მე კვლავ და კვლავ ვიმეორებ: თქვენ მხოლოდ მაშინ გახდებით ადამიანი, როცა ცხოველი ღმერთის შვილად იქცევით.

3. ღმერთის პასუხი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და საჭირბოროტო კითხვაზე:

ვიმეორებ, ბუნებით ჩვენ არ ვართ ღმერთის შვილნი, მაგრამ ამქვეყნად მოვლენილნი ვართ, რათა ღმერთის შვილებად ვიქცეთ. ამისათვის უნდა მოხდეს რაღაც გარდატეხა ჩვენს ცხოვრებაში, ჩემი ლექციის მიზანიც ამ საქმეში მცირეოდენი წვლილის შეტანის მცდელობაა. მე აქ იმისთვის არა ვარ, რომ თქვენ ჩემი საუბრით შეგაქციოთ, მე მსურს, თითოოროლა ადამიანს მაინც, ვინც გულს გადახსნის, დავეხმარო იმაში, რომ მათი ცხოვრება აზრიანი გახდეს.

ასე რომ, ჩვენ არა ვართ ღმერთის ძენი, ჩვენ არ გვიყვარს ღმერთი, ჩვენ არ ვიცავთ მის მცნებებს, ჩვენ არ ვზრუნავთ მისთვის, ჩვენ არც კი ვლოცულობთ – ლოცვას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როცა ძალიან გვიჭირს, მაშინ მივმართავთ. ამიტომ ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხი – კითხვათა კითხვა – ესაა, როგორ გავხდეთ ძე ღმერთისა. საინტერესო იქნებოდა, ახლა ქაღალდი და საწერკალამი რომ დაგირიგოთ და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოგთხოვოთ, – რას დაწერდით, ნეტა?

ერთნი ალბათ იტყოდნენ – კეთილ კაცად უნდა იქცე, მეორენი – ღმერთი უნდა იწამო. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ არაა საკმარისი. კითხვა კითხვად რჩება – როგორ ვიქცე ძედ ღმერთისა?

ამ კითხვაზე პასუხის მიღება კი მხოლოდ გამოცხადების წყალობითაა შესაძლებელი. როგორ მიმიღებს ღმერთი, როგორც ძეს თვისას? – ეს თავად ღმერთმა უნდა მითხრას. ამას ვერც პასტორი მოიფიქრებს. ბიბლია კი სრულიად ნათელ პასუხს იძლევა, მასში ნათქვამია: მხოლოდ იესოს წყალობით. მეგობრებო, როცა იესოზე საუბარს ვიწყებ, გულისცემა მიხშირდება, მაჯისცემა მიმატებს, რადგან საუბარი ეხება ჩემი ცხოვრების უმთავრეს თემას. ღმერთის ძედ ქცევა მხოლოდ იესოს წყალობით შემიძლია.

ბიბლიაში ერთი ასეთი თქმაა, რომელიც სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: იესო ამბობს, მამისაგან გამოვედი და წუთისოფელში მოვედი. დღეს ჩვენ გამუდმებით გვესმის საუბარი იმის შესახებ, რომ ბიბლიაში სამყაროს მოძველებული სურათია წარმოდგენილი. მაღლა – ზეცა, ქვევით – დედამიწა. ეს მტკნარი სისულელეა. სრულიადაც არაა ასეთი წარმოდგენა სამყაროს შესახებ. ბიბლია უფრო მეტად ღმერთის შესახებ საუბრობს.

უფრო მეტიც, ის ამბობს ღმერთის შესახებ: ყოველი მხრიდან გარემომიცავ შენ. ეს სულ სხვა რამაა. მიწის ქვეშაც რომ მომინდეს დამალვა, ვერც იქ გავექცევი ღმერთს.

ბიბლიაში წარმოდგენილია, როგორც თანამედროვე ენით ვიტყოდით, სამყაროს მრავალგანზომილებიანი სურათი. ჩვენ სამგანზომილებიან სამყაროში ვცხოვრობთ: სიგრძე, სიმაღლე, სიგანე. მაგრამ არსებობს უფრო მეტი განზომილებანი. ღმერთი სულ სხვა განზომილებაში იმყოფება. ის სულ ახლოსაა ჩვენგან, ერთი ნაბიჯით დაშორებული, იგი ჩვენს გვერდითაა. მან გიხილათ თქვენ, უღმერთო გზაზე მოსიარულენი. მაგრამ ჩვენ არ ძალგვიძს იმ კედლის განგრევა, რომელიც იმ განზომილებისგან გვაცილებს. ეს ღმერთს ხელეწიფება მხოლოდ. მან გაანგრია ეს გამყოფი კედელი და თავად ჩამოვიდა ჩვენთან იესოს სახით.

იესოს შესახებ ბიბლიაში ვკითხულობთ: „თვისთა თანა მოვიდა (ეს სოფელი ხომ მას ეკუთვნის) და თვისთა იგი არა შეიწყნარეს.“ ესაა სახარების ისტორია დღევანდლამდე – იესო შთამოვიდა ჩვენდა და ჩვენ, ადამიანებმა, მას კარი მივუხურეთ. კაცმა რომ თქვას, აქ შეიძლებოდა წერტილის დასმა, ამით შეიძლებოდა დასრულებულიყო ღმერთის დამოკიდებულება ადამიანისადმი. აქ შეიძლებოდა დასმოდა წერტილი მათს ურთიერთობას. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, აქ არ წყდება ისტორია, ამას კიდევ გაგრძელება მოსდევს, სახელდობრ: „ხოლო რაოდენთა იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ ხელმწიფება შვილ ღმერთისა ყოფად.“

გაუხსენით თუ არა უკვე თქვენი ცხოვრების კარები იესოს? „ვინც კი მიიღო იგი„...“

მე ახალგაზრდა ოფიცერი ვიყავი I მსოფლიო ომის დროს, ძალზე დაშორებული ღმერთისგან, როცა ეს გარდატეხა მოხდა ჩემში, როცა მე აღმოვაჩინე იესო და როცა მივიღე იგი. ერთი წუთითაც არ ვნანობ ამას. მან ძირფესვიანად შეცვალა მთელი ჩემი ცხოვრება.

იესოსათვის მძიმე გზის გამოვლა მომიწია, იესოსათვის ციხეში ჩამაგდეს, ბევრი გაჭირვება გამოვიარე მის გამო. მაგრამ კიდევ ასი სიცოცხლე რომ მქონოდა, ამ სიტყვებს წავიმძღვარებდი: „ხოლო რაოდენთა იგი შეიწყნარეს, მათ მოსცა ხელმწიფება შვილ ღმერთისა ყოფად.“... მაშინ შეიძენს აზრს ჩემი ცხოვრება, როცა მე ძე ღმერთისა შევიქნები, არა აქვს მნიშვნელობა, რა ვარ და რას ვაკეთებ – მღვდელი ვარ, მეეზოვე, გენერალური დირექტორი თუ დურგალი, დი-

ასახლისი თუ მასწავლებელი – ცხოვრება მხოლოდ მის შემდეგ იძენს აზრს, რაც ღმერთის შვილად ვიწოდებით. ასე რომ, თქვენ უნდა მიიღოთ იესო – მაშინ იპოვით ცხოვრების აზრს, მხოლოდ მაშინ!

ძალზე საინტერესოა, ამასთან დაკავშირებით ახალი აღთქმის ადამიანებს მივმართოთ. აქ გვხვდება ერთი ქალი, რომლის ცხოვრება საშინლად უაზრო და ცარიელი იყო – მას ერქვა მარიამ მაგდალელი. ასე მინიშნებითაა მასზე ნათქვამი, 7 ეშმაკისგან შეპყრობილი იყო (მე ვიცნობ ადამიანებს, 12 ბოროტი სულით შეპყრობილთ). საშინელი ცხოვრება უნდა ჰქონოდა. და ის საშინლად იტანჯებოდა ამისგან. და მერე კი მის ცხოვრებაში მოვიდა იესო, ძე ღმერთისა, მხსნელი მაცხოვარი და განდევნა მისგან ბოროტეული. მას ხელეწიფება ეს, ის ახდენს ამ სასწაულს და იმ წამიდან ეს ქალი უფალ იესოს ეკუთვნის – მისი ცხოვრება აღარაა აზრს მოკლებული. და მერე მას წილად ხვდა, იესოს ჯვარცმისა და სიკვდილის თვითმხილველი და მოწმე გამხდარიყო.. აქ კი კვლავ შიშმა შეიპყრო, რომ კვლავ აღრინდელი უაზრო ყოფა დაიწყებოდა. იესოს ჯვარცმიდან მესამე დღის გარიჟრაჟზე ის მუხლს იყრის იესოს საფლავთან და ტირის. როცა მის საფლავს მიუახლოვდა, ის ცარიელი, ქვა კი გადაგორებული დახვდა. იესოს ცხედარი აღარ ესვენა იქ, ამიტომაც ტირის ქალი. ძალიან კარგად მესმის მისი. დღეს რომ დავკარგო იესო, ეს იმას ნიშნავს, ყოფიერების უაზრობის ხრამში გადავიჩეხო. მე მესმის მისი. ხსნა აღარაა. მისმა ცხოვრებამ ისევ დაკარგა აზრი და უეცრად მოესმა ხმა უკნიდან – მარიამ, – მოტრიალდა და ხედავს იესოს, აღმდგარს. მე ცხადად ვხედავ, როგორ მოედინება მის სახეზე ბედნიერების, სიხარულისა და დაძლეული სასოწარკვეთის ცრემლები: „რაბუნი, უფალო ჩემო!“.

ამ ქალის მაგალითზე ჩემთვის სრულიად ნათელია, რაა ცხოვრების არსი. იგი ყველაზე უფრო უბრალო ადამიანისთვისაც კი ნათელია: ჩემი ცხოვრება აზრს მოკლებულია, კი მაგრამ, რისთვის ვცხოვრობ? ამ წამს, როცა მარიამ მაგდალელმა მიიღო იესო, კითხვა ცხოვრების აზრის შესახებ მისთვის გადაჭრილი აღმოჩნდა, იგი გახდა ძე ცხოველი ღმერთის, მისმა ცხოვრებამ ღრმა აზრი შეიძინა.

ამიტომაც მოგმართავთ, მიიღეთ იესო! იგი გელით თქვენ სახლში, შინ დაბრუნებისას შეგიძლიათ ესაუბროთ მას, იგი ძალზე ახლოსაა თქვენგან. მშვენიერი იქნებოდა, მრავალს რომ ძალუძდეს პირველად ასე მიმართოს იესოს: უფალო

იესო, ჩემი ცხოვრება უაზროა. მოდი ჩემთან, როგორც მარია მაგდალელთან მიხვედი!

თუკი იესოს მივიღებთ, ჩვენს ცხოვრებაში დიდი გადატრიალება მოხდება – იგი უფლებას გვანიჭებს მისი სიკვდილის თანამონაწილედ ვიქცეთ და ამით მოკვდინდება ძველი ადამიანი. ჩვენ გვენიჭება უფლება მასთან ერთად აღდგომისა სრულიად ახალი სიცოცხლისათვის, როგორც ძეს ღმერთისას. იგი გარდმოგვცემს თავის სულს. ასე რომ, ამას იქით სულ სხვანაირ აზროვნებას ვიწყებთ, სულ სხვა ინტერესები გვიჩნდება. მაგრამ ამას ყველაფერს თქვენ თავად გამოსცდით. მხოლოდ ჯერ უნდა მიიღოთ იესო. ვინც იესოს მიიღებს, ის ახალ არსებობას იწყებს, ღმერთის ძედ ქცევა ნიშნავს არა აზროვნების შეცვლას, არამედ სრულიად ახალ არსებობას.

გასულ საუკუნეს ვესტფალში ცხოვრობდა ერთი მეწაღე, სახელად რალენბეკი. მას ღვთისმოშიშ პასტორს უწოდებდნენ, რადგან იგი ერთგული მიმდევარი იყო იესოსი. დიდი დალოცვილი კაცი იყო ცხონებული. ერთ დღეს ახლგაზრდა პასტორი ეწვია მას. რალენბეკმა უთხრა მას: „ბატონო პასტორო, თქვენ თეოლოგიის სწავლა არ გაძლევთ იმის გარანტიას, რომ ღმერთის შვილად იქცეთ. თქვენ თქვენში უნდა მიიღოთ მაცხოვარი.“

პასტორმა უპასუხა: „მე უკვე მყავს ჩემი მხსნელი, მე უკვე მივიღე იგი. ჩემს სამუშაო ოთახში კედელზეც კი მიკიდია მისი ხატი.“

მოხუცმა რალენბეკმა ასე მიუგო ამაზე: „კედელზე მხსნელი სრულიად მშვიდი და უშფოთველია, მაგრამ როცა მას თქვენს გულში მიიღებთ, ის აამღვრევს, დააატრიალებს ყოველივეს“.

გისურვებთ, რომ ეს დიდებული გარდასახვა გამოგეცადოთ, როცა ძველი კვდება და როცა თქვენ, როგორც ძე ღმერთისა, იწყებთ ზეციური მამის განდიდებას იმიტომ, რომ იცით უკვე, რისთვის ხართ მოვლენილი ამქვეყანაზე, როცა ღმერთის ძედ ქცეულთ ძალგიძთ, განადიდოთ თქვენი ზეციური მამა თქვენი სიტყვით, საქმით, აზრით.

მერწმუნეთ: ის, რასაც მე თქვენ გიყვებით, არც რელიგიური ჰობია, არც ვინმე პასტორის აკვიატებული იდეა, არამედ სწორედ ამაზეა დამოკიდებული თქვენი სიცოცხლე და სიკვდილი, საუკუნო სიცოცხლე და საუკუნო სიკვდილი.

უფალი იესო ამბობს: „... ვდგავარ კართან და ვრეკ, ვინც

გაიგონებს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, მასთან მოვალ“. ასევე გვეუბნება თითოეულ ჩვენგანს: მე ვდგავარ შენი ცხოვრების კარებთან. გამიღე კარი – მე მივანიჭებ შენს ცხოვრებას აზრს.

ერთხელ ერთი მოხუცი მეშახტე მოვიდა ჩემთან და მითხრა: ახლა 70 წლისა ვარ, ხოლო 17 წლისა რომ ვიყავი, ვესწრებოდი ერთ საევანგელიზაციო შეკრებას; მაშინ ვიგრძენი, რომ იესო აკაკუნებდა ჩემს გულში, მაგრამ ვიფიქრე – ამას სერიოზულად რომ მოვეკიდო და მივიღო იგი, ამხანაგები აბუჩად ამიგდებენ. ეს შეუძლებელია. და გამოვიქეცი. ასე გავიდა ჩემი ცხოვრება – მოვხუცდი. და ახლა მივხვდი, რომ არასწორად წარვმართე ცხოვრება იმიტომ, რომ მაშინ, იმ წუთას, კარი არ გავუღე იესოს. მეგობრებო, ჩვენ ერთადერთი სიცოცხლე გვაქვს მონიჭებული, და ამიტომ სასიცოცხლო პრობლემას წარმოადგენს კითხვა: რისთვის ვცხოვრობ? ღმერთმა ამ კითხვაზე ზუსტად და ნათლად გაგვცა პასუხი იესოს მეშვეობით, ჯვარცმული და აღმდგარი იესოს მეშვეობით და ახლა სწორედ ეს იესო დგას თქვენს კარებთან და აკაკუნებს – გადაუხსენით მას თქვენი ცხოვრება – არასოდეს არ ინანებთ ამას, მერწმუნეთ.

დრო არა მაქვს!

როცა ხალხს ჩემს ლექციაზე ეპატიჟებიან, უმრავლესობა დროის უქონლობას იმიზეზებს ხოლმე. ეს მოხდა ერთ კურორტზე. სადილობისას ერთი ხანში შესული კაცის პირდაპირ ვიჯექი – კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს. ამა ცხოვრების სიამოვნებათა ნამდვილი მოტრფიალე იყო. სულ უფრო ვრწმუნდებოდი ამაში, როცა ვუყურებდი, რა სიამოვნებით შეექცეოდა ეს წარმოსადეგი კაცი თავის ულუფას, ანდა მზეზე მოხერხებულად მოკალათებულს, ჩათვლემილს, რომ ვნახავდი ხოლმე. ნელ-ნელა გული მწყდებოდა, რომ ჩვენი საუბრები მხოლოდ ზედაპირულ თემებს ეხებოდა. თქვენ ალბათ იკითხავთ, კი მაგრამ, რაა ამაში დასაძრახი? მე კი სხვაგვარად ვფიქრობ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი წმიდა რეალობაა, დიდი ჭეშმარიტებაა. და ამ რწმენამ ძირფესვიანად შეცვალა მთელი ჩემი ცხოვრება. მთელი ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა მას შემდეგ, რაც შევიტყვე და გავაცნობიერე, რომ ღმერთმა დიდებული რამ მოიმოქმედა ჩვენი გულისათვის. და საშინელებაა, როცა ადამიანი გულგრილად გვერდს უვლის ამ საოცარ მადლს ღმერთისას, როგორც ეს ჩემი თანამოსაუბრის მაგალითზე სრულიად ნათლად ჩანდა. როგორ წარსდგება იგი პირისპირ ღმერთის წინაშე? ერთ ნაშუადღევს გადავეცი ჩემს მიერ დაწერილი პატარა წიგნი: „გთხოვთ, წაიკითხოთ ეს, საქმე ეხება ღმერთის შესახებ გამოცდილებას. საფიქრალს მოგცემთ.“ და რა მოხდა? გულითადი მადლობა გადამიხადა, მერე კი დაამატა: „ახლა კი უნდა დავისვენო, შესაძლოა, შინ მოვახერხო რამის წაკითხვა.“ და ამ სიტყვებით გვერდზე გადადო წიგნი. ძალზე შევწუხდი. უფრო მეტი თავისუფალი დრო, ვიდრე ამ კურორტზე, კაცს არ შეიძლება ჰქონდეს. მას უბრალოდ არანაირი სურვილი არ გაჩნდა, ღმრთისთვის დრო გამოენახა – ძალზე საფრთხილოა ღმერთთან ასე მოქცევა. ამიტომ საჭიროა ამ თემაზე საუბარი.

1. უცნაური საქმის ვითარება

რატომ არა გვაქვს, კაცმა რომ თქვას დრო? პირველ რიგში, მინდა ერთ გარემოებაზე გაგამახვილებინოთ ყურადღება, რომელიც ჩემთვის აუხსნელი რჩება, რომელსაც ვერა კაცი ვერ ამიხსნის.

თუკი 100 წლის წინ ვაჭარს შტუტგარტიდან სურდა ესენელებთან საქმიანი მოლაპარაკება ეწარმოებინა, იგი 5 დღეს ანდომებდა ესენამდე მგზავრობას და კიდევ 5 დღეს უკანა გზას. ეს უკვე 10 დღეა, 2 დღეც მოლაპარაკებასა და ხელშეკრულების გაფორმებას ესაჭიროებოდა, საბოლოოდ ამ საქმის მოგვარებას ნახევარი თვე მაინც ესაჭიროებოდა. თანამედროვე ბიზნესმენი კი მხოლოდ სატელეფონო საუბრით თუ იწუხებს თავს, ისიც საქალაქთაშორისო სადგურის გარეშე – პირდაპირი ხაზით, ავტოტელეფონით. ამდენად, ის ზოგავს 12 დღეს. მაგრამ მათ რომ ჰკითხოთ, არც ერთს მათგანს წუთი დრო არა აქვს. მაშ რაშია საქმე?

როცა ადრე, ბავშვობაში, ბებია-ბაბუასთან მივემგზავრებოდი შვაბიის ალპებში, ლამის მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა გამოგვდიოდა ელბერფელდიდან ურახში. თანამედროვე ტრანსპორტით ეს მანძილი 5 საათში იფარება. აქედან გამომდინარე, ადამიანებს ბევრი თავისუფალი დრო უნდა ჰქონდეთ. წინათ კვირაში მუშაობდნენ 60 საათსა და მეტს, ახლა დაახლოებით 40 საათამდე, და მაინც არც ერთ ადამიანს არა აქვს თავისუფალი დრო. ამიხსენით, როგორ ხდება ეს?

ან კიდევ: ცხოვრება დღეს ისეა მოწყობილი, რომ რაც შეიძლება ყველაფერი გამარტივდეს. დედაჩემი ყოველდღე 4-4 თავს კითხულობდა ბიბლიიდან და კიდევ პოულობდა დროს, მიცვალებულთა სულთათვის ელოცა. იმ დროში კი ჯერ კიდევ არ არსებობდა ელექტრო სარეცხი და სამზარეულო მანქანები. 8 შვილის პატრონობა უწევდა. მათ არ ჰქონდათ ნეილონის საცვლები და ჩულქების დაკემსვაც ხშირად უხდებოდა და მაინც დედას რჩებოდა დრო, ყოველდღე 4-4 თავი ეკითხა ბიბლიიდან! თქვენ გყოფნით საამისოდ დრო? რა თქმა უნდა, არა. როგორ ხდება ეს?

ყველაფერი დროის დაზოგვისკენაა მიმართული. ადამიანებს კი მაინც არ რჩებათ დრო. შეგიძლიათ ეს ახსნათ? ბევრი მიფიქრია ამაზე, მაგრამ ამის გაგება უბრალოდ წარმოუდგენელია.

ჭეშმარიტად კი ერთადერთი ახსნა მოიძებნება – ვიღაცა გვერდზე გვიდგას და მიგვერეკება, რომლის გაგონება არც ერთ ადამიანს, არა კაცს არ სურს. არსებობს ვიღაც, რომელიც იღვწის იმისათვის, რომ ადამიანს არ ჰქონდეს დრო. ცირკის მომთვინიერებლის მსგავსად, ის გამუდმებით მათრახს გვცემს უკანიდან და გვაიძულებს, ოთხით გავიქცეთ. ამასვე ამბობს ბიბლია, ეს „ვინმე“ ნამდვილად არსებობს –

ესაა ეშმაკი. ახლა ჩვენს წინაშეა კითხვა, არსებობს კი ეშმაკი? ამაზე მე გიპასუხებთ: დიახ, არსებობს, არსებობენ ბნელეთის სამყაროს გამგებელნი.

ამას წინათ ერთმა აღნიშნა ჩემთან საუბრისას, რომ მან წერტილი დაუსვა ქრისტიანობას. მაშინ მე ვუპასუხე: „როგორ სცდებით, ეშმაკი ბატონობს თქვენზე. ის მოგიღებთ თქვენ ბოლოს“. ამაზე მას გაეცინა და მომიგო: „ეშმაკი? არსებობს კი იგი?“

ბიბლიაში ასეთი ამბავია მოთხრობილი: ეშმაკს აჰყავს იესო ერთ უმაღლეს მწვერვალზე – ეშმაკი გადასწევს ფარდას და იესოს თვალწინ გადაიშლება სამყაროს მთელი სიმდიდრე და დიდებულება. „და ჰრქუა (ეშმაკმან) მას: ესე ყოველი მოგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე...“ ესაა ერთ-ერთი ადგილი ბიბლიიდან, რომლის წაკითხვისას სუნთქვა მეკვრის, რადგან აქ უფალი იესო არ ეწინაღმდეგება ეშმაკს. – მან კარგად უწყის, რომ ეს სოფელი ეშმაკის კუთვნილებაა.

პირდაპირ გეტყვით: ბრმა და ყრუ უნდა იყო, რომ ვერ ხვდებოდე, რომ ბნელეთის ძალები არსებობენ. – მაშ როგორღა განმარტავთ ამა ქვეყნის საქმეთ? მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ: მახსენდება მრავალი ადამიანი, სხვადასხვაგვარი ვნებით შეპყრობილი. ერთ ღამეს ჩემთან მოვიდა ერთი წარმოების დირექტორი, უგონოდ მთვრალი, მაგრამ ჯერ კიდევ შესწევდა აზროვნების უნარი და მეუბნება: „დამეხმარეთ, ვერაფერს ვერ ვუხერხებ საკუთარ თავს – უბრალოდ არ შემიძლია, რომ არ დავლიო. მემკვიდრეობით მერგო ეს სენი – მამაჩემი ლოთი იყო, სხვანაირად არ შემიძლია.“ როგორ ფიქრობთ, რამდენი ადამიანი არსებობს, რომელიც ასე თვლის – სხვანაირად არ შემიძლია. ვინ მბრძანებლობს მათ? თვალი გადაავლეთ ჩვენი დროის უკულმართობებს და უმალ დარწმუნდებით, რომ მართლაც არსებობს ბნელეთის ძალები, როგორც ამას ბიბლია გვეუბნება.

ან გიფიქრიათ ჩვენი დროის ოჯახურ კავშირთა არასიმყარეზე?

ერთ კაცს ვიცნობდი, შესანიშნავი ოჯახი ჰყავდა, საოცრად მომხიბლავი მეუღლე, და ერთ მშვენიერ დღეს, თავისი თანამშრომელი ქალის ანკესს წამოეგო. მე ვესტუმრე მას და ვუთხარი: „ჩემო ძვირფასო, თქვენ იღუპავთ თავს, ანგრევთ ოჯახს, ბოლოს თქვენივე შვილების დასაცინი შეი-

ქმნებით.“ ახლაც თვალწინ მიდგას ჩემს წინ მჯდარი ეს დიდი ბიზნესმენ-მენეჯერი: „ბატონო პასტორო მე არ შემიძლია, თავი დავანებო ამ ქალს.“ განა აქ არ იგრძნობა ბნელეთის ძალაუფლება?

ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა სომერსეტ მოემმა დაწერა წიგნი სათაურით „ადამიანის დამოკიდებულების შესახებ“. როგორ ხდებიან ადამიანები ერთმანეთზე და ერთმანეთისგან დამოკიდებულნი. როგორ ჰმორჩილებდით თქვენ, მილიონობით ადამიანებო, უფროსო თაობის წარმომადგენლებო, ჰიტლერს? პასუხი ასეთია: მე მწამდა, რომ 2X2 20-ია, მე ასე მწამდა იმიტომ, რომ ფიურერმა ასე მიბრძანა.

არც ახლა იწამებთ ბნელეთის ძალას, ეშმაკის არსებობას?!

უდიდესმა გერმანელმა პოეტმა, გოეთემ, დაწერა დიდებული დრამა „ფაუსტი“. ვინაიდან თქვენ ყველა განათლებული ხალხი ბრძანდებით, ვვარაუდობ, რომ ფაუსტი თქვენთვის ცნობილია. „ფაუსტში“ არის ერთი ქალი – გრეტჰენი. ესაა სუფთა ბავშვი, რომელიც ცდუნების მსხვერპლი გახდა. მის ძმას სურს დაიცვას გრეტჰენი და ასევე თავისი სახელი. მაგრამ ის იღუპება მეტოქეებთან ბრძოლაში. თავის შემცდენელს რომ კვლავ დაუბრკოლებლად შეხვდეს, გრეტჰენი საკუთარ დედას წამლავს – საწამლავს აძლევს მას ძილის წინ, რისგანაც ის კვდება. ბავშვი რომ მოევლინება ამქვეყანაზე, გრეტჰენი კლავს მას ისე, როგორც დღეს კლავენ შვილებს დედის მუცელშივე. რა უმძიმეს ცოდვას იკიდებენ ამით?! ფინალი კი ასეთია, ქალი დგას და მის წინაშეა სამი გვამი – მოკლული ძმისა, მოკვდინებული დედისა და შვილის და ქალი წარმოთქვამს შემაძრწუნებელ სიტყვებს: „ამისკენ მიბიძგა მე .....“. გოეთე არ იყო უჭკუო, დამეთანხმებით. „ფაუსტში“ ის სწორედ იმის შესახებ მოგვითხრობს, რომ მთელ ამ ამბავში ეშმაკის ხელი ერია.

არაერთგზის ვყოფილვარ, როგორც საკმაოდ დიდი ქალაქის პასტორი, ასეთი ისტორიების მომსწრე. და თუკი ჩემთან მოვა ვინმე და მეტყვის – ეშმაკი არ არსებობს, – ისდა დამრჩენია, მივუგო: – „რომელი სოფლიდან ხართ ჩამოსული?“ თუმცა ეშმაკს ვერც იქ აუვლიან გვერდს.

მეგობრებო, ეშმაკის არსებობა იმანაც არაერთხელ დამარწმუნა, როცა ვუკვირდებოდი, რა დაბრმავებულნი არიან თითქოსდა ნამდვილი ქრისტიანები საკუთარი შეცდომების მიმართ. მაგალითად, ღვთისმოსავი ქალი ზოგჯერ უკიდურე-

სობამდე ეგოისტი შეიძლება იყოს, საშინლად აწამებს საკუთარ რძალს, მაგრამ თვითონ სრულიადაც არ იმჩნევს ამას. და ამას სჩადის ვინ? ღვთისმოსავი. შეუძლებელია ამ ქვეყანას ახსნა მოუძებნო, თუ უარყოფ ეშმაკის არსებობას, ბნელ ძალას, ძალას რომელიც სავსებით მიზანდასახულად მოქმედებს, რომელსაც მუდმივ დაძაბულობაში ვყავართ, ამიტომ არ გვაქვს დრო. ეშმაკი არ გვაძლევს საშუალებას ბნელეთის ძალებისგან თავის დახსნაზე ვიფიქროთ. ახლა მსურს ამ ხსნაზე გესაუბროთ.

2. საუცხოო ფაქტი

საოცარია, მაგრამ ხსნა არსებობს – რომ იცოდეთ, მეგობრებო, რა ბედნიერი ვარ, რომ ასეთი დიდებული ხარება მაქვს. კარნავალზე კლოუნები გამოდიან ხოლმე – ხშირად მიფიქრია, რა განწყობა უნდა ეუფლებოდეთ მათ, როცა საღამოობით, წარმოდგენის მერე, საგრიმიორო ოთახში სარკის წინ სხედან და გრიმს იცილებენ. ალბათ ასე უნდა ფიქრობდეს კლოუნი: „მე ფულს იმით ვშოულობ, რომ დღენიადაგ სისულელესა და უაზრო სიბინძურეს ვლაყბობ.“ ცოტა სინდისმა უნდა შეგაწუხოს ამ დროს კაცი, უხერხულად უნდა იგრძნო თავი. მე კი, რა ბედნიერი ვარ, რომ ასეთ საოცარ ფაქტზე შემიძლია, ვისაუბრო – ბნელეთის ძალაუფლებისგან ხსნა არსებობს!

პავლე მოციქული ასე აღწერს ქრისტიანის მდგომარეობას: ღმერთმა გვიხსნა ბნელეთის ძალაუფლებისგან და თვისი საყვარელი ძის სამეუფოში გაგვიძღვა – მისგან გვაქვს ხსნა მისი სისხლის ძალით.

ამდენად, ქრისტიანად ყოფნა არ ნიშნავს იმას, რომ იყო მონათლული და კონფირმირებული ან პატიოსნად იხადო საეკლესიო გადასახადი. ქრისტიანად ყოფნა ნიშნავს საკუთარი ყოფის გარდასახვის განცდას, ბნელეთის ძალაუფლებისაგან თავის დაღწევასა და სრულიად ახალი არსებობის დაწყებას – ახალი მეუფის ძალაუფლებაში გადასვლას.

აქ ერთი პატარა ამბავი მინდა მოგითხროთ, რომელიც ერთი ბერლინელი მისიონერისგან მომისმენია: მას ერთი ლოთი ებარა. ეს მართლაც რომ შემზარავი რამაა. ერთხელაც ესმის, რომ ამ კაცმა ისევ უსაშველოდ დალია, დალეწა მთელი ავეჯი, ცემა მეუღლე. მაშინ გადაწყვიტა მისულიყო მასთან – ნაშუადღევის 5 საათი იქნებოდა – კაცი სამზარე-

ულოში იჯდა და ყავას მიირთმევდა. მის გვერდით მისი ხუთი წლის ვაჟი იჯდა. „ისევ ცუდად წაგივიდა საქმე?“ კაცმა ერთი დაიღრჭინა და წამოხტა სკამიდან. უსიტყვოდ გვერდზე ოთახში გავიდა და ცოტა ხანში ხელში სარეცხის თოკით დაბრუნდა. ხმაამოუღებლივ დაიწყო პატარის სკამზე მიბმა. მისიონერმა გაიფიქრა – რას უნდა ნიშნავდეს ეს? კიდევ მთვრალი ხომ არ არის? მაგრამ ხელი არ შეუშლია მისთვის. კაცმა მაგრად მიაბა ბიჭი სკამზე, თოკი გაკვანძა და მერე დაუღრიალა ვაჟს: „აღექი ახლა!“ პატარამ ტირილი დაიწყო: „მე ხომ არ შემიძლია“. მაშინ ლოთი კაცი გულისშემძვრელი სახით მიუტრიალდა მისიონერს და უთხრა: „ხედავთ, ასევე ვარ მეც, არ შემიძლია, არ შემიძლია.“ მისიონერმა ამოიღო ჯიბიდან დასაკეცი დანა, გაჭრა თოკი და ბიჭს უთხრა: „ახლა ადექი“. ბიჭი ადგა, მისიონერი კი ლოთს მიუბრუნდა: „ხედავთ?“ მან შეიცხადა: „კი მაგრამ, თქვენ ხომ თოკი გადაჭერით?!“ მისიონერმა მშვიდად მიუგო: „არსებობს ერთი, ერთადერთი, ვისაც ძალუძს ყველანაირი თოკის გადაჭრა – და ესაა იესო ქრისტე.“

ამქვყნად მრავალი ადამიანია, რომელსაც ამის დამოწმება შეუძლია – მოვიდა იესო და განირღვნენ ბორკილნი, იესომ გაწყვიტა ჩვენი სასიკვდილო ჯაჭვები; მან, მხსნელმა, ძემ ღვთისამ, მოგვანიჭა თავისუფლება; დიდებით შეცვალა ცოდვა და სირცხვილი, მოვიდა იესო და დაამხო ბორკილნი.

მართლაც დიდებული ფაქტია: არსებობს ხსნა ბნელეთის მეუფებისგან!

აი კიდევ რა მინდა გითხრათ:

3. ჩემი თემის არსი

რა არის ჩემი თემის არსი? ხსნა იესოსგან გვეძლევა. ახლა სწორედ იესოზე მსურს ვისაუბრო – იესოზე საუბარი – ესაა ჩემი თემის არსი და მიზანი.

მახსენდება, როცა ნიუ-იორკში ვიყავი, ზანგების კლუბში დამპატიჟეს. ცხადია, იცით, იქ არსებული რასობრივი უთანასწორობის შესახებ. კლუბის შენობაში, ქვემოთ, ფოიეში, პოსტამენტზე, მარმარილოს ფიგურა იდგა. აშკარა იყო, რომ არა ზანგისა. გამაოცა იმ ფაქტმა, რომ ზანგებმა თავიანთ კლუბში თეთრს დაუდგეს ძეგლი, და ვკითხე ერთ ჯენტლმენს: „მეგობარო, ვინ არის ეს?“ ის სცენა, რაც ჩემს შეკითხვას მოჰყვა, არასოდეს დამავიწყდება. კაცი ძეგლის წინ დადგა და საზეიმოდ განაცხადა:

„ესაა აბრაამ ლინკოლნი – ჩემი მხსნელი.“ მაშინ წარმოვიდგინე, რომ ამ ადამიანის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე პრეზიდენტმა აბრაამ ლინკოლნმა სისხლიანი ბრძოლების შედეგად ზანგთა განთავისუფლებას მიაღწია. ეს ახალგაზრდა არ იღებდა ამაში მონაწილეობას. იგი მაღლობელი იყო იმ თავისუფლებისთვის, რაც მას ლინკოლნმა სისხლიანი ბრძოლებით მოუპოვა. უკვე მაღლა, კიბეზე ვიყავი ასული, როცა კიდევ ვხედავდი ამ კაცს, ძეგლის წინ რომ იდგა და გაიძახოდა: „აბრაამ ლინკოლნი, ჩემი მხსნელი.“

ასე მსურს დავდგე იესოს ჯვრის წინაშე და ხმამაღლა განვაცხადო: „იესო, ჩემი მხსნელი!“

ბიბლიაში ერთი ასეთი საოცარი ფრაზაა: სულის კანონმა, რომელ ცხოველ არს, გვიხსნა ცოდვისა და სიკვდილის კანონისაგან. არსებობს ბუნების კანონები. ხელში ცხვირსახოცი მიჭირავს, ხელი თუ გავუშვი, ძირს დაეცემა მიზიდულობის კანონის თანახმად. ამის შეცვლა შეუძლებელია. მაგრამ თუ ხელის გაშვების მომენტში კვლავ ხელი შევაშველე, მაშინ აღარ დაეცემა ძირს. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო ძლიერი ძალის ჩარევით შეგვიძლია დავაბრკოლოთ ცხვირსახოცის დაცემა. ბუნებით ჩვენ ვემონებით ცოდვისა და სიკვდილის კანონს. ჩვენ ყველა საუკუნო წარსაწყმედელისაკენ მივექანებით და ჩვენ ვიცით ეს. ახლა კი ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომ უფრო ძლიერი ძალა ჩაერიოს და შეაჩეროს ჩვენი დაცემა. მხოლოდ ასე გადავურჩებით დაცემას. და ეს უფრო ძლიერი ძალა ჩვენ ღმერთმა ქრისტეს სახით გვიბოძა – ხსნისთვის, ცხონებისათვის. გესმით: იესომ მოსპო ეშმაკის მეუფება. და, სულიწმიდის ძალით, რომელსაც იესო გვანიჭებს, ახალ თავისუფალ ცხოვრებაში გარდავალთ. ეს ასეა: სამყარო ვერ იარსებებდა იესოს გარეშე! გესმით? ვიღაცას უთქვამს, რომ იესო ამ სამყაროში უცხო სხეულივითაა. კი, მართალია – უცხო სხეული, ზეციდან გარდამოსული! ვინაა ეს იესო? აქ კი ცოტა ხანს უნდა შევჩერდე – იესო უნდა გაგაცნოთ. ნუ იმსჯელებთ მასზე ჟურნალების მიხედვით, ნურც იმ ადამიანებს მოატყუებინებთ თავს, ვინც მას სრულიადაც არ იცნობს. მხოლოდ ახალი აღთქმა იძლევა ერთადერთ სწორ პასუხს, ვინ არის იესო. ლუთერმა ბიბლიაზე დაყრდნობით ასე ჩამოაყალიბა: ჭეშმარიტი ღმერთი, მამისაგან შობილი საუკუნოდ, და ჭეშმარიტი კაცი, შობილი ქალწულ მარიამისგან. ღმერთი და კაცი! მასში გაერთიანდა ზეცა და დედამიწა!

იესო ჭეშმარიტი კაცია!

მან იტირა ლაზარეს ცხედართან. დარწმუნებული ვარ, რომ სიცილსაც შეძლებდა, როცა მოწაფეებს მიმართავდა, შეხედეთ ფრინველთა ცათა – არცა თესვიან, არცა მკიან – ზეციური მამისგან იღებენ საკვებსო.

მართლაც მოცინარს ვხედავ ჩვენს მხსნელს – შეხედეთ ბეღურებს! არაფერზე არ ზრუნავენ და მაინც დანაყრებულნი არიან. ო, რა საოცარი კაცია იესო!

ბიბლიაში ნათქვამია, რომ იგი ქადაგებდა, მერე კი 5000 ადამიანი დაანაყრა. 5000 კაცი, ეს ბავშვებისა და ქალების გამოკლებით!

რა დარჩებოდა ჩვენი შეკრებებისგან, ბავშვები და ქალები რომ გამოვაკლოთ?! რამხელა უნდა ყოფილიყო ეს თავყრილობა, უფალ იესოს გარშემო შეკრებილი: 5000 კაცი, გარდა ბავშვებისა და ქალებისა! რა ძალის ხმა უნდა ჰქონოდა იესოს, რა საოცარი! იგი გასაოცარი ადამიანი იყო!

ახალი აღთქმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გრანდიოზული სცენაა იესოს გვემა რომაელი მთავრის პონტოელი პილატეს ბრძანებით. ეკლის გვირგვინი დაადგეს თავზე, სახეში აფურთხებდნენ, თავში ლერწამს სცემდნენ – ცოცხალ-მკვდარი ადამიანი! და აი გამოდის იგი.. პილატე ჯერ მას შეხედავს, მერე ბრბოს გადახედავს და იტყვის: აპა კაცი ესე! ლუთერმა ასე თარგმნა: შეხედეთ, რა კაცია! სიტყვა-სიტყვით – შეხედეთ, კაცია! ამით პილატეს სურდა ეთქვა: მრავალი ორფეხა არსება მინახავს, მაგრამ ისინი მშიერი მგლები, საშიში ვეფხვები, გაიძვერა მელიები, ამაყი ფარშევანგები და მაიმუნები იყვნენ მხოლოდ! იესო კი ადამიანია! შესაძლოა, პილატე მიხვდა – იესო ისეთი ადამიანია, როგორიც ჩვენ უნდა ვიყოთ. სწორედ ამას წინათ მითხრა ერთმა- იესო ისეთივე კაცი იყო, როგორიც ჩვენ. ამაზე მე ვუპასუხე: იესო ადამიანი იყო, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ჩვენ ვართ, არამედ როგორიც უნდა ვიყოთ. იესო ისეთი კაცია, როგორიც ღმერთმა შექმნა ადამიანი, როგორიც ღმერთმა განიზრახა ადამიანი. თუკი ვინმე გეტყვით – იესო ისეთივე კაცი იყო, როგორიც ჩვენ – ჰკითხეთ მას – თქვენ კი ხართ ისეთი, როგორიც იესოა?!

იესო ჭეშმარიტი ღმერთია, მამისაგან შობილი საუკუნოდ!

საათობით მსურს იესოზე საუბარი – თუნდაც ის სცენა გავიხსენოთ, ნავით რომ გაემართნენ იესო და მისი მოწაფეები ზღვის გაღმა, გენესარეთის ქვეყანაში. დიდი ღელვა ატყდა ზღვაზე, ნავი ტალღებით იფარებოდა, იესოს კი ეძინა.

შეშინდნენ მოწაფენი, სადაა იესო? მივიდნენ მასთან და გაოცდეს: უფალო, გვიხსენი, ვიღუპებით! ნათლად ვხედავ, როგორ გამოდის იესო გემბანზე ქარიშხლის შესახვედრად! ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, ჩავრაზოთ იესო მორჩილი ეკლესიის კედლებში. ის ზღვაზე დადის... იცით ეს? თითქოს ქარიშხალს მისი წაქცევა სურს – მან კი შერისხა ქარებიც და ზღვაც, და ჩამოვარდა დიდი მყუდროება... როცა ჩემს პატარებს ვუყვებოდი ამ ამბავს, ერთმა წამოიყვირა – და დაცხრა ქარიშხალი... – კი, ქარიშხალი ჩადგა.. და გამობრწყინდა მზე! მოწაფეები მუხლებზე ეცემიან – რა ადამიანია ეს, იგი არაა ერთი ჩვენთაგანი... ბოლოს მათ იპოვეს პასუხი – იგია ღმერთი, ჩვენთვის განკაცებული!

სინამდვილეში მათთვის ეს ჭეშმარიტება მხოლოდ პასექის დღეს გაცხადდა, როცა იხილეს იესო მკვდრეთით აღმდგარი. მეგობრებო, მე არ გიყვებით თქვენ ზღაპარს, მე ვერ გავბედავდი აქ თქვენს წინაშე დგომას, რომ არ ვიყო ამ ჭეშმარიტებაში ღრმად დარწმუნებული – აღმდგარ იესოში ჩვენ ცოცხალი ღმერთი გაგვიცხადდა!

ყველაზე მეტად მიყვარს ჯვარზე გაკრულის ჭვრეტა! აქ კი ის ჭეშმარიტად ღმერთკაცია! მე მსურს, წარმოგისახოთ იგი, გვირგვინით თავზე, მაგრამ ეს გვირგვინი ეკლისაა, შეურაცყოფისა და დამდაბლების! მან დადრიკა თავი და სული განუტევა. ჯვარს გაკრულო მაცხოვარო ჩემო, ტანჯვისგან შეძრულმა დადრიკე თავი შენი!

შეხედეთ იესოს, შეჩერდეთ მის წინ და ჰკითხეთ საკუთარ თავს – რატომ ჰკიდია იგი აქ? იკითხეთ იქამდე, ვიდრე პასუხს არ იპოვით – იქ, ჯვარზე, მიხსნა მან ბნელეთის მეუფებისგან! იქ მიხსნა მან ეშმაკის მძლავრებისგან! მე გთავაზობთ, იმ დროში გადავიდეთ, იქ, ქრისტეს ჯვართან, შევხედოთ მას და ვირწმუნოთ, დავიჯეროთ – აქ ხდება ჩემი გამოსყიდვა, ჩემი დახსნა ბნელეთის მეუფებისგან, რათა ძე ღმერთისა შევიქნა. ახლა თქვენ აღარ გდევთ ეშმაკი, შეხედეთ ჯვარს და დარწმუნდებით – ეშმაკის მეუფებას ბოლო მოეღო! იესო უფრო ძლიერია, მან, ჯვარს გაკრულმა, გამომისყიდა და მიბოძა თავისუფლება! შეწყვიტეთ ჩვენი დროის უაზრო პრობლემებზე ფიქრი! იწყეთ რეალობის შეცნობა! ჩვენ უნდა გავხდეთ, ჩვენ გვაქვს უფლება, გავხდეთ ძენი ღმერთისა! ღმერთმა შექმნა საამისო წანამძღვრები – ქრისტეს სახით, რომელიც ჯვარს ეცვა და მკვდრეთით აღსდგა ჩვენთვის!

ვიცი, როცა ღმერთზე საუბრობენ, ადამიანი უხერხულად

გრძნობს ხოლმე თავს. რატომ? ჩვენ ძე შეცთომილის მდგომარეობაში ვიმყოფებით, ძე შეცთომილისა, რომელზეც ბიბლია მოგვითხრობს. იგი წავიდა სახლიდან, მამისაგან. მაგრამ მამისეული სახლისგან მოშორებით ძალიან უბედურად იგრძნო თავი. დიდი სიამოვნებით დაბრუნდებოდა შინ, მაგრამ გამბედაობა არ ჰყოფნიდა. რატომ? იმიტომ რომ მამისაგან ბევრი რამ ჰყოფდა..

ასეა მრავალი ადამიანი – მათ არ სურთ ღმერთთან შეხვედრა, ვინაიდან გულის სიღრმეში ასე ფიქრობენ – მე და ღმერთს შორის ისეთი ზღვარია, რომ ჩვენ შეუთავსებელნი ვართ და ამაში ისინი სრულიად მართალნი არიან. ისინი ეშმაკის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებიან და არც შეიძლება რომ ღმერთთან საერთო ჰქონდეთ. მაგრამ, როგორ ფიქრობთ – თუკი იესოს სურს, გვიხსნას ბნელეთის მეუფებისგან და ძენი ღმერთისა გაგვხადოს, მაშინ მას უთუოდ ჩვენსა და ღმერთს შორის არსებული ყოველგვარი დაშორების გაუქმებაც ენდომება! და ეს მან ჯვარზე მოიმოქმედა. ახლა ჩვენ მასში ვპოულობთ ჩვენს ცოდვათა გამოსყიდვას! დიახ, სწორედ ჯვარცმული იესო მოგვიტევებს ცოდვებს. ეს შეიცნო მოციქულმა პავლემ და გვითხრა – ღმერთმა გვიხსნა ბნელეთის ძალაუფლებისგან და გაგვიძღვა თავისი საყვარელი ძის სამეუფოში! ბუნებით ჩვენ ეშმაკის მძლავრების ქვეშ ვიმყოფებით, იესო კი, ძე ღმერთისა, გვიხსნის ჩვენ, იგია ჩვენს ცოდვათა მიმტევებელი.

ამისთვის მოგვეცა, მეგობრებო, ღმერთისგან დრო, რათა იესოში ვეზიაროთ თავისუფლებას!

4. ადმიანზე, რომელსაც ასევე არ ჰყოფნიდა დრო

ჯერ არ დამიმთავრებია – ახლა მსურს, მოგითხროთ კაცზე, რომელსაც ასევე არ ჰქონდა დრო – მასაც ახალ აღთქმაში ვხვდებით. დიდი ადამიანი იყო – რომაელი განმგებელი. მისი სახელია ფელიქსი. მშვენიერი სახელია. ფელიქსი ბედნიერს ნიშნავს. მის ცოლს დრუზილა ერქვა, ტყვეს კი პავლე. ერთხელ, დრო რომ ჰქონდა, ცოლს უთხრა – მოდი, პავლე დავკითხოთ. სასამართლოთა დარბაზში მიდიან, მარჯვნიდან და მარცხნიდან ლეგიონერები შემოეხვევიან. შემოჰყავთ ტყვე – გვითხარი, რატომ ხარ აქ, ტყვეობაში? მაშინ პავლე დიდებულ სიტყვას იწყებს. მეც მსურს ასეთი საუბარი ვიცოდე... დაძაბულობამ იმატა. და უეცრად დარბაზში ცოცხალი ღმერ-

თი შემოიჭრა... პავლე საუბრობს მართლმსაჯულებაზე, რომელიც მსაჯულს უნდა გააჩნდეს – ეს უმთავრესია ფელიქსისთვის. იგი იხსენებს მოსყიდვის სხვადასხვა შემთხვევებს. იგი საუბრობს კეთილგონიერებაზე. დრუზილა ყურთასმენას არ უჯერებს – რომელი საუკუნიდან ხარ, ყმაწვილო? – ფიქრობს იგი. პავლე კი აგრძელებს – ღმერთს სურს ასე! იგი საუბრობს საღმრთო მსჯავრზე, რომელმაც შეიძლება დაღუპოს კაცი. მაშინ ფელიქსი წამოხტა და ამბობს – მოიცადე პავლე. შენი ნათქვამი მშვენიერია და, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანიც. როცა მე გამოვძებნი დროს, კვლავ მოგისმენ შენ. ახლა კი დრო არა მაქვს. და ბრძანებს მის გაყვანას. მას აღარასოდეს აღარ ჰქონია დრო.

მე ვშიშობ, თუ ჩვენ არ გამოვძებნით დროს, მოვისმინოთ ღმერთის სიტყვა სამართალზე, თავშეკავებაზე და ღმერთის მომავალ მსჯავრზე, ისეთივე ბედი გვეწვევა, რაც ფელიქსს. ხომ მართალია, ჩვენ თითქოს ვკარგავთ საკუთარ თავს, როცა საღმრთო სინამდვილეს შევიგრძნობთ. მაშინ ვამჯობინებთ, კინოთეატრში გავიქცეთ ან უკიდურეს შემთხვევაში შინ ტელევიზორი ჩავრთოთ. ასე, ყოველ შემთხვევაში, თითქოს თავშესაფარს ვპოულობთ. ამდენად, ყველაფერი ისევ ისე რჩება.

განა საშინელება არ არის, ცხოვრებაზე თქვა – ყველაფერი ისევ ისე დარჩა – სამუდამოდ. მაგრამ მოვიდა ძე ღმერთისა და გვითხრა – აჰა, მე ვქმნი ახალს, მე მოგიტევებთ ძველს – წარსულს. მე გამოგისყიდეთ საკუთარი სიკვდილით და საღმრთო სამეუფოს ღირსი გაგხადეთ! მე განიჭებთ სულიწმიდას, რათა ახალ ადამიანებად გარდაიქმნათ! ჩვენ კი ვუპასუხებთ – არა, არ გვინდა – და ყველაფერი ისევ ისე რჩება. არიან ქრისტიანები, რომელთა ქრისტიანობა დიდი ხნის მკვდარია, მხოლოდ ისინი ამას ვერ ამჩნევენ – და ყველაფერი ძველებურადაა. მეგობრებო, გისურვებთ, თქვენ ასე არ დაგმართნოდეთ. მე გისურვებთ ყველაზე უფრო მშვენიერს, რაც არსებობს ამქვეყანაზე – რომ თქვენთვის ყველაფერი ისევ ისე არ იყოს, რომ თქვენ ახალი ჰპოვოთ იესოს მეშვეობით!

5. მასზე, ვისაც დრო აქვს

დასასრულ, მსურს, ძალზე მნიშვნელოვანი რამ გითხრათ – ჩვენ დევნილნი ვიქნებით იქამდე, სანამ ეშმაკი მძლავრობს ჩვენზე, მაგრამ მე ვიცი ერთი, რომელსაც მუდამ აქვს დრო თქვენთვის – იგი იესოა, აღმდგარი მაცხოვარი. კაცები ჩივიან – ჩემს ცოლს არასოდეს არა აქვს დრო ჩემთვის. ცოლები, თავის მხრივ, მამაკაცების დროის უქონლობას უჩივიან. მშობლები გულნატკენნი რჩებიან, რომ შვილები ვერასოდეს ვერ იცლიან მათთვის. გესმით?! უფალს კი აქვს დრო. იესოს აქვს დრო თქვენთვის. ეს ჩემთვის უკანასკნელი ხანის აღმოჩენაა. წინა კვირას ისეთი პრობლემები მქონდა, რაზეც ახლა არ მსურს საუბარი. მაგრამ ზოგჯერ მართლაც რომ გიწევს კაცს ჩვენი დროის წინააღმდეგობებთან შეჯახება. იმდენად დათრგუნული ვიყავი, რომ ცოლმა მითხრა – შენ სრულიად აუტანელი ხარ, მაგრამ მე მესმის შენი. მე გავწითლდი და ტყეს შევაფარე თავი. იქ, სიჩუმეში, მე ვესაუბრებოდი ჩემს მაცხოვარს – იესო, მე უთუოდ უნდა განგიმარტო შენ ყველაფერი. მე ყველაფერი მოვუყევი მას. და მას აღმოაჩნდა დრო, მოესმინა ჩემთვის. ორმა საათმა შეუმჩნევლად გაირბინა. მაშინ კი ჩემი ახალი აღთქმა გადავშალე – ყოველი სიტყვა იქ იყო ღმერთის უშუალო პასუხი ჩემდა მიმართ. ბედნიერი დავბრუნდი სახლში – სრულიად ახალი აღმოჩენით – იესოს აქვს ჩემთვის დრო.

ახალ აღთქმაში გასაოცარი ამბავია მოთხრობილი. ქუჩის პირას ერთი ბრმა ზის და მოწყალებას ითხოვს. დიდი ხის კოვზი უჭირავს ხელში. როცა ვინმე გაივლის, კოვზს გაუწვდენს და დახმარებას თხოვს. აი, ბრბომ ჩაუარა. ბრმა ფიქრობს – ნეტა რა არის? პროცესიაა თუ ჯარი? ბოლოს კითხულობს – რა ხდება? პასუხად იღებს – იესო მოდის. მაშინ ბრმას მხედველობა უბრუნდება – შინაგანი ნათელი. იესოზე მას უკვე სმენია. მას სწამს, რომ იესო ღმერთის ძეა და იგი იწყებს ყვირილს – იესო, ძევ ღმერთისავ, შემიწყალე მე! ბრბო ღელავს – ნუ ყვირი ასე, ჩვენ გვსურს გავიგონოთ, რას ამბობს თვით იესო. ბრმა ყვირილს აგრძელებს – იესო, ძევ ღმერთისავ, შემიწყალე მე! ბრბო დამუქრებით მიმართავს – თუ არ გაჩერდები, ცუდი დღე გელის. ბრმას კი არანაირი მუქარა არ აჩერებს – იესო, ძევ ღმერთისავ, შემიწყალე მე! ჩემთვის რომ მოემართა, ასე ვეტყოდი – გაიგე, იესო გოლგოთაზე მიდის. მას სურს ყველა ადამიანის ცოდვი-

სათვის მოკვდეს. სამყარო იღუპება თავისი ცოდვების გამო. იესოს სურს გადაჭრას ეს პრობლემა და თავის თავზე აიღოს ყველა ცოდვა, რათა ჩვენ მოვიპოვოთ მშვიდობა ღმერთთან. შემდეგ კი მას სურს აღსდგეს მკვდრეთით, დათრგუნოს სიკვდილი. ეს უდიდესი ამოცანებია. შენ სადღა ეჩხირები. ბრმა გამწარებით გაჰკივის – იესო, ძევ ღმერთისა, შემიწყალე მე! ამას მოსდევს ახალი აღთქმის ერთი უმშვენიერეს პასაჟ თაგანი: იესო შედგა – უფალო იესო – მსურს ვუთხრა, როცა სასწრაფო შეკრებაზე მიმეჩქარება, არვის ვაძლევ უფლებას წუთით მაინც შემაყოვნოს. ბიბლიაში კი ნათქვამია – იესო შედგა და ბრძანა მისი მოყვანება. იესო, რომელიც საქვეყნო, გლობალურ პრობლემებს ჭრის, ბრმა მათხოვარისთვისაც პოულობს დროს. ასე აფასებს იგი ადამიანს!

ასე გაფასებთ იგი თქვენც! არის კი ამქვეყნად კიდევ სხვა ვინმე, ვინც ასე გაფასებთ. თქვენ კი ვერ იცლით მისთვის? ეტყობა, ეშმაკმა ძალზე დაგრიათ ხელი.

ერთხელ შემზარავი ამბავი მომიყვეს: გემი იძირებოდა. სტიუარდი კაიუტებს შორის დარბოდა და ყვიროდა – ყველა გემბანზე! გემი იძირება! სამზარეულოს რომ ჩაუქროლა, მზარეულმა, რომელიც მამლებს წვავდა, აუღელვებლად ჩაიბურტყუნა – ჯერ ჩემი საქმე უნდა შევასრულო. ასე ჩაიძირა თავის მამლებიანად. სწორედ ასე მესახება ჩვენი დროის ადამიანი. – იესო?! არაა აქტუალური. მე არ მაინტერესებს. მე დრო არა მაქვს. და სამყარო, რომელმაც იესო არ მიიღო, ჯოჯოხეთისაკენ მიექანება.

ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი თავშივე უნდა გაკეთდეს. თუკი ღმერთი გვანიჭებს ხსნას, ჩვენგან უმთავრესი ყოფილა ამ ხსნის მიღება! მე ვისურვებდი, რომ თქვენ დამდგარიყავით იესოს ჯვრის წინ და ამ სიმღერის ავტორთან ერთად წარმოგეთქვათ – ვის შემიძლია მივენდო, შენს გარდა, ო მეუფევ, ჯვარზე გაკრულო?! შენ გადაგიხსნი კარს ჩემი გულისას და შენ მოგიძღვნი ცხოვრებას ჩემსას და შენ აღგითქვამ, შენი ჯვრის ქვეშ, შენს მებრძოლად და მონად ყოფნას.

ყურადღება! სახიფათოა სიცოცხლისათვის!

ახლახან მოვქრივარ ავტოსტრადიდან. რამდენადაც გამუდმებით მოხსენებაზე ვფიქრობდი, თავში სულ ეს ფრაზა მიტრიალებდა – სახიფათოა სიცოცხლისათვის. გესმით, დღეს არავინ არ კვდება, ჩვეულებრივ, თავისი საკუთარი სიკვდილით. ან უბედური შემთხვევისგან იღუპებიან ან ინფაქტისგან. წინათ ადამიანები 90 წლამდე ცხოვრობდნენ და ბუნებრივი სიკვდილით კვდებოდნენ. ჩვენს დროში ყველაფერი სხვანაირადაა – უეცრად ოკეანის თავზე ფეთქდება თვითმფრინავი – იღუპება 80 ადამიანი, ავტობუსი შემთხვევით ასცდება გზას – 60 სიცოცხლეს შეიწირავს, ფაბრიკაში უბედური შემთხვევა – კვლავ დაღუპულნი. რურის ოლქში მუდმივად იღუპებიან ადამიანები. ომებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ერთ ომში 2 მილიონი ადამიანი იღუპება, მეორეში – 5. საფრთხე ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვემუქრება.....

როცა მსგავს საკითხებზე ვფიქრობ ხოლმე, ძალაუნებურად ასეთი აზრი მიჩნდება – რა ცხოვრებაა ეს? წყნარად სიკვდილსაც არ გაცლიან...წარმოიდგინეთ, დღეს 10 საათზე რაღაც უბედურება გატყდებათ თავს – ხომ სავსებით შესაძლებელია? საღამ იქნებით 11 საათზე? რა იქნება თქვენს თავს? გიფიქრიათ ამაზე?!

1. საკითხის სერიოზულობა

ერთ პატარა ამბავს მოგიყვებით – ბაბუაჩემის ნაამბობს. არაჩვეულებრივი მოყოლა იცოდა. ერთი ახალგაზრდა ბიძასთან მისულა – მომილოცე, სიმწიფის ატესტატის მისაღები გამოცდა ჩავაბარეო. მშვენიერი, – მიუგო ბიძამ, – აი, 20 მარკა, წადი, რაც გინდა, იყიდე შენთვის. ხო, ის მითხარი, მომავალში რას აპირებ?

– სწავლის გაგრძელება მსურს – იურისტი მინდა გამოვიდე! – კარგი, და მერე? – მერე უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე გავხდები.

– მერე? – მერე საოლქო სასამართლოსი. – მერე? – შემდეგ ცოლს შევირთავ...და, იმედია, დიდი კაციც გავხდები. – სახელმწიფო პროკურორი. ბიძა არ ეშვება – მერე, მერე?

ყმაწვილი ნერვიულობას იწყებს. – მერე ოდესღაც დავბერდები და პენსიაზეც გავალ... ქალაქგარეთ გადავალ საცხოვრებლად – პატარა გლეხურ სახლს ავიშენებ და მარწყვს დავრგავ. – მერე? – ეკითხება ბიძა. ახალგაზრდა გაბრაზდა – ბოლოს, როცა იქნება, ხომ მოვკვდები...

– მერე რაღა იქნება? ყმაწვილი დაბნეული უპასუხებს – მაგაზე ჯერ არ დავფიქრებულვარ. ბიძა აღშფოთდა – სიმწიფის ატესტატი მიიღე და მაინც ისეთი ბრიყვი დარჩი, რომ ასე შეზღუდულად აზროვნებ. ნუთუ ადამიანი, რომელსაც ღმერთმა გონება მიანიჭა, ცოტათი მაინც უფრო შორს არ უნდა იხედებოდეს?! – ბიძია, სიკვდილს რა მოჰყვება, კაციშვილმა არ იცის., – ამბობს ბიჭი. – სცდები, ჩემო კარგო, არის ერთი, ვინაც ძალიან კარგად უწყის ეს – ესაა იესო. მანვე გვითხრა – ფართოა გზა, რომელსაც დაღუპვისაკენ მივყავართ, ცხორებისაკენ მხოლოდ ვიწრო გზა მიდის. სიკვდილის მერე ყველას საღმრთო მსჯავრი გველის – ან სამუდამო დაღუპვა ან კი ცხორება საუკუნო!

მსურს, გონს მოგიყვანოთ – სულაც არაა საკმარისი, სიკვდილის კარამდე გეგმების დაწყობა. ისიც უნდა იკითხოთ – მერე რა იქნება?

ჩემი ახალგაზრდებისთვის ვცდილობდი ამეხსნა – როცა ფეხსაცმლის შეკეთება მინდა, ცხადია, ავტოხელოსანს არ მივმართავ – ავტოხელოსნები ძალიანაც სასიამოვნო ხალხია, მაგრამ ფეხსაცმლისა არა გაეგებათ. ფეხსაცმლის შესაკეთებლად მეწაღესთან მივდივარ, ხომ? ანდა ფუნთუშების საყიდლად ხორცის გამყიდველთან ხომ არ გავრბივართ? არც ისინი არიან ურიგონი, მაგრამ პურის ცხობის საქმე ნაკლებად იციან... წყლის გაყვანილობა თუ დამიზიანდა, მხოლოდ სანტექნიკოსი თუ მიშველის. რისი თქმა მსურს – ყველა შემთხვევაში სპეციალისტს მივმართავთ – ხოლო როცა იმის გაგება გვინდა, რა ხდება სიკვდილის მერე, რატომღაც ან პირველივე შემხვედრს მივადგებით ან ჩვენივე უგუნურ აზრებს მივენდობით... კი მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხისთვის განა სპეციალისტს არ უნდა მივმართოთ – სადაა იგი? არსებობს ერთადერთი სპეციალისტი ამ სფეროში – და იგია ძე ღმერთისა, რომელიც სულ სხვა სამყაროდან მოვიდა და სიკვდილის სამეუფოსაც ეწვია. იგი ჯვარზე მოკვდა და მკვდრეთით აღსდგა. მან ყველაზე კარგად უწყის ყოველივე. იგი გვეუბნება – შენ შეგიძლია საუკუნო წარსაწყმედელში მოხვდე, მაგრამ ზეცად ამაღლებაც

შენს ხელშიაო. და დღეს 25 პროფესორი რომ მიმტკიცებდეს, რომ სიკვდილით ყველაფერი მთავრდება, მე მათ მშვიდად მივუგებდი – დიდად პატივს ვცემ თქვენს ჩინ-მედლებს, მაგრამ ამ საკითხში განსწავლულობას ნუ დაიჩემებთ. თქვენ ხომ ჯერ არ ყოფილხართ ზეცად. ის კი, ვიზეც მე გესაუბრებით, იქაც იყო – იესო...და იგი სხვა რამეს მეუბნება.

ადამიანები თავად მიდიან რისკზე, როცა ფიქრობენ, სიკვდილით ყველაფერი მთავრდება, ან კიდევ, რომ თავისთავად მოხვდებიან სასუფეველში, თუკი მონათლულნი იქნებიან ან მღვდლის მიერ დაკრძალულნი. ერთხელაც აივსება ჯოჯოხეთი ასეთი ადამიანებით. გესმით, მათ სიცოცხლეს საფრთე ემუქრება! ჩვენ ყველა ადრე თუ გვიან საღმრთო სამსჯავროს წინაშე წარვსდგებით.

სიმართლეს გეტყვით, სწორედ ამ აზრმა მომიყვანა აქ, თქვენთან სასაუბროდ. ახალგაზრდობაში არასოდეს მიფიქრია, რომ კათედრის წინ აღმოვჩნდებოდი ოდესმე.....პირველ მსოფლიო ომში ახალგაზრდა ოფიცერი ვიყავი. ჩვენს სამხედრო ნაწილს დიდი დანაკარგი ჰქონდა. ერთი ჩვეულებრივი ოფიცერი ვიყავი – არც სხვაზე უკეთესი, არც უარესი. ვინმეს მაშინ რომ ეთქვა ჩემთვის, ეკლესიაში იქადაგებო, სიცილით მოვკვდებოდი. უნდა გამოგიტყდეთ, მაშინ ძალზე შორს ვიყავი ღმერთისგან. ერთხელ მამამ მკითხა – გწამს ღმერთი? მე ვუპასუხე – არც ისეთი ბრიყვი ვარ, რომ ღმერთს უარვჰყოფდე, ათეიზმი ხომ თავისთავად მტკნარი სისულელეა, მაგრამ არც ღმერთი შემხვედრია ჯერჯერობით. ამიტომაც არ მაინტერესებს იგი. ამ საუბრიდან ცოტა ხნის მერე ერთ ჩემს მეგობართან, ახალგაზრდა ლეიტენანტთან, ერთად საფრანგეთში, ვერდენთან ახლოს, თხრილში ვიჯექი. თავდასხმის ბრძანებას ველოდებოდით და ერთმანეთს ბინძურ ანეკდოტებს ვუყვებოდით. როცა ანეკდოტის მოყოლა დავასრულე, ჩემს მეგობარს არ გაეცინა. რატომ არ იცინი? – ვკითხე. უეცრად დაეცა – ვხედავ, რომ მკვდარია. ყუმბარის პატარა ნამსხვრევი შიგ გულში მოხვედროდა. თავიდან თითქოს გულგრილი ვიყავი – რა უპატივცემულობაა, არც დაელოდე ჩემი ანეკდოტის დასასრულს...მაგრამ უცბად ასეთი კითხვის წინაშე დავდექი – სადაა იგი ახლა. ჩემი თავი ახლაც თვალწინ მიდგას. თხრილის წინ რომ ვიდექი და უეცრად რომ გამინათდა – იგი წმიდა ღმერთის წინაშე წარსდგა... კი მაგრამ, მე რომ მის ადგილას ვმჯდარიყავი, მაშინ მე ვიქნებოდი ახლა ღმერთის წინაშე..... და ეს

ღმერთი იგია, ვინც თავისი ნება განაცხადა და თავისი კანონები დაგვიწესა, რომელთაც მე არ ვემორჩილებოდი. ისევე, როგორც ყველა თქვენგანმა..... არიან ადამიანები, რომელთა ცოდვები ცამდე ადის, მაგრამ ისინი მაინც გაიძახიან, მართალი ვარ და არაფრის მეშინიაო. რა სიცრუეა! იმ წუთას ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ყველა მცნებას გადავცდი. შემდეგი ტყვია მე რომ მომხვედროდა, მეც ღმერთის წინაშე აღმოვჩნდებოდი – მაშინ კი გაცხადდა ჩემთვის, რომ უთუოდ ჯოჯოხეთში ამოვყოფდი თავს.

ამ დროს მეგობრებიც შემეწიენ – ცხენები მოიყვანეს. ცხენს შემოვახტი, ჩემი მკვდარი მეგობარი იქ დავტოვე, მიწაზე დაგდებული....მხოლოდ მრავალი წლის მერე შეევედრე ღმერთს – იქამდე ნუ მომკლავ, ვიდრე არ დავრწმუნდები, რომ ჯოჯოხეთში არ მოვხვდები. ცოტა ხნის მერე სამხედრო პასტორთან მივედი რჩევისათვის – რა უნდა მოვიმოქმედო, ჯოჯოხეთში რომ არ მოვხვდე.? მან მიპასუხა – ბატონო ლეიტენანტო, ჯერ უნდა გავიმარჯვოთ....არც თქვენ იცით – შეევეპასუხე... გასაოცარი არაა, ათასობით ადამიანი სიკვდილზე მიდის და ვერავინ ვერ ეუბნება, სადაა ხსნა. და ეს ქრისტიან ხალხებში ხდება. ალბათ უკიდურესი სასოწარკვეთა დამეუფლებოდა, შემთხვევით ახალი აღთქმა რომ არ ჩამვარდნოდა ხელთ. ახლაც თვალწინ მიდგას იმ ფრანგი გლეხის სახლი, სადაც მაშინ ვიმყოფებოდი. ევანგელე – ეტყობა, სწორედ აქ სწერია, სადაა ხსნა! უბრალოდ ვფურცლავდი, იმიტომ რომ ჩემთვის უცხო იყო. ჩემი ყურადღება ერთმა ფრაზამ მიიპყრო – იესო ცოდვილთა სახსნელად მოვიდა.....ელვასავით მეტაკა. ცოდვილი....ეს ხომ მე ვარ, ამის ახსნა არ მესაჭიროებოდა. არ გსურთ, ბოლოსდაბოლოს აღიაროთ ღმერთისა და კაცის წინაშე, რომ ცოდვილი ხართ?! ცოდვილი ვარ მე! მოეშვით თქვენს ყალბ თავისმართლებას. იმ წამს არანაირი პასტორი არ მჭირდებოდა – მე ცოდვილი ვარ – ეს ხომ ცხადზე უცხადესი იყო. და მე მსურდა, ხსნა მომეპოვა! თუმც კარგად არ მესმოდა, რას ნიშნავს იგი. ერთი, რასაც მივხვდი – ხსნა ნიშნავს იმ მდგომარეობიდან თავის დაღწევას, რომელშიც მე ვიმყოფებოდი.

ხსნა ღმერთთან შერიგებას ნიშნავს. იესო ცოდვილთა სახსნელად მოვიდა. თუკი იესოს ეს ძალუძს, მე უნდა ვიპოვო იგი. კიდევ რამდენიმე კვირა გავიდა.....ვცდილობდი, მეპოვა ვინმე, ვინც იესოს მიჩვენებდა.....მაშინ მოვიმოქმედე ის, რასაც თქვენც გირჩევთ. კვლავ თავდასხმას ვამზადებდით...იმ

ძველ ფრანგულ სახლში შევედი....ნახევრად დანგრეული იყო, დაცარიელებული.....თუმც ერთი ოთახი გადაურჩა....კარში გასაღები იყო ჩარჩენილი – შევედი ოთახში და კარი ჩავკეტე. მუხლებზე დავემხე და ესღა აღმომხდა – იესო! ბიბლიაში ნათქვამია, რომ შენ ცოდვილთა სახსნელად მოგვევლინე! მეც ერთი იმათგანი ვარ! არც მომავალში გპირდები რასმე, ვინაიდან საკმაოდ უცნაური ხასიათი მაქვს! მაგრამ არ მსურს, ჯოჯოხეთში მოვხვდე, თუკი სასიკვდილოდ გავიწირები. ამიტომ გაბარებ ჩემს თავს, შენ მოგენდობი თხემით ტერფამდინ! დაე, აღსრულდეს ნება შენი! დიდი არაფერი არ მომხდარა, მაგრამ მე ვიპოვე ღმერთი, რომელსაც ახლაც ვეკუთვნი!

მაშინ 18 წლისა ვიყავი და ყოველდღიურად სულ უფრო საცნაურდებოდა ჩემთვის, რა საფრთხეში იმყოფებიან ადამიანები... ცოდვათა მიტევების გარეშე ცხოვრობენ. იცით თქვენ, მოგეტევათ თუ არა ცოდვები?! როგორ გსურთ საღმრთო მსჯავრის წინაშე წარსდგომა?! ადამიანები ცხოვრობენ ისე, რომ არა აქვთ მშვიდობა ღმერთთან. ცხოვრობენ ისე, რომ არანაირი სურვილი არა აქვთ შეცვლისა, გარდაქმნისა.....გარეგნულად უმნიშვნელო, შეუმჩნეველი ქრისტიანული ელფერი დაკრავთ, შიგნით კი – უბადრუკი, საცოდავი, გაუნახლებელი გული უძგერთ! გესმით, ღმერთს არ სურს, რომ ჯოჯოხეთისკენ მივექანებოდეთ.....მას სურს, რომ ყველა ცხოვნდეს და ჭეშმარიტებას ეზიაროს! ამიტომაც გამოგვიგზავნა ძე თვისი.... მაგრამ, მეგობრებო, ჩვენც უნდა მივუახლოვდეთ იესოს! ჩვენც უნდა ვეკუთვნოდეთ მას! თუმც ღმერთისა და ქრისტეს წყალობით შესაძლებელი ხსნის მიმართ ისეთი დამოკიდებულება, როგორიც გერმანიაში მყოფ ქრისტიანებს აქვთ, არ ეგების! გაიგეთ, რომ უდიდესი საშიშროების წინაშე ვართ, ვინაიდან საღმრთო მსჯავრს ვეგებებით.....ჩემს ახალგაზრდებს შორის ერთი ძალიან კარგი ყმაწვილი იყო – რეგულარულად ესწრებოდა ჩვენს შეკრებებს, საღმრთო სჯულს რომ განვიხილავდით. ჰიტლერის რაიხის ხანა იყო.....ახალგაზრდას მოუწია გაევლო ნაციონალურ- სოციალისტური სასწავლო კურსი – მას მერე აღარც მინახავს – სულ აებნა გზა. თუმც ერთხელ კი შემხვდა... – გამარჯობა, გიუნტერ! – ჰაილ ჰიტლერ! – მომიგო. – როგორ ხარ, დიდი ხანია არ მინახიხარ? – ჩემი დევიზია – მე მართალი ვარ და არაფრისა მეშინია – თუკი რამეში ვცდები ან კიდევ ღმერთი არსებობს, მე, როგორც პატიოსანი ადამიანი,

თვითონვე ვაგებ ღმერთის წინაშე პასუხს! მე არ მესაჭიროება განკითხვის ვაცი – იესო, რომელიც მოკვდება ჩემთვის. მის უკან მილიონობით ადამიანს ვხედავ, ვინც ამასვე ფიქრობს – მე არ გამაჩნია ცოდვა და პასუხსაც თავადვე ვაგებ!

კეთილო მეგობრებო, სიმართლეს სულაც არ ვიჩემებ – პირიქით, როცა ამაზე საუბარს ვიწყებ, სწორედ მაშინ ვიმყოფები ყველაზე დიდ საფრთხეში. მერწმუნეთ, ჩვენ ყველა წარვსდგებით ღმერთის წინაშე – მე მსურს გაგაფრთხილოთ – საკმაოდ უსიამოვნო გრძნობა მეუფლება, როცა მახსენდება, რა უდარდელად მიემართებიან ადამიანები ღმერთის შესახვედრად.....

მხატვარმა და მოქანდაკემ ერნსტ ბარლაჰმა ძალზე საინტერესო სახეები შექმნა. მასვე ეკუთვნის თეატრალური პიესა – მთვრალი ბოლი – მთვრალი ბოლი ერთი მემამულეა, რომელიც სულ შექეიფიანებულია. ერთხელაც კარგად ჭამა და სვა და პატარა ქალაქის საბაზრო მოედანზე გავიდა. ეკლესიის წინ გაჩერდა – კარის თავზე 4 საყვირიანი ქერუბიმია გამოსახული. აკვირდება მათ და ცოცხლებად წარმოიდგინა – ქერუბიმები, რომელნიც საყვირის ჩაბერვით საღმრთო მსჯავრს მოგვაგონებენ. ახლა მთელი კაცობრიობა ღმერთის სამსჯავროს წინაშე წარსდგება! ბარლაჰი წერს – მკვდრებო, გამოდით საფლავებიდან – ხრწნაში არაა ხსნა! აქ კი გაუნათდა ბარლაჰს – ღმერთთან შეხვედრა გარდაუვალია – ერთხელაც იქნება და წარვსდგები მის წინაშე მთელი ჩემი უბადრუკობით! ჩვენ ყველამ კარგად ვუწყით, რომ საკუთარი სიმართლის მტკიცება შორს არ წაგვიყვანს – საღმრთო მსჯავრის დროც დადგება! მაშინ კი შემოგვაღნება ჩვენი ნაქები სიმართლე!

ვიცი, რომ ასეთ რამეს დღეს საკმაოდ ამრეზილად უყურებენ – როცა ვამბობ, იესოს წინაშე მონანიების გარეშე ჯოჯოხეთში ამოვყოფთ თავს – დაცინვით მომიგებენ – ჯოჯოხეთი შუასაუკუნეების ცნებაა, იგი არარსებულია! ამაზე ერთი ამბავი მახსენდება, რომლის მოყოლასაც ახლა ვაპირებ.

ომის დროს ხდებოდა. ვიღაცის მოსანახულებლად მივდიოდი. გზაში რომ ვიყავი, სამხედრო თავდასხმა მოხდა. უახლოეს თავშესაფარს მივაშურე. შემდეგ გზა განვაგრძე. ის დასახლება დღესაც არსებობს. მაშინ კი 20-ვე სახლი სოფლისა დაცარიელებული და მიტოვებული იყო. მეგონა, მელანდებოდა – სახლები დგას, როგორც იყო, ადამიანები კი არ

არიან. თავშესაფრის მცველი შემომხვდა და ვკითხე – რაშია საქმე, სად არიან ადამიანები? ხმაამოუღებლივ მომკიდა ხელი და ერთ- ერთ სახლში შემიყვანა – ფანჯარაში გამახედა – მოედნის გარშემო სახლებია, მოედნის შუაგულში კი უზარმაზარი ყუმბარა აგდია, თბომავლის საქვაბის ოდენა. – არ აფეთქდა?! – ვამბობ. – არა, – შემეპასუხა, – შენელებული მოქმედების ყუმბარაა! ყველაზე უფრო მზაკვარი და საშიში! დაცემისას დარტყმისგან კი არ ფეთქდებოდა, არამედ კარგა ხნის მერე, 5, ზოგჯერ 20 საათის მერეც.

მაშინ იწყებდა აფეთქებას, როცა ადამიანები თავშესაფრიდან ბრუნდებოდნენ. – აქედან ყველა გაიქცა, გესმით, როგორ ფეთქავს?! მართლაც ისმოდა საათის მექანიზმის ხმა, ყუმბარა ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა აფეთქებულიყო. – გავცილდეთ აქაურობას, – ვთხოვე მცველს. გადახურულს შევაფარეთ თავი. უცბად დავინახე, რომ ბელურების გუნდი ზედ ყუმბარაზე წამოსკუპდა. – ბელურებო, ეს ხომ საშიშია! – დავიყვირე. და მომეჩვენა, რომ პასუხად მომიგეს – ჰა, ჰა, ჩვენ კარგად ვუწყით. ვიღას სჯერა დღეს ყუმბარებისა?! სრულიად უსაფრთხოა.

გესმით?! ასეთივე უგონოა თანამედროვე კაცობრიობა! ღმერთი უკვე საკმაოდ სერიოზულად გვესაუბრა თავისი სიტყვის მეშვეობით, მსჯავრთა მეშვეობით, ჩვენს ხალხსაც ესაუბრა! ძე ღმერთისა კი მოვიდა ჩვენდა, ნეფსით ეცვა ჯვარს და აღსდგა მკვდრეთით. ყველას შეუძლია ამის გაგება – ღმერთი არსებობს და იგია წმიდა ღმერთი. თუკი ვინმე მოდის და გვეუბნება – თქვენი სიცოცხლე საფრთხეშია, იზრუნეთ სულთა თქვენთა ცხონებისთვის – ადამიანები სიცილს მოჰყვებიან და ამბობენ – ჰა, ჰა, ვიღას სჯერა მსგავსი სისულელე!

იცით, ბიბლიაშიც შეხვდებით ისეთ გამოთქმებს, რაც შეიძლება არც თუ საამოდ მოხვდეს ყურს. მთელი ათეიზმი, ანუ ღმერთის უარყოფა აქ ერთადერთხელაა ერთი მოკლე ფრაზით გამოხატული – შლეგმა თქვა გულში – ღმერთი არ არისო. მხოლოდ ასე საუბრობს ბიბლია ათეიზმზე.

2. სიცოცხლის გადარჩენა

ღმერთმა ერთხელ უკვე გადასცა დედამიწა საშინელ სამსჯავროს. მაშინ გადარჩა მხოლოდ ერთი კაცი თავის ოჯახთან ერთად. მას ნოე ერქვა. ღმერთმა უბრძანა ნოეს, განაჩენის აღსრულებამდე ჯერ კიდობანი აეშენებინა. იცით თქვენ ისტორია წარღვნის შესახებ? თუ არ იცით, შეეცადეთ არავინ შეიტყოს ეს, რადგან სირცხვილია, არ იცოდეთ მსოფლიო წარღვნის ისტორია! მაშასადამე, განაჩენის აღსრულების წინ ღმერთმა უკარნახა ნოეს: „შეედ შენ და ყოველი სახლი შენი კიდობნად“. ნოე ჩაჯდა და ღმერთმა ჩარაზა კარი.

მიაქციეთ ყურადღება, სამყარო უახლოვდება ღმერთის სამართლიან მსჯავრს. მაგრამ არსებობს ხსნის კიდობანი – წყალობა, რომელიც ჩვენ მოგვეცა იესოს სახით. იგი მოვიდა ღვთაებრივი სამყაროდან ჩვენს საცოდავ სამყაროში. იგი ჩვენთვის მოკვდა ჯვარზე! ისმინეთ, თუნდაც ყველაფერი ნათელი არ იყოს თქვენთვის, ამას თქვენ მაინც გაიგებთ: თუ ღმერთმა ინება, თავისი ძე საშინელი სიკვდილით მომკვდარიყო ჯვარზე, ამ გზით მოპოვებულია გამოსყიდვა, რომელიც გადაარჩენს და იხსნის ყველაზე დიდ ცოდვილს! იგი აღსდგა მკვდრეთით. იგი მოგვიხმობს ჩვენ სულიწმიდის მეშვეობით. იესო ხსნის კიდობანია! და ისევე, როგორც მაშინ, უთხრა ღმერთმა ნოეს: „შეედ შენ და ყოველი სახლი შენი კიდობნად!“ – ასევე გთხოვთ იგი თქვენ ჩემი მეშვეობით: „მიიღე იესო ქრისტეს მოწყალება, შეაბიჯე ღვთიურ სამყაროში! გაწყვიტე კავშირი ყველაფერთან, რაც შენ გაკავებს! უთხარი შენს მაცხოვარს: „შენთან მოვალს დიდი ცოდვილი“. დაამხე ყველა ცოდვა მის ჯვარზე! გწამდეს, რომ მისი სისხლი შენთვისაც წვეთდა! უთხარი მას: „ღმერთო, შენ გაბარებ მთელ ჩემს სიცოცხლეს“. ამას ნიშნავს: ხსნის კიდობანში შესვლა.

„ყურადღება! სახიფათოა სიცოცხლისათვის!“ რამდენია ჩვენს შორის ისეთი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მთლად აღმდგარი და ღვთის სამსჯავროსთან მიახლოებული! მაგრამ განუზომელია ღვთის წყალობა. ხოლო რწმენა – ნაბიჯია ღვთიური სამსჯავროდან იესოს წყალობისკენ. და ეს ნაბიჯი არ არის ბავშვის თამაში. იგი ნიშნავს იმისგან ხსნას, რაც სახიფათოა სიცოცხლისათვის.

ჩემმა ნაცნობმა, ალბერტ ჰოფმანმა, პირველმა მისიონერმა ახალ გვიანეაში, ერთხელ მიამბო ისტორია, რომელსაც

მე ვერასოდეს დავივიწყებ. მე ვუთხარი მას: „ძმაო ჰოფმან, მე დიდი ბრძოლა მიწევს ჩემი ქრისტიანული მრწამსის გამო. პასტორისათვის არც ისე იოლია, ეკუთვნოდე იესოს იმ სამყაროში, რომელიც ეშმაკს ემსახურება და ჯოჯოხეთისკენ მიილტვის“. „ამაზე მე ერთ-ორ სიტყვას მოგახსენებ, – დაიწყო მან. – „ჩვენთან, ახალ გვინეაში, არსებობს ასეთი ჩვეულება: პაპუასებს, რომელთაც გაქრისტიანება სურთ, უტარდებათ გაკვეთილები, რათა სწორად შეიცნონ იესო ქრისტე. შემდეგ, ერთ-ერთ კვირადღეს, მათ ნათლავენ. ეს დღე ყოველთვის დიდი დღესასწაულია. ესწრება ბევრი წარმართიც. მაგრამ მთავარი ყოველვთვის წინადღით ხდება, საღამოხანს. გააჩაღებენ დიდ კოცონს, და მას უახლოვდებიან მოსანათლად გამზადებულნი. ხელთ მათ კერპთაყვანისმცემლური სხვადასხვა საგნები უპყრიათ: კერპები, თილისმები... კოცონს მიახლოებულნი, ისინი ცეცხლში ყრიან ამ საგნებს, როგორც თავისი წარსული ცხოვრების ნიშნებს. ერთხელ მე თვალყურს ვადევნებდი ახალგაზრდა ქალბატონს. ისიც მიუახლოვდა კოცონს, კერპებითა და ამულეტებით სავსე ხელებით. მაგრამ იმ წუთას, როდესაც ამ საგნების ცეცხლში გადაყრა დააპირა, რაღაცამ შეაჩერა იგი, როგორც ჩანს, გაიფიქრა: „ამით ცხოვრობდნენ ჩემი წინაპრები, ამასთანაა დაკავშირებული მთელი ჩემი წარსული, მე ვერ გავეყრები მას!“ მან უკან დაიხია. მაგრამ გაუელვა აზრმა: „მაშინ ხომ ვერ შევძლებ, იესოს ვეკუთვნოდე!“ და იგი ისევ დგამს წინ სამ ნაბიჯს, მაგრამ ისევ უჭირს, უარი თქვას ამ საგნებზე, კიდევ ერთხელ გამობრუნდა. მაშინ მე მივედი მასთან, – აგრძელებს ჰოფმანი, – და ვუთხარი: „ძნელია განშორდე. დაფიქრდი კიდევ ერთხელ. შენ ხომ შეგიძლია შემდეგ ნათლობაზე მოხვიდე“. ახალგაზრდა ქალი წუთით კიდევ ერთხელ ჩაფიქრდა, სწრაფად გადადგა სამი ნაბიჯი, ცეცხლს მისცა ყველა საგანი და უგრძნობლად დაეცა.“ ვერ დავივიწყებ, რაც დასასრულ ჰოფმანმა მითხრა: „მე ვფიქორობ, მხოლოდ მას შეუძლია ამ ქალბატონის შეძრწუნება გაიგოს, ვინც თავად განიცადა ნამდვილი განახლება“.-

ჩემო მეგობრებო, ხსნის კიდობნამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია! დატოვეთ ის ზონა, რომელიც სახაფითოა სიცოცხლისათვის, მიენდეთ იესოს. მაგრამ ეს ნაბიჯი არც ისე იოლია. იგი შენს წარსულზე უარის თქმას ნიშნავს. მაგრამ გეყურებათ? უფრო იაფი გზა არ არსებობს!

ვთქვი კი ნათლად სათქმელი? მე ყოველთვის შეძრწუნე-

ბული ვარ, როცა ვხედავ, რამდენი ადამიანი, მიუხედავად მრავალი და მრავალი გაფრთხილებისა, თავისი ფეხით ეგებება თავის მარადიულ ბედისწერას! ღმერთს არ უნდა ეს! მას თქვენი ხსნა სურს! ამიტომ მოავლინა მან ძე თვისი, რომელმაც გამოისყიდა თქვენი ცოდვები. თქვენ ისღა დაგრჩენიათ, აღიაროთ საკუთარი ცოდვები და რწმენით მიიღოთ ხსნა!

როცა ერთხელ, მესამე რაიხის წლებში, გესტაპოში გამომიძახეს, მე მოვხვდი მოსაცდელ ოთახში, რომელიც კარადებით იყო გაჭედილი. კარადები სავსე იყო საქაღალდეებით. ყოველი საქაღალდიდან გადმოკიდებული იყო სანიშნეები ზედ მიწერილი სახელებით: „მაიერი კარლი, შულცე ფრიდრიხი“. როცა მე, გაუთავებელ მოლოდინში, ვიდექი ამ საქმიანი ქაღალდებით დაზვინულ კარადებს შორის, მადლობას ვწირავდი ღმერთს, რომ ჩემი ცხოვრება ამგვარ საქაღალდესთან არ იყო დაკავშირებული. რაკი საქმე არაფერი მქონდა, მივყევი სახელების კითხვას: „მაიერი კარლი, შულცე ფრიდრიხი“. უცებ ვკითხულობ: „ბუში ვილჰელმ!“ ეს ჩემი საქმე იყო! წარმოიდგინეთ, რომ იმ წუთიდანვე მე ველარ დავრჩებოდი გულგრილი ამ კარადების მიმართ. იქ იდო ჩემი საქაღალდე. ძალიანაც მინდოდა გადმომეღო იგი და წამეკითხა, რა ეწერა იქ ჩემზე. ვერ გავბედე, მაგრამ აცახცახებული შევყურებდი მას: „ჩემი საქმე“!

და იცით, სწორედ ასევე დამემართა მე იესოს ჯვართან დაკავშირებით. იყო დრო ჩემს ცხოვრებაში, როდესაც არაფერი მეჩვენებოდა ისე მოსაწყენი, როგორც ქრისტიანობა, იმ დღემდე, სანამ პირველად მართლაც არ ვიხილე იესოს ჯვარი: „ეს ხომ მე მეხება! აქ ჩემს დანაშაულსა და ჩემს ხსნაზეა საუბარი“! მას აქეთ იესოს ჯვარი ჩემთვის ყველაზე საინტერესოა. ოჰ, იხილეთ კაცი თავზე ეკლის გვირგვინით! ის – დიდი მხსნელი სიცოცხლისა! იქ, ჯვარზეა თქვენი და ჩემი ხსნა“! ეს გეხებათ თქვენც, თუნდაც ამის შესახებ თქვენ ჯერ კიდევ არაფერი იცოდეთ. ვაი, ძალზე ხმამაღლა ვღაღადებ, ალბათ უფრო წყნარად უნდა მესაუბრა, მაგრამ განა შეიძლება ხსნის შესახებ დამშვიდებით ილაპარაკო?

3. სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ

„ყურადღება! სახიფათოა სიცოცხლისათვის!“ მე მინდა ამ ფრაზას სხვა ასპექტითაც შევხედოთ. ერთხელ მე თითქოს

ჩამებეჭდა: „ყურადღება! საფრთხე! სდექ! ადამიანო, დაბრუნდი! ეძიე შენი მხსნელი!“ მაშინ უცბად გავიფიქრე, რომ ხიფათი მხოლოდ მას შეიძლება შეემთხვეს, ვინც ცოცხალია! თუ ავტობუსი ხრამში გადაიჩეხა და ყველა მგზავრი დაიღუპა, მათ ხიფათი აღარ ემუქრებათ. ხომ გესმით? ახლა კი მე მინდა ეს გითხრათ ამდაგვარად: „თქვენ გელით ხიფათი აღარასოდეს მოუბრუნდეთ სიცოცხლეს, მკვდრებად განვლოთ ცხოვრება და მკვდრებად განშორდეთ ამ სამყაროს“. არ ვიცი, გასაგებად გამოვთქვი კი? მე ვშიშობ, საერთოდ არ დაგისხლტეთ სიცოცხლე. ბიბლია სრულიად ნათლად გვეუბნება: „ვისაც ძე ჰყავს, აქვს სიცოცხლე; ვისაც ძე ღვთისა არა ჰყავს, სიცოცხლე არა აქვს.“ ამ დღეებში მე შევხვდი ერთ ბერლინელ გოგონას, უცხო ენების მასწავლებელს. „მაპატიეთ! – მივმართე მე, – პასტორს აქვს ზოგჯერ უფლება უტაქტო კითხვა დასვას: რამდენი წლისა ბრძანდებით, გოგონი?“ ჩვეულებრივ, არაა მიღებული ახალგაზრდა ქალს ასაკი მოჰკითხო, მაგრამ ხანდაზმულ პასტორს შეიძლება ეს ზოგჯერ ეპატიოს. და გოგონამ მაშინვე უყოყმანოდ მიპასუხა: „8 წლისა ვარ.“- „ერთი წუთით! – გავიკვირვე მე, – 8 წლისა? თქვენ სამ უცხო ენას ასწავლით და 8 წლისა ხართ?“ მან ჩაიცინა და ამიხსნა: „8 წლის წინ მე აღმოვაჩინე იესო. და მხოლოდ იმ დღიდან დაიწყო ჩემი სიცოცხლე, მანამდე კი მე მკვდარი ვიყავი.“ განვცვიფრდი: „რა დიდებულადაა ნათქვამი!“ და მან ასეთი სიტყვები მითხრა: „ვისაც არა ჰყავს ძე ღვთისა, მას არა აქვს სიცოცხლე!“ შემდეგ კი გააგრძელა: „იცით რა, აღრე მე არ მყავდა მაცხოვარი, ჩემი ცხოვრება არ იყო სწორი. მაშინ მე მხოლოდ ფულს ვშოულობდი და ვერთობოდი, მაგრამ ეს არ იყო ცხოვრება!“

განა ეს გაბედული ნათქვამი არაა? ვინც თავისი ნებით არ მინდობია იესოს, მას საერთოდ არ გააჩნია სიცოცხლე. დიახ, იესოს გარეშე ჩვენ არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს ცხოვრებაზე! მხოლოდ, მას, ვისაც ჰყავს ძე ღვთისა, აქვს ცხოვრება!

ამ რამდენიმე წლის წინ მე მომადგა ერთი ყმაწვილი კაცი, და ჩემს შეკითხვაზე – „რა გინდა ჩემგან? – მან მიპასუხა: „მე თვითონ არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ერთი – ცხოვრება, რომელსაც მე ახლა ვეწევი – ცხოვრება კი არა, ტანჯვაწამებაა!“ მე განცვიფრებული ვმსჯელობ: „როგორ? შენ ზეინკალი ხარ და კარგ ფულს შოულობ!“ კი, მაგრამ ეს არ არის ცხოვრება! – შემეპასუხა ყმაწვილი, – ეს ხომ ცხოვრება

არაა! ორშაბათს – ზეინკალი, სამშაბათს – ზეინკალი, ოთხშაბათს – ზეინკალი, ხუთშაბათს – ზეინკალი, პარასკევს – ზეინკალი, შაბათს – ფეხბურთი, კვირას კი – კინო და გოგოები: ეს ხომ ცხოვრება არაა!“ მაშინ მე ვეუბნები: „კი, ყმაწვილო, შენ მართალი ხარ, შენ უკვე პროგრესირების გზას აღგახარ, თუკი გესმის, რომ ეს არ არის ცხოვრება! მე მინდა შენ გითხრა, რა არის ცხოვრება. ჩემს ცხოვრებაში დიდი გადატრიალება მოხდა. მე მიპოვნა იესომ, რომელიც ჩემთვის მოკვდა და აღსდგა. ის გახდა ჩემი მხსნელი და ღმერთთან შემრიგებელი. როცა ეს ცხადად შევიგრძენი, მე გავცოცხლდი!“ ამ ყმაწვილმაც მაშინ მოიპოვა ცხოვრება. ამასწინათ მე ისევ შევხვდი მას ფრაიბურგში. „აბა, – შევეკითხე მე, – როგორაა საქმე? გაქვს ახლა ცხოვრება?“ სახე გაუბრწყინდა და მომიგო: „დიახ, ახლა მე მაქვს ცხოვრება!“ ახლა იგი ენერგიულად ხელმძღვანელობს ახალგაზრდულ წრეს, მოჰყავს ხალხი იესოსთან. მან იესოში ჰპოვა ცხოვრება.

გასაგებია? თქვენ გემუქრებათ ხიფათი, ხელიდან გაუშვათ თქვენი სიცოცხლე იმიტომ, რომ თქვენ შეიძლება მოისმინოთ ქრისტეს შესახებ, მაგრამ ვერასოდეს ვერ იპოვნოთ თქვენი მსხნელი!

მე მყავს მეგობარი, იგი ბიზნესმენია. ამასწინათ ის მოიპატიჟა ერთმა ფაბრიკანტმა, რომელსაც შესანიშნავი ვილა აქვს საუცხოო პარკში. იქ ასობით სტუმარი იყო. საზეიმო ორომტრიალში ჩემი მეგობარი შეეჩეხა პატრონს და ასე უთხრა: „რა ჩინებულად ცხოვრობთ! თქვენ ხელმწიფე ბრძანდებით! ასეთი მამული, უბარმაზარი ფაბრიკა! მშვენიერი მეუღლე! შესანიშნავი ბავშვები!“ მასპინძელმა უპასუხა: „დიახ, თქვენ მართალს ბრძანებთ, მე ჩინებულად ვცხოვრობ, მაგრამ უცბად მოიღუშა და თქვა: „ოღონდ ნუ მკითხავთ, რა ხდება აქ, შიგნით“, და მან გულზე მიიდო ხელი.

როცა ქუჩა-ქუჩა დავხეტიალობ, მე ხშირად ვფიქრობ: „ადამიანები თუნდაც სულ ოდნავ უფრო პატიოსნები რომ იყვნენ, შეჩერდებოდნენ და შეჰკივლებდნენ: „ნუ კითხულობთ, რა ხდება აქ, აქ, ჩემს გულში. იქ არაა მშვიდობა; იქ ცოდვაა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს სულს.“

მხოლოდ ერთს ძალუძს განგვკურნოს ჩვენ. წარმოიდგინეთ! ღმერთი ხედავს ჩვენს უბადრუკ მდგომარეობას. თავად ჩვენ არ შეგვწევს ძალა ღმერთს მივეახლოთ, მაგრამ ის თავისი განუზომელი სიყვარულის გამო ჩამოხდა ჩვენთან იესოს მეშვეობით. სულის შემძვრელია, რაც მე უნდა გა-

უწყოთ: „რამეთუ ესრეთ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე“... მე მას ვერ შევიყვარებდი, მე ნაკუწ-ნაკუწ დავჩეხავდი ამ სამყაროს, რომელიც აღვსილია ჭუჭყით, ბოროტებით და უგუნურებით. მაგრამ ღმერთმა ის შეიყვარა! დაუჯერებელია ეს. „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ“. ერთი მითხარით, რა უნდა მოიმოქმედოს ღმერთმა თქვენთვის ამაზე მეტი? – დათმო ძე თვისი სასიკვდილოდ, რათა თქვენ მოიპოვოთ მარადიული სიცოცხლე!

დასასრულ, მე მინდა მოგითხროთ ერთი საინტერესო ისტორია. ჩარლზ ჰადონ სპერჯენთან, ცნობილ ინგლისელ მქადაგებელთან, მოვიდა ერთხელ ყმაწვილი კაცი და უთხრა: „ბატონო მქადაგებელო, თქვენ მართალი ბრძანდებით, მეც უნდა ვეძიო ის გოლგოთის ტანჯული და გავხდე ღმერთის შვილი. ოდესმე მე მოვინანიებ“. – „ოდესმე?“ – იკითხა სპერჯენმა, – „ხო, ბატონო, მოგვიანებით“. – „მოგვიანებით? და რატომ ახლავე არა?“ ახალგაზრდამ, ოდნავ შემცბარმა, განმარტა: „მე მსურს გადარჩენა და ამიტომ მოვინანიებ ოდესმე იესოს წინაშე, მაგრამ მანამდე მე მინდა ზოგი-რამ შევირგო ამ ცხოვრებიდანაც. სპერჯენმა ხმამაღლა გადაიხარხარა და თქვა: „ყმაწვილო, თქვენ ძალზე მოკრძალებული ყოფილხართ. ის, რომ თქვენ გსურთ ზოგი რამ მიიღოთ ამ ცხოვრებიდან – ეს, მე ვფიქრობ, ძალზე ცოტაა. მე მსურს მქონდეს ცხოვრებიდან არა ზოგი-რამ, მსურს მქონდეს ცხოვრება. ჩემს ბიბლიაში წერია (ამასთან მან წაუკითხა მას ბიბლიიდან): „მე მოვედ, რათა გაქუნდეთ ცხოვრება, და გაქუნდეთ სიუხვით“.

როცა მე ამგვარ ლექციას ვამთავრებ, შეშფოთებული ვარ, რადგან ვფიქრობ: „იქნებ არასწორად გავაშუქე ეს საკითხი!“

ამიტომ ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ გავიმეორო მოკლედ. ღმერთმა ჯვარზე სასიკვდილოდ გაწირა იესო ჩვენს გამო, ჩვენ, დაწყევლილ და დაღუპულ ცოდვილთა გამო, რათა ჩვენ აქ-აქ და ახლავე გვქონდეს ცხოვრება. როცა მე დილით ვიღვიძებ, სიხარულისაგან ვმღერი, რომ მე ღმერთის შვილი ვარ, რადგანა მასშია ჩემი ცხოვრება.

გესმით? იესო მოგვევლინა, რათა ჩვენ უკვე აქ მოვიპოვოთ სიცოცხლე მარადიული, ხოლო მარადისობაში თავი

დავაღწიოთ ღმერთის სამსჯავროს. მაშინ შეგვიძლია ხალისით გავყვეთ ჩვენს გზას.

ნება მომეცით, პატარა მაგალითი მოვიყვანო. ეს იყო ნოემბრის ერთ საღამოს. თოვლნარევი წვიმა მოდიოდა, ქროდა ქარი. ციოდა. ქუჩაში ორი კაცი მოაბიჯებდა. ერთი – ლაბადის გარეშე, საყელოაწეული პიჯაკით. მას სრულიად არ აწუხებს, რომ ძლიერ დასველდა, მისთვის სულ ერთია, საით მიდის, იმიტომ, რომ მას არა აქვს თავშესაფარი! ასე დაეხეტება ამქვეყნად ადამიანების უმეტესობა. მათ არა აქვთ მიზანი. რა ელით მათ? რა სავალალოა – არ გქონდეს მიზანი! უღმერთო ფილოსოფოსი ნიცშე ერთ ლექსში ბრძანებს: „ყვავები ჩხავილით ქალაქისკენ მიფრინავენ, (სულ მალე მოთოვს კიდეც,) და ვაი მას, ვისაც სახლ-კარი არ გააჩნია“. არც თქვენ გაქვთ სახლი მარადიული? მაგრამ აი, ქუჩაში მოდის მეორე მგზავრი. მის გარშემოც იგივე ქარიშხალია, იგივე ტალახი, იგივე წვიმა, იგივე თოვლი. მაგრამ იგი მხნედ მოაბიჯებს, სტვენა-სტვენით მოღიღინე. რატომ? იგი შორიდან ხედავს სინათლეს საკუთარი სახლის ფანჯრებიდან (!) იქ მას მყუდროება ელოდება! სითბო! ეს გზა მის გულს არ ამძიმებს. ასე მიაბიჯებენ ამქვეყნად ადამიანები, რომლებიც იესოს მინდობიან და მასშია მათი ცხოვრება ახლაც და მარადჟამსაც.

ღმერთმა უთხრა ნოეს: „შეეედ შენ კიდობნად!“ მეც ასევე გთხოვთ თქვენ, შეეედ იესოდ.

ის თქვენს ახლოსაა! თქვენ შეგიძლიათ ესაუბროთ მას. გადაუშალეთ მას თქვენი გული. როგორღაც ვიღაცამ მკითხა: „განა თქვენ არა გაქვთ მიღების საათები? „მე მივუგე: „რისთვის? ადამიანებს ხომ არ ჭირდებათ ჩემთან საუბარი. მათ უშუალოდ იესოსთან უნდა ილაპარაკონ!“ და თქვენც ასევე უნდა მოიქცეთ.

მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ?

ჩემო მეგობრებო, მე უამრავ წერილს ვიღებ სხვადასხვა შეკითხვებით. ერთ-ერთ წერილში ასეთი კითხვა იყო: „რასაც თქვენ ქადაგებთ, თქვენი საკუთარი აზრია თუ ეს თქვენი ეკლესიის მოძღვრებაა?“ მე მხოლოდ ასეთი პასუხი მოვახერხე: „ეს არის ბიბლიის მოძღვრება!“ და გავიფიქრე: „მანამ, სანამ თქვენ პასტორ ბუშის აზრებს უგდებთ ყურს, თქვენ მოტყუებულნი ხართ. აქედან ცოტა რამ სარგებლობას თუ ნახავთ. თქვენ უნდა უსმინოთ იესოს ხმას! იესომ თავის თავს მწემსი კეთილი უწოდა. და თქვენ ამ კეთილი მწყემსის ხმას უნდა მიუგდოთ ყური. მე, ჩემი უმწეობის კვალად, მხოლოდ მცირედი სამსახური შემიძლია გაგიწიოთ, რათა იესოს ხმამ, „ჩემი სულის კეთილი მწყემსის“ ხმამ, თქვენამდე მოაღწიოს.

და თუ ახლა ჩვენ ვისაუბრებთ თემაზე – „მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ?“ – მთავარი ისაა, მიენდოთ იესოს, რომ თავად ისაუბროს თქვენთან, რომ თქვენ ყური დაუგდოთ იესოს ხმას.

1. მოიშორეთ თქვენი დრომოჭმული ურწმუნოება

როცა მე წლების მანძილზე მოღვრად ვიყავი ერთ დიდ ქალაქში, ბევრი მეკამათებოდა ბიბლიურ ხარებათა გამო; მე იმდენ დრომოჭმულ ურწმუნოებას შევხვდი, რომ უწინარესად, მინდა გთხოვოთ, თქვენი სულების ხსნისათვის, მოიშორეთ თქვენი ურწმუნოება!

ომის წლებში, გარდა იმისა, რომ ახალგაზრდობის მოძღვრად ვიღვწოდი, რამდენსამე ხანს სულთა მზრუნველიც ვიყავი ერთ დიდ საავადმყოფოში. როგორღაც ერთ-ერთი პალატის კარის წინ ვიდექ და უკვე შესვლას ვაპირებდი, რომ უცებ მომვარდა ახალგაზრდა ექთანი ქალი და მეუბნება: „თუ შეიძლება, ნუ შეხვალთ ამ პალატაში, ბატონო პასტორო!“ – „კი მაგრამ, რატომ?“ – ვეკითხები მე, – „ეს ვაჟბატონი კატეგორიულად წინააღმდეგია, რომ იგი პასტორმა მოინახულოს! მას არამც და არამც არ სურს, რომ თქვენ ის ნახოთ! ის თქვენ გამოგაგდებთ!“ – გამაფრთხილა ექთანმა და თან მიმითითა კარზე მიმაგრებულ ფირფიტაზე, რომელზეც ავადმყოფის გვარი ეწერა. მე წავიკითხე გვარი ერთი

ნაცნობი მეწარმისა, რომელსაც რეკლამის წყალობით ვიცნობდი. „ჩემო დაო, – ვუხსნი მე, – დიდი ხანია მე უკვე რკინის ნერვები მაქვს.“ – და კარზე მივაკაკუნე. „შემობრძანდით!“ – გაისმა ძლიერი მამაკაცის ხმა. შევედი პალატაში. ლოგინში იწვა მოხუცი კაცი ჭაღარა თმით. – „გამარჯობათ! – მივმართე მე, – მე პასტორი ბუში ვარ“. – „ოო, – მომიგო მან, – ბევრი მსმენია თქვენს შესახებ. შეგიძლიათ მომინახულოთ ხოლმე!“ – „ძალიან კარგი!“ – გავიხარე მე. მან კი დაამატა: „მაგრამ თქვენი ქრისტიანობით კი, გთხოვთ, მომეშვათ!“ – „რა უიღბლობაა, – გავუღიმე მე მას, – მე კი სწორედ ამაზე მინდოდა თქვენთან საუბარი!“ – „გამორიცხულია! – მომიშორა მან, – ეს საკითხი ჩემთვის საბოლოოდ გადაწყვეტილია! იცით, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი, როცა ფსალმუნებით მიტენიდნენ თავს, მაგრამ მე შევიმუშავე საკუთარი მსოფლმხედველობა, დაფუძნებული დარვინის, ჰეგელისა და ნიცშეს მოძღვრებაზე!“ აქ მე გავწითლდი (ასე ვიცი, სამწუხაროდ, ადვილად ვლიზიანდები) და შევუტიე: „ყური დამიგდეთ, მოხუცო, ჩემთვის რომ 16 წლის ჭაბუკს ეთქვა, მაგალითად, რომ მან თავის წინასწარმეტყველად ნიცშე აირჩია, მე გავიღიმებდი და ასე ვიფიქრებდი: „გასაგებია, ეს გარდამავალი ასაკია. შენ მალე მიხვდები, რომ თანამედროვე ფილოსოფოსებს უკვე თავადაც აღარ სწამთ თავისი ძველი წინასწარმეტყველებისა! მაგრამ როცა ასეთ რამეს ამბობს ასეთი ხანდაზმული კაცი, რომელიც მარადისობის ზღვარზე დგას, – ეს საშინელებაა! თქვენ ხომ სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფი ხართ. ნუთუ თქვენ გსურთ ღმერთის წინაშეც ასეთი აბდაუბდით წარსდგეთ? როგორ გეკადრებათ!“

იგი გაკვირვებული შემომცქერის. მისთვის ასეთი ტონი სრულიად მოულოდნელი იყო. და მაშინ მე მოვისაზრე: „შეჩერდი! საავადმყოფოში შენ არ შეიძლება აფეთქდე. აქ ხავერდის ფაჩუჩებში დადიან“. და უცებ მე შემიპყრო ღრმა თანაგრძნობამ ამ უბედური მოხუცის მიმართ. მე გადავერთე „პირველ სიჩქარეში“ და, მიუხედავად მისი თავდაპირველი პროტესტისა, დავუწყე საუბარი იესოზე, რომელსაც სურს, იყოს მისი კეთილი მწყემსიც. მან ღრმად ამოიოხრა: „კი, ეს ჩინებული იქნებოდა! მაგრამ რა ვუყო მე ჩემს მსოფლმხედველობას? რა ვქნა: მოვისროლო ყველაფერი ის, რაც მწამდა მთელი ჩემი ცხოვრება?!“ – „რაღა თქმა უნდა! – შევძახე მე სიხარულით, – ჩემო ძვირფასო! მოისროლეთ ყველაფერი ის,

რაც მარადისობის წინაშე თქვენ, სულერთია არ გამოგადგებათ. მოისროლეთ ყველაფერი დღესვე, ნუ გადადებთ ამას სახვალიოდ! სულერთია, თქვენი ძველი ურწმუნოებით არ შეიძლება სწორად იცხოვროთ და სიკვდილის შემდეგ თავი იხსნათ. და მაშინ მიანდეთ თქვენი თავი ძეს ღვთისას, რომელიც თქვენთვის მოკვდა და რომელმაც გიხსნათ თქვენ. ამ მხსნელს სურს იყოს თქვენი მხსნელიც!“ ამ დროს ექთანი ქალი შემოვიდა, გაიკვირვა, ჩვენი ასეთი გულითადი საუბარი რომ მოისმინა და ხელით მანიშნა. მივხვდი, რომ ჩემი წასვლის დრო დადგა. მაგრად ჩამოვართვი ხელი მოხუცებულს და ჩუმად გამოვედი ოთახიდან. არ ვიცი, მიიღო თუ არა მან იესო. ღამით იგი გარდაიცვალა!

იცით, მაშინ მე გამაოცა იმან, რომ განათლებული ხალხიც კი ებღაუჭება ამ ქვეყნად დარვინს, ჰეგელს, ნიცშეს და ასეთი ძველი ურწმუნოების წყალობით მარადიულ ბედნიერებას ართმევენ საკუთარ თავს. ამიტომაც, პირველ ყოვლისა, ამას გთხოვთ თქვენ: მოისროლეთ ყველა თქვენი ძველი თეზისი, რომელთა მიხედვითაც ცდილობთ დაასაბუთოთ თქვენი ურწმუნოება, შორს მათგან! თქვენი ძველი ურწმუნოება გროშკაპიკადაც არა ღირს! ბიბლიაში წერია, ერთია ღმერთი..და ერთი შუამავალი ღმერთსა და კაცთა შორის...

ერთხელ ერთი მამაკაცის წინ ვიჯექი. იცით, სამფრთიანი შკაფისოდენა ჭაბუკი იყო. მე მას გუნებაში ყოველთვის ზოლებიანს ვეძახი, იმიტომ, რომ ზოლებიან პულოვერს ატარებდა, მაგრამ სულ სხვა სახელი ერქვა. მისი ცოლი დაბომბვის დროს დაიღუპა, ორი ვაჟი ომს შეეწირა. საცოდავი კაცი! მე გადავწყვიტე მომენახულებინა იგი. მაგრამ როგორც კი მივუჯექი, მან მაშინვე გამაფრთხილა: „ბატონო პასტორო, ოღონდ მომეშვით თქვენი ქრისტიანობით. მე იმდენი რამ გადავიტანე, რომ აღარაფრის აღარ მჯერა!“ მე გამეცინა და მივმართე: „ვერ წარმომიდგენია ეს! ერთი მითხარით, ბატონო ზოლებიანო, – სინამდვილეში მას სხვა სახელი ერქვა, – თქვენ მგზავრობთ ზოგჯერ მატარებლით?“ – „დიახ“, – მომიგო მან. მე ვეუბნები: „მაშინ თქვენ, უთუოდ, ყოველთვის მიდიხართ მემანქანესთან და თხოვთ, გიჩვენოთ მართვის უფლება!“ – „არა, არა! – მპასუხობს იგი, – ხომ შემიძლია მე, ვერწმუნო რკინიგზის სამმართველოს, რომ მათი მემანქანეები...“ – „როგორ?! – გავიკვირვე მე, – თქვენ შედიხართ ვაგონში ისე, რომ არა ხართ დარწმუნებული, შეუძლია თუ არა ამ ვაჟბატონს ლოკომოტივის წაყვანა?!

ერთი ყური მიგდეთ, ბატონო ზოლებიანო, თუკი ვინმეს ანდობ საკუთარ სიცოცხლეს, ეს ხომ რწმენაა! ნურასოდეს ნუ მეტყვით ამიერიდან: „მე არაფერი არ მჯერა!“ – ასე თქვით: „მე არაფრისა არ მწამს, გარდა სარკინიგზო ლიგისა“. შემდეგ მე ვკითხე მას: „ბატონო ზოლებიანო, დადიხართ თქვენ ზოგჯერ აფთიაქში?“ – „კი, დავდივარ, – მიპასუხა მან, – მე ხშირად მტკივა თავი და აფთიაქში ვყიდულობ შაკიკის საწინააღმდეგო ფხვნილებს. მაგრამ, – ვეუბნები მე, – ბატონო ზოლებიანო, ხანდახან მეაფთიაქე წამლის ნაცვლად, უნებლიედ, შხამს გვაძლევს. თქვენ ხომ წინასწარ, ალბათ, ამოწმებთ ამ ფხვნილებს?“ – „არა, მპასუხობს იგი, – ასეთ გამოცდილ მეაფთიაქეს რაღაც კი გაეგება ამ საქმეში, ხო არ მომატყუებს!“ – „როგორ? – გავიკვირვე მე, – თქვენ შეუმოწმებლად ყლაპავთ წამალს? თქვენ ანდობთ მეაფთიაქეს თქვენს სიცოცხლეს? თქვენ ენდობით მას და ასე მარტივად იღებთ მის წამალს?! აი, ეს არის რწმენა! საყვარელო ბატონო ზოლებიანო, აღარასოდეს მითხრათ: „მე არაფერი არ მწამს!“ მითხარით მხოლოდ, მე არაფერი არ მწამს, გარდა სარკინიგზო ლიგისა და მეაფთიაქისა!“ და ასე გავაგრძელე. გესმით თქვენ? კიდევ ბევრი რამ გაირკვა. დასასრულ, მე მას ვუთხარი: „შეხედეთ, ერთხელ მე ცხოვრებაში შემომხვდა ღმერთის დესპანი, მკვდრეთით აღმდგარი და ხელებზე ნალურსმევი ჭრილობებით, რაც იმის მაუწყებელია, რომ მან მე სიკვდილამდე შემიყვარა. არავის მთელ ქვეყანაზე ჩემთვის იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც იესომ გამიკეთა! არავინ არ არის ისეთი ნდობის ღირსი, როგორც იესო! თქვენ გგონიათ, იესო ოდესმე ცრუობდა?“ – „არა“.

არა, გეთაყვა, ასეთ მოწმობას მე არც ერთ ადამიანს არ მივცემდი – მხოლოდ იესოს! და როცა მე ამაში დავრწმუნდი, ვთქვი: მე მინდა ჩემი ცხოვრება მივანდო იესოს! მაშინ ჩემი თანამოსაუბრე შემეკითხა: ნუთუ ეს ასე მარტივი რამაა? და მე მივუგე: „დიახ, ეს ასე მარტივი რამაა, ბატონო ზოლებიანო. ასე მარტივი! თქვენ გჯერათ ყველა მიმდინარეობისა, ყველაფრისა, რაც არ უნდა იყოს, არ გინდათ ირწმუნოთ მხოლოდ ერთი, რომლისაც ნამდვილად უნდა გწამდეთ! მოისროლეთ თქვენი ურწმუნოების ყველა დრომოჭმული საფუძველი და მიანდეთ თქვენი ცხოვრება, ბატონო ზოლებიანო, მეუფე იესოს!“ ერთხელ ასობით ყმაწვილთა წინაშე მე ვთქვი: „მე ვაწესებ პრემიას – მილიონი მარკის ოდენობით, ვინც მოძებნის კაცს, რომელიც ნანობს, რომ იესო მიიღო

თავის ცხოვრებაში!“ მე არ მქონდა მილიონი მარკა, მაგრამ მშვიდად ვიყავი, რადგან არ არსებობს ადამიანი, რომელიც ამას ნანობდეს. ისეთები კი ბევრი ვიცი, ვინც ნანობდა, რომ ეს არ გააკეთა. ამიტომ – მოეშვით თქვენს დრომოჭმულ ურწმუნოებას! ერწმუნეთ მას, ვინც თქვენთვის გააკეთა ყველაფერი! ეს საქმე მასსა და თქვენს შორის წყდება. ამისთვის საჭიროა განმარტოვდეთ და ჩუმად თქვათ: „მეუფე იესო, ამ დღიდან მე შენ გეკუთვნი!“

2. თქვენ უნდა ბოლო მოუღოთ თქვენს საეჭვო თვითუმწიკვლობას

ბიბლიაში წერია: „მართალ არს და... იესო ქრისტე მოვიდა ქუეყნად ცოდვილთა დასახსნელად“ ბევრი აღშფოთებულია ამ ფრაზით და ასე ამბობს: „მაგრამ მე არა ვარ ცოდვილი! მე დამნაშავე არა ვარ!“ მე ახლა ვპასუხობ მათ: „თქვენ ცრუობთ! ეს თქვენ თავად ღმერთს უნდა უთხრათ მას დღესა: „მე არა ვარ ცოდვილი! მე ვიცავ ყველა შენს მცნებას!“ შეძლებთ თქვენ ამის თქმას? ოხ, მოიშორეთ თქვენი საეჭვო თვითუმწიკვლობა, რომელიც შთაგაგონებთ, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს! პირიქით, ყველაფერი სრულიად არეულდარეულია, ყველაფერი! რამდენიმე წლის წინ მე ვესაუბრებოდი ახალგაზრდა კაცს, ასე ოცი წლისა იქნებოდა, რომელსაც ვერასოდეს ვერ დავივიწყებ. ერთხელ მე შევხვდი მას და ვეუბნები: „ჩემო საყვარელო ჰაინც, მე შენ ვეღარ გხედავ ჩვენს ბიბლიურ მეცადინეობებზე ახალგაზრდების წრეში!“ მან კი ასე მიპასუხა: „იცით რა, ბატონო პასტორო, ამ ხნის განმავლობაში მე ყველაფერი ავწონ-დავწონე. თქვენ გამუდმებით ლაპარაკობთ იესოზე, რომელიც მოკვდა ცოდვილთათვის. მაგრამ მე არ მინდა განტევების ვაცი, რომელიც ქომაგად დამიდგებოდა. თუ კი მე რაიმე ჩავიდინე და თუ ღმერთი არსებობს, მაშინ მეც მის წინაშე ვაგებ ამისთვის პასუხს. სასაცილო არაა განა, მე მჭირდებოდეს ვიღაც მხსნელი, რომელიც ჩემთვის მოკვდა!“ – მე შევეპასუხე: „კარგი, ძვირფასო! ასე რომ, შენ გინდა, წმიდა ღმერთის წინაშე კანონს დაემოწმო. ეს შენ შეგიძლია! შენ შეგიძლია არად ჩააგდო იესო და თქვა: „მე ღმერთის წინაშე კანონს ვეყრდნობი!“ – „მაგრამ, ჩემო ძვირფასო, დაფიქრდი, გეთაყვა: საფრანგეთში ასამართლებენ საფრანგეთის კანონებით, ინგლისში – ინგლისის კანონებით, ხოლო ღმერთის

წინაშე – საღმრთო კანონების მიხედვით! ჩემო კარგო, მე გირჩევ შენ, ნუ დაარღვევ ნურც ერთ კანონს – თუ არა და დაიღუპები! ნახვამდის!“ – „მოითმინეთ, – მომაძახა მან, – კი მაგრამ, საქმეს ასე საგულდაგულოდ ხომ არ გაარჩევენ!“ – ხოო, – შევეპასუხე მე, – როგორ წარმოგიდგენია შენ წმიდა ღმერთი? წარმოიდგინე, რომ მე 50 წელი კარგად და წესიერად ვიცხოვრე, მერე კი ერთხელ, სამ წუთში რაღაც ავწაპნე. ეს გამოირკვა და მე სასამართლოზე მიკრეს თავი. ამგვარად, მე ვდგავარ მოსამართლის წინაშე და ვუხსნი: „ბატონო მოსამართლე, ნუ იქნებით ასე წვრილმანი! 50 პატიოსანი, დაუსჯელი წელი და ქურდობის სამი წუთი, განა შეიძლება შედარება! შეიძლება ასე დაწვრილმანება, ბატონო მოსამართლე?“ შეგიძლია შენ ეს წარმოიდგინო? მაშინ მოსამართლე პასუხობს: „მოითმინეთ! მე არ ვეხები თქვენს 50 პატიოსან წელიწადს, მე ვლაპარაკობ იმ სამი წუთის შესახებ, როდესაც თქვენ ქურდობა ჩაიდინეთ: კანონი თქვენ ამ საქმისათვის გდებთ ბრალს!“ თუ კი ასე იქცევა მიწიერი მსაჯული, ღმერთი ხომ მითუმეტეს! ფიქრობთ, რომ თქვენ უდანაშაულო ხართ ღმერთის წინაშე? ფიქრობთ, რომ არ გჭირდებათ თქვენ ცოდვების მიტევება? ფიქრობთ, რომ თქვენ არა ხართ ცოდვილი? აბა, გადააგდეთ თქვენი საეჭვო თვითუმწიკვლობა და ეძიეთ მეუფე, რომელიც ჯვარზე მოკვდა თქვენი ცოდვების გამო და რომელმაც დაგიხსნათ თქვენ. მიიღეთ იგი, აღიარეთ მის წინაშე თქვენი ცოდვები და უთხარით: „უფალო, მიბოძებია ჩემი თავი და მთელი ჩემი ცოდვები შენთვის! მოიღე ჩემდა შენი წყალობა! განმბანე მე შენი სისხლით!“

3. გადადგით გადამწყვეტი ნაბიჯი

თქვენთვის რომ უფრო გასაგები იყოს, რას ვგულისხმობ მე, კიდევ ერთ ისტორიას მოგითხრობთ. ეს იყო ნაცისტური რაიხის სულ დასაწყის დღეებში, როცა მე საქმე მქონდა ერთერთ მაღალი თანამდებობის, ჩინ-ორდენოსან პირთან. მე შიშითა და გულისფანცქალით მივდიოდი ამ კაცთან, რადგან პასტორები არ სარგებლობდნენ მაშინ ავტორიტეტით და არც თუ მაინცდამაინც წყალობდნენ მათ, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ამ კაცმა არა თუ არ გამომაგდო, თავაზიანადაც კი მომისმინა. როცა საქმე მოთავებული იყო, მე მივმართე მას: „იცით, მე იშვიათად მქონია ასეთი შემ-

თხვევა, რომ თქვენი მსგავსი ადამიანები ასე თავაზიანად მომქცეოდნენ. მე მინდა ამისთვის მადლობა მოგახსენოთ. და თქვენი ასეთი კეთილგანწყობის გამო მინდა დიდი საჩუქარი მოგიძღვნათ. მინდა მოგითხროთ ერთი ამბავი: „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამდე აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ“. მან შემომხედა და მითხრა: „შეგიძლიათ აღარ გააგრძელოთ. ჩემი მშობლები ღვთისმოსავი, მორწმუნე ხალხია, თქვენი გადმონაცემი ჩემთვის სიყმაწვილის დროიდანაა ცნობილი. მაგრამ...“ აქ მან მაგიდაზე დადო ქაღალდის თეთრი მოზრდილი ფურცელი, ხაზი გაავლო შუაში ფანქრით და განაგრძო: „იცით რა, ბატონო პასტორო, მე ყველაფერი ვიცი, მე ისიც ვიცი, რომ თუკი მოვინდომებდი, შევძლებდი გადამელახა საზღვარი იმის მსგავსი, როგორიც ამ ფურცელზე გავავლე, საჭირო იქნებოდა, ნაბიჯი გადამედგა ამ ხაზიდან. მე სულ ახლოს ვდგავარ ამ საზღვართან (ამასთან მან მიუთითა ფურცელზე გავლებულ ხაზზე). და მე უნდა მყოფნოდა გაბედულება, გადამედგა გადამწყვეტი ნაბიჯი!“ შემდეგ კი, რამდენადმე შემცბარმა, დაუმატა: „მაგრამ ამის უფლებას მე არ მაძლევს ჩემი საზოგადოებრივი მდგომარეობა!“ მე ძალზე დანაღვლიანებული წამოვედი. იგი კარგა ხანია ცოცხალი აღარ არის. საზოგადოებრივი მდგომარეობა ვერ იხსნის მის მარადიულ ცხოვრებას! მაგრამ მან შეიგნო: „თუ მე მსურს საღმრთო სამეფო, მე უნდა გადავლახო საზღვარი“.

თქვენ გაქვთ კი საამისო ვაჟკაცობა? ოო, იგი ანაზღაურდება! იესო ხელგაშლილი გელოდებათ თქვენ! გადადგით ეს გაბედული ნაბიჯი, გადალახეთ ზღვარი – მიენდეთ იესოს!

4. უარი თქვით აშკარა ცოდვაზე.

მე ვიცნობ ერთ მამაკაცს, რომელიც თავის მეუღლეს ღალატობს. როცა ეს გამოაშკარავდა, მე ვუთხარი მას: „თქვენ ღალატობთ მეუღლეს! თქვენ აუბედურებთ თქვენს მეუღლეს! თქვენ სამუდამოდ დაიღუპებით!“ მან კი მიპასუხა: „სისულელეა! მე აგიხსნით თქვენ: ჩემს ცოლს ჩემი არ ესმის... “ და მან დამიწყო ახსნა-განმარტება, თუმცა შესანიშნავად იცოდა, რომ სცოდავდა. არიან ადამიანები, რომლებიც გამუდმებით ჩხუბობენ ცხოვრებაში და ამბობენ: „ჩემმა მოწინააღმდეგემ

დაიწყო ჩხუბი“! ჩხუბი საერთოდ მხოლოდ მაშინ ატყდება ხოლმე, როცა მას მეორე მხარე იწყებს. ჯერ არასდროს არც ერთ ადამიანს ჩხუბი თვითონ არ დაუწყია, ასე არაა? ყოველთვის დამწყები მეორე მხარეა. მაგრამ მე მინდა თქვენ გითხრათ, რომ ღმერთის თვალით ჩხუბი მკვლელობაზე უკეთესი როდია! რატომ თქვენ არ წყვეტთ ჩხუბს? „მე რა უნდა ვქნა? – მეკითხებით თქვენ. მე გეტყვით ამაზე: „უარი თქვით აშკარა ცოდვაზე!“

შეჩერდით რაღა და იკითხეთ: „რა არის ჩემს ცხოვრებაში ურიგო? რაზე უნდა ვთქვა, სახელდობრ, უარი?“ ამის განსაზღვრა არ უნდა იყოს თქვენთვის ძნელი! თქვენ გგონიათ, იესო მოწყალებას გაიღებს თქვენთვის, თუ თქვენ ისევ და ისევ შეგნებულად ჩაიდენთ ცოდვას? ბიბლიაში წერია: „შეინანეთ!“ ძე შეცდომილმა უარი თქვა თავის წარსულ ცხოვრებაზე. თქვენ შეგიძლიათ მიეახლოთ იესოს ისეთები, როგორიცა ხართ, დამაშვრალნი და ურწმუნონი. მაგრამ თქვენ უარი უნდა თქვათ ყველაფერზე, რასაც დაღუპვისკენ მიჰყავხართ, ყველაფერზე, რაც ნამდვილად იცით, რომ ეს ცოდვაა.

მრავალრიცხოვან წერილებში, რომლებსაც მე ვიღებ, მუდამ აღშფოთებით მომმართავენ: „თქვენ ძალზე მკაცრად მსჯელობთ! ისა და ისა – სრულიადაც არაა ცოდვა!“ და ხშირად ისეთი რამაა ნახსენები, რაზეც მე კრინტი არ დამიძრავს. ეს მაძლევს მე საფუძველს, დავასკვნა, რომ ჩვენი სინდისი უჯანყდება იესო ქრისტეს მეუფებას ჩვენს ცხოვრებაში. შეიგნეთ, თქვენ ვერ მოიპოვებთ ცოცხალ რწმენას და ვერ შეძლებთ ცხოველი, ცოცხალი რწმენით იცხოვროთ, თუ არ შეგწევთ გამბედაობა, ისე მიანდოთ თქვენი ცხოვრება იესოს, რომ ნამდვილად უარი თქვათ ყველაფერზე, რაზედაც უარი უნდა ითქვას. უარი თქვით აშკარა ცოდვაზე.

5. ისაუბრეთ ღმერთთან!

იცით თქვენ ლოცვა? შეიძლება, თქვენ იცით დაზეპირებული ლექსის ლუღლუღი, მაგრამ ლოცვა? გახსოვდეთ, ბევრს ისეთი წარმოდგენა აქვს ლოცვაზე, მე რომ თავზე თმები მქონდეს, ყალყზე დამიდგებოდა განცვიფრებისგან. ამასწინათ ერთ ოჯახში გახლდით და დედა მეუბნება: „დიახ, ჩვენც კეთილი ქრისტიანები ვართ. მოდი აქ, კლარუნი!“ მიმართავს დედა თავის 4 წლის გოგონას: „შენ ხომ ასე კარგად ლოცულობ, აბა ერთი, უთხარი პასტორს რომელიმე ლოცვა!“ და

ბავშვმა დაიწყო. მაგრამ მე სწრაფად შევაწყვეტინე: „საკმარისია, ნუ მოუყვები ლოცვას პასტორს, ღვთის გულისათვის, გთხოვ, შეწყვიტე! ეს ხომ ლოცვა არ არის! ლოცვა – ცოცხალ ღმერთთან საუბარია, ღმერთთან, რომელიც იესოს სახით გამოგვეცხადა, მისთვის ჩვენი გულის გადაშლაა. შენ უკვე გილოცნია ოდესმე ასე?“

ერთმა ინგლისელმა ეპისკოპოსმა, სახელად რობინზონმა, საშინელი წიგნი დაწერა – „ღმერთი სხვაა“. ამ წიგნში ის ამბობს, რომ თანამედროვე ადამიანს საერთოდ არ შეუძლია ლოცვა. ამას მე, რა თქმა უნდა, ვიზიარებ. მაგრამ ეს ხომ დამოწმებაა არა ლოცვის წინააღმდეგ, არამედ თანამედროვე ადამიანის წინააღმდეგ! ხომ მართალია? ეპისკოპოსს კი სურს, ხელახლა აღზარდოს მთელი ქრისტიანობა, რადგან თანამედროვე ადამიანს აღარ ძალუძს ლოცვა. ამ შემთხვევაში მე ასე ვიტყოდი: „უმჯობესია, დაე, თანამედროვე ადამიანმა თავიდან ისწავლოს ლოცვა!“

სცადეთ ერთხელ და ილოცეთ! თუნდაც უბრალოდ რომ თქვათ: „უფალო, შემეწიე პოვნად შენდა!“ ანდა: „უფალო, მიხსენ მე!“ ანდა: „უფალო, მიმიყვანე მე ჭეშმარიტ რწმენამდე!“ ანდა: „უფალო, შემინდე მე ჩემი ცოდვები!“ მხოლოდ დაიწყეთ! შეუძლებელია, მჭევრმეტყველურად ილოცოთ ერთბაშად. ზოგი პასტორი, შესაძლოა, მჭევრმეტყველებით აღავლენდეს ლოცვას, ხელთ წიგნი რომ უპყრია და დროდადრო რომ ჩახედავს ხოლმე. მაგრამ სრულიადაც არაა აუცილებელი, ჩვენც მჭევრმეტყველებით ვილოცოთ, მთავარია, რომ ჩვენ დავიწყოთ მართლაც საუბარი ცოცხალ ღმერთთან. დაიწყეთ ბარემ, მაშინ ისწავლით თქვენ ლოცვას!

იცოდეთ: რწმენა – ეს არის გულწრფელი დამოკიდებულება ჩემს მეუფესა და ჩემს შორის. და მაშინ საუბრის გარეშე ვერაფერს გავხდებით. ხომ ასეა? მაშინ მე ვსაუბრობ ღმერთთან, ხოლო ის ჩემთან საუბრობს, ამგვარად, მე მივადექი შემდეგ საკითხს.

6. წაიკითხეთ ბიბლია!

როგორღა საუბრობს ღმერთი ადამიანთან? ის საუბრობს ბიბლიის მეშვეობით! ამიტომ აუცილებელია, ვიკითხოთ ბიბლია! „ბიბლიას ახლა აღარავინ აღარ კითხულობს“! – ასე ფიქრობთ თქვენ. დიახ, ასეა, სამწუხაროდ! ერთხელ მე ასეთი განმარტება მოვისმინე. ევანგელური ქრისტიანები რეფორ-

მაციის დღის აღსანიშნავ ზეიმზე ლუთერის ჰიმნს მღერიან – „საიმედო ნავსაყუდელი“. იგი ასე მთავრდება: „დაე, სიტყვა იყოს ხელშეუხებელი“. და აი, ქრისტიანებმა „შემოდეს“ ის წიგნის თაროზე და არ ეკარებიან მას და ფიქრობენ: „აი, ის ძევს კარგად და სწორად!“ მაგრამ ლუთერს ხომ ეს არ ჰქონდა სრულიადაც მხედველობაში.

სხვადასხვა სახლებში რომ შევდივარ, ხშირად მესმის: „კი, ბატონო პასტორო, ჩვენ გვაქვს კიდეც უძველესი ბიბლია, 1722 წლისა, ჩვენი პაპის დედისეული! და გამოაქვთ ჩემთვის წიგნი, რომელსაც აშკარად არავინ არ კითხულობს! მიუხედავად ჩემი დიდი მოწიწებისა ძველი ბიბლიებისადმი, მე გირჩევთ თქვენ: შეიძინეთ პატარა „ახალი აღთქმა“! ზოგი მათგანი ჩემი ხელის მტევნისოდენაც კი არ არის. არსებობს „ახალი აღთქმის“ შესანიშნავი გამოცემები. იყიდეთ თქვენთვის ასეთი თანამედროვე გამოცემა.

შემდეგ კი გამოჰყავით ყოველდღიურად გარკვეული დრო, რათა იკითხოთ ეს წიგნი. და შეისმინეთ! თქვენ ხომ თვით იესო გესაუბრებათ!

შესაძლოა, ისეთი აღგილები შეგხვდეთ, რომ ვერაფერი გაიგოთ, მაგრამ მშვიდად გააგრძელეთ კითხვა. ჩემს ახალგაზრდებს მე მუდამ ასე ვუხსნი: „ერთმა ბრაზილიელმა ფერმერმა მიამბო, რომ, როცა ის ბრაზილიაში ჩავიდა, მას გამოუყვეს მიწის ნაკვეთი, რომელიც უღრანი ტყით იყო დაფარული. მას მოუხდა ხეების მოჭრა, კუნძების ამოძირკვა და ქვების ალაგება. და აი, დადგა დღე, როცა მან შეაბა ორი ხარი და დაიწყო ხვნა. მაგრამ სამი ნაბიჯიც არ ჰქოდა გადადგმული, რომ გუთანი მიწაში გაეჩხირა. რა ჰქნა ფერმერმა? წავიდა შინ, აიღო დინამიტი და ააფეთქა ქვები. გუთანთან და ხარებთან ერთად? არა! მან შემოუარა გუთნით ქვებს და გააგრძელა ხვნა. როცა მოამთავრა, ყველაფერი ძალზე საცოდავად გამოიყურებოდა. მაგრამ ფერმერმა დათესა და ზოგი რამ მოიმკო. მომდევნო წელს საქმე რამდენადმე უკეთ წაუვიდა. კვლავ საჭირო გახდა კუნძების ამოძირკვა, მაგრამ უკეთესობა აშკარა იყო. მესამე მოხვნისას კი საქმე მთლად კარგად წარიმართა.

ასე უნდა იკითხოთ თქვენ ბიბლია. ოღონდ დაიწყეთ ბარემ! თუ რაიმეს ვერ გაიგებთ, გამოტოვეთ ეს აღგილი. ოღონდ გააგრძელეთ! და, აი, „ახალი აღთქმის“ პირველსავე თავებში შეგხვდებათ სიტყვა, რომელიც ღაღადებს: „იესომ... იხსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან“. თქვენ იტყვით: „ეს

გასაგებია ჩემთვის! ეს მაწყობს მე!“ ამგვარად, ნება მიეცით ღმერთს, გესაუბროთ თქვენ ბიბლიის მეშვეობით! ყოველ-ღღიურად გამონახეთ დრო საღმრთო სიტყვისათვის! ამასთან შეევედრეთ: უფალო! განმანათლე მე! შემეწიე, რათა გავიგო! განმინათლე მე გული, გონება, სული!“

და კიდევ, მინდა დავამატო: ნურავის მისცემთ ნებას, შთაგაგონოთ ბიბლიისადმი უნდობლობა! ბიბლია – შესანიშნავი წიგნია! არ არსებობს ბიბლიაზე უფრო აქტუალური და ამაღელვებელი წიგნი!

პირველ მსოფლიო ომში მე, ახალგაზრდა ჯარისკაცი, ერთხელ დასაზვერად გამიშვეს. საღამოხანი იყო. შებინდდა. მე ხევის პირას ვიჯექი. უცებ ბინდბუნდში შევნიშნე – შორს მტრის საველე სამზარეულო მორახრახებს. ჩვენ არც კი წარმოგვედგინა, რომ ამ გზაზე გავლა შეიძლებოდა. მაგრამ ამ საველე სამზარეულომ, რომელიც არ დაელოდა დაღამებას, გვაუწყა ჩვენ მტრის ბანაკში მისადგომი. თუკი იქ გავლა შეუძლია საველე სამზარეულოს, იქვე გაივლის ქვეითი ჯარიც და კოლონებიც საომარი აღჭურვილობით. ესაა მტრისკენ მიმავალი გზა! რა გავაკეთეთ ჩვენ? იქნებ ჩვენ გადავწყვიტეთ დაგვეზოგა ეს გზა და არავითარ შემთხვევაში არ აგვეტეხა სროლა? პირიქით: სწორედ ამ მიმართულებით არ შეგვიწყვეტია ცეცხლი მთელი ღამე! დამერწმუნეთ! ბიბლია ის მისადგომია, სურსათისა და საომარი აღჭურვილობის ტრანსპორტირების ის გზაა, ის საღმრთო გზაა, რომელსაც ქრისტიანთა განმტკიცებისაკენ მივყავართ. ეშმაკი კი იმდენად გაქნილია, რომ ამ საღმრთო გზას უშენს ცეცხლს. და ვიღაც სულელი ბიჭი აგდებულად ამბობს: „ვახ, რა წიგნია!“ ყველაზე ჭკვიანი პროფესორები კი ამტკიცებენ, რომ ბიბლია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის ხელის ქმნილებაა. გესმით? ამაში ყველა ერთსულოვანია: გადამღობი ცეცხლი ბიბლიაზე! მაგრამ თუ თქვენ გინდათ ღვთისშვილობა, გინდათ ხსნა, მაშინ ნუ მიაქცევთ ამას ყურადღებას. ნურავის მისცემთ ნებას, შთაგაგონოთ ბიბლიისადმი უნდობლობა! ბიბლია გვეუბნება, რომ იგი დაწერილია იმ ადამიანების ხელით, რომლებიც შთაგონებული და ნათელცხებული იყვნენ სულიწმიდისაგან. და თუ თქვენ ბიბლიის კითხვას შეუდგებით, სულ მალე შენიშნავთ, რომ მასში სხვა ღვთაებრივი სულია.

ერთხელ მე ვიღაცამ შემომჩივლა: „ჩემთვის საღმრთო წერილი სრულიად მკვდარია. მე ძალიანაც მინდა ხსნა, მაგრამ მისი სიტყვა მე არაფერს მეუბნება“. ჩემი პასუხი ასე-

თი იყო: „შესთხოვეთ ღმერთს სულიწმიდა! შესთხოვეთ, თუ საჭიროა, ყოველდღე წლის მეოთხედის მანძილზე: უფალო, მომმადლე მე სულიწმიდა, რათა შევიცნო სიტყუა შენი, რათა მე გავცოცხლდე რწმენით! დამერწმუნეთ, ღმერთი სრულიად გარკვეულ პასუხს გაგცემთ!“

ახლა კი საბოლოოდ, რაც მინდა გითხრათ:

7. შეეფარვეთ სიტყუას ღმერთისას

მიდით იქ, სადაც თქვენ შეძლებთ მოისმინოთ წმიდა სიტყუა ღმერთისა! მე ახლავე მინდა გითხრათ, რომ დღეს არსებობს კათედრები, საიდანაც ქადაგებენ „განზავებულ“ ევანგელეს. მე იქ არ წავიდოდი, რადგან მე მაინტერესებს ევანგელეს საამო სასმელი და არა რაღაცგვარი სუროგატი! თქვენ უმალ მიხვდებით: გიქადაგებენ თქვენ საამო ევანგელურ ამბავს თუ არა. ყველგან არიან პასტორები, მქადაგებელნი, ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ გვაუწყონ ევანგელე. მაგრამ თქვენ დადექით ღვთიური სიტყვის თაღებქვეშ! დადექით იმათ გვერდზე, ვისაც სურს მისი მოსმენა ნებისმიერ გარემოებაში. ამასწინათ ვიღაცამ მითხრა: „იცით, მე ინდივიდუალისტი ვარ!“ ამაზე მე მხოლოდ ასეთი პასუხი მაქვს: „თქვენ ვერ გაძლებთ ცოცხალი რწმენის წიაღ, თუ თქვენ არ გექნებათ ურთიერთობა ქრისტიანებთან, თუ თქვენ არ წარსდგებით იქ, სადაც იქადაგება სიტყვა ღმერთისა!“

დასასრულ, მე მინდა გიამბოთ ერთ ხანშიშესულ მანდილოსანზე, რომელიც ერთხელ გავიცანი. ერთმა ახალგაზრდა კაცმა მითხრა როგორღაც: „თუ შეიძლება, არ მოყვეთ ახლა ისტორია მოხუცი ქალბატონის შესახებ!“ მაგრამ, რას იზამთ, ასეთები არიან ეს ახალგაზრდები! ჩემს ცხოვრებაში კი ამ ქალმა დიდი როლი ითამაშა. სხვადასხვა დროს მე შევხვდი სამ ინჟინერს, რომლებმაც ამ ქალბატონის მეშვეობით ირწმუნეს იესო ქრისტე. მე შევიტყვე, რომ ეს ქალი უზარმაზარ ძალას გამოსცემდა და მე ის მოვძებნე. იგი ერთი მეშახტის ქვრივი გახლდათ. მან გაიხარა ჩემს დანახვაზე და მიამბო, როგორ აღიარა რწმენა. ის ცხოვრობდა ქალაქის გარეუბანში, რომელიც ამჟამად ესენსაა შერწყმული. ერთხელ მას წაუკითხავს გაზეთში, რომ წმ. პავლეს ეკლესიაში წარმოდგენილი იქნება ორი ახალი პასტორი. და მან ამცნო თავის მეგობარ ქალებს: „ეს ყოველთვის დიდი ამბავია ესენში. მოდით, წავიდეთ იქ!“ ისინი გაუდგნენ გზას ესენისაკენ. მანძილი

წმ. პავლეს ეკლესიამდე დიდი იყო. როცა მათ ეკლესიას მიაღწიეს, უზარმაზარი შენობა სავსე იყო ხალხით. ისინი სულ უკანა რიგებში აღმოჩნდნენ. და, აი, გამოჩნდა ერთი პასტორი – იულიუს დამმანი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ესენში. ქალბატონი მიყვებოდა: „იულიუს დამმანი პირველად შედგა კათედრაზე და წაიკითხა შემდეგი სიტყვები: „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ.“ შემდეგ იგი წინ გადმოიხარა და ბრძანა: „ბიბლიის ასობით ათასი სიტყვიდან არც ერთის ისე არ მეშინია, როგორც სიტყვისა „წარწყმედა“. შეიძლება სამუდამოდ წარწყმდე, თუ ღმერთს არ ერწმუნე. ეს კი – ჯოჯოხეთია!“ მე მაშინ ყმაწვილი ქალი ვიყავ და უზარმაზარ ეკლესიაში ვიდექი გამოსასვლელის სიახლოვეს. მეტი მე არაფერი გამიგია. მეხივით დამატყდა თავს: მეც ხომ წარწყმედილი ვარ! მეც ხომ არა მაქვს მშვიდობა ღმერთთან! არც ჩემთვის მიუტევებიათ ხომ ცოდვები! მე არა ვარ ღმერთის შვილი, მე წარწყმედილი ვარ! ვბრუნდებოდი სახლისკენ, როგორც სიზმარში; სამი დღის შემდეგ მამამ მკითხა: „შენ რა, ავადა ხარ?“ – იგი შეეცადა ყველაფერი აეხსნა მშობლებისათვის. – „შენ ჭკუიდან გადასულხარ! შენ ნერვები გაქვს დაავადებული!“ – ვერავის გააგებინა მან მაშინ თავისი მომაკვდინებელი შიში: „მე წარწყმედილი ვარ!“ მე გისურვებთ თქვენ ყველა სიკეთეს და, მიუხედავად ამისა, უფრო კი, სწორედ ამიტომ, გისურვებთ თავად განგეცადოთ ისეთი რამ, რომ შეიგრძნოთ სულიწმიდის ქმედება და შეიცნოთ, რას ნიშნავს ეს: „მე წარწყმედილი ვარ!“ შემდეგ მან გააგრძელა: „ოთხი კვირა დავეხეტებოდი ისე, რომ არაფრის თავი არ მქონდა. და, აი, მე ამოვიკითხე, რომ პასტორი დამმანი ისევ იქადაგებს. და ისევ გავიქეცი ესენში. მთელი გზა ვლოცულობდი. მხოლოდ ერთი ლოცვა გავიხსენე, მხოლოდ ერთი ლექსი ჰიმნიდან:

„მხოლოდ ერთს შეგთხოვ, უფალო, შენ:
მასწავლე როგორ შეგიცნო შენ!“

ამ ლოცვას იმეორებდა იგი მთელი გზა. და აი, მიაღწია წმ. პავლეს ეკლესიამდე. დამმანი ქადაგებს. ტევა არ არის. იგი ამჯერადაც ვერ პოულობს ადგილს, და იძულებულია, ისევ

უკანა რიგებში ჩადგეს. ის კიდევ ერთხელ წარმოსთქვამს: „მხოლოდ ერთს შეგთხოვ, უფალო, შენ: მასწავლე როგორ შეგიცნო შენ!“ შემდეგ გაისმა გალობა. გალობდნენ სწორედ ამ ჰიმნს: „მხოლოდ ერთს შეგთხოვ, უფალო, შენ“. ქალი სახტად დარჩა. ასე იფიქრა: „თუ ყველა ერთად ამას ლოცვად ღაღადებს, რაღაც უნდა მოხდეს ხომ!“ შემდეგ პასტორი კათედრაზე შედგა და დაიწყო ტექსტის კითხვა იოანეს სახარებიდან: „იესო ჰრქუა მათ: მე ვარ კარი, ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხოვნდეს.“ იგი მიამბობდა: „ახლა მე მეორედ ვიყავი ეკლესიაში და ისევ არაფერი მესმოდა, გარდა ამ სიტყვისა, რადგან იმ წუთებში ჩემთვის ცხადი გახდა: იესო აღდგომილი – კარია ცხოვრებაში შესასვლელი! და მე შევაღე ეს კარი. მე მეტი არაფერი მესმოდა ამ ქადაგებიდან, მაგრამ ჩემთვის ეს საკმარისი იყო, მე შევაღე კარი ცხოვრებისა“!

მე ხშირად ვყვები ამ ისტორიას, როცა ვხვდები ადამიანებს, რომლებიც ამბობენ: „ოხ, მე ეკლესიაში არ დავდივარ! მე ვერ ვიტან ამ ჰაერს. უმჯობესია, შევიდე ფოთლოვან ტყეში, სადაც ჩიტები ყღურტულებენ და ხეები შრიალებენ“. მე კი ვპასუხობ: „ეს ქალი ვერასდროს ვერ ეზიარებოდა ცოცხალ რწმენას, ღმერთის სიტყვის მოსასმენად რომ არ წასულიყო!“

აბა, როგორ მოვიქცეთ? გადააგდეთ თქვენი მოძველებული ურწმუნოება! გადააგდეთ თქვენი საეჭვო თვითუბიწობა! გადადგით გადამწყვეტი ნაბიჯი! მოიშორეთ აშკარა ცოდვა! ისაუბრეთ ღმერთთან! დაეწაფეთ ბიბლიას! შეეფარვეთ სიტყვას ღმერთისას!

მე უნდა პასუხი გამეცა კითხვაზე: „აბა, როგორ მოვიქცეთ?“ – ჩემი პასუხები, ვფიქრობ, საფუძვლიანი იყო, მაგრამ, დასასრულ, მე მინდა კიდევ ერთხელ მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა უმთავრესზე.

არსებითად გადამწყვეტი ის კი არაა, რასაც ჩვენ მოვიმოქმედებთ, რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს ეს. მთავარი ისაა, რაც ღმერთმა მოიმოქმედა ჩვენთვის იესოს მეშვეობით! ესაა სწორედ ის ნეტარი ამბავი, რაც თქვენ უნდა გაუწყოთ მე: „იესომ მოიმოქმედა ყველაფერი ყველასათვის! ის შთამოვიდა ჩვენთან. მან გვაცხოვნა ჩვენ. ის ჩვენთვის დგას ღმერთის მარჯვნივ. ის არის მწყემსი კეთილი, რომელიც გადაგებულია თავის ცხოვართათვის. მეფსალმუნე 23-ე ფსალმუნში გვიდასტურებს: „უფალო – მწყემსო ჩემო,...“ და შემ-

დეგ ის ჩამოთვლის უამრავ რამეს, რასაც მისთვის ქმედობს მწყემსი კეთილი. ჩემი სურვილია, თქვენც გქონდეთ უფლება თქვათ: „უფალო – მწყემსო ჩემო!“

რატომ სდუმს ღმერთი?

ამქვეყნად ბევრი საშინელება ხდება.

თუ არ ვცდები, ეს იყო 1937 წელს: ესენის ქუჩებში ვსეირნობდი და ერთი 16 წლის ჭაბუკი შემომხვდა, ძალზე დამწუხრებული. მე ვიცნობდი მას, ახალგაზრდებთან რომ ვმუშაობდი, იქიდან, და შევეკითხე: „რა დაგემართა? მან მიპასუხა: „მე ძალდატანებით მომათავსეს საავადმყოფოში და სტერილიზება ჩამიტარეს იმიტომ, რომ დედაჩემი ებრაელია. ხოლო როცა შინ დავბრუნდი, ჩემი მშობლები აღარ დამხვდნენ“. იმას იქით მას ისინი აღარ უნახავს. მამა დააპატიმრეს. დედა საკონცენტრაციო ბანაკში გაისტუმრეს აუშვიცში! ერთადერთი, რაც მე შევძელი, ჭაბუკი ჰოლანდიაში გავამგზავრე. იქიდან ის ამერიკაში მოხვდა. მაგრამ მე არასოდეს დამავიწყდება ამ გზააბნეული ყმაწვილის სახე: „მე ძალდატანებით მომათავსეს საავადმყოფოში და სტერილიზება ჩამიტარეს, იმიტომ, რომ დედაჩემი ებრაელია. ხოლო, როცა შინ დავბრუნდი, ჩემი მშობლები აღარ დამხვდნენ“. ასეთი შემთხვევა მილიონობით იყო! და მაშინ ჩნდება კითხვები: „და ღმერთი! სადაა ღმერთი? რატომ სდუმს ღმერთი?“

დიდი გერმანელი პოეტის ფრიდრიხ შილერის ცნობილ ლექსში – „ოდა სიხარულზე“ არის ასეთი სტრიქონი: „ძმებო, იმ ვარსკვლავთმიღმა მხარეში ცოცხლობს ჩვენი მოყვარული მამა!“ მაგრამ თანამედროვე ადამიანს ურჩევნია თქვას: „ძმებო, იმ ვარსკვლავთმიღმა მხარეში მკვდარია ჩვენი მოყვარული მამა!“

ვისაც მოუვა თავში კითხვები – „სადაა ღმერთი? რატომ უნდა დაუშვას მან ეს? რატომ სდუმს იგი ასეთი საშინელი ამბების გამო?“ – მას ალბათ გაუჩნდება სახიფათო აზრი: „იქნებ, ღმერთი საერთოდ არ არსებობს? იქნებ, ზეცად არც არავინაა?! იქნებ, ათეიზმი მაინც ჭეშმარიტებაა?!“ ჩემო მეგობრებო, ვისაც ამგვარი აზრები უჩნდება, უნდა შეძრწუნდეს: განა საშინელება არ იქნებოდა, ღმერთი რომ მართლაც არ არსებულიყო? მაშინ ხომ ჩვენ – ადამიანები, ჩვენ – მხეცები ერთი ერთზე ვიქნებოდით მიტოვებულნი. მაშინ ჩვენ ვიქნებოდით გზააბნეული ბავშვივით, რომელსაც ვერ გაუგნია გზა სახლისაკენ. არ არის ღმერთი? ეს თვალბედითად ჟღერს. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რას ნიშნავს ეს! ეს ცარიელი სიტყვებია! ჩვენ ჩვენსავე თავს ვეკუთვნით!

ჩვენ ერთი ერთზე ვართ ერთმანეთთან! არავინაა ისე საშიში ადამიანისათვის, როგორც თავად ადამიანი, ასე არაა? რომაელებს ჰქონდათ გამოთქმა: „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“. საშინელებაა!

მე ვერც კი გეტყვით, რა ხშირად მომმართავენ მე, როგორც პასტორს, კითხვით: „როგორ უნდა დაუშვას ეს ღმერთმა? რატომ პასუხობს ის ყოველივე ამაზე დუმილით?“ და რაკი ასე ხშირად მეკითხებიან, მე მინდა ახლა პასუხი გავცე ამ კითხვას.

მაგრამ წინასწარ უნდა განვაცხადო: მე არა ვარ ღმერთის პირადი მდივანი. მას არ გაუნდია ჩემთვის თავისი გეგმები და არ უკარნახია სტენოგრამები. გამიგეთ? უკვე თავისთავად დიდი სისულელეა საკითხის ასე დაყენება, თითქოს ჩვენ ძალგვიძს ღმერთის გაგება. ღმერთი, რომლის გაგებასაც მე შევძლებდი, უკიდურეს შემთხვევაში, უნდა ყოფილიყო წინამძღვარი ანდა სუპერინტენდანტი. მათი მე კიდევ შემიძლია გავიგო. მაგრამ ის, ვისაც მე მართლაც შემეძლება გავუგო, არ შეიძლება ღმერთი იყოს. ერთგან ბიბლიაში ღმერთი ამბობს: „ჩემი ზრახვანი არაა თქვენი ზრახვანი...“

ეს მეტად დამაჯერებელია, მაგრამ მაინც, მე ზოგი რამ ვისწავლე ბიბლიიდან და მინდა, შეძლებისდაკვალად, პასუხი გავცე ამ კითხვაზე: „რატომ სდუმს ღმერთი?“

1. საკითხის ასე დაყენება ძირშივე მცდარია

ჯერ ერთი, უნდა გითხრათ, რომ კითხვა – „რატომ სდუმს ღმერთი?“, არასწორადაა დასმული. სახელდობრ, იგი ისეა დასმული, თითქოს სასამართლო სხდომათა დარბაზში მსაჯულთა სავარძლებში ზის ქალბატონი შულცე, თუ პასტორი ბუში, ხოლო განსასჯელის სკამზე – ღმერთი. და ჩვენ ვამბობთ: „მსჯავრდებულო ღმერთო, აბა, როგორ იქცევით? რატომ სდუმხართ?“ მე მინდა თქვენ სავსებით ნათლად გითხრათ: „არ არსებობს ღმერთი, რომელიც ნებას მოგვცემდა ჩვენ მოსამართლედ დავმსხდარიყავით სავარძელში, თვითონ კი განსასჯელის სკამზე დაბრძანდებოდა!“

მაგონდება ერთი უცნაური სცენა, იმდროინდელი, როცა სულ ახალგაზრდა პასტორი ვიყავი. მე, 27 წლისა, ახალი ჩასული ვარ ესენში, სადაც მეშახტეთა გაფიცვის გამო ყველა აღელვებულია.

ერთხელ დიდ მოედანზე აღმოვჩნდი. ვხედავ ვიღაც მამაკაცი ყუთზე შემდგარა და ხმამაღლა მიმართავს ხალხს, რომელიც მის გარშემოა თავმოყრილი. იგი ლაპარაკობს დამშეულ ბავშვებზე, დაბალ ხელფასებზე და უმუშევრობაზე. უცებ თვალი მომკრა მე, მიცნო და შეჰყვირა: „აი, პასტორიც! აბა ერთი, აქეთ მობრძანდი!“ ჩვეულებრივ, მე არ გავურბივარ თავაზიან მიპატიჟებას. ამჯერადაც მივუახლოვდი შეჯგუფებულ ბრბოს. გზა დამითმეს და ორატორის წინ აღმოვჩნდი. გარშემო დაახლოებით ასამდე მეშახტეს მოეყარა თავი. როგორღაც უხერხულად ვარ. უნივერსიტეტში ამგვარი სიტუაციისათვის არ მოვუმზადებივართ. ორატორმა დაიწყო: „ერთი ყური დამიგდეთ, პასტორო! თუ ღმერთი არსებობს, რაც მე არ ვიცი, მაგრამ შესაძლოა, ის არის, მაშინ, როცა მოვკვდები – წარვსდგები მის წინაშე და ვეტყვი, – და მან შეჰკივლა: „რატომ დაუშვი შენ, აეკუწათ ადამიანები ბრძოლის ველზე? რატომ დაუშვი, შიმშილით დახოცილიყვნენ ბავშვები მაშინ, როცა სხვები, იმდენი ჰქონდათ, ჰყრიდნენ კიდეც საჭმელს? რატომ დაუშვი შენ, კიბოს დაეჩაგრა ადამიანები? რატომ?! რატომ?!“ და კიდევ ამას გეტყვი: „დაიკარგე აქედან! მიბრძანდი! შორს ჩვენგან!“ ასე ყვიროდა ეს კაცი... და აი, აქ მეც შევძახე: „სავსებით მართალია, შორს ჩვენგან ასეთი ღმერთი! შორს ჩვენგან ასეთი ღმერთი!“ ირგვლივ ყველა ჩაჩუმდა, ორატორი განცვიფრებულია: „ერთი წუთით! კი, მაგრამ თქვენ ხომ პასტორი ბრძანდებით! თქვენ ხომ არ შეგფერით იყვიროთ – შორს ჩვენგან ასეთი ღმერთი!“ მაშინ მე ვუპასუხე: „ყური დამიგდე! ასეთი ღმერთი, რომლის წინაშეც შენ ასე გამოდიხარ, რომლის წინაშეც შენ ბედავ პირი დააღო, ასეთი ღმერთი, რომელმაც ანგარიში უნდა ჩაგაბაროს შენ, როგორც განსასჯელმა მსაჯულს – ასეთი ღმერთი მხოლოდ შენს წარმოსახვაში არსებობს. ასეთებს მეც შემიძლია ვუთხრა: შორს ჩვენგან ასეთი ღმერთი! შორს ჩვენგან ასეთი ტუტუცი ღმერთი, რომელიც ჩვენმა თანამედროვეობამ შექმნა თავისთვის, რომელიც შეგვიძლია, საჭიროებისამებრ, გავკიცხოთ, გავაგდოთ თუ ისევ მოვიხმოთ! ასეთი ღმერთი არ არსებობს! მაგრამ მე სხვა რამ მინდა გითხრა ახლა: არსებობს სხვა ჭეშმარიტი ღმერთი. მის წინაშე შენ წარსდგები, ვითარცა ბრალდებული, და მაშინ შენ კრინტსაც ვერ დაძრავ, რამეთუ გკითხავს ის: „რატომ ამ მომაგებდი პატივს? რატომ არ მომიხმობდი მე? რატომ ცხოვრობდი უწმინდურებაში? რატომ ცრუობდი? რატომ გძულდა? რატომ ჩხუ-

ბობდი? რატომ...?“ ასეთ კითხვებს დაგისვამს ის, და მაშინ შენ ყელში გაგეჩხირება სიტყვები! და ათასი კითხვიდან ვერცერთზე ვერ გასცემ პასუხს! არ არსებობს ისეთი ღმერთი, რომელსაც შეიძლება მივმართოთ: „მოშორდი ჩვენგან!“ მაგრამ არსებობს წმიდა, ცოცხალი, ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც ერთხელაც იქნება გვეტყვის ჩვენ: „განვედით ჩემგან!“ მე მინდა თქვენც გითხრათ: თუ თქვენ გესმით, რომ ადამიანები კიცხავენ ღმერთს: როგორ დაუშვა ღმერთმა ესა და ეს, რატომ სდუმს ღმერთი? – მიმართეთ მათ: „თუ ჩვენ შეგვეძლებოდა ბრალი დაგვედო ღმერთისათვის, ეს იქნებოდა ტუტუცი, გამოგონილი ღმერთი! არსებობს მხოლოდ ერთი წმინდა ღმერთი, რომელიც ჩვენ გვდებს ბრალს, თქვენ და მე!“ იცავდით თქვენ ღვთის მცნებებს? როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ? ღმერთი მკაცრად ითხოვს თავისი მცნებების აღსრულებას. ჩვენ ვართ ბრალდებულნი და არა ღმერთი!

ეს პირველი, რაც მინდოდა მთელი სიცხადით მეთქვა თქვენთვის: ძირშივე მცდარია საკითხის ასე დაყენება.

ახლა კი მეორე.

2. ღმერთის დუმილი – მისი განაჩენია

„რატომ სდუმს ღმერთი?“ დიახ, ღმერთი ხშირად სდუმს, და ღმერთის დუმილი – ყველაზე მკაცრი განაჩენია ჩვენთვის!

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჯოჯოხეთი არსებობს. მაგრამ ის აშკარად არაა ისეთი, როგორიც სურათებზეა გამოხატული ხშირად – ეშმაკის სახით, რომელიც ცეცხლზე სწვავს სულებს და სხვა რაღაც სისულელეები. ჯოჯოხეთი მე წარმომიდგენია ისეთ ვითარებად, როდესაც ღმერთს ადამიანებისათვის აღარაფერი აქვს სათქმელი, მათ ძახილს, მათ ლოცვას, მათ ყვირილს ღმერთი აღარ გამოეხმაურება! რუსმა მწერალმა დოსტოევსკიმ ერთხელ თქვა: „ჯოჯოხეთი – ეს ის ადგილია, რომელსაც ღმერთი აღარ უყურებს წყალობის თვალით“, ის ადგილია, სადაც ჩვენ ნამდვილად მიტოვებული ვართ მისგან. დიახ, ღმერთის დუმილი – ეს მისი განაჩენია. ამგვარად, ჯოჯოხეთი იწყება უკვე ამ ცხოვრებაში, როდესაც ღმერთი სდუმს.

ამასთან დაკავშირებით მე მინდა მოგითხროთ ერთი ისტორია ბიბლიიდან. ერთ დროს არსებობდა ორი ქალაქი – სოდომი და გომორა, მაღალი კულტურის ქალაქები დახვეწილი ცივილიზაციით. აქ ღმერთს არ უარყოფდნენ, იყვნენ

აქ, შესაძლოა, პასტორებიც, ვიღაც საცოდავი ტიპები. მაგრამ ღმერთს უბრალოდ არ იღებდნენ სერიოზულად. შეიძლება, ქორწილებსა და დასაფლავებებზე კიდეც მიმართავდნენ ღმერთს, მაგრამ ყველა სხვა შემთხვევაში ღმერთი მათ არ სჭირდებოდათ. არად აგდებდნენ ყველა მის მცნებას. სოდომში ცხოვრობდა ერთი წმიდანი, სახელად ლოტი. დროდადრო იგი იმეორებდა: „არ შეიძლება ასე მოვეპყრათ ღმერთს! ნუ მოტყუვდებით, ღმერთი გაკიცხული არ არსებობს! ადამიანი რასაც დასთესს, იმას მოიმკის!“ – „ახ, – პასუხობდნენ მას სხვები – ნუ ოხუნჯობ! შენ ხომ პასტორი არა ხარ! ნუ როშავ რაღაც სისულელეს, იმის თაობაზე,თუ რას დასთესს ადამიანი და რას მოიმკის!“ მაგრამ, აი, ერთხელ, გამთენიას, ღმერთმა ამ ქალაქებს თავს დაატეხა ზეციდან გოგირდოვანი წვიმა და ცეცხლი. რას ნიშნავს ეს, ჩვენ გამოვცადეთ სამხედრო დაბომბვის დროს. მაგრამ ღმერთს შეუძლია ეს თვითმფრინავების გარეშე მოიმოქმედოს. წარმომიდგენია, როგორ წამოცვივდა ხალხი ლოგინებიდან და როგორ გაჰყვიროდნენ: „სარდაფებში!“ მაგრამ სარდაფში ისეთი სიცხე დგება, როგორც ღუმელში. უკვე შეუძლებელია ამის ატანა. გაისმის ახალი შეძახილები: „გასასვლელისკენ“! და გაცვივდნენ გარეთ. მაგრამ გარეთ ყველგან ცეცხლისა და გოგირდის წვიმა ასხამს. უმწეო ხალხი: გარეთ გამოსვლა არ შეუძლიათ, სარდაფებში კი ნამდვილად ამოიხუთებიან. ამაზე მოგვითხრობს ბიბლია. მე წარმოვიდგინე ნაირგვარი ბრბო ერთადშეყრილი ადამიანებისა: მაღალი წრის ახალგაზრდა ქალი, რომელიც აქამდე სრულიად გულგრილი იყო ღმერთის მიმართ, თვლიდა რა მას ერთგვარ კეთილ კაცად; ასაკოვანი მამაკაცი, რომელიც გემოზე ცნობდა რაგინდარა მარკის ღვინოს. არც მას ჰქონდა რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა ღმერთთან, მაგრამ მის მიმართ სრულიად გულგრილი იყო. ასეთი ტიპები იყვნენ ერთად იქ, სარდაფში: სანდომიანი, წესიერი ადამიანები, პატიოსანი მოქალაქეები, წესიერი გადასახადის გადამხდელნი. ყველას მათ თავისი ბნელი საიდუმლოებები ჰქონდა, ისევე როგორც ახლაც ყოველ ადამიანს. სარდაფში სულ უფრო მატულობს სიცხე. მათ უნდათ იქიდან ამოძრომა, მაგრამ არ შეუძლიათ, რადგან ირგვლივ სიკვდილი მძვინვარებს. მაშინ მათ საშინელი შიში იპყრობთ. უცბად ჩასუქებული ვაჟბატონი ამბობს: ხალხო, ლოტი კი მართალი ყოფილა, ღმერთი ნამდვილად არსებობს. ერთი საკმაოდ ელეგანტური ახალგაზრდა ქალი კი ამბობს: მაშინ

მხოლოდ ერთი თუ გვიშველის – უნდა ვილოცოთ ახლა! მაგრამ ვის ძალუძს ლოცვა?! და აი, ზემოთ ხელები (ძველად ხელებაპყრობილი ლოცულობდნენ), ხელები რომელიც აქამდე არასოდეს არ აღმართულან. უცებ გაისმის: „უფალო, შეგვიწყალე! ჩვენ შევცოდეთ! ჩვენ არად ჩაგაგდეთ შენ! შეისმინე ჩვენი, გთხოვთ! შენ ხომ ღმერთი ხარ მოყვარული, შენ ხომ შემწყნარებელი ხარ! უფალო, შეგვიწყალე!“ მაგრამ ღმერთი სდუმს! ისმის მხოლოდ ცეცხლის გუგუნი და ტკაცატკუცი, მაშინ ზეაღმართული ხელები ძირს ეშვება და მუშტად იკვრება: „ღმერთო! რატომ სდუმხარ?!“ მაგრამ სრული დუმილია! ისმის მხოლოდ ცეცხლის გუგუნი. მათ შეუძლიათ ახლა ლოცვა, ლანძღვა-გინება – ღმერთი უკვე დადუმებულია!

არსებობს ზღვარი, რომლის იქით გადაბიჯება არც ერთ ადამიანს, არც ერთ ქალაქს, არც ერთ ხალხს არ ძალუძს – ზღვარი გულგრილობისა ღმერთის მიმართ. აქედან მოყოლებული ღმერთს მეტი აღარ ესმის, ანდა აღარ პასუხობს ის! მაშინ მათ შეუძლიათ ლოცვა, ლანძღვა-გინება – ღმერთი მათ პასუხს აღარ გასცემს. გესმით თქვენ, რომ ეს დუმილი ღმერთის უმკაცრესი განაჩენი იყო სოდომის თავზე. ბიბლიაში წერია ღმერთის შესახებ: „მე მოგიწოდით თქუენ, ხოლო თქუენ არა გამეცით ხმაჲ.“ რატომ სდუმხარ შენ, ადამიანო, როცა ღმერთი გიხმობს შენ?

ამგვარად: ღმერთის დუმილი ღმერთის ყველაზე საშინელი განაჩენია!

მესამე, რაც მე მინდა თქვენ გითხრათ:

3. დიდი მანძილი აქვეითებს სმენადობას

თუ ჩვენ ვამჩნევთ, რომ ღმერთი სდუმს, მაშინ ჩვენ, შესაძლოა, ძალზე შორსა ვართ მისგან.

ამასწინათ მე მომადგა ერთი ყმაწვილი კაცი და მეუბნება: „პასტორო ბუშო, თქვენ მე მანერვიულებთ! თქვენ გამუდმებით ლაპარაკობთ ღმერთზე. გვხვდებით გზად და თქვენ მაშინვე იწყებთ საუბარს ღმერთის შესახებ. მე ღმერთის არც მესმის და ვერც ვხედავ მას. როგორღა საუბრობს ის? მე არაფერი მესმის“. მე ვუპასუხე მას: „ყმაწვილო, იცით თქვენ ისტორია უძღები შვილის შესახებ! – „ასე, დაახლოებით!“ – მომიგო მან. – „ასე, დაახლოებით“ – ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ არაფერი არ იცით მასზე. მე გი-

ამბობთ თქვენ ამ ისტორიას, რომელიც თავად იესომ მოგვითხრო. ერთ მდიდარ კაცს ორი ვაჟი ჰყავდა. ერთი მათგანი ცოტა ქარაფშუტა იყო. სახლში იგი ძალზე ვიწროდ გრძნობდა თავს, თანამედროვეობასთან ძალზე შეუფერებლად, ასე ცხოვრება მას უბრალოდ არ აწყობდა. ერთ მშვენიერ დღეს მან მამას განუცხადა: „მომეცი მე კუთვნილი წილი ქონებისა.“, უკვე ახლავე გადამიხადე ჩემი წილი, მე მინდა მოვიარო ქვეყნიერებაო. მამამ მისცა მას, რაც ეკუთვნოდა, და იგი გაემგზავრა. შემდეგ მასზე ნათქვამია: „.... და გაფლანგა თავისი ქონება თავაშვებული ცხოვრებით..“ თქვენთვის ეს, რა თქმა უნდა, გასაგებია – დიდ ქალაქში ფულების ფანტვა ადვილი საქმეა. და ამას, თითქოს განზრახ, ემატება კიდევ უმუშევრობა და შიმშილი. გამოუვალი მდგომარეობა აიძულებს მას ხელი მიჰყოს მეღორეობას. ისრაელში ღორი უწმინდურ ცხოველად ითვლებოდა. ისრაელელისთვის მეღორეობა ყველაზე მძიმე რამ იყო, რაც კი შეიძლებოდა შემთხვეოდა. მაგრამ რაკი იმხანად შიმშილობა მძვინვარებდა, ჭაბუკი იმ ნარჩენებითაც კმაყოფილი იყო, რასაც ღორების ვარცლში პოულობდა. მამის ხმას იგი იქ ვერ გაიგებდა – ძალზე შორს იმყოფებოდა მისგან. უძღებ შვილს შეეძლო ეთქვა: „მე არ მესმის მამაჩემის ხმა“. და ეს ნათელია. რა თქმა უნდა მას არ ესმოდა მამის ხმა! ნება მომეცით, ზოგი რამ დავუმატო ამ ისტორიას, თუმცა ბიბლიაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. აი, ზის ლტოლვილი ბიჭი ღორების გვერდით. შიმშილი კლავს მას, და იგი მამამისს სდებს ბრალს: „როგორ ითმენს ის, რომ ასე ვიტანჯები!“ ასე წარმომიდგენია მე ჩვენი თანამედროვე ქვეყნიერება. მან ზურგი შეაქცია ღმერთს, მაგრამ, აი, როცა მის თავზე უბედურება ტრიალებს, იგი გაჰკივის: „როგორ უნდა დაუშვას ეს ღმერთმა? რატომ სდუმს ის?!“ მაგრამ იესო სხვაგვარად აგრძელებს უძღები შვილის ისტორიას: მის ცხოვრებაში დგება ჟამი, როცა ის თითქოს ჭკუაზე მოვიდა: „მამაჩემთან რამდენ მოჯამაგირეს პური თავსაყრელი აქვს, მე კი შიმშილით ვკვდები., ავდგები, წავალ მამაჩემთან და ვეტყვი: „შევცოდე ზეცის წინააღმდეგ და შენს წინაშე.“ იგი დგება და ბრუნდება! მამა შორიდანვე შეიცნობს მას და შესახვედრად გარბის. უძღები შვილი კი ეუბნება მას: „მამა, ... ღირსი აღარა ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე!“ მამა გულში იხუტებს შვილს და ბრძანებს, მოუტანონ მას საუკეთესო ტანისამოსი, ფეხსაცმელი და ბეჭედი. ახლა შვილს ესმის მამის ხმა. „თუკი თქვენ არ გესმით ხმა

ღმრთისა, ე. ი. თქვენ შორსა ხართ მისგან! თქვენ უნდა მოექცეთ. თქვენ ეს შესანიშნავად იცით!“ – ვუთხარი მე იმ ახალგაზრდას.

ადამიანი შეიძლება ძალზე შორს იყოს ღმერთისაგან, სახეობრივად რომ გამოვხატოთ, იმ მანძილზეც კი, რითაც ღორია ღმერთისგან, როგორც ეს უძღებ შვილს შეემთხვა. პირველი მსოფლიო ომის წლებში, ღმერთისგან უმაღლესი განდგომის ჟამს, როცა მე ლეიტენანტი ვიყავი, უკვე ვიცოდი და გამუდმებით ვფიქრობდი: „ბოლოსდაბოლოს, მე უნდა მოვექცე!“ არასდროს არ შემხვედრია მე ადამიანი, რომელსაც, არსებითად, არ სცოდნოდა, რომ მას სჭირდება მოქცევა. ერთმა თავდაჯერებულმა ქალბატონმა გამანდო ერთხელ: „მე ყველაფერი რიგზე მაქვს!“ მაგრამ როცა ჩვენი მუსაიფი გაგრძელდა, მან აღიარა: დიახ, რა თქმა უნდა, მე უნდა მოვექციო! ჩემი ცხოვრების მანძილზე მე ბევრი ცოდვა ჩამიდენია. კაცმა რომ თქვას, ჩემი გული სრულიად გაქვავებულია!“

ყოველმა ჩვენგანმა იცის: „მე ხომ უნდა მოვექცე!“ თქვენ რატომ არ გინდათ ეს? მაშ, შემობრუნდით, მოექეცით, მაშინ თქვენც გაიგონებთ მამაღმერთის ხმას!

მე უნდა გადავიდე საკითხის „რატომ სდუმს ღმერთი?“ – შემდეგ პუნქტზე.

4. ჩვენ უნდა გავიგონოთ ღმერთის საბოლოო სიტყვა

შეგიძლიათ კიდევ მისმინოთ? თუ მოგაბეზრეთ თავი? თუ მოგწყინდათ, ეს ჩემი ბრალია და არა- სახარებისა. პასტორს შეუძლია სახარება მოსაწყენ წიგნად აქციოს, მას შესწევს ამის უნარი. მაგრამ მაშინ იკითხეთ სახარება ჩვენს გარეშე. სახარება სულის შემძვრელია, დამერწმუნეთ მე!

ის, რისი თქმაც ახლა მე მსურს, უმთავრესია: თუ თქვენ გრძნობთ, რომ ღმერთი სდუმს, თქვენ უნდა მოისმინოთ ღმერთის საბოლოო სიტყვა! მაშ, ასე, მე მოვიყვან ბიბლიიდან ერთ ციტატას, რომელიც იმდენად ვრცელია, რომ ალბათ კიდევ ერთხელ უნდა გამემეორებინა თქვენთვის. იგი პავლე მოციქულის ეპისტოლეს – ებრაელთა მიმართ – პირველ თავშია: „მრავლით კერძო და მრავლით სახით, მაშინვე ღმერთი ეტყოდა მამათა წინაჲსწარმეტყველთა მიერ, ხოლო უკანასკნელთა ამათ დღეთა მეტყოდა ჩუენ ძისა მიერ თვი-

სისა“. იცით კი თქვენ, ვინ არის ეს ძე ღმერთისა? ეს არის იესო!

იესო! კვლავ მივადექი ჩემს საყვარელ თემას. ჩემი გული უფრო გამალებით ძგერს, როცა იესოზე ვიწყებ საუბარს. ეს იესო იქმნა ხორცშესხმული სიტყუა ღმერთისა, როგორც ერთხელ უწოდეს მას: „და სიტყუაჲ იგი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩუენ შორის“. გასაგებია თქვენთვის: თუ ჩვენ სიტყვა დავძარით, იგი მაშინვე აქროლდება როგორც ორთქლი. ღმერთმა ერთი თავისი სიტყვათაგანი ხორცად გარდაქმნა – იესოდ. იესო ღმერთის საბოლოო სიტყვაა!

ცნობილია თქვენთვის გამოთქმა: „ჩემი საბოლოო სიტყვა“? ვთქვათ, მე მინდა მოგყიდოთ თქვენ ძროხა. ნუ გეშინიათ, ეს არ მოხდება! მე არაფერი გამეგება ამ საქმეში. მაგრამ დავუშვათ, რომ მე მსურს თქვენ ძროხა მოგყიდოთ. რა ღირს ძროხა? მე არ ვიცი. ვთქვათ, 1000 მარკა. თქვენ ამბობთ: „მე მოგცემთ 300 მარკას, მეტს არა!“ მაგრამ მე გიხსნით, რომ ამ ძროხაში მე ფაქტიურად უნდა ამეღო 1200 მარკა. მაშინ თქვენ მთავაზობთ 400 მარკას. მე არ მაწყობს: მე მეკუთვნის 1100 მარკა და ჩვენ ასე ვაგრძელებთ ვაჭრობას, ვიდრე მე არ ვიტყვი: „მაშ, ასე, 800 მარკა – ეს ჩემი საბოლოო სიტყვაა!“ და თუ მე სიტყვის კაცი ვარ, მორჩა და გათავდა – ასევე გადაწყდება. იესო ღმერთის საბოლოო სიტყვაა! თუ კი თქვენ მას არ მიიღებთ, მაშინ ღმერთს აღარაფერი აქვს თქვენთვის სათქმელი. გაიგეთ? თუ ადამიანებს აღელვებთ ის, რომ ღმერთი მათ არ ესაუბრება, რომ ის სდუმს, მაშინ მე ვპასუხობ მათ: ღმერთს მეტი არაფერი აქვს თქვენთვის სათქმელი, რამეთუ თქვენ არ გინდათ მიიღოთ მისი საბოლოო სიტყვა, თქვენ უნდა მიიღოთ იესო! სხვაგვარად არაფერი გამოვა!

მე ხშირად ვხვდები ადამიანებს, რომლებიც მეუბნებიან: „მეც მწამს ღმერთი. მაგრამ იესო?“ გაიგეთ, იესო-ხორცშესხმული, საბოლოო სიტყვაა ღმერთისა, ჩუენდა მიმართ. თუ რას ნიშნავს ეს, ამას ქვემოთ მოგახსენებთ. მაგრამ საამისოდ მე უნდა ზოგი რამ მოგითხროთ იესოზე. მე კი არაფერს ისეთი ხალისით არ ვაკეთებ, როგორც ამას.

აი, იესოს გარშემო ხალხია შეჯგუფული. ის ესაუბრება მათ. უცებ უკანა რიგებში რაღაც ალიაქოთი ატყდა. – ლაპარაკი, შეშფოთება. იესო წყვეტს საუბარს: „რა მოხდა?“ მოხდა კი რაღაც საშინელება: მობრძანდა კეთროვანი. და იცით თქვენ, რა არის კეთრი? ადამიანი ცოცხლივ იხრწნება. ეს

შემმზარავია: დაჩირქებული ყურები, ცხვირი, ტუჩები. კეთრი ისეთი გადამდებია, რომ ჰაერითაც შეიძლება გადაგედოთ. ამიტომ კეთრით დაავადებულთ უდაბნოში უნდა ეცხოვრათ. მათ ეკრძალებოდათ ხალხში გამოსვლა. და უცებ ასეთი კეთროვანი ადამიანების წრეში აღმოჩნდა! მას ესმის იესოს შესახებ, მას განუსაზღვრელი სურვილი ექაჩება, მე მინდა დავინახო იესო. და აი, ის მოდის. ხალხი გზას უთმობს მას, თავს არიდებს და გაჰკივის, ეი, შენ, წადი აქედან, თავი თუ არ მოგბეზრებია! მოშორდი! ბევრმა ქვებს დაავლო ხელი და ემუქრებიან. მაგრამ იგი არ ტყდება. მე თითქოს ვხედავ როგორ მიიწ-მოიწია აღშფოთებული ხალხი და როგორ უახლოვდება კეთროვანი იესოს. არა, ის არ დგას იესოს წინ, ის მტვერში განრთხმულა მის ფეხებთან და თვალცრემლიანი უმხელს მაცხოვარს თავის უბედურებას: „უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალგიც გაწმედა ჩემი.“ დამთავრდა ჩემი ცხოვრება, იესო, თუ შენ გინდა, შენ შეგიძლია განმწმინდო; მიშველე მეო. იცით, ადამიანი თავისი გაუბედურებული ცხოვრებით და მაცხოვარი, ძე ღმერთისა, უცილოდ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს! ეს ასე უნდა იყოს: ჩვენი უბედურება უნდა წარსდგეს იესოს წინაშე! ეხ, როგორ მინდა, რომ თქვენ უარი თქვათ ყველაფერზე, რასაც თქვენ „ოდნავ რელიგიურს“ უწოდებთ და იესოს ეახლოთ თქვენი უბედურებით. და, აი, წევს ის კეთროვანი იესოს წინ: „თუ შენ გინდა, შენ შეგიძლია ჩემი განწმენდა!“ აქ ხდება, მე მეჩვენება, რაღაც ისეთი შესანიშნაობა, რისი გამოთქმაც ძნელია. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იესო ერთი ნაბიჯით უკან გადგებოდა ამ დანგრეული ადამიანისგან და იტყოდა: „ჰო, კარგი! აღსდექი! განიწმინდე!“ მაგრამ არა, ის სხვაგვარად იქცევა. იესო მიეახლა მას და ხელები მოავლო დასახიჩრებულ თავზე! ხალხმა შიშით ყვირილი მორთო: „კეთროვანს ხომ არ შეიძლება მიეკარო!“ ბიბლია გადმოგვცემს: „და მიყო ხელი თვისი იესო, შეახო მას და ჰრქუა: მნებავს, განიწმიდენ. და მეყსეულად განიწმინდა კეთროვანებისაგან“. არავითარი სისაძაგლე არ ეზიზღება იესოს! არავითარი უბედურება არ არის მისთვის ძლიერ დიდი! ის თავისი ხელებით ეხება კეთროვანს! მე რომ სხვა ვილჰელმ ბუში ვიყო – მხატვარი, ასე დავხატავდი ამას: იესოს ხელები კეთროვანის დაშლილ, ნახევრად გახრწნილ სახეზე. ასეთია იესო – დროის სასწაული, და თუ ახლა აქ არის ადამიანი, რომელსაც ყველა გაურბის, იესო ხელით ეხება მას და ბრძანებს „მე შეგინანე შენ, შენ – ჩემი ხარ“!

თუ აქ ვინმეა ისეთი, ვისაც ცოდვის კეთროვნება ტანჯავს, იესო ხელით ეხება მას და ბრძანებს: „განიწმინდე!“ იესოს სახით ღვთაებრივი სიყვარული მთელი სისავსით შთამოდის ჩვენში, ჩვენს გაჭირვებაში, ჩვენს ცოდვებში, ჩვენს უწმინდურობაში, ჩვენს ავადმყოფობაში! იესო ხორცშესხმული სიტყვაა ღმერთისა. და აღამიანი მაინც ბედავს და ამბობს: „რატომ სდუმს ღმერთი?“ განა არ ლაპარაკობდა, ამგვარად, ღმერთი საკმაოდ ცხადლივ და დიდებულად? განა ეს ღმერთის მეტყველება არაა?!

და აი, ერთხელ ეს იესო ჯვარზე გააკრეს: ლურსმნებით მიაჭედეს მისი ხელ-ფეხი. შემდეგ ჯვარი აღმართეს. გარშემო ხალხის ბრბო მძვინვარებს. რომაელი მეომრები ხალხს აკავებენ. წავიდეთ, შევუერთდეთ ამ ბრბოს და ჩვენც დავდგეთ ჯვრის ქვეშ! აბა, შეხედეთ მას – გოლგოთის წამებულს! შუბლი, სისხლში მოსვრილი და იარებით დასერილი, დაცინვის ნიშნად ეკლის გვირგვინით შემოჭდობილი, დიდ ტანჯვას გამოხატავს. შეხედეთ მას! შეეკითხეთ მას: „რატომ ხარ აქ გადმოკიდებული?“ და ის თქვენ გიპასუხებთ: „იმიტომ, რომ შენ დანაშაული ჩაიდინე ღმერთის წინაშე. ან შენ ჯოჯოხეთში მოხვდები ამ შენი დანაშაულით, ან მე აქ გავისტუმრებ შენს ვალს. ვიღაც უნდა დაისაჯოს! მე მინდა ეს შენს მაგიერ ჩემს თავზე ავიღო. ირწმუნე ჩემი ამიერიდან!“

როცა მე, ჯერ კიდევ ყმაწვილმა კაცმა გავაცნობიერე, რომ მან – ამ კრავმა, თავად იკისრა მთელი ქვეყნიერების ცოდვები, მათ შორის ჩემიც (აქ ამხსნა მე მან ჩემი დანაშაული, აქ შემარიგა მან ღმერთთან, აქ გადაიხადა მან ჩემი ვალი, გამომისყიდა რა ღმერთის წინაშე), მაშინ მე მოვიტანე ჩემი გული ჯვართან და ვთქვი: „სხვას ვის უნდა მივუძღვნა მე ჩემი თავი //ო, მეუფეო, ჯვარზე სისხლდაცლილო //, თუ არა შენ, ვის სამსხვერპლოზე დავდო ხორცი ჩემი, სისხლიც, გულიც – მთლად ყოველივე“.

იესო კლდეში გამოკაფულ კუბოში ჩაასვენეს. მოზრდილი ქვის ფილა არმართეს შესასვლელთან. მცველები დააყენეს რომაელ ჯარისკაცთაგან. და მესამე დღეს, გამთენიას, ინათა, თითქოს შორიახლოს ატომური ყუმბარა აფეთქდა, ისე განათდა, რომ მეომრები – მაგარი ბიჭები და არა ისტერიული ქალწულები – მკვდრებივით დაცვივდნენ. უკანასკნელ, რაც მათ იხილეს – ეს იყო იესოს დიდებული ზეაღსვლა კუბოდან.

მე ზღაპარს არ გიყვებით. მე გიამბობთ თქვენ ამას იმიტომ, რომ ვიცი – იესო მკვდრეთით აღსდგა. ის იესო, რომელმაც თქვენთვის დადო თავი – ცოცხალია! ის გიხმობთ თქვენ, ის, უკანასკნელი სიტყვაა ღმერთისა! მიიღებთ თუ არა თქვენ მას – ეს არის თქვენი ცხოვრების ძირითადი საკითხი!

„რატომ სდუმს ღმერთი?“ ღმერთი სრულიადაც არ სდუმს, მეგობრებო. ის ხომ ლაპარაკობს. მისი სიტყვაა „იესო“! ეს კი ნიშანავს: სიყვარული, მადლი, წყალობა!

ჩემი ცხოვრების მანძილზე მე საშინელი წუთები გადამიტანია – ნაცისტურ სატუსაღოებში და დაბომბვის დროს. მახსენდება ერთი ყველაზე შემზარავი მომენტი. საშინელმა შიშმა ამიტანა, როცა ერთ-ერთი დაბომბვის დროს რომელიღაც ეზოში შემიყვანეს. ჩემს გარშემო 80-მდე გვამი ეგდო, თავშესაფრიდან გადმოტანილი. უნდა გითხრათ, რომ ამგვარი შემზარავი სურათები მე ბრძოლის ველზეც მინახავს, პირველ მსოფლიო ომში. მაგრამ ეს კიდევ უფრო მეტი საშინელება იყო. ეზოში ეყარა არა ჯარისკაცები, არამედ მოხუცები, ნაჯაფარი ქალები და ბავშვები, პატარები, ხანგრძლივი ომის მანძილზე ჩამომხმარნი. ბავშვები! რა საერთო ჰქონდათ მათ ამ გიჟურ ომთან? და როცა მე ამ მრავალრიცხოვან გვამებს შორის ვიდექი, საშინელებასთან პირისპირ, მარტოდმარტო ამ სამარისებურ სიჩუმეში, ჩემი გული გაჰკიოდა: „ო, ღმერთო ჩემო, სადა ხარ შენ? რატომ სდუმხარ შენ?“ და უცებ გამახსენდა ბიბლიის სიტყვები: „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძე თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას“. როგორც ჩანს, თავად ღმერთმა გამომიგზავნა მე ეს სიტყვები ამ სასოწარკვეთილების ჟამს. მე უცბად თვალწინ წარმომიდგა გოლგოთის ჯვარი, რომელზედაც ძე ღმერთისა სისხლისგან დაიწრიტა ჩვენს გამო!

მე არ მესმის ღმერთისა. მე არ მესმის, რატომ უნდა დაუშვას ღმერთმა ბევრი რამ ამდაგვარი. მაგრამ არსებობს სიგნალი, ნიშანი, ძეგლი მისი სიყვარულისა. და ეს – იესოს ჯვარია. „ის, ვინც საკუთარი ძე არ დაინდო, არამედ გასწირა ჩვენთვის, ... განა მასთან ერთად ყოველივეს არ გვაჩუქებს?“ – ასე ამბობს პავლე მოციქული. და ასეც არის ეს: როცა მე იესოს ჯვართან მშვიდობას ვპოვებ ღმერთთანა, მაშინ ჩემთვის არავითარი სხვა კითხვა აღარ არსებობს.

როცა ჩემი ბავშვები ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, მათ ყველაფერი როდი ესმოდათ, რასაც მე ვაკეთებდი, მაგრამ ისინი მენდობოდნენ მე: „მამა ყველფერს სწორად გააკეთებს!“ როცა მე იესოს ჯვართან მშვიდობას ვპოვებ ღმერთთან, როცა მე ღმერთის შვილად ვგრძნობ თავს, მაშინ მეც მინდობილ ვარ მამასა ზეცათასა: ის ყველაფერს სწორად აკეთებს. და მე არავითარი საკითხები არ მებადება. თავი და თავი ისაა, რომ თქვენ შეიცნოთ და შეითვისოთ ეს უკანასკნელი სიტყუა ღმრთისა – იესო!

თუ არ დაგღალეთ, ხუთი წუთი კიდევ მინდა ყური დამიგდოთ. მინდა გითხრათ კიდევ ზოგი მეტად მნიშვნელოვანი რამ.

5. ღმერთის დუმილი შეიძლება მოწოდებად შემოგვიბრუნდეს

შესაძლოა საათობით დისკუსია იმის თაობაზე, რატომ უშვებს ღმერთი ამასა თუ იმას, მაგრამ საკითხი მაინც მუდამ ნამდვილად აქტუალური და მძაფრი ხდება, როგორც კი იგი პირადად შენ გეხება. ასე არაა? ჩემი ცხოვრების საზარელ, შავბნელ დღეებში მე მხოლოდ იესოს ჯვრის სიახლოვეს მეუფლებოდა იმედის ნაპერწკალი.

ამასწინათ ერთმა ახალგაზრდა გოგონამ, დიდად გულგატეხილმა, მითხრა: „მე სიცოცხლე აღარ მინდა!“ არ ვიცი, რა მდგომარეობაში ხართ თქვენ, მაგრამ თუ თქვენი ცხოვრება მძიმეა, მე ასე გეტყოდით: „საქმე ისაა, რომ თქვენ სვამთ კითხვას: „რატომ? რატომ?“ უნდა გეკითხათ კი: „რისთვის?“ ამასთან დაკავშირებით, დასასრულ, მე მინდა მოგახსენოთ შემდეგი.

ამ რამდენიმე ათეული წლის წინ მე პასტორი ვიყავი მეშახტეთა ერთ ოლქში, სადაც საშინელი საქმეები ხდებოდა. ერთხელ მე შევიტყვე, რომ რომელიღაც მუშაკაცს უბედურება შეემთხვა – ქვის ლოდი დაეცა წელზე, წაერთვა ქვედატანი და გამოჯანმრთელების არავითარი იმედი არ იყო. საშინელებაა! მე მოვინახულე დაზარალებული, შემზარავი სურათი დამხვდა. ეს იყო ყველაზე თავზარდამცემი ვიზიტი, რომელიც კი მე ოდესმე მქონია. ოთახი მეშახტეებით იყო სავსე. მაგიდაზე არყის ბოთლები იდგა. პარალიზებული თავის საგორებელ ეტლში იჯდა. როგორც კი შევედი ოთახში, საშინელი კივილი გაისმა: „შენ, შავო ყვავო, არ შემოხვიდე!

სად იყო შენი ღმერთი, როცა მე ქვა დამეცა წელზე! რატომ სდუმს ღმერთი?“ ამას მოჰყვა ლანძღვა-გინება. ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო! მე სიტყვა ვერ დავძარი და გამოვედი. ამ ოლქის მეშახტეებს შორის რამდენიმე მეგობარი მყავდა. მეორე საღამოს, ვიწრო წრეში, მე მოვუყევი მათ ჩემი ვიზიტის შესახებ. ერთი კვირის თავზე, ის-ის იყო საუბარი უნდა დამეწყო ჩვენს ვიწრო წრეში, ბრახა-ბრუხით გაიღო კარი და ეტლი შემოგორდა. დამბლადაცემულ მეშახტეს მეგობრებმა გაუარეს და ჩვენს შეკრებაზე მოიყვანეს. არც კი ვიცი, დიდი დრო დასჭირდათ თუ არა მის დასათანხმებლად. მე მგონი, – არა. და, აი, იგი ჩემს წინაშე აღმოჩნდა. მე მაშინ ვსაუბრობდი თემაზე: „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე“, იმისთვის კი არა, რომ ჩვენ აქ კეთილად ვიცხოვროთ, არამედ იმისთვის, „ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას“. მე ვლაპარაკობდი იესოზე – უკანასკნელ სიტყვაზე ღმერთისა, რომელიც ჩვენ უნდა ვისმინოთ, და განვაგრძე: „... რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს.“ ეს კაცი კი მისმენდა! პირველად ესმოდა მას იესოს შესახებ! და უცებ მან იხილა ნათელი. ერთი სიტყვით, წლის მეოთხედი დროის შემდეგ იგი იესოს საუფლოში აღმოჩნდა. მე არც კი შემიძლია გადმოგცეთ, როგორ გადასხვაფერდა ამ კაცის მთელი ცხოვრება, მოწესრიგდა მისი საცხოვრებელი. იქ, სადაც ადრე ლანძღვა-გინება ისმოდა, ახლა იესოს საგალობლები ჟღერდა. აღარ ჩანდნენ ძველი მეგობრები, სამაგიეროდ მოდიოდნენ ახლები. გაქრა არყის ბოთლები, მაგიდაზე ბიბლია იდო. ამას მე ვერასოდეს დავიივიწყებ. ამ კაცს მეტად ნაზი სახელი ერქვა – ამზელ. არ მიწყენს იგი, რომ მის სახელს ვახსენებ – ის ახლა უკვე მარადისობაშია. „ამზელ, – შევეკითხე მე, – როგორაა საქმე“ – „ახ, – მომიგო მან – მას შემდეგ, რაც ჩემი ცხოვრება იესოს ეკუთვნის, მას შემდეგ, რაც მომიტევეს ჩემი ცოდვები, მას შემდეგ, რაც მე ღმერთის შვილი გავხდი, მას შემდეგ ჩემს სახლში, – აქ იგი წუთით ჩაფიქრდა და განაგრძო: ყოველი დღე თითქოს შობისწინა დღეა“. ხომ მართლაც შესანიშნავადაა ნათქვამი მეშახტისაგან? შემდეგ კი მოაყოლა დაუვიწყარი სიტყვები: „ბუშ! მე ჩქარა მოვკვდები, მე ვგრძნობ ამას.“ ჩვენ „შენობით“ ვესაუბრებოდით ერთმანეთს, ჩვენ უკვე მეგობრები ვიყავით. „და მაშინ, ბჭეთა გავლით, მე წარვსდგები ღმერთის წინაშე. ჩემთვის სრულიად ნათელია, სიკვდილი არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი გათავდა. და

როცა მე იქ, მარადისობაში, წარვსდგები საყდრისა ღმერთისა წინაშე, პირქვე დავემხობი და მადლობას შევსწირავ ღმერთს, რომ მან ხერხემალი გადამიტეხა“. – „ამზელ, – შემკრთალმა გავაწყვეტინე, – მე, – ამას რას ამბობ?“ მან კი მიპასუხა: „მე ვიცი, რასაც ვლაპარაკობ. ეს რომ არ მომხდარიყო, ღმერთს რომ უღმერთო გზაზე მივეტოვებინე, მე პირდაპირ ჯოჯოხეთში ამოვყოფდი თავს, მარადიულ წარსაწყმედელში. ამიტომ დასჭირდა ღმერთს ჩარეულიყო ჩემს ცხოვრებაში და გადაეტეხა ჩემთვის ხერხემალი, რათა მე მეპოვნა ძე მისი – იესო, რომლის შემწეობით მე ბედნიერი ღმერთის შვილი გავხდი. ამისთვის მინდა მე მადლობა შევსწირო ღმერთს!“ ამას მოჰყვა სიტყვები, რომელიც სამუდამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში: „სჯობს დამბლადაცემული იყო და იესოს ეკუთვნოდე, ვითარცა ღვთის შვილი, ვინემ ორივე ჯანმრთელი ფეხით ჯოჯოხეთისკენ გარბოდე!“ მაშინ მე ასე ვუთხარი მას: „ძვირფასო ამზელ! ღმერთმა შენ დიდი გასაჭირი გამოგიგზავნა. თავში შენ ურჩობდი და ამბობდი: „სად იყო ღმერთი? რატომ სდუმს ის?“ ახლა კი მიხვდი, რისთვის გამოგიგზავნა ეს ღმერთმა: მას სურდა შენი მიახლება იესოსთან, რათა იესოს შეძლებოდა ღმერთთან შენი მიახლება!“

ხედავთ ახლა თქვენ? ჩვენ ის კი არ უნდა ვიკითხოთ – „რატომ?“, არამედ – „რისთვის?“ და კიდევ მინდა დავამატო: მე მწამს, ყოველგვარი გაჭირვება ჩვენს ცხოვრებაში იმისათვის არსებობს, რომ ღმერთმა იესოს მეშვეობით თავისკენ მიგვაბრუნოს ჩვენ! მე ძალზე მიყვარს ფსალმუნის ამ სტროფის გალობა: „მიჰგვარე თავი ჩემი, ო, მამაო, ძესა შენსა, //რათა ძემან შენმან მომგვაროს მე შენად, // და სული შენი შთაჰბერე გულსა ჩემსა, // რათა ყოველსა დროსა მაქუნდეს მე მშვიდობაჲ ღმერთისა, // და გიგალობდე შენ გულსა შინა ფსალმუნსა სიხარულისა“. ძალიან მინდა, რომ, ჩემთან ერთად, თქვენც, იგალობოთ და ილოცოთ.

ჩვენი უფლება სიყვარულისა!

ხანდახან მე ამ თემას ასე ვაყალიბებ: „შეიძლება კი რომ სიყვარული ცოდვა იყოს?“ აქ საუბარია ხორციელ სიყვარულზე, ე. ი. იმაზე, რაც ჩვენ ყველას ასე გვაინტერესებს. ნება მომეცით, უშუალოდ შევუდგე თემას: „ჩვენი უფლება სიყვარულისა“. ამაზე მე შემიძლია რაღაც ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი გითხრათ.

1. საშინელი უბედურება

ყურადსაღები ფაქტია ის, რომ ადამიანები ჯერ არასოდეს არ ყოფილან ასე მარტონი, როგორც დღეს. ამავე დროს ადამიანებს ჯერ არასოდეს არ უცხოვრიათ ასე მჭიდროდ, როგორც დღეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ასე ახლოს ვიმყოფებით ერთმანეთთან, მაინც არასოდეს ვყოფილვართ ასე მარტოსულნი, როგორც დღეს.

ერთმა თექვსმეტი წლის ბიჭმა როგორღაც მითხრა: „მე არავინ არ მყავს!“ – მე შევეპასუხე: „ნუ ლაპარაკობ სისულელეს! შენ ხომ გყავს მამა!“ – აჰ! ეს ბებერი! – მიპასუხა მან; – იგი მოდის სახლში სადილის შემდეგ, დაახლოებით ხუთზე, ცოტას იჩხუბებს, შეჭამს და ისევ მიდის.“ – „დედაშენი?“ – „აჰ, მას იმდენი საზრუნავი აქვს, მას ჩემთვის არ სცალია!“ – „შენი თანამშრომლები? – „ისინი მხოლოდ კოლეგებია! მე არა მყავს არავინ, ვისაც შემიძლია, რომ გული გადავუშალო“. ეს მე მითხრა თექვსმეტი წლის ბიჭმა. მაგრამ ასე მარტოდმარტო არა მხოლოდ ბავშვები არიან. ხანდახან ცოლები ქმრების გვერდით სრულ მარტოობაში არიან და პირიქით. ქმარს არა აქვს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა აწუხებს მის ცოლს. ცოლს კი არა აქვს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა აწუხებს მის ქმარს. და ამას ჰქვია ცოლქმრობა! ჩვენ ყველა, არსებითად, მარტოსულნი ვართ.

როდესაც ჩვენი დროის ფილოსოფოსები საუბრობენ თანამედროვე ადამიანის მარტოობაზე, მათ ხვდებათ მსმენელებით სავსე აუდიტორია. ადამიანი ყვირის მარტოობისგან თავის დაღწევის გამო. და ეს წუხილი მარტოობისაგან თავის დაღწევის გამო ერწყმის ყველაზე დიდ ძალას, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში არსებობს – სქესობრივ ლტოლვას. და მაშინ ირღვევა ჯებირები: თხუთმეტი წლის ბიჭი ეძებს მეგო-

ბარ გოგონას, რომელიც დააღწევინებს მას თავს მარტოობისგან. ქმარი, რომელიც თავის ცოლთან ცხოვრობს, თავს გრძნობს სრულიად მარტოდ, მიდის თავის მდივანთან, რათა მან, შეძლებისდაგვარად, იხსნას იგი მარტოობისაგან. ახალგაზრდა სტუდენტი, რომელიც 11000 ან 20000 სტუდენტს შორის არის უნივერსიტეტში, გრძნობს რა სრულ მარტოობას, უკავშირებს თავის ცხოვრებას სტუდენტ გოგონას, რომელიც ზუსტად ასევე მარტოა. მარტოობისაგან თავის დაღწევისკენ სწრაფვა გაერთიანებულია ყველაზე ძლიერ ინსტინქტთან – სქესობრივ ლტოლვასთან და, ამგვარად გამოდის, რომ ამჟამად ჩვენ ვცხოვრობთ უაღრესად გარყვნილ სამყაროში. იმ ფაქტს, რომ ადამიანები მარტოობიდან თავის დაღწევას გარყვნილებაში ეძებენ, სხვადასხვა საქმოსნები თავის სასარგებლოდ იყენებენ. მაგალითად: კინოფილმების პროდიუსერები, მწერლები. მათი დევიზია: არც ერთი ფილმი ლოგინში სცენის გარეშე! არც ერთი წიგნი ღალატის გარეშე!

თუკი სქესობრივ კავშირს სხვა კუთხით შევხედავთ – ესაა ფლირტი, არშიყობა, ფერება, და იქმნება შთაბეჭდილება საყოველთაო ნაზი აღფრთოვანებისა, ნათელი სიხარულისა. ერთმა ახალგაზრდა ქალიშვილმა მითხრა: „ბატონო პასტორო, ჩვენ ამის შესახებ სრულიად სხვა წარმოდგენები გვაქვს, ვიდრე ჩვენს წინაპრებს. ჩვენ ახალი მორალი, ახალი ეთიკა გვაქვს!“ მე თითქმის მზად ვიყავი, მომეხადა ქუდი, თუკი იგი მექნებოდა და მეთქვა: „მოგესალმებით ყველას!“ – მაგრამ როდესაც დიდხანს იმუშავებ დიდი ქალაქის პასტორად, უკვე აღარ გჯერა ასეთი მაღალფარდოვანი ფრაზებისა. გამოცდილებიდან მე ვიცი, რომ მთელი ეს მაღალფარდოვანება მხოლოდ ფასადია, რომლის მიღმა უკიდეგანო უბედურება იმალება: ყმაწვილები და ქალიშვილები, რომლებიც სქესობრივი კავშირით დაუკავშირდნენ ერთმანეთს და საკუთარ თავს კი ვერ მოერივნენ; ცოლქმრული კავშირები, რომლებიც გრძელდება სრულ თვალთმაქცობაში, ან უბრალოდ, ირღვევა. უკიდეგანო უბედურებაა! და ამ უბედურების შესახებ ჩვენ ყველამ ვიცით. მე ხომ ვიღაც ხალხზე არ ვლაპარაკობ, არამედ ჩემზე და თქვენზე...

რამოდენიმე წლის წინათ ლიპერლანდის ერთ პატარა ქალაქში მე ვკითხულობდი ლექციას ამდაგვარ თემაზე, მაგრამ მხოლოდ ახალგაზრდებისათვის. როდესაც, დარბაზში შევედი, ვიფიქრე: „ეს ჯოჯოხეთია!“ ჭაბუკები, ქალიშვილები, სიგარეტის ბუღი! რამოდენიმე ახალგაზრდამ არყიანი ბოთ-

ლებიც კი ამოიღო. ზოგიერთი ქალიშვილი მუხლებზე ეჯდა ბიჭებს. და მე აქ უნდა მესაუბრა! ეს რა ხდება, გავიფიქრე და დავიწყე: „სქესობრივი ურთიერთობების სფეროში საშინელი მდგომარეობაა!“ იმავე წუთს ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ფარდა აიწია. მე თითქოს ახლაც ვხედავ ბიჭს, რომელმაც უცებ გასწია თავისი გოგონა. აშკარად ჩემმა ნათქვამმა იმოქმედა ასე. იმ წუთსვე სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა და მე უნებლიედ გავიფიქრე: პირველ წუთებში ხომ ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოს ირგვლივ მხოლოდ სიხარული და დღესასწაული მეფობდა, სინამდვილეს კი უფრო ის შეეფერებოდა, რაც მე ხმამაღლა ვთქვი: „სქესობრივი ურთიერთობის სფეროში საშინელი მდგომარეობაა!“

2. რაში მდგომარეობს უბედურება?

მოგეხსენებათ, უბედურება არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვეღარ ვარჩევთ სიკეთეს ბოროტებისაგან. ჩვენ ვამბობთ: „ჩვენ ახლა სხვა შეხედულებები გვაქვს ამ საკითხზე!“ მაგრამ ერთი რამ უცვლელი რჩება: ცოდვა რეალობაა! და თუ მე ვცოდავ, ეს ამძიმებს ჩემს სინდისს. ეს რეალობაა! ამგვარად, უბედურება ჩნდება მაშინ, როდესაც ვეღარ ვარჩევთ: რა არის, კერძოდ, სიკეთე და რა – ბოროტება. ამგვარად, ნება მომეცით, დავსვა ერთი უხეში კითხვა: უნდა მოვიწონოთ სქესობრივი კავშირები ქორწინებამდე, თუ ეს ბოროტებაა? არის კი ცოდვა წარყვნილი სიყვარული ქალიშვილებს შორის თუ არა? არის ჰომოსექსუალობა, ის ბინძური საქმეები, რომლებსაც კაცები ერთმანეთში ან ბიჭებთან ეწევიან, ბოროტებაა, თუ არა? ონანიზმი, განქორწინება – ბოროტებაა თუ არა? რა არის, არსებითად, ბოროტება და რა არის სიკეთე? აი საიდან იწყება უბედურება! ათასობით რომანს ეს საკითხი სიკეთისა და ბოროტების საზღვრებს გარეთ გააქვს, თითქოს ასე იგი გამორიცხული იქნება. მტრული განწყობილება ბოროტებაა, ხომ ასეა, მაგრამ, აი, ამ სფეროს არაფერი საერთო არა აქვს სიკეთესა და ბოროტებასთან. აიღეთ თანამედროვე ფილმები: კოცნა – მსხვილი პლანით გადაღებული, ჩამოშვებული ფარდა და შემდეგ – ჩრდილები ფარდის უკან. ეს ყველაფერი ბუნებრივია, ყოველივე ეს თითქოს სიკეთისა და ბოროტების მიღმაა. განა ეს სწორია? რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება? მე ვიხსენებ, როგორ ვცდილობდი ახალგაზრდობაში შეგნებულად

გადამეჭრა შემდეგი საკითხი: რისი კეთების უფლება მქონდა და რისი არა?

ამ შეკითხვაზე სწორი პასუხი რომ გავცე, ჯერ უნდა დავსვა სხვა შეკითხვა: ვინ არის კერძოდ, განმსაზღვრელი, რა არის სიკეთე და რა – ბოროტება? ვის ეკუთვნის საბოლოო სიტყვა – ერთხელ ჩემს წინაშე წარსდგა წყვილი: ქალს წამწამებზე მოცვის ფერი ტუში ეცხო, კაცი -ეს იყო ერთი ლაბილური ახალგაზრდა, სიგარეტისაგან ჩაშავებული თითებით. მე ვეუბნები: „შორიდანვე შეიძლება მიხვდეს კაცი, რაც თქვენ დაგემართათ.“ მაშინ ქალიშვილი მიხსნის: „ამაში არაფერი განსაკუთრებული არ არის, ბატონო პასტორო. ამაში არაფერი განსაკუთრებული არ არის!“ მე შევეპასუხე: „მოითმინეთ! ვის შეუძლია განსაჯოს, არის კი ამაში რაღაც განსაკუთრებული თუ არა?“ მართლაც, ვინ განსაზღვრავს სინამდვილეში, რა არის სიკეთე და რა – ბოროტება? ეკლესია? არა! არც მას დავემორჩილებოდი. როდესაც ახალგაზრდა ვიყავი, არავითარ შემთხვევაში არ ვცნობდი პასტორის ძალაუფლებას, ახლა კი მე თვითონ პასტორი ვარ. ვინ იტყვის: რა არის სიკეთე და რა – ბოროტება? დეიდა ამალია? თუ ჩემი საკუთარი სინდისი? მე მივსდევ ჩემს შინაგან ხმას!“ ვინ იტყვის სახელდობრ, რა არის სიკეთე და რა – ბოროტება?

მოგეხსენებათ, ჩვენ მივადექით ძალიან მნიშვნელოვან ადგილს. არსებობს ცოცხალი ღმერთი, რომელიც არის სამყაროს მეუფე. მან უნდა თქვას, რა არის სიკეთე და რა – ბოროტება! თუკი არანაირი ღმერთი არ არსებობს, მაშინ აკეთეთ, რაც გსურთ! დეიდა ამალიას ხათრით რომ წესიერად ვიქცეოდე, ამაში ვერავითარ აზრს ვერ ვხედავ. ასეთ შემთხვევაში თითოეულ ადამიანს უჩნდება კითხვა: არსებობს ღმერთი, თუ არა? მე ვიცი ადამიანები, რომლებიც საოცარ სიბინძურეში ცხოვრობენ, მაგრამ თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ მათაც სწამთ ღმერთი. სისულელეა? თუ ღმერთი არსებობს, მისი ნება ვრცელდება ადამიანის ცხოვრების ამ მხარეზეც. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ. თქვენ შეგიძლიათ ჩამოაცილოთ ღმერთი თქვენს ცხოვრებას, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ თქვენ იძულებული იქნებით, ასევე უღმერთოდ მოკვდეთ! ჩვენ არ შეგვიძლია 45 წლის ასაკში ვთქვათ, რომ ვცხოვრობთ ღმერთის გარეშე და შემდეგ დავბერდეთ და გავხდეთ ღვთისმოსავნი. ასე არ გამოვა! „ეძებეთ ღმერთი, სანამ შეიძლება მისი პოვნა,“ –

ნათქვამია ბიბლიაში, მაგრამ არა „როდესაც თქვენთვისაა ხელსაყრელი“. მე კიდევ ერთხელ ვამბობ: თუ ღმერთი არ არის, მაშინ თქვენ შეგიძლიათ აკეთოთ, რაც თქვენ მოგესურვებათ. თუკი ღმერთი ცოცხალია, მან უნდა თქვას, რა არის სიკეთე და რა – ბოროტება. ეს ხომ ნათელია, არა? ახლა კი მე გეუბნებით, რომ ღმერთი ჭეშმარიტად ცოცხალია! ღმერთი ჭეშმარიტად ცოცხალია! და თუ მე მკითხავთ, საიდან ვიცი მე ასე დარწმუნებით, მე თქვენ გიპასუხებთ: იმიტომ, რომ იგი გამოცხადდა იესოში. მე მინდოდა ეს თქვენთვის ჩამეგონებინა: მას შემდეგ, რაც მოვიდა იესო, თითოეული დაუფიქრებლობა ღმერთის წინაშე, ან მისი უარყოფა, არის საქმეში ჩაუხედაობა, ან ბოროტი განზრახვა, ღმერთი ცოცხალია! და რადგანაც ღმერთი ცოცხალია, მას ეკუთვნის ბოლო სიტყვა იმის თაობაზეც, თუ რა არის სიკეთე და რა – ბოროტება. თქვენ შეგიძლიათ ჩამოაშოროთ იგი თქვენს ცხოვრებას, თქვენ შეგიძლიათ თქვათ: „ჩვენ სხვა მორალური საფუძვლები გვაქვს!“ მაგრამ მე თქვენ გაძლევთ გარანტიას, რომ თქვენ თქვენი ცხოვრების გამო ღმერთის წინაშე აგებთ პასუხს!

რა დიდი შვებაა, როდესაც უცებ აღმოაჩენ, რომ სწორედ ღმერთი განსაზღვრავს, რა არის სიკეთე და რა – ბოროტება. თავის სიტყვაში – ბიბლიაში – იგი ნათლად და გარკვეულად გვესაუბრება ამის შესახებ. ერთმა კაცმა ერთხელ გაკვირვებით მკითხა: „განა ბიბლიაში ამაზედაც არის საუბარი?“ მე მას ვუპასუხე: „დიახ, იქ საუბარია ამაზე! ღმერთი იძლევა აშკარა მითითებებს იმის შესახებ, თუ რა არის სიკეთე და რა – ბოროტება სქესობრივ ცხოვრებაშიც!“

თქვენ მიჰყევით ჩემს აზრს? ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი ასე: „რას ამბობდა, კერძოდ, ღმერთი ადამიანთა დამოკიდებულებების ამ მხარის შესახებ?“ ვნახოთ, რას ამბობს ამაზე ბიბლია.

3. რას ამბობს ღმერთი?

ა) ღმერთი აღასტურებს მამაკაცისა და დედაკაცის ურთიერთლტოლვას.

არსებობს ერთი პოეტის ლექსი, რომელშიც იგი ასე განმარტავს: წელს ზემოთ ქრისტიანი ვარ, წელს ქვემოთ კი – წარმართი. ეს სისულელეა! ბიბლია გარკვევით ამბობს:

„ღმერთმან შექმნა კაცი, მამაკაცად და დედაკაცად ქმნა იგინი“. და ღმერთმა შეგვქმნა ჩვენ ჩვენს სექსუალობასთან ერთად! ამიტომ ვლაპარაკობ აქ ასე ღიად. ეს არ არის აკრძალული სფერო. ღმერთმა შემქმნა მე, როგორც მამაკაცი და თქვენც ასევე მამაკაცებად შეგქმნათ. მოდით, ვიყოთ მამაკაცები და არა ჯამბაზები. თქვენ კი ღმერთმა შეგქმნათ ქალებად. მაშ, იყავით ქალები! ქალების მისწრაფება კაცად ქცევისაკენ და პირიქით ავადმყოფურია. თქვენ გესმით? მაშ, იყავით ნამდვილი ქალები! ღმერთმა შექმნა ადამიანი, შექმნა მამაკაცი და დედაკაცი – და არავითარი მესამე სქესი. ღმერთი ადასტურებს ჩვენს ერთმანეთისადმი სქესობრივ ლტოლვას. ეს ყველამ უნდა იცოდეს. აქ არ არის საჭირო ზედმეტი გრეხვა. მამაკაცი თუ დედაკაცი – ჩვენ ვართ ქმნილებანი, ღმრთის ქმნილებანი.

მაგრამ ჩვენ – ზნედაცემული ქმნილებები ვართ. სამყარო უკვე აღარ არის ისეთი, როგორიც ღმერთის ხელით შეიქმნა და სწორედ ამიტომაც სქესობრივი ცხოვრების ეს მნიშვნელოვანი და დელიკატური სფერო განსაკუთრებულ საფრთხეშია. აი, რატომ იცავს მას ღმერთი.

ბ) ღმერთი იცავს სექსუალობას ქორწინების საშუალებით.

ქორწინება არ არის საზოგადოებრივი კონტრაქტი, არამედ ღმერთის მიერაა დადგენილი.

ერთი ამერიკელი ფსიქიატრი, რომელმაც ამის შესახებ წიგნი დაწერა, თუმცა თვითონ არ იყო ქრისტიანი, ამბობს: „ჯერ არასოდეს ამის შესახებ არ თქმულა უფრო დიდებულად, ვიდრე ეს ბიბლიაშია: ღმერთმა შექმნა ადამიანი, შექმნა მამაკაცი და დედაკაცი, და იგი განაგრძობს: მე არა ვარ ქრისტიანი, მაგრამ როგორც ფსიქოლოგი, ვამბობ: სწორედ ეს არის ჭეშმარიტი ქორწინება“. სწორად გამიგეთ: ერთგულების ქორწინება და არა მეშვიდე, მერვე, მეცხრე ან მეათე ქორწინება ჰოლივუდის ვარსკვლავებისა! ის, რომ ასეთი ქორწინებები იდეალურადაა გამოცხადებული, ჩვენი დროის უკუღმართობაა და აგრეთვე ჩვენი უსუსურობის მოწმობა. ღმერთმა ქორწინება სიყვარულისა და ერთგულების ქორწინებად დაადგინა მხოლოდ. აი, ახლა მე მინდა ორიოდ სიტყვით შევეხო ქორწინებას. ძვირფასო ცოლებო! იმისათვის რომ კარგი ცოლი გერქვათ, არაა საკმარისი, რომ თქვენს მეუღლეს კარგ სადილს უმზადებდეთ და მოწყვეტილ ღილებს

უკერებდეთ. ქმრებო! ის, რომ თქვენ თქვენს მეუღლეს სახარჯ ფულს აძლევთ და სხვაზე არაფერზე ბრუნავთ – საკმარისი არ არის. ქორწინება ღმერთის ნებით უნდა იყოს მარტოობისაგან თავის დაღწევა. არის კი თქვენი ქორწინება ასეთი, თქვენ, ხალხნო, ვინც დაქორწინებულნი ხართ? შესაძლოა, თქვენ უნდა გაესაუბროთ ერთმანეთს და თქვათ: საით წავედით ჩვენ? ჩვენი ქორწინება მარტოობისგან თავის დაღწევა უნდა ყოფილიყო თითოეულისთვის. დასაწყისში ღმერთმა თქვა: ადამიანი მარტოა, მე შევქმნი მისთვის ქალს. თქვენ გესმით? ესაა მარტოობისაგან ხსნა.

აქ ძალიან დროულია ერთი ისტორიის მოყოლა, სადაც მწერალი ბენდე ამბობს: „როდესაც მე პატარა ბიჭი ვიყავი, მე და ჩემი და ქორწილში წაგვიყვანეს ნათესავებთან. ეს იყო პირველი ქორწილი, რომელზედაც მე ვიყავი და ყველაფერი ძალიან საინტერესოდ მეჩვენებოდა. ჩვენ წავედით ეტლით ეკლესიაში, შემდეგ კი დიდი სადილი იყო გამართული სასტუმროში. მენიუს ბოლოს ეწერა „ნაყინი“. მე და ჩემი და ვისხედით მაგიდის ბოლოში და ერთი სული გვქონდა, როდის მოგვართმევდნენ ნაყინს. მაგრამ ძალიან დიდხანს არ მოჰქონდათ, ვინაიდან ერთი კაცი გრძელ სიტყვას წარმოსთქვამდა. მისი სიტყვები საშინლად მოსაწყენად გვეჩვენა. და მიუხედავად ამისა, ერთი სიტყვა სამუდამოდ ჩაგვრჩა მეხსიერებაში. ადგა ერთი სტუმარი, რომელსაც სურდა თავისი მახვილსიტყვაობა ეჩვენებინა და თქვა: „ჩემო ძვირფასო სტუმრებო! ამბობენ, რომ ცაზე დგას ორი სკამი, განკუთვნილი იმ საქორწინო წყვილისათვის, რომელიც არასოდეს არ ნანობდა იმას, რომ დაქორწინდა. მაგრამ ეს სკამები დღემდე ცარიელია!“ სწორედ აქ სიტყვა გაუწყვიტეს. მამაჩემმა გადასძახა დედას, რომელიც საზეიმო მაგიდის მეორე ბოლოში იჯდა: „ეს სკამები ჩვენთვისაა განკუთვნილი“! პატარა ბიჭი ვიყავი მაშინ, და სრულებითაც ვერ ჩავსწვდი აზრის მთელს სიღრმეს. მაგრამ მე მომიცვა სიხარულმა, ვინაიდან მქონდა შესაძლებლობა, მეგრძნო ჩემი მშობლიური სახლის სითბო. არის კი თქვენი ქორწინება ასეთი? სწორედ ასეთად განიზრახა იგი ღმერთმა!

როდესაც მე დავქორწინდი, ჩემმა ხანშიშესულმა კოლეგამ სუფრასთან მოკლე სიტყვა წარმოსთქვა: „დაე, მას შეეძინოს შემწე, მასზედ მზრუნველი და მოამაგე ქალბატონი.“ და განაგრძო: „არა მბრძანებელი ქალბატონი, რომელსაც დამონებული ჰყავს იგი (მეუღლე), არა მონა, რომელიც ფეხ-

ქვეშ ეგება მას. და არც უბრალოდ მის გვერდით მყოფი, როგორც მის გვერდით მდებარე უსულო ნივთი, არამედ როგორც შემწე, მასზედ მზრუნველი და მოამაგე.“

აჰ, დრო რომ მქონოდა, ქორწინების სადიდებელ ჰიმნს წარმოვთქვამდი... არ დამავიწყდება, როგორ გადახედა მამაჩემმა ვერცხლის ქორწილზე თავის ცოლს და უთხრა: „ოცდახუთი წლის მანძილზე სულ უფრო და უფრო მიყვარდი!“ ამ სიტყვებზე თვალწინ დამიდგა ყველა ის ქორწინება, რომელიც 25 წლის განმავლობაში ნელ-ნელა სულ უფრო ინავლებოდა. საშინელებაა! არის მრავალი ადამიანი, რომელმაც უნდა უთხრას თავის მეუღლეს: „მისმინე, მოდი, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ, ეს შესაძლებელია, ეს შესაძლებელია!“

და ახლა მესამე: ბევრი ახალგაზრდა ამბობს: „ჯერ სულაც არ ვფიქრობ ქორწინებაზე.“ ამ შემთხვევაში როგორღა მოვიქცეთ? ვაკეთოთ, რაც მოგვესურვება?

მე კი ასე გიპასუხებთ: ღმერთს სურს, რომ ახალგაზრდობა იყოს უბიწო. მე ვიცი, დღეს ეს სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ ღმერთისათვის ხომ უცხოა მოდა და ყოველგვარი პირობითობა. მე მხოლოდ შეძლებისდაგვარად შევეცადე ამის დასაბუთებას. როგორც ხედავთ, ბიბლიაში უკვე დევს ყოველი აზრი. იგი მოგვითხრობს ერთ ახალგაზრდა კაცზე, სახელად ისააკი. ერთხელ მამა გზავნის თავის მსახურს მისთვის ცოლის მოსაძებნად. და იმ წუთიდან იგი უკვე ერთგულია თავის ცოლისა, თუმცა მას ჯერ სრულებითაც არ იცნობს. და თქვენ, ყმაწვილებო, რომელნიც ჯერ არ ფიქრობთ ქორწინებაზე, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ღმერთი საჭირო დროს გამოძებნის თქვენთვის შესაფერის ქალიშვილს და, თქვენ, აქედანვე უნდა დაიცვათ ამ ქალიშვილისადმი ერთგულება. და პირიქით, თქვენ, ქალიშვილებმა, უნდა უერთგულოთ მას, რომელსაც თქვენ ჯერ სრულიადაც არ იცნობთ. ეს არის სწორედ ბიბლიაში გამოხატული აზრი: ღმერთს სურს, რომ ახალგაზრდობა იყოს უბიწო.

ერთხელ ნაცნობმა ექიმმა-ფსიქიატრმა ამიხსნა: „დარწმუნებული ვარ, რომ ქალიშვილს მხოლოდ ერთხელ შეუძლია ჭეშმარიტი სიყვარული. მხოლოდ ერთხელ იხსნება მისი გული ბოლომდე. და თუ ასეთი ქალიშვილი იმ პირველ სიყვარულს არ გაჰყვა, იგი გაყვება ცოლად მეშვიდეს, მაგრამ იფიქრებს პირველზე, რომელიც უყვარდა“. მე მას ვუპასუხე: „ძალზე

საინტერესოა, რომ თქვენ მსჯელობთ, როგორც ფსიქიატრი და მიმართავთ იმავე ხატებს, რაც ღმერთის სიტყვაშია“.

ამგვარად, მე მთელი სიცხადით უნდა ვთქვა: ქორწინების წინა სქესობრივი კავშირები, გარყვნილი სიყვარული, ჰომოსექსუალიზმი, ღალატი, განქორწინება – ცოდვებია, რომლისთვისაც თქვენ პასუხს აგებთ წმინდა ღმერთის წინაშე!

კაცმა რომ თქვას, აქ შემეძლო წერტილის დასმა. მე საკუთარი გამოცდილებით კარგად ვიცი, რას ნიშნავს ახალგაზრდობისათვის ღმერთის ნების შემეცნება და მხოლოდ მას, ღმერთს, ეკუთვნის საბოლოო სიტყვა. მაგრამ, ჩემის მხრივ უწყალობა იქნებოდა საუბრის აქ შეწყვეტა.

4. როგორ დაიძლევა ეს უბედურება?

ბიბლიაში ჩვენ ვკითხულობთ შესანიშნავ, ამაღელვებელ მოთხრობას: იესო, ღმერთის შვილი, ხალხის ბრბოთია გარშემორტყმული. უცებ ხალხი აჩოჩქოლდა, ყველა მიიწ-მოიწია. ერთ ჯგუფს – მღვდლებს, მდაბიოთ – მოჰყავთ ახალგაზრდა ლამაზი ქალი. მე თვალწინ მიდგას ეს ქალი. დახეულ სამოსში. იესოსთან მოჰყავთ იგი და ასე მიმართავენ მას: იესო! ამ ახალგაზრდა ქალს მრუშობაში ვამხილებთ. საღვთო სჯულის მიხედვით კი მეძავენი სიკვდილით ისჯებიან. შენ ყოველთვის ისეთი გულმოწყალე ხარ, იესო, მაგრამ ღმერთის ნების წინააღმდეგ ვერ შეიქნები. ახლა შენგან ველით ბრძანებას, რომ ცოდვილი ქალი ქვებით იქნეს ჩაქოლილი. აქ იესომ შეხედა ახალგაზრდა ქალს და თქვა: დიახ, ღმერთის ნების თანახმად, მეძავი სიკვდილის ღირსია. კმაყოფილებით გაუბრწყინდათ სახეები იქ შეკრებილთ. ზოგი უკვე ხელს ავლებს ქვებს, მეძავს ხომ ქვებით ქოლავდნენ, მაგრამ იესო აგრძელებს: „ვინ უცოდველ არს თქუენგანი, პირველად მან დაუტევენ ქვა მაგას ზედა.“ შემდეგ იესო იხრება და რაღაცას წერს ქვიშაზე. ყოველთვის საშინლად მინდოდა მცოდნოდა, რა დაწერა მან მაშინ ქვიშაზე, მაგრამ ბიბლიაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. რამოდენიმე ხნის შემდეგ თავი მაღლა ასწია: მოედანი ცარიელი აღმოჩნდა, მხოლოდ ის ცოდვილი ქალი იდგა მარტო. ბიბლიაში ნათქვამია: „ხოლო მათ, ვითარვა ესმა, მხილიებულნი სვინდისისაგან განვიდოდას თითო..... ხოლო იესო აღემართა და არავინ იხილა, გარნა დედაკაცი იგი და ჰრქუა მას: სადა არიან შემასმენელნი შენნი? არავინ განგიკითხა შენ? ხოლო მან ჰრქუა: არავინ,

უფალო, ხოლო იესო ჰრქუა მას: არცა მე განგიკითხავ შენ. წარვედ და ამიერითგან ნუღარა სცოდავ.

ახლა მე მოგმართავთ თქვენ, ყველას: როგორ მოიქცეოდით თქვენ – ესროდით პირველი ქვას ამ ქალს? ხართ თქვენ სრულიად სუფთა და უცოდველი თქვენს ფიქრშიც, სიტყვაშიც და ქმედებაშიც? შეძლებდით კი პირველი გესროლათ ქვა? ვერ შესძლებდით, ხომ ასეა, ე. ი. აქ ჩვენ ყველა ცოდვილნი ვართ.

ხომ ხედავთ: ეს ხალხი სულ სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო. მათ უნდა ეთქვათ: „უფალო იესო! ჩვენც ამ ქალის გვერდით უნდა დაგვაყენო. შენ არ გაკიცხე ის მეძავი, ჩვენც შეგვეწიე უფალო!“ ჩვენი დროის სექსუალურ უკუღმართობებში იესოს გარდა სხვა შემწე მე არ ვიცი. მე ვამბობ, როგორც ერთი იმათგანი, ვინც თავად უკვე იგემა მისი შემწეობის მადლი. როცა იესოზე ვსაუბრობ, სულაც არ მაქვს მიზნად, რაღაცა თეორიის ჩამოყალიბება: იგი ყოველთვის იყო ჩემი პრაქტიკული ცხოვრების გამგებელი და დარჩა ამად დღემდე. პასტორიც ხომ ადამიანია. მას ზუსტად ისევე ესაჭიროება მხსნელი, როგორც თქვენ. ცხოვრებაში არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ მხსნელი ნამდვილად მყავს.

ა) იესო მოგვიტევებს ცოდვებს.

არც პასტროს, არც მღვდელსა და არც ანგელოზებს არ შეუძლიათ მოგიტევონ თქვენ თქვენი ცოდვები. ყოველი უწმინდური აზრი და ყოველი დაცემა, უდაოდ, ცოდვაა. თქვენივე ცოდვას თქვენს საღმრთო მსჯავრისაკენ მიჰყავხართ, და თუ ვერ ჰპოვებთ ცხოვრებაში იესოს და არ აღიარებთ მის წინაშე თქვენს ცოდვებს, თქვენ ვერ მიიღებთ პატიებას. იესო ერთადერთია, ვისაც შეუძლია ჩვენთვის ჩვენი ცოდვების განტევება.

წარსდექით თქვენი ცოდვილი სულით იესოს საყდრის წინაშე და თქვით: „ახლა მე ბოლოსდაბოლოს ვაღიარებ ჩემი ახალგაზრდობის ყველა ცოდვას. მე ვინანიებ შენს წინაშე ყველა ჩემს შეცოდებას და არ მსურს არაფრის დამალვა.“ და მაშინ ახედეთ იესოს ჯვარს და თქვით: „იესოს სისხლი ჯვრიდან გარდმოედინებოდა, მისი შუბლიდან, მისი ღაწვებიდან, მე მქონდა ურიცხვი შეცოდება, მაგრამ ამ სისხლით განბანილ ვიქენ“. გესმით? იესო ქრისტეს, ღმერთის

შვილის, სისხლით ჩვენ განვიწმიდებით ყოველგვარი ცოდვისაგან. ესაა ხსნის სიტყვა.

17 წლისა ჯარისკაცი გავხდი. არმიის წყალობით სიბინძურის მორევში ჩავეშვი. მაგრამ უეცრად თითქოს გამოვფხიზლდი და გონს მოვედი, გადავხედე ჩემს მიერ განვლილ შეცოდებებით აღსავსე გზას და შევეკითხე საკუთარ თავს: „ვინ მიხსნის ჩემი სიყმაწვილის ცოდვათაგან?“ მაშინ კი მივხვდი: „იესო გადახაზავს ჩემს წარსულს, იესო მომიტევებს ცოდვებს“. და მე მივმართე იესოს. ახლა მის გარეშე აღარ ძალმიძს ცხოვრება.

როგორღაც დიუსელდორფში, ერთ დიდ თავყრილობაზე, მე ვთქვი, რომ იესო ცოდვათა მიტევების გზით გადახაზავს ჩვენს წარსულს. როდესაც კრება დამთავრდა და ყველამ გასასვლელს მიაშურა, მე დავინახე, რომ ერთი მაღალი, წარმოსადეგი ვაჟბატონი ხალხის გარღვევით ჩემსკენ მოემართებოდა. მომიახლოვდა და ძალზე აღელვებულმა მკითხა: „მართალია რაც თქვენ ახლახან თქვით, თითქოს არსებობს ცოდვათა მიტევება?“- „დიახ“, – ვუპასუხე მე, – „მადლობა ღმერთს, რომ არსებობს, მე ამით ვცოცხლობ მხოლოდ!“ – მაშინ მან მითხრა: „მე ფსიქიატრი ვარ, მოგეხსენებათ ჩემთან მოდის ბევრი სულით დაავადებული ადამიანი. მათ ათასი რამ აწუხებთ, მაგრამ ხშირად თვითონ არ იციან, რაში მდგომარეობს მათი ავადმყოფობა. უმეტეს შემთხვევაში კი, მათი დაავადება მათი ძველი შეცოდებანია, რომელთა გახსენება მათ აღარ სურთ. მე მიხდება მათთან ბევრი მუშაობა, რათა მათ ცოდვილ წარსულს ქვეცნობიერიდან ცნობიერში მოვუხმო. უდიდეს ენერგიას ვხარჯავ ამაზე. მაგრამ სამწუხაროდ, მე მხოლოდ ძველი შეცდომისა თუ შეცოდების გამოაშკარავება შემიძლია: ტყუილი იქნება ეს, ჩხუბი, ბიწიერება; და ხშირად სასოწარკვეთილი ვფიქრობ ხოლმე, ნეტა თვით ცოდვისგან განთავისულფება შემეძლოს ამ ადამიანებისა. ამიტომ, მე ახლა თქვენ გეკითხებით, ბატონო პასტორო: მართლა არსებობს ვიღაც, ვისაც შეუძლია უკვე ჩადენილი ცოდვა აგვაცილოს? მართალია ეს თუ არა?“ მაშინ მე კიდევ ერთხელ სიხარულით დავუდასტურე: „მადლობა ღმერთს, რომ არსებობს!“ მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა დიდებული ხარება გვაქვს ახალ აღთქმაში: იესო მოგვიტევებს ცოდვებს.

ბ) იესო გვათავისუფლებს ბორკილებისგან.

ერთხელ ერთ ძალიან ლამაზ ახალგაზრდა მდივან ქალს ვუთხარი: „ქალიშვილო, თქვენ იღუპავთ თავს და სხვასაც ღუპავთ – თქვენი კავშირი შეფთან დაუშვებელია! ნუ გაუბედურებთ ამ კაცსა და მის ოჯახს.“ ტკივილისგან დაღრეჯილი სახით მიპასუხა: „კი მაგრამ, მე არ შემიძლია ამისგან განთავისუფლება, მე ხომ მიყვარს იგი!“ „დიახ, მივუგე მე – მაგრამ ამ კაცს ჰყავს ცოლი და ბავშვები. თქვენ დაუნდობლად იქცევით!“ მან კი კვლავ გამიმეორა: „მე არ შემიძლია ამისგან განთავისუფლება!“ აქ მე ვიგრძენი, რომ იგი თვითონაც იტანჯებოდა ამ კავშირის გამო, მაგრამ არც გაწყვეტა შეეძლო. მე ბედნიერი ვიყავი, რადგან შემეძლო მეთქვა მისთვის: „მოგეხსენებათ, ცოდვის ბორკილების გაწყვეტა ჩვენ მართლაც არ ძალგვიძს, მაგრამ ბიბლიაში წერია, ვისაც ძე ღმერთისა გაათავისუფლებს, ის ჭეშმარიტად თავისუფალია. მოიხმეთ იესო, იგი გაგათავისუფლებთ თქვენ ბორკილებისაგან.

მე ძალიან მიყვარს გალობის ეს სტრიქონები: „იესო მოვიდა-ბორკილი ახსნილია, სიკვდილი დაძლეულია.“

დიდი ქალაქის პასტორად ვმოღვაწეობდი და ყოველ ნაბიჯზე ცხადად ვხედავდი, როგორ იმსხვრეოდა ცოდვის სასიკვდილო ჯაჭვები. სექსუალური უკულმართობების მაგალითზე ნათელი ხდება, რომ ახალგაზრდასაც და მოხუცსაც ერთნაირად სჭირდება მაცხოვარი, მხსნელი თვისი. ყველას შეუძლია თავად დარწმუნდეს, რომ იესო საოცარსა და სრულიად რეალურ თავისუფლებას გვანიჭებს. თქვენ აუცილებლად გჭირდებათ მხსნელი, სხვაგვარად თქვენი ცხოვრება უბადრუკი და უშინაარსო არსებობა იქნებოდა მხოლოდ.

5. ქვეყნიერება მოწყურებულია საღმრთო სიყვარულს – აგაპეს

აქვე მინდა შევნიშნო, მრავალი ქალიშვილისგან მსმენია, უკვე ორმოცი წლისა ვარ და არავინ მთხოულობს. რა ვქნა, როგორ მოვიქცე.

მოგეხსენებათ მე ჭეშმარიტი პაციფისტი ვარ და ვაღიარებ, რომ ასეთი, არსებითად, ამ ქალიშვილების უბედურების გამო გავხდი. მეორე მსოფლიო ომის დროს 5 მილიონი ახალგაზრდა ვაჟი დაიღუპა. ეს ნიშნავს, რომ 5 მილიონმა

ქალიშვილმა თავისი უმაღლესი ოცნების განხორციელების შესაძლებლობა დაკარგა – გააბედნიეროს მამაკაცი, რომ ჩვენი ხალხის 5 მილიონმა ქალიშვილმა მარტომ უნდა განვლოს თავისი ცხოვრების გზა. საჭიროა კი უფრო სარწმუნო მიზეზი იმისათვის, რომ გძულდეს ომი?! გსურთ, გაიგოთ, რას ნიშნავს ჩვენი ხალხის 5 მილიონი ქალიშვილის ეს ჩუმი უბედურება? კაცები, რომელთა გაბედნიერებაც სურდათ, ბრძოლის ველზე ყრიან უსულოდ. ასეთ ქალიშვილებს მე მინდა მივმართო: „ღვთის გულისათვის, ნუ ცდილობთ, ცოდვის გზით მოიპოვოთ ის, რაც თქვენთვის დაკარგული აღმოჩნდა. ნუ დაანგრევთ სხვის ოჯახებს!“ ხიფათისა და ცდუნებების ნიაღვარმა ამოხეთქა ჩვენს ხალხში. – „კი მაგრამ, რა ვქნათ ჩვენ?“ – კითხულობენ ისინი. და მე ვუპასუხებ მათ: „თუ თქვენ ასეთი ხვედრი გერგოთ, უნდა დაემორჩილოთ მას. თუ თქვენ გაუთხოვარი დარჩით, არავითარ შემთხვევაში არ ჩათვალოთ თავი უბედურად.“

ბიბლიაში მოთხრობილია ერთ ასეთ გაუთხოვარ ქალზე, სახელად ტაბითა. ის ცხოვრობდა ქალაქ იუპიაში. თანამედროვე სახელწოდებაა იაპა. როცა ის მოკვდა, იქვე ახლომახლო პეტრე მოციქული იმყოფებოდა. მას უხმეს. ოთახში შესვლისას მოციქულს გაკვირვება დაეტყო სახეზე. როგორც ჩანს, ელოდა რომ ეს მარტოხელა ქალი სრულიად მარტოდმარტო იქნებოდა ოთახში თავის სასიკვდილო სარეცელზე. მაგრამ ოთახი სავსე აღმოჩნდა ხალხით. აი ქვრივი, რომელიც ამბობს: ეს სამოსი მე ტაბითამ შემიკერა. აი ბრმა, რომელიც კვერს უკრავს: მე ვიყავი მარტო, სულ მარტო, მაგრამ ყოველ კვირა ჩემთან ტაბითა მოდიოდა და საათობით მიკითხავდა ხოლმე. ეს იყო ყველაზე უფრო ნათელი წუთები ჩემს ცხოვრებაში.. აგერ პატარა წვინტლიანი ბავშვები სხედან და ამბობენ: ჩვენ უპატრონონი ვართ, არავის ესაქმება ჩვენთან, მაგრამ ტაბითამ იზრუნა ჩვენთვის.“ და უცებ მოციქული მიხვდა – ტაბითას ცხოვრება ბევრად უფრო საინტერესო და მდიდარი ყოფილა, ვიდრე ზოგიერთი ქალისა, უქმად რომ გასდის ცხოვრება მოსაწყენი მეუღლის გვერდით.

გერმანულში მხოლოდ ერთი სიტყვა არსებობს, სიყვარულის აღმნიშვნელი, ბერძნულში კი სიყვარულის გამომხატველი ორი სხვადასხვა სიტყვაა. ახალი აღთქმა ბერძნულადაა დაწერილი. სიყვარულს, რომელზედაც ჩვენ დასაწყისში ვმსჯელობდით, ეროსი ეწოდება. აქედან წარმოსდგება სიტ-

ყვა ეროტიკა. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი სიტყვა სიყვარულის აღსანიშნავად – აგაპე. ეს არის საღმრთო სიყვარული. სწორედ ამაზე მსურს თქვენთან საუბარი. გაუთხოვარო ქალწულებო, დაემორჩილეთ თქვენს ხვედრს და ესწრაფეთ საღმრთო სიყვარულს. ქვეყანას სწყურია ასეთი სიყვარული. ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გაგიმეოროთ, მხოლოდ ღმერთს აქვს უფლება განსაზღვროს: რა არის სიკეთე და რაა ბოროტება. ღმერთი ამტკიცებს: ახალგაზრდობა უნდა იყოს უბიწო, ქორწინება მხოლოდ ერთგულებას უნდა ემყარებოდეს. და თუ ცხოვრების გზამ ქორწინებამდე არ მიგიყვანათ, უნდა დამორჩილდეთ თქვენ ხვედრს.

6. სიყვარული, რომლის უფლება ჩვენ არა გვაქვს.

დასასრულ, მე კიდევ ერთხელ მინდა, იესოზე გესაუბროთ. ჩემს თემას ჰქვია: „ჩვენი უფლება სიყვარულისა“. არსებობს სიყვარული, რომლის უფლება ჩვენ ბუნებით არა გვაქვს, რომელიც ჩვენ მხოლოდ მადლით გვეძლევა – ეს არის იესო ქრისტეს სიყვარული. ჩვენ ცოდვილნი ვართ და მაცხოვარი გვჭირდება. ნება მიბოძეთ, როგორც თვითმხილველმა რაღაც მოგითხროთ. ეს იყო მესამე რაიხის დროს. ციხეში ვიყავი ჩემი აღმსარებლობის გამო. ერთ დღეს ციხის პასტორმა მომინახულა და მითხრა: „თქვენი საქმე ძალიან ცუდადაა, იგი გავიდა და მე მარტო დავრჩი ჩემს ერთი ბეწო, დახუთულ საკანში. ჭერში პატარა ჭუჭრუტანა იყო, საშინლად მციოდა, მენატრებოდა ჩემი ცოლი, ბავშვები, ჩემი სამსახური, ჩემი ახალგაზრდები. მე ხომ ახალგაზრდების პასტორი ვიყავი. და აი, ვიჯექი ასე სასოწარკვეთილი და აღარც კი მქონდა იმედი, რომ ოღესმე გავაღწევდი აქედან. როცა მოსაღამოვდა, უსაზღვრო სასოწარკვეთილება დამეუფლა. არ ვიცი გამოგიცდიათ, თუ არა ასეთი რამ თქვენს ცხოვრებაში. და უეცრად – და ეს ნამდვილად ასე იყო – ჩემს საკანში უფალი იესო შემოვიდა. იგი ცოცხალია! იგი ჩემთანაა! მას დაკეტილ კარშიც კი შეუძლია შემოსვლა. ჯვარზე გაკრული გამომეცხადა საკანში და მესმა მისი სიტყვები: „მე ვარ მწყემსი კეთილი....და მე სულსა ჩემსა დავსდებ მაცხოვართათვის.“ და მე უმალ აღვივსე იესოდან გარდამოსული საღრმთო სიყვარულით. ვეღარ ვუძლებდი იმდენად წამლეკავი იყო ეს გრძნობა და მე მივხვდი – ეს ის სიყვარულია, რომელიც ჩვენ არ დაგვიმსახურებია, რომელზედაც ჩვენ არავითარი

უფლება არა გვაქვს, რომელიც ჩვენ მადლისა და წყალობის სახით გვეძლევა.

ეს სიყვარული თქვენც გეკუთვნით! რატომ აძლევთ თქვენს თავს უფლებას, გვერდი აუაროთ მას. მას სურს, უშუალოდ თქვენს გულში გადმოიღვაროს.

შეიძლება თუ არა ღმერთთან საუბარი

შვაბიაში ერთ ასეთ ისტორიას ჰყვებიან ხოლმე: ერთ შვაბურ სოფელში ჩამოვიდნენ თოკზე მოსიარული ჯამბაზები, რომლებსაც საღამოს წარმოდგენა უნდა გაემართათ. მზადებას შეუდგნენ – სცენაზე დეკორაციები წამომართეს, გრძელი ბაგირით შუაში. სცენას დედა-შვილმა ჩაუარა. ბავშვი კითხულობს: დედა, განა ამ ბაგირზე გარბენა შესაძლებელია? დედამ უპასუხა: შეიძლება თუ შეგიძლია. მაგრამ მე არ შემიძლია! პირველი, რაზეც საუბარი მსურს თქვენთან:

1. შეიძლება, თუ შეგიძლია

დიახ, შესაძლებელია, მაგრამ შესაძლებელია იმისათვის, ვისაც შეუძლია. აქ ბევრი თქვენგანი იტყვის: „მაგრამ მე არ შემიძლია“. რა თქმა უნდა, ღმერთთან საუბარი სავსებით შესაძლებელია. თქვენ ხომ შეგიძლიათ ელაპარაკოთ ბატონ მაიერს, მაშ, რატომ არ უნდა დაელაპარაკოთ ცოცხალ ღმერთს? იგი არსებობს! მაგრამ შეგიძლიათ კი თქვენ ილაპარაკოთ ღმერთთან?

ჯერ კიდევ ბავშვობაში ვსწავლობდი მე სიმღერას: „ზეციური სიმაღლიდან, ანგელოზთა სიმაღლიდან, ბავშვებს უყურებს ღმერთი, წყალობის მამა.“ მაშინ ასე ვფიქრობდი: „აზრი არა აქვს ჩემს ლოცვას, ვინაიდან მე არ შემიძლია ისე ხმამაღლა ყვირილი, რომ ღმერთს გავაგონო“. ზოგს სასაცილოდ არ ჰყოფნის, „ჩვენ თანამგზავრი გავუშვით იმ სამყაროში. ღმერთი რომ ყოფილიყო, ჩვენ იგი უნდა შეგვხვედროდა“. მოგეხსენებათ, ბევრი ვერ გარკვეულა ამ საკითხში და კითხულობს: „სად არის ღმერთი? ზეცაში? იქ, იმ სიმაღლეზე? 100, 1000 კილომეტრზე?“ ამ შემთხვევაში მე სრულიად გარკვევით მინდა ვთქვა: „ზეციური სიმაღლე“ – ასეთი სიტყვები ბიბლიაში არ არის, მაგრამ იქ საუბარია ცოცხალ ღმერთზე: „იგი ...ყოველთა ჩუენთა მახლობელ არს.“ სხვა ადგილას ასეა ნათქვამი „ წინა და უკან შემომიდეგ შენ“.

ეს ნათელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გესმის, რომ ჩვენი აღქმისათვის სამყარო მხოლოდ სამ განზომილებაშია მისაწვდომი. მაგრამ სამყარო მნიშვნელოვნად

უფრო დიდია და ვრცელი. ღმერთი სხვა განზომილებაშია, მაგრამ ამავე დროს – თქვენს გვერდით. როდესაც თქვენ სცოდავდით, იგი იქვე იდგა გვერდით და სდუმდა. ზოგმა, 40 თუ 50 წლის ადამიანებმა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ცოდვაში გაატარეს – ღმერთი კი სდუმს.

ღმერთს, რა თქმა უნდა, შეიძლება დაელაპარაკოთ. მაგრამ აქ ისეთივე მდგომარეობაა, როგორც თოკზე მოსიარულე ჯამბაზების შემთხვევაში: შეიძლება მათთვის, ვისაც ეს შეუძლია, ვინც ეს იცის. ადამიანთა უმრავლესობა კი დღეს იძულებულია თქვას: „მაგრამ მე ეს არ ვიცი!“ გთხოვთ, იყავით ბოლომდე გულახდილნი: თქვენ ხომ სრულებით არ იცით ლოცვა. შესძლებდით კი, რომ გცოდნოდათ, მაგრამ არ იცით!

ჩვენი დროის უბედურება ისაა, რომ სრულებით დაკარგულია ლოცვისა და, ამავე დროს, რწმენის ნიჭი. ცნობილმა მწერალმა ფრანც ვერფელმა დაწერა რომანი სახელწოდებით „გაძარცული ზეცა“. კერძოდ: „ჩვენი დროის თვისებაა ადამიანის მეტაფიზიკური გამოთაყვანება“. სიტყვით „მეტაფიზიკური“ მარადიულობის ცნებაა გამოხატული, რომელიც ნამდვილად არსებობს, მაგრამ სხვა განზომილებაში. მეტაფიზიკური გამოთაყვანება კი ნიშნავს იმას, რომ რადიოსგან, ტელევიზიისგან, ყბედობისგან, პროპაგანდისგან, იდეოლოგიისგან, პოლიტიკისგან, მეზობლებისგან, ფაბრიკებში გამეფებული განუკითხაობისგან ადამიანი იმ ზომამდე ჩლუნგდება, რომ აღარ ახსოვს ღმერთის არსებობა, და არც ის, რომ მასთან შეიძლება საუბარი. შეიძლება კი ღმერთთან საუბარი? შესაძლებელი იქნებოდა, რომ არა გამოთაყვანება, რაც სულიერების ისტორიის უკანასკნელი ასი წლის მანძილზე მოხდა.

თექვსმეტი წლის ყმაწვილმა ასეთი ამბავი მომიყვა, ომში რომ შეემთხვა. ბომბდამშენი ავიაციის თავდასხმის შემდეგ იგი პირველი გამოვარდა თავშესაფარიდან და უეცრად იქვე გაშხლართულ მუცელგაფატრულ ადამიანს შეეფეთა. შეეცადა მოხმარებოდა, მან კი უთხრა: „მე ვკვდები. შენ მე უკვე ველარ მიშველი. მე მჭირდება მხოლოდ ვინმე, ვინც შეძლებდა ჩემთან ერთად ლოცვას. ყმაწვილო, ილოცე, რა!“ მაგრამ ყმაწვილმა უპასუხა: „ჰიტლერელ ახალგაზრდებს შორის მე ლოცვა კი არა, მხოლოდ ბილწსიტყვაობა ვისწავლე.“

იგი გაიქცა კაპიტანთან და დაუძახა მას. კაპიტანი დაიხარა კაცისკენ, რომელსაც ნაწლავები უჩანდა გაფატრული

მუცლიდან, და ჰკითხა: „რა გინდა, მეგობარო?“ „კაპიტანო, ვკვდები. ილოცეთ ჩემთან ერთად!“ „ღმერთო, – წამოიძახა კაპიტანმა, – მე არ ვიცი ლოცვა!“ და გაგზავნა უფროსი ლეიტენანტის მოსაყვანად. და, აი, ისინი დგანან, მამაცი მეომრები, რომლებსაც დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე, რომლებსაც შეუძლიათ მოყვნენ ნებისმიერი უხამსი ანეგდოტი, რომლებსაც შეუძლიათ ბილწსიტყვაობა, მაგრამ არცერთს არ შეეძლო ლოცვა. და, აი, ყმაწვილი მეუბნება: „მე მაშინ ვიდექი და ვფიქრობდი: „თუ გამოვძვერი ამ ბინძური ომიდან, მე მაშინ, პირველ რიგში, მოვძებნი ხალხს, რომელიც მასწავლის ლოცვას. მე არ ვისურვებდი ასე საშინლად დავღუპულიყავი, როგორც ეს კაცი!“

აი, რა დღეშია ჩვენი დროის ადამიანი. მე ერთი და იგივე შემიმჩნევია გენერალურ დირექტორებთანაც და მუშებთანაც: ერთნი ზედმეტად ჭკვიანებად თვლიან თავს, რომ ილოცონ, სხვები შემცბარნი არიან თავისუფალი აზროვნებით. ჩვენ გადავეჩვიეთ ლოცვას. და ამას, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანწილად მივყავართ კატასტროფამდე, რომელსაც ვერფელი „მეტაფიზიკურ განდგომას“ უწოდებს. შედეგი – სრული უსუსურობა ბედის ნებისმიერი დარტყმის დროს. ესენში მე ვიჯექი თავშესაფარში ადამიანებთან, რომლებიც ტრაბახობდნენ, ლაპარაკობდნენ საბოლოო გამარჯვებაზე, დიდებულ ფიურერზე და დიდ გერმანიაზე, მაგრამ როდესაც ყუმბარები ფეთქდებოდა – ისინი წკმუტუნებდნენ. ჩვენ კი – ქრისტიანები, ვლოცულობდით და ვუმღეროდით მათ ქრისტიანულ ჰიმნებს, რათა გაეძლოთ. თავად მათ არ შეეძლოთ ლოცვა. დიახ, როცა ადამიანს არ შეუძლია ლოცვა – ეს კატასტროფაა!

ამასწინათ ჩემთან მოდის გონიერი, განათლებული კაცი და ღიმილით მეუბნება: „ბატონო პასტორო, ლოცვა სრულებითაც არ შველის!“ მე კი მას ვპასუხობ: „ნუ ამბობთ სისულელეებს! თქვენ მე მაგონებთ უფეხო ადამიანს, რომელიც აცხადებს, რომ თხილამურებზე სრიალს არ მოაქვს სარგებელი. მაგრამ მას ხომ არ შეუძლია თხილამურებზე სრიალი!“ კამათი თხილამურებზე სრიალის შესახებ შეიძლება, მაგრამ არა ინვალიდთან, ხომ მართალია? მაგრამ ასეთია ჩვენი ბუნება. ჩვენ არ ვიცით ლოცვა, მაგრამ მაინც ვდგებით და ვაცხადებთ: „ლოცვა სრულებითაც არ შველის!“ ჩემი სიტყვებიდან თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ამ მხრივ მე დავკარგე პატივისცემა გერმანელი მოსახლეობის მამრობითი სქესისადმი. ამას აქვს თავისი საფუძველი, დამიჯერეთ. რაც

უფრო ბეჩავნი ვხდებით ჩვენ, მით უფრო მეტად ვტრაბა-ხობთ! ოხ, ნეტავ შემეძლოს თქვენი თავი მიმაყვანინა ისეთ მდგომარეობამდე, რომ დღეს საღამოს მორჩილად გეთქვათ: „იცის ღმერთმა, რომ სულ ცოტა, რაც უნდა იცოდეს ქრისტი-ანმა – ეს ლოცვაა. მე კი ეს ვიცი!“

რა თქმა უნდა, მე მოცული ვარ არა მარტო გულისწყრომით ჩვენი საცოდავი ხალხის გამოთაყვანების გამო, არამედ ღრმა სევდითაც. გული მტკივა იმის გამო, რომ ეკლესია ასეთ ვითარებას ნორმალურად თვლის და თავს გვაჩვენებს, თითქოს ხალხმა ლოცვა იცოდეს, თქვენც ასე იქცევით? შო-ბადღეს ეკლესიაში ისეთ ხალხსაც ნახავთ, რომლებიც სხვა დროს არასოდეს არ ეკარებიან იქაურობას. ამგვარ საშო-ბაო ღმრთისმსახურებაზე ყველაფერი გადავსებულია. და როცა პასტორი ლოცვად მოუწოდებს, ყველანი ხელებს და-იჭდობენ და თავებს დახრიან. ეს მე გულზე მესობა და მინდა შევძახო: „შეწყვიტეთ, თქვენს შორის ათი პროცენტიც არ არის ისეთი, ვინც ლოცვა იცის. თქვენ კი ყველა თავს იკა-ტუნებთ!“ განა სწორი არა ვარ? ქორწინებებზე, დასაფლავე-ბაზეც ლოცვად უხმობენ. და, აი, ყველა დგას თავისი ცილინ-დრებით ხელში და ფიქრობს, რომ ლოცულობს, თუ მათი მზე-რა ცილინდრებისკენაა მიპყრობილი. მსახურების შემდეგ – ლოთობენ! როცა მე ჯარისკაცი ვიყავი, ჯერ კიდევ 1915 წლამდე, ერთხელ გვიბრძანეს ეკლესიას ვწვეოდით. ფელდფე-ბელმა მოგვცა ინსტრუქტაჟი: „თქვენ სულ ჩუმად უნდა ჩაუაროთ რიგებს. როდესაც მიხვალთ დასაჯდომებთან, შეჩერდით, დაითვალეთ 12-მდე და დასხედით“. ხალხი კი, ჯარისკაცების დანახვისას, ფიქრობდა: „როგორი მოწიწებით ლოცულობენ ისინი!“ ისინი კი ნელა ითვლიდნენ 12-მდე და სხდებოდნენ! დარწმუნებული ვარ, რომ ქორწინებებზე და პანაშვიდებზე მოწოდების შემდეგ: „ვილოცოთ“ – ხალხი 12-მდე არც კი ითვლის. მე მიპყრობს მწუხარება, როდესაც ვფიქრობ, რომ უწინ „ვილოცოთ!“ სიტყვების შემდეგ ხალხი მართლა ლოცულობდა და არ თვალთმაქცობდა.

ცენტრალური აფრიკის უდიდესი მკვლევარი დავიდ ლივინგსტონი – ერთ-ერთი უდიდესი ადამიანი, მსოფლიოში სახელგანთქმული, ვაჟკაცი, განათლებული, ჭკვიანი, – შემდეგ-ნაირად გადავიდა მარადიულობაში (საერო კაცი იტყოდა – მოკვდა). მაშინ იგი ცენტრალურ აფრიკაში მარტო თავისი მკვიდრი-მებარგულების ამარა იყო. ერთხელ დილით მებარ-გულებმა ბარგი შეკრიბეს. დაკეცეს კარვები. მხოლოდ ლივინ-

გსტონის კარავი იდგა ჯერ კიდევ. ისინი მას არ აწუხებდნენ, ვინაიდან იცოდნენ: დილით იგი ლოცულობს. იგი საუბრობს თავის ზეციურ მამასთან, თავის ღმერთთან. მაგრამ ამჯერად ძალზე დიდი დრო გავიდა, ბოლოს, მებარგულთა კოლონის ხელმძღვანელმა შეიჭყიტა კარავში და დაინახა, რომ იგი ისევ მუხლებზეა დამხობილი. სადილამდე კიდევ მოიცადეს და, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტეს შესულიყვნენ კარავში. იგი ჯერ კიდევ მუხლებზე იყო, მაგრამ მისი გული აღარ ფეთქავდა.

ეს უდიდესი ადამიანი, დიდი გონების პატრონი, მუხლმოყრილი გარდაიცვალა ლოცვისას, გადავიდა ზეციურ სავანეში, ღმერთის საუფლოში. გერმანელი ობივატელი კი ამბობს: „აზრი არა აქვს ლოცვას“. ნუთუ არ გვრცხვენია? თვალცრემლიანებმა უნდა ვაღიაროთ: „მე აღარ ვიცი ლოცვა!“ ლივინგსტონმა იცოდა. იგი გარდაიცვალა მუხლებზე ჩაჩოქილი. ჩვენ ვკვდებით საავადმყოფოებში ნემსების ჩხვლეტის დროს. სამედიცინო გაუტკივარების გარეშე ჩვენ ვერ ავიტანდით სიკვდილს. მაგრამ ამ კაცს არ სჭირდებოდა ნემსები. იგი საუბრობდა ღმერთთან, და ამ საუბრის დროს გადავიდა იგი მარადიულობაში.

როგორც ხდება ლოცვა სახლში? ჩემს მშობლიურ სახლში, სადაც 8 ბავშვი ვიყავით, ასე იყო: დილით, საუზმის წინ ყველა ერთად ვიკრიბებოდით. ვმღეროდით ჰიმნს: „შენ ფხიზლად იყავ დილის ნათელში, ფეხზე წამოდექ და ისწრაფე ძალა მოიკრიბო ლოცვაში...“ ან „ადიდე უფალი შენ, სულო ჩემო, ხოტბა შეასხი ყოვლად სახიერს!“ მერე ვკითხულობდით თავს ბიბლიიდან. ბოლოს მამაჩემი ლოცულობდა. და მაშინაც კი, როცა მე ურწმუნო გავხდი, ჩვენს სახლში ისევ გრძელდებოდა ლოცვა. როცა მე განდგომილი ვიყავი და ახალგაზრდა ოფიცერი სახიფათო გზას დავადექი, ჩემი მშობლების ლოცვა იყო ჩემთვის შემაკავებელი ძალა. იკრიბებით კი თქვენ თქვენს ოჯახებში დილის ლოცვებზე? თქვენ მოგმართავთ, ქმრებო! ღმერთი მოგთხოვთ თქვენ, ერთხელაც იქნება ანგარიშს თქვენი ცოლშვილის სულების გამო, თუ თქვენ არ თავკაცობდით თქვენს ოჯახს ისე, როგორც საჭიროა. როგორ იწყება თქვენი დღე? გალობენ კი თქვენთან ჰიმნებს? კითხულობთ თქვენ საღმრთო წერილს? არ იცით თქვენ ლოცვა? და რა მოხდება, როდესაც თქვენი პატარები შეგეხვეწებიან: მამა, ილოცე დილით ჩვენთან ერთად!?“

ერთმა კეთილშობილმა კაცმა ესენში მთხოვა მომენახუ-

ლებინა იგი. სახლში ორნი დამხვდნენ – თვითონ და მისი მეუღლე, და, აი, რა მიამბო მან: „მოხდა რაღაც განსაკუთრებული. ჩემმა 16 წლის ვაჟმა, რომელიც ახალგაზრდების შეკრებიდან დაბრუნდა, მკითხა: „რატომ არ ვლოცულობთ ჩვენთან სახლში?“ როდესაც მე შევეცადე მისთვის ამეხსნა, რომ ეს მხოლოდ ფორმალობაა და მას არავითარი აზრი არა აქვს, იგი ისევ შემეკითხა: „მამა, რას ფიქრობ შენ სულიწმიდის შესახებ?“ მე ვუპასუხე, რომ საერთოდ არ ვფიქრობ მასზე, რაზედაც ვაჟიშვილმა მომიგო: „აი, ესაა ჩვენი ოჯახის უბედურება. ჩვენ გვჭირდება მამა, რომელსაც შეუძლია ილოცოს სულიწმიდის მიმართ!“ ასეთი იყო ამ კაცის მონათხრობი. მაშინ მე მას ვკითხე: „იქნებ ღირდეს დაველაპარაკო თქვენს ვაჟიშვილს, რომ იგი თავხედია საკუთარი მამის მიმართ?“ მაგრამ იგი შემეპასუხა: „არა, არა! მე მხოლოდ ის მაფიქრებს, რომ თუ ჩემი შვილი სწორია, მე მცდარ გზაზე ვდგავარ!“ მე მხოლოდ ისღა დამრჩენოდა, რომ დამედასტურებინა ყმაწვილის სისწორე და ის, რომ იგი მცდარ გზაზეა. „სწორედ ამისი მეშინია მე, მაგრამ რა უნდა ვქნა?“ – იყო ამ კაცის პასუხი.

გესმით, ამ ადამიანისათვის ცხადი გახდა, რომ მას გამოეპარა ოჯახისთავის დიდი პასუხისმგებლობა. ის, რომ თქვენ აცმევთ და აჭმევთ თქვენს შვილებს, ეს არ არის საკმარისი. თქვენ, მამებს, გაქვთ გაცილებით უფრო დიდი პასუხისმგებლობა! შეგიძლიათ კი თქვენ ლოცვა?

მეზღვაურებში გავრცელებულია ლეგენდა მოლანდებულ ხომალდზე, რომელიც დედამიწის ყველა ზღვაში დაცურავს, ხალხისგან სრულიად მიტოვებული, და მაინც არ იძირება. და თუ თბომავლებს მოუხდებათ ამ ხომალდთან შეხვედრა, ისინი ცდილობენ რადიოკავშირი დაამყარონ მასთან, მაგრამ იგი არ პასუხობს. ჩვენი დროის ხალხი ამ ხომალდს ემსგავსება. ღმერთი მიისწრაფვის დაამყაროს კავშირი ჩვენთან. ღმერთი გვიგზავნის თავის ნიშანს სხვადასხვა მოვლენებისა და განცდების მეშვეობით და, პირველ რიგში, თავისი სიტყვის მეშვეობით. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვუპასუხოთ. მოლანდებული ხომალდები!

ერთხელ მოხდა ისე, რომ ამ თემაზე ჩემი ქადაგების შემდეგ პატარა ბავშვმა ჰკითხა თავის დედას: „რატომ ილანძღება ასე ეს ძია კათედრიდან?“ ვიმედოვნებ, თქვენ გესმით ჩემი, მე არ ვილანძღები, მაგრამ მე გული მიკვდება სიბრალულისაგან: სადამდე მივიდა ჩვენი საწყალი ხალხი – ინტე-

ლიგენცია და მუშები, კაცები და ქალები, მოხუცები და ახალგაზრდები – უკვე აღარავის არ ძალუძს შეეეჭიროს ღმერთს, რომელიც მათ გვერდით იმყოფება.

ბევრნი უწოდებენ თავის თავს ქრისტიანებს, მაგრამ მათ ლოცვა არ შეუძლიათ.

როდესაც მე რომელიმე ოჯახს ვეწვევი ხოლმე, ხშირად მესმის მსგავსი ამბავი: „ჩვენ ძალიან მორწმუნენი ვართ, ბატონო პასტორო. დედაჩემი იცნობდა პასტორ შულცს. თქვენ იცნობდით მას? არა? დედაჩემი კი იცნობდა მას ძალიან კარგად!“ ასეთ შემთხვევებში მე ასე ვპასუხობ: „საქმე ისაა, შეგიძლიათ თუ არა თქვენ მოიხმოთ იესოს სახელი, შეგიძლიათ კი თქვენ ილოცოთ? თუ თქვენ არ იცნობთ იესოს, თქვენი გზა პირდაპირ ჯოჯოხეთში მიგიყვანთ“. კეთილი ინებეთ, ჰკითხეთ თითოეულმა თქვენს თავს: „შემიძლია კი მე ვილოცო? ვლოცულობ კი მე?“ და თქვენ თვითონვე გაეცით პასუხი ამ კითხვას.

შესაძლოა, თქვენ თქვათ: „კმარა, პასტორო ბუშო, შეწყვიტეთ! სჯობს თქვით, როგორ ვისწავლო ლოცვა?“ სწორედ ამაზე გადავდივარ მე.

2. როგორ ვისწავლოთ ლოცვა?

ა) ცხოვრების პირველი კივილი

მაშ, ასე, როგორ სწავლობენ ლაპარაკს? არა, ამას თქვენ უკვე ვეღარ გაიხსენებთ! ვერც მე. მაგრამ თუ თქვენ გინდათ ისწავლოთ ლოცვა, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, გამოსცეთ ცხოვრების პირველი ბგერა, ჭეშმარიტი ცხოვრებისა ღმერთში. ახლა მე თქვენ მოგიყვებით, როგორ ხდება ეს.

ერთხელ იესომ ასეთი ამბავი მოყვა: ორი კაცი მისულა ეკლესიაში. ერთი მათგანი წარჩინებული კაცი იყო, დიდად დაფასებული საზოგადოებაში. უცებ იგი დაწინაურდა და დაიწყო: „ძვირფასო უფალო, მე მადლობელი ვარ შენი იმისათვის, რომ მე ასეთი კარგი ვარ.“ და ღმერთმა მაშინვე ყური იბრუნა. ამ კაცს შეეძლო იმდენი ელაპარაკა, რამდენიც უნდოდა, მაგრამ ღმერთი მას უკვე აღარ უსმენდა. ხდება ასეთი რამ! მეორე კაცი საკმაოდ საეჭვო ტიპი იყო. ჩვენ ვიტყოდით – მიდრეკილებით დამნაშავეობისადმი. იგი იყო სპეკულანტი, ცულლუტი, ან კიდევ რაღაც ამდაგვარი. ბიბლია მას „მეზვერეს“ უწოდებს. – როდესაც იგი ეკლესიაში შევი-

და, შეკრთა გარემომცველი ზეიმურობის გამო, კარებში გაჩერდა და გაიფიქრა: „აქ სრულიადაც არ არის ჩემი ადგილი! ჩემი ადგილი უფრო დუქანშია სადმე, სადაც ყველაფერი თავდაყირაა, ვიდრე აქ.“ იგი უკვე გასვლას აპირებდა, რომ უცებ ახსენდება რისთვისაც მოვიდა. ის ხომ უსაზღვროდ მონატრებულია ღმერთს. მიბრუნება მამა-ღმერთთან! და მას, ამ ადამიანს არ შეუძლია წასვლა. შესვლაც არ შეუძლია. იგი იხსენებს, როგორია მისი ცხოვრება და მაშინ, ხელებდაკრეფილი, იგი წარმოთქვამს მხოლოდ ერთ წინადადებას: „ღმერთო, იყავ მოწყალე ჩემს მიმართ, ცოდვილის მიმართ!“ ბიბლიაში ნათქვამია, რომ ამ დროს ამღერდა ციური გუნდი, ვინაიდან ადამიანი გაცოცხლდა.

ახალი ცხოვრების პირველი კივილი იუწყება: „მე შევცოდე!“ ახლა ამასთან დაკავშირებით მე ერთ მაგალითს მოგიყვებით. როდესაც იბადებოდა ჩემი პირველი ვაჟიშვილი, ჩემს ცოლს ძალზე მძიმე მშობიარობა ჰქონდა. მე ვფიქრობდი იესოს სიტყვებზე: „დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ“. მე მეჩვენებოდა, რომ ჩემი ძვირფასი ცოლი ამას ვერ აიტანს. მაგრამ უცებ მე გავიგე ხმა, წრიპინა ხმა. ეს იყო ბავშვი! ახალი ცხოვრება! უფრო მშვენიერი მელოდია, ვიდრე ეს წრიპინი იყო, არ შეიძლებოდა ყოფილიყო. როდესაც მე იგი გავიგე, მე ავქვითინდი. გესმით, მე ამან შემძრა: ახალი ცხოვრების პირველი კივილი!

და იცით რა, ცხოვრების პირველი ყვირილი ღმერთისათვის არის ის, რომ ადამიანს, ბოლოს და ბოლოს, გადაეშლება ჭეშმარიტების ნათელი, და იგი წარმოსთქვამს: „მე შევცოდე! იყავ მოწყალე ჩემს მიმართ, ცოდვილის მიმართ!“ და ყველა თქვენი ლოცვა – არაფერია, თუ დასაწყისში არ იყო ეს პირველი კივილი. მე ჯერ არასდროს მინახავს ბავშვი, რომელიც იწყებდეს თავის ცხოვრებას გრძელი ლაპარაკით და არა პირველი კივილით. ზუსტად ასევე, ღმერთის საუფლოსკენაც არ არსებობს სხვა გზა!

ცხოვრებაში პირველი კივილი! თქვენ უკვე გამოსცადეთ იგი? არა? მაშინ თქვენ, ღვთის გულისათვის, უნდა მორჩილ იქმნეთ! მე არა ვარ მხოლოდ ეკლესიის პროპაგანდისტი, მაგრამ მე ძალიან მინდა, რომ ზოგი თქვენგანი არ მოხვდეს ჯოჯოხეთში! სხვა გზა ამისათვის არ არსებობს, თქვენ უნდა წარმოსთქვათ ცხოვრების პირველი კივილი, ცხოვრებისა ღმერთში: „მე შევცოდე! ღმერთო, იყავ მოწყალე ჩემს მიმართ, ცოდვილის მიმართ!“

როდესაც უძღები შვილი დაბრუნდა ღორების სამწყსოდან სახლში, პირველი, რაც მან წარმოსთქვა, იყო: „მამავ, მე შევცოდე ზეცისა და შენს წინაშე.“ და იმ წუთში, როდესაც კი თქვენ ამას წარმოსთქვამთ, ძე ღმერთისა, იესო გამოგიცხადებთ: „ძვირფასო მეგობარო, მე მოვკვდი შენი ცოდვების გამო! მე გადავიხადე შენი ვალი!“

ბ) მხოლოდ ღმერთის შვილებს შეუძლიათ ნამდვილად ილოცონ.

ამასწინათ მე შემხვდა ერთი ჩემი ნაცნობი და მისი სამი მშვენიერი პატარა – ბიჭი და ორი გოგონა. მე შევნიშნე, რომ სამივე ბავშვი ერთდროულად ელაპარაკებოდა მამას. მამა ცდილობდა ყველასათვის გაეცა პასუხი. მე მივესალმე შეხვედრისას: „გამარჯობათ, ბატონო! გამარჯობათ, ბავშვებო!“ მაგრამ ბავშვები უცებ დადუმდნენ. ბავშვებს ნამდვილად შეუძლიათ ილაპარაკონ მხოლოდ მამასთან ან დედასთან. უცხო ადამიანის საზოგადოებაში ისინი იბნევიან.

ასევე, ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ვილოცოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ ღმერთის შვილები ვხდებით! მაგრამ ჩვენ არ ვიცით ლოცვა იმიტომ, რომ არა ვართ ღმერთის შვილები.

ჰო, მართლა, ჩვენ ხომ „ეკლესიურნი“ ვართ, ჩვენ კონფირმირებულნი ვართ: ჩვენ, „ქრისტიანები“, ჩვენ შობადღეს დავდივართ ეკლესიაში, ჩვენ მეტად თავაზიანად ვესალმებით პასტორს და არ ვგვრით მას უსიამოვნებებს. ერთერთმა მქადაგებელმა ერთხელ თქვა: „ისინი მონათლული კურდღლები არიან“. როდესაც მას ჰკითხეს, რას უნდა ნიშნავდეს ეს, მან უპასუხა: „რომ დავიჭიროთ კურდღელი და შევთავაზოთ ნათლობა, ის მაინც ისევ გაიქცევა მინდორში. ასევე ისინი: ნათლობის შემდეგ ისევ მსოფლიოდ მიდიან“. ძვირფასო მეგობრებო! ასეთ შემთხვევაში თქვენ ვერ შესძლებთ ლოცვას! მხოლოდ ღმერთის შვილებს შეუძლიათ ნამდვილი ლოცვა! ამიტომაც მხოლოდ ღმერთის შვილებს შეუძლიათ განიცადონ ჭეშმარიტი სიხარული!

ხედავთ? თქვენ უნდა გახდეთ ღმერთის შვილები! ბუნებით თქვენ არა ხართ ისინი. შესაძლოა, თქვენ გაქვთ ქრისტიანული შეფერილობა, მაგრამ თქვენ არა ხართ ღმერთის შვილები. ბავშვი აუცილებლად უნდა დაიბადოს, ხოლო ღმერთის ბალღმა აუცილებლად უნდა გამოსცადოს აღორძინება. თქვენ

უნდა გახდეთ ღმერთის შვილი, მხოლოდ მაშინ შესძლებთ თქვენ ლოცვას! ღმერთის შვილებს ლოცვის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლიათ. ღმერთის შვილებისათვის ლოცვა ემსგავსება სუნთქვას. ჩემი ახალგაზრდები ხშირად ახსენებენ ერთმანეთს ხუმრობით: „ნუ დაივიწყებ სუნთქვას!“ თქვენ კი ივიწყებთ სულის სუნთქვას! ღმერთის შვილებისათვის ლოცვა სუნთქვაა. ამგვარად, თქვენთვის აუცილებელია, რომ გახდეთ ღმერთის შვილები.

მე მინდა მოკლედ მოგახსენოთ თქვენ, თუ როგორ შეიძლება გახდე ღმერთის შვილი: მხოლოდ იესოს მეშვეობით! იგი ამბობს: „მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხოვნდეს“. აი, ცხოვრების წყვდიადის გავლით თქვენთან მოდის იესო, კაცი ლურსმნებისგან ნაჭრილობევი ხელებით. აქამდე თქვენ არაფერი გესაქმებოდათ მასთან. ცნობა იესოზე გეჩვენებოდათ მითად. იგი მოდის თქვენთან შესახვედრად. შესაძლოა ისე მოხდეს, რომ თქვენ ცნოთ იგი კაცად სხვა განზომილებაში, ძედ ღმერთისა ცხოველისაჲ, თქვენს მაცხოვრად. პირველი ნაბიჯი, რათა ღმერთის შვილად ვიქცეთ, არის იესოს აღიარება, მეორე ნაბიჯი – უსაზღვრო მინდობა იესოზე, იმ მხრივ, რომ მას ხელეწიფება მოაწესრიგოს ჩემი შინაგანი ცხოვრება, სულის მღელვარება, საიდუმლო გადაცდომები, ყმაწვილობის ცოდვები! ძველ აღთქმაში ერთი ღმერთის კაცი ამბობს: „შენ გაარჩიე ჩემი დავა და სამართალი“. დგება ერთხელ ისეთი მომენტი, როდესაც მთლიანად მიენდობი იესოს, იმდენად, რომ ბედავ უარი თქვა შენს წარსულ ცხოვრებაზე, ხოლო მთელს შენს ცხოვრებას მას სთავაზობ. ჩვენ ამას ვუწოდებთ აღორძინებას. ჩემს ცხოვრებაში ეს იყო ის წუთი, როდესაც მე, 18 წლის ასაკში, უარი ვთქვი ურწმუნო ცხოვრებაზე და ჩემი ცხოვრება იესოს გადავაბარე. ამაში მე არავინ მომშველებია. და მეც არ შემიძლია თქვენ გიშველოთ. ეს უნდა მოხდეს მხოლოდ მასთან, იესოსთან ერთად. გაბედეთ და უთხარით მას: „ღმერთო, მიიღე ცხოვრება ჩემი: იგი მთლიანად შენ გეძღვნება“. იმ მომენტში, როდესაც ამას მოიმოქმედებთ, თქვენ გახდებით ღმერთის შვილი, ჩემთან მოდიან ადამიანები და ცდილობენ ამიხსნან, რომ შეიძლება სხვა გზებითაც გადარჩე. შეეცადეთ! მაგრამ მე უნდა გითხრათ, რომ არსებობს მხოლოდ ერთი კარი ღმერთის საუფლოში! მისი სახელია – იესო! იესო, რომელიც მოკვდა და აღსდგა ჩვენი გულისათვის!

გთხოვთ, მიეახლეთ იესოს! იგი დიდი ხანია უკვე დაგეძებთ თქვენ! როდესაც თქვენ ღმერთის შვილი გახდებით, მაშინ შესძლებთ ლოცვას, მაშინ დამთავრდება თქვენი სატანჯველი, მაშინ თქვენ შესძლებთ უთხრათ იესოს ყოველივე, რაც გულში გაქვთ – როგორც ბავშვი ეტყვის თავის მამას.

მე უკვე კარგა ხნის პასტორი ვარ და უამრავ ხალხს შევხვდი, ბევრი შევისწავლე, და დავრწმუნდი, რომ თითოეულ ადამიანს აქვს თავისი ბნელი საიდუმლოებები, რომლებსაც იგი მთელი ცხოვრება ელოლიავება. როდესაც უკვე ღმერთის შვილი ხარ, მაშინ შეიძლება იესოს გადაუშალო გული. მას შეიძლება მოუყვე შენს ბნელ საიდუმლოებებზე, რასაც თავად ვერაფერს უხერხებ, შენს უმსგავსო კავშირებსა და ჩვევებზე. მას შეიძლება უთხრა ის, რასაც ვერც ერთ ადამიანს ვერ გაანდობ. ერთი 18 წლის ყმაწვილი მიყვებოდა თავის თავზე, რომ მას – ქრისტიანს, ერთ მომენტში კინაღამ გული არ გაუტყდა. და აი, ბიბლიური საათის დაწყების წინ მან მიმართა იესოს: „იესო, თუ დღეს საღამოს შენ არ იტყვი სიტყვას უპირველესად ჩემთვის, მე ყველაფერს მივატოვებ. თუ როგორღაც უფრო არ გავერკვიე, მე არა მაქვს მეტი ძალა მოვერიო ჩემს თავს და ჩემს ცხოვრებას დიდ ქალაქში“. ხოლო როდესაც ბიბლიური საათის დამთავრების შემდეგ იგი შინ ბრუნდებოდა, მისთვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო. მან ასე გააგრძელა თავისი თხრობა: „იესომ შეისმინა ჩემი ლოცვა და პირადად მესაუბრა.“ მე დიდად შემძრა ყმაწვილის ნაამბობმა იმის შესახებ, რომ იგი ურწმუნოებისა და გულგატეხილობის სიღრმიდან შეევედრა იესოს და პასუხიც მიიღო. თქვენ რომ შეგეძლოთ იმის წარმოდგენა, რა პასუხებს იღებენ ღმერთის შვილები თავის ლოცვებზე!

როდესაც მე ომში ვიყავი, დედაჩემი მწერდა: „დღეს მე გავიღვიძე ღამის სამ საათზე და მომაგონდა ჩემი შვილები და შვილიშვილები; ვფიქრობდი თქვენზე, რომლებიც ცეცხლის ხაზზე იმყოფებით, ელისაბედზე, რომელიც კანადაშია და არავითარი ცნობები მისგან არ არის“. და აქ მე ისე ავღელდი და ავფორიაქდი, თითქოს შეიარაღებული მეომარი მახრჩობდა რკინის ხელთათმანებით. მე მიჭირდა ამის გაძლება და შევევედრე: „იესო, ერთი სიტყვა მაინც მითხარი, მე ვერ ავიტან ასეთ აღელვებას!“ შემდეგ მე ჩავრთე სინათლე, ავიღე ჩემი ბიბლია და გადავშალე იგი. პირველი სიტყვები, რომლებიც მე წავიკითხე, იყო: „ყოველი თქუენი

საზრუნავი მიანდეთ მას, რამეთუ იგი არს მზრუნავი თქუენზე...“ მაშინ მე იმწამსვე ყველაფერი ჩემს მაცხოვარს მივანდე, გამოვრთე შუქი და მხიარულად დავიძინე“. აი, ეს საქმეა! ასე შეიძლება მოიქცე მხოლოდ მაშინ, თუ ღმერთის შვილი ხარ!

მახსენდება, ერთხელ დედაჩემმა მითხრა: „გუშინ საღამოს მე ისე დავიღალე, რომ აღარ შემეძლო უკვე ლოცვა. მაშინ მე მხოლოდ ეს ვთქვი: „ღამე მშვიდობისა, ძვირფასო მაცხოვარო! და გავიფიქრე: „ასე ბუნებრივად ღმერთის შვილები ესაუბრებიან თავის უფალს!“ იგი ნამდვილად ზრუნავს ჩვენზე: ყოველ წუთს, დღე იქნება ეს თუ ღამე. იგი ჩვენს გვერდითაა, მე კი მისი მონაპოვარი ვარ და შემიძლია მას მივენდო სავსებით.

გაიგეთ თქვენ? თუ ვინმეს ლოცვა არ შეუძლია, ეს ნამდვილად კატასტროფაა. მე გისურვებთ თქვენ სიცოცხლის პირველ კივილს: „მე შევცოდე! ღმერთო, იყავ მოწყალე ჩემს მიმართ, ცოდვილის მიმართ!“ მე მსურს, რომ თქვენ არ დაწყნარდეთ მანამ, სანამ არ ჩაუვარდებით ხელთ იესოს, სანამ არ გახდებით ღმერთის შვილები! მაშინ მე აღარ ვიდარდებ თქვენზე.

როგორ გავძლოთ ცხოვრებაში, თუ ჩვენ აღარაფერი გვწამს

1. რწმენის გარეშე ვერ გავძლებთ

დიახ, მე ახლავე უნდა გაგაფრთხილოთ: მას, ვისაც არ შეუძლია სწამდეს ღმერთი, ძალიან გაუჭირდება ცხოვრებას გაუძლოს. ასეთ შემთხვევაში მე არ ძალმიძს დახმარება. ურწმუნო ადამიანს შეუძლებელია დაეხმარო. მე მინდა აგიხსნათ, რატომ.

ჩვენ ვფიქრობთ, თითქოს ღმერთი არის თეოლოგიური თეზისი, აზრი ან ბუნების ძალა, ან რაღაც ამდაგვარი. მაგრამ, მეგობრებო, ღმერთი – ეს პიროვნებაა, რომელიც არსებობს სინამდვილეში და ავსებს ყველაფერს ყველაფერში. და თუ მე არა ვარ ღმერთს შერიგებული, თუ მე არა ვარ ღმერთის შვილი, მე განზე ვგდავარ სინამდვილისაგან. ეს კი სახიფათოა.

ყველაზე დიდი წუთი ჩემს ცხოვრებაში იყო ის, როდესაც მე, ახალგაზრდა ოფიცერმა, პირველი მსოფლიო ომის წლებში, უცებ გავაცნობიერე: ღმერთი ხომ ნამდვილად არსებობს! მე მიმაჩნდა ჩემი თავი ადამიანად, რომელიც ავტომანქანით კლდეს შეეჯახა. ადრეც ვამბობდი, რომ მე მწამს უფალი ღმერთი, მაგრამ არ მქონდა შეგნებული, რომ იგი რეალობაა. და, აი, უცებ მე შეეჯახე ღმერთის რეალობას.

ბიბლიაში არის საოცარი ფსალმუნი, რომელშიც ნათქვამია – ღმერთი იმდენად რეალურია, რომ მას უბრალოდ შეუძლებელია დაემალო. იქ ასეა ნათქვამი: „ზეცაში რომ ავიდე, შენ იქა ხარ...“ ამერიკელმა ასტრონავტმა გლენმა თქვა, რომ ყველაზე დიდი გამოცხადება მისთვის აღმოჩნდა ის, რომ იქ, კოსმოსურ აპარატში, მან ირწმუნა: ღმერთი იქაც არსებობს! ამგვარად, „ზეცაში რომ ავიდე“, ა ნთუ დავქრივარ კოსმოსურ სივრცეში: „შენ იქა ხარ!“ და მე რომ მაღაროს უღრმეს შახტში დავმალულიყავი, 1000 მ მეტ სიღრმეზე, იქაც აღმოვაჩენდი ღმერთს! ფსალმუნთმგალობელი ამბობს: „ქვესკნელში ჩავიდე და – იქაც ხარ!“ როცა მე ამასწინათ კალიფორნიაში მივფრინავდი, ჩემმა ცოლმა ჩამიდო ჩემოდანში ლექსი ამ ფსალმუნიდან, რომელიც მე წავიკითხე, როდესაც გავაღე ჩემოდანი სან-ფრანცისკოში: „ავწიო

ფრთენი განთიადისა, დავსახლდე ზღვის კიდეზე, იქაც შენი ხელი წამიძღვება“ ღმერთი დიდი რეალობაა!

და რამდენადაც ღმერთი დიდი სინამდვილეა, იგი არ დატოვებს არავის დაუსჯელად, არავის, ვინც მისგან განზე დგას. თუ მე ისე ვცხოვრობ, თითქოს, ღმერთი არ არსებობდეს, არად ვაგდებ მის ბრძანებას, არ ვიცავ კვირადღეს, ვმრუშობ, ვცრუობ, მშობლებს პატივს არ ვცემ, ღმერთს არ ვეთაყვანები, მაშინ მე განზე ვდგავარ სინამდვილისაგან. მაგრამ ასე მე ვერ გავძლებ ცხოვრებაში! აბა, მიმოიხედეთ თქვენს ირგვლივ ამ სამყაროში: ხალხი ხომ უბრალოდ ძლივს თუ ახერხებს თავის გატანას, ისინიც კი, ვინც ბევრ ფულს შოულობს. სულში დიდი უკმაყოფილება სუფევს: პირად ცხოვრებაში მოუწყობლობა, ოჯახშიც იგივე.

„მაშ, როგორ გავძლოთ ცხოვრებაში, თუ ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია გვწამდეს“? ასე ხომ ჩვენ ვერ მოვერევით ცხოვრებას! მით უფრო, სიკვდილს! ასი წლის შემდეგ აქ არც ერთი ჩვენგანი აღარ იქნება. ჩვენ ყველა მოვკვდებით.

შესაძლოა, იტყვის ვინმე: „სიკვდილის შემდეგ არაფერი არ არის, ჩვენ არყოფნაში მივდივართ!“ მაგრამ განსაჯეთ თვითონ, რა სჯობს, რას უნდა მიენდოთ: ღმერთის სიტყვას თუ საკუთარ გულისთქმას. როგორ უნდა შეხვდეთ სიკვდილს, როცა უეცრივ ნათელი ხდება: მე ხომ არ შემიძლია თან წავიღო ყველაფერი ის, რასაც მთელი ცხოვრება ვაგროვებდი. იქნებ, თქვენ სახლი აიშენეთ, მე კი – შესანიშნავი ბიბლიოთეკა. და იმ ყველაფრიდან, რაც ასე ძვირფასი იყო აქ ჩემთვის, და აგრეთვე იმ ადამიანებიდან, რომელიც მე ასე მიყვარდა, მე არაფერი და არავინ არ შემიძლია თანწავიღო და თან გავიყოლო. მხოლოდ ერთი მიგვაქვს ჩვენ თან მარადისობაში – ჩვენი დანაშაული ღმერთის წინაშე. წარმოიდგინეთ: თქვენ წევხართ სასიკვდილო საწეცელზე და უცებ შეიგნებთ: „მე ყველაფერი უნდა დავტოვო, მხოლოდ ყველა ჩემი დანაშაული და ყველა ჩემი ცოდვა წარსდგება ჩემთან ერთად, წმიდა და მართალი ღმერთის წინაშე“!

როგორ უნდა წარვსდგეთ ღმერთის სამსჯავროზე რწმენის გარეშე იმის მიმართ, რომელიც ასამართლებს ურწმუნოებს? ჩვენ წარვსდგებით კი მის წინაშე!

უფალმა იესომ თავისი დიდი მწყალობლობის გამო თქვა: „და ნუ გეშინიან მათგან, რომელთა მოწყვიდნენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელ-ეწიფების მოკლვად. არამედ მისა

უფროჲს, რომელი შემძლებელ არს სულისა და ხორცისა წარწყმედად“.

ამ რამდენიმე წლის წინ ნორვეგიაში ცხოვრობდა ცნობილი პროფესორი, ჰალესბი, ნამდვილად პატივსაცემი სერიოზული ნორვეგიელი. ერთი კვირის მანძილზე იგი რადიოთი ქადაგებდა. მე ახლაც კი წარმომიდგენია, როგორ დგას იგი მიკროფონთან და ამბობს: „შესაძლოა, თქვენ დღეს საღამოს მშვიდად ჩაწვეთ ლოგინში, მაგრამ დილაადრიან ჯოჯოხეთში გაიღვიძოთ! მე მინდოდა თქვენ გამეფრთხილებინეთ!“ ამან გამოიწვია წარმოუდგენელი აღშფოთება, ვინაიდან ნორვეგიელებიც „თანამედროვე ადამიანებს“ მიეკუთვნებიან, ხოლო ეს ხომ ასე მნიშვნელოვანია დღეს. ოსლოში ყველაზე დიდი გაზეთის ჟურნალისტმა დაწერა ასეთი შინაარსის მოწინავე სტატია: „ჩვენ ხომ შუა საუკუნეებში არ ვცხოვრობთ! დაუშვებელია, რომ ასეთი თანამედროვე დაწესებულება, როგორც რადიოა, გამოყენებულ იყოს აშკარა სისულელეების საუწყებლად!“ ხოლო, თუკი მსგავსი რამ დაბეჭდა დიდმა გაზეთმა, მაშინ გასაგებია, ყველა პატარაც მას აჰყვა. და, აი, გაზეთის ფურცლების მთელი ტყე შრიალებდა: „ჩვენ ხომ შუა საუკუნეებში არ ვცხოვრობთ! განა დასაშვებია, რომ პროფესორმა ჯოჯოხეთზე ილაპარაკოს!“ ამის გამო ოსლოს რადიომ თხოვნით მიმართა პროფესორ ჰალესბის, რათა განმარტება მიეცა ამ საკითხთან დაკავშირებით. პროფესორი ჰალესბი ისევ დგება მიკროფონთან და აცხადებს: „მე უნდა ნათელი მოვფინო საქმის ვითარებას: მე ვცდილობ ამას. სავსებით შესაძლებელია, რომ დღეს საღამოს თქვენ მშვიდად ჩაწვეთ ლოგინში, ხოლო დილაადრიან ჯოჯოხეთში გაიღვიძოთ. მე მინდოდა თქვენ გამეფრთხილებინეთ!“ აქ დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! ნორვეგიის ყველა ეპისკოპოსი გამოკითხეს: არსებობს კი ჯოჯოხეთი? ჟურნალი „შპიგელიც“ – კი ჩაერია ამ საქმეში და გამოაქვეყნა დიდი სტატია – „კამათი ჯოჯოხეთის შესახებ ნორვეგიაში“. ერთი წელიც კი არ იყო გასული ამ აურზაურიდან, როცა მე მომიხდა სტუდენტებისათვის ლექციები წამეკითხა ოსლოში, ხოლო საღამოს რამდენიმე საჯარო ლექციით გამოვსულიყავი. ჯერ ჩატარდა პრეს-კონფერენცია. სასტუმროში შეიკრიბნენ ყველა გაზეთის წარმომადგენელნი. და, აი, მოხდა საოცრება: ჩემგან მარჯვნივ იჯდა ჟურნალისტი, რომელმაც ეს აურზაური დაიწყო. მარცხნივ კი – პროფესორი ჰალესბი, ევანგელური პრესის წარმომადგენლის სახით. ჟურნალისტი წამოვიდა

შეტევაზე: „პასტორო ბუშო, მე და პროფესორ ჰალესბის უთანხმოებანი გვაქვს. თქვენ ხომ თანამედროვე ადამიანი ბრძანდებით. როგორ თვლით თქვენ, არსებობს ჯოჯოხეთი?“ „დიახ, – ვუპასუხე მე, – რა თქმა უნდა, ჯოჯოხეთი არსებობს! თავისთავად ცხადია!“ – „მე არ მესმის, როგორ შეგიძლიათ თქვენ ეს ამტკიცოთ“ – შემეპასუხა იგი. – „მე მოხარული ვარ, აგიხსნათ ეს – ვუპასუხე მე. – მე მჯერა, რომ არსებობს ჯოჯოხეთი, ვინაიდან თვით იესომ თქვა ამის შესახებ. მე კი მჯერა ის, რაც იესომ თქვა, მან ყველა გონიერ ადამიანზე მეტი იცოდა!“

საღმრთო წერილი ამბობს, რომ ღმერთს სურს, შეეწიოს ადამიანს საღმრთო ჭეშმარიტების შეცნობაში.. ამიტომაც ვლაპარაკობთ ჩვენ რწმენაზე, ვინაიდან ღმერთმა მიგვითითა ჩვენ ჭეშმარიტი გზა ცხოვრებისა და სიკვდილისა.

როგორ გავძლოთ ცხოვრებაში, თუ ჩვენ აღარ ძალგვიძს მეტი გვწამდეს? როგორ დავსძლიო მე სიძნელეები, თუ მე აღარ ძალმიძს მეტი მწამდეს? რწმენის გარეშე ჩვენ ვერ გავძლებთ ამ ცხოვრებაში!

ნება მომეცით, ეს სხვაგვარად დავასაბუთო. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გყავთ მშვენიერი პატარა ოქროს თევზი. „შე საწყალო, შენ ყოველთვის ცივ წყალში გიხდება ყოფნა! მე მინდა შეგიქმნა შენ უფრო ხელსაყრელი პირობები!“ – გადაწყვეტთ ერთხელ თქვენ. ამოგყავთ თევზი წყლიდან, ამშრალებთ ხაოიანი პირსახოცით და ათავსებთ შესანიშნავ ოქროს გალიაში. აძლევთ მას საუკეთესო საკვებს – მე არ ვიცი, რით იკვებებიან ოქროს თევზები, – შესაძლოა, ჭიანჭველის კვერცხებით ან რაღაც ამდაგვარით. ერთი სიტყვით, თქვენ აძლევთ მას საუკეთესო, ყველაზე ცხიმიანი ჭიანჭველის კვერცხებს და ამბობთ: „ჩემო საყვარელო ოქროს თევზო, ახლა შენ კარგად ხარ: შენ გაქვს მშვენიერი ოქროს გალია, მშვენიერი ჭიანჭველის კვერცხები, სუფთა ჰაერი!“ და რას გააკეთებს ოქროს თევზი? მოიქნევს იგი მადლობის ნიშნად ფარფლებს და გაიმეორებს: მადლობთ, მადლობთ? პირიქით, იგი გაიგუდება და აფართხალდება. და მას რომ ლაპარაკი შეძლებოდა, იტყოდა: „მე არ მჭირდება შენი ოქროს გალია, მე არ მჭირდება ჭიანჭველის კვერცხები, მე მინდა ჩემს სტიქიაში, მე მინდა წყალში!“ ჩვენი სტიქია კი ღმერთია ცხოველი, რომელმაც შექმნა ცა და დედამიწა და ყველა ჩვენთაგანიც. შვეიცარული ნაციონალური ჰიმნი იწყება სიტყვებით: „ყოველი ცხოვრება შენგან იღებს დასაბამს.“ ღმერ-

თი სტიქიაა! და მანამდე, სანამ მე არ მექნება მშვიდობა ღმერთთან, მე შემიძლია დავაკმაყოფილო ჩემი სული ოქროს გალიით. გესმით? თანამედროვე ადამიანი ყველაფერს აძლევს თავის სულს: სიამოვნება და მოგზაურობა, საუკეთესო საჭმელი, ჩინებული ღვინო – ყველაფერს, მაგრამ სული ფანქალებს და ამბობს: „ყოველივე ეს მე, არსებითად, სრულებითაც არ მჭირდება! მე მინდა ჩემს სტიქიაში, მე მინდა მშვიდობა ღმერთთან!“ ნუ იქნებით სასტიკნი თქვენს თავთან! ჩვენი გული ჩვენში კივის მანამდე, სანამ ჩვენ არ მოვიპოვებთ მშვიდობას ღმერთთან! როგორც თევზი მიისწრაფვის თავისი სტიქიისკენ, ასევე ჩვენს სულს სწყურია ღმერთი, რომელიც ჩვენი სტიქიაა.

როგორღა გავძლოთ ცხოვრებაში, თუ ჩვენ აღარ ძალგვიძს მეტი გვწამდეს? ამაზე მე შემიძლია მხოლოდ ასე ვთქვა: „არანაირად! არც ცხოვრებაში, არც სიკვდილში, არც მარადისობაში!“ და თუ თქვენ შემეპასუხებით, რომ ადამიანები მაინც კარგად ახერხებენ წარმატება მოიპოვონ ცხოვრებაში, მე უნდა გიპასუხოთ: ეს მხოლოდ გარეგნული კეთილდღეობაა. ასე არ არის? ავიღოთ, მაგალითად, გოეთე – იგი იყო ლამაზი, მდიდარი, ჭკვიანი, ეკავა მინისტრის პოსტი, მოკლედ: ჰქონდა ყველაფერი, საბოლოოდ კი აღიარა, რომ თუ იგი შეაჯამებდა ყველა იმ საათს თავისი ცხოვრებისა, როდესაც მან განიცადა ნამდვილი სულიერი სიმშვიდე, საეჭვოა, სამ დღეზე მეტი დაგროვილიყო. ასეთი შფოთიანია ცხოვრება. არა, რწმენის გარეშე თავს ვერ გაართმევ ცხოვრებას.

უპირველესად ეს უნდა მეთქვა თქვენთვის. გადავდივარ შემდეგ საკითზე:

2. თავი და თავი ჭეშმარიტი რწმენაა

ბოლოს და ბოლოს, საქმე ისაა, რომ თქვენ გქონდეთ ჭეშმარიტი რწმენა, რწმენა, რომელიც გადაგარჩენთ!

ყოველ ადამიანს აქვს თავისი რწენა. როცა მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა სტუდენტი, ერთხელ დედისეულ სახლში ვიყავი, მის სანახავად მოვიდა ერთი ქალბატონი. ვინაიდან დედა შინ არ იყო, მე შევიპატიჟე და ვუთხარი, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ჩემთან საუბრით. „ძალიან სასიამოვნოა, – სთქვა მან, – და რას აკეთებთ თქვენ?“ – „მე ვსწავლობ თეოლოგიას“ – ვუპასუხე. – „რა? – წამოიძახა მან, –

თეოლოგიას? დღეს ვინღაა, რომ სწამდეს რამე? ეს ხომ შეუძლებელია!“ და ამ ხანდაზმულმა ქალბატონმა გოეთეს ავტორიტეტი მოიშველია (ეს იყო ფრანკფურტში, სადაც გოეთე ცხოვრობდა), და ამაყად წარმოსთქვა: „ჩვენ ახლა გვწამს გოეთესი! ქრისტიანობა უკვე დიდი ხანია მოძველდა!“ ვინაიდან ასეთი საუბარი არ იყო ჩემთვის სასიამოვნო, მე გადავიტანე იგი სხვა თემაზე, და მივმართე სტუმარს: „მოწყალეო ქალბატონო, ნება მიბოძეთ გკითხოთ, როგორია თქვენი ცხოვრება?“ აქ მან მაგიდაზე დააკაკუნა და სწრაფად წამოიძახა: „ფუი, ფუი, ფუი. განა შეიძლება ასეთი კითხვის დასმა?“ მე ვიკითხე: „ბოდიში, რას ნიშნავს ფუი, ფუი, ფუი? რაზედაც მან მიპასუხა: „ეს იცავს უბედურებისგან!“ „ამგვარად. – განვმარტე მე, – თქვენ უკუაგდეთ რწმენა ცოცხალი ღმერთისა, მაგრამ იწამეთ „ტოი, ტოი, ტოი“ და ხეზე კაკუნი? გვარიანია! ბრწყინვალე გაცვლაა!

და აქ მე უეცრად აზრი დამებადა: ყოველ ადამიანს რაღაცისა სწამს. საკითხავი მხოლოდ ისაა: „მაქვს კი მე ჭეშმარიტი რწმენა, რომელიც გადამარჩენს? ჩვენს დროში ამბობენ: „მთავარი ისაა, რომ თქვენ გაქვთ რწმენა!“ და ხშირად შეიძლება გაიგონოთ: „მე მწამს უფალი ღმერთისა!“ „მე მწამს ბუნებისა!“ „მე მწამს ბედისა!“ „მე მწამს განგებისა!“ არა, არა, მეგობრებო, მთავარი ისაა, რომ მე მაქვს ჭეშმარიტი რწმენა, ისეთი რწმენა, რომელსაც მშვიდობა მოაქვს, მშვიდობა ღმერთთან და მშვიდობა გულში. მე მჭირდება ისეთი რწმენა, რომელიც დაგიხსნის ჯოჯოხეთისგან, რომელსაც მე ვგრძნობ აქ, ვინაიდან იგი მე ახალ ცხოვრებას მიწყალობებს, სხვა რწმენა კი მე არაფრად მჭირდება. ბევრს ოდესღაც სწამდა გერმანიისა, საბოლოო გამარჯვებისა, ფიურერისა. და რა გამოვიდა აქედან? მე მჭირდება ჭეშმარიტი, მხსნელი რწმენა!

მაგრამ ჭეშმარიტი, მხსნელი რწმენა – ეს არის რწმენა იესოსი, ძისა ღმერთისა ცხოველისა. რწმენა იესოსი! არა რელიგიის დამაარსებლისა, რომელთა რიცხვი უამრავია, არამედ იესო ქრისტესი, ძისა ღმერთისა ცხოველისა. და ახლა კი უნდა გითხრათ, რას წარმოადგენს რწმენა იესოსი.

ბიბლიაში აღწერილია შესანიშნავი ამბავი, სადაც პირდაპირაა ნაჩვენები ეს მხსნელი რწმენა იესოსი. მოდით, წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი 2000 წლის წინ, მიმავალნი იერუსალიმის კარიბჭის მიღმა, გოლგოთის მთაზე, თხემისა ადგილსა. ნუ აქცევთ ყურადღებას ხალხს, რომელიც ყვირის და

ღრიალებს! ნუ აქცევთ ყურადღებას რომაელ მეომრებს, რომლებიც სადარაჯოზე დგანან და წილის ყრა აქვთ გაჩაღებული მსჯავრდადებულთა ტანსაცმლის გამო! მაგრამ აღვაპყროთ ჩვენი მზერა: შუაში, ჯვარზე ჰკიდია მილურსმული ძე ღმერთისა! სახე გასისხლიანებული აქვს ეკლიანი გვირგვინისგან, რომელიც მას თავზე ჩამოაცვეს. იქ ღმერთი ჰკიდია. მისგან მარჯვნივ ავაზაკი ჰკიდია. მასაც სიკვდილი მიუსაჯეს. მარცხნივ კიდევ ერთი ავაზაკია. და უცებ ერთერთი ავაზაკი ყვირილს იწყებს: შენ თუ ხარ ქრისტე, იხსენი თავი შენი და ჩუენცა“, თუ შენ მართლაც ძე ღმერთისა ხარ და არ სტყუი, ჩამოდი ჯვრიდან და მეც დამეხმარეო, – შეიძლება მისი გაგება. სიკვდილის შიშით ადამიანი ამბობს იმას, რასაც სხვა დროს, შესაძლოა, არც იტყოდა. შემდეგ ალაპარაკდა მეორეც. მან, მიმართა თავის ამხანაგს: „არცაღა გეშინის შენ ღმერთისა, რამეთუ მასვე სასჯელსა შინა ხარ?!“ იგი იწყებს ისე, რომ ნათელი ხდება – ღმერთი წმიდაა და საშიში.

როდესაც ჩვენს ქალაქებში ყუმბარები ფეთქდებოდა, ხალხი მთლად დაბნეული იყო. შესაძლოა, ეკლესია დამნაშავეა, რომ არ იყო ნათქვამი: „ღმერთი შეიძლება საშიში იყოს! მას შეუძლია წაგართვას თავისი მფარველობა! და შენ ჯერ მაინც არ გეშინია ღმერთის?!“ საჭირო იყო ყვირილი ამის შესახებ იქ, სადაც ხალხი გვამებზე დააბიჯებდა, რომ ფული გაეკეთებინათ: „და თქვენ ჯერ მაინც არ გეშინიათ ღმერთის!“ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც თავის დღეებს გარყვნილებაში ატარებენ, უნდა გამოგვეცხადებინა: „და თქვენ ჯერ მაინც არ გეშინიათ ღმერთის!? რას ფიქრობთ? ნუთუ თქვენ დაბრმავდით? ყველაფერი იწყება ღმერთის სიწმიდისა და რისხვის შეგნებით. და, აი, ავაზაკი, ეს დამნაშავე, აცხადებს: „ჩვენ სწორად ვართ მსჯავრდადებულნი! ეს დავიმსახურეთ!“ ეს პირველია, რასაც მივყავართ მხსნელ რწმენამდე: საკუთარი დანაშაულის შეგნება.

მე შევხვედრივარ ბევრ ხალხს, რომლებიც მეუბნებოდნენ: „მე არ შემიძლია ვირწმუნო!“ მე ასეთებს ვეკითხებოდი: „გიფიქრიათ თუ არა თქვენ, რომ დამნაშავე ხართ ღმერთის წინაშე?“ „არა, მე სწორად ვიქცევი და არავისი არ მეშინია!“ მაშინ მე ვეუბნებოდი მათ: „მანამ, სანამ თქვენ თავს იტყუებთ, თქვენ ვერასდროს ვერ მიხვალთ ჭეშმარიტებამდე!“

ამასწინათ მე შემხვდა ერთი კაცი, რომელმაც ასევე გამომიცხადა: „მე სწორად ვიქცევი და არავისი არ მეშინია!“

მე მას შევეპასუხე: „გილოცავთ! მე არ შემიძლია ამის თქმა. ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ ვერ არის რიგზე“. მან მიპასუხა: „რა თქმა უნდა, თუ მთელი სიმკაცრით მივუდგებით...“ „ო, – ვთქვი მე, – ღმერთი მკაცრად უდგება, თქვენ კი ხომ არ მოიტყუებთ თავს!“ იცოდეთ! თქვენ გექნებათ ჭეშმარიტი, მხსნელი რწმენა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოახერხებთ ცოდვას ცოდვა დაარქვათ, როდესაც თქვენ ბინძურ სექსუალურ კავშირებს დაარქმევთ სიმრუშეს, როდესაც თქვენ თქვენს ღალატს ღალატს დაარქმევთ, როდესაც თქვენ თქვენს ტყუილს ეშმაკობად კი არ მონათლავთ, არამედ ტყუილს უწოდებთ, როდესაც თქვენ თქვენს თავმოყვარეობას აღარ გაამართლებთ, არამედ აღიარებთ, რომ თქვენ აღმერთებთ საკუთარ თავს – და ეს არის სწორედ კერპთაყვანისმცემლობა. ეს მეორეა, რასაც მივყევართ მხსნელ რწმენამდე – როდესაც მე, ბოლოს და ბოლოს, ვიწყებ ცოდვის ცოდვად დარქმევას, მივმართავ ღმერთს და ვამბობ: „უფალო, მე ვიმსახურებ შენს მსჯავრს“! რა საშინელებაა, რომ ჩვენი თანამედროვენი თავს იმშვიდებენ სიტყვებით: „ყველაფერი ძალიან კარგადაა!“ მაგრამ ღმერთი ოდესღაც ჩამოგლეჯს ნიღაბს ჩვენს სახეებს!

ხოლო შემდეგ ამ ავაზაკმა მიმართა იესოს, შენ ხომ არაფერი ცუდი არ გაგიკეთებია. რატომ ჰკიდიხარ შენ აქო, და ამ მომენტში იგი ხვდება, ის ხომ ჩემი გულისთვის ჰკიდია აქ! მან თავის თავზე აიღო ჩემი დანაშაული! და მაშინ იგი მოუხმობს მას – „მომიხსენე მე,უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა!“ ეს მესამეა: მას სწამს, რომ იესო უწყალობებს სამარადისო ხსნას, ვინაიდან იგი კვდება ჩვენი გულისთვის. იესო კი ამბობს: „ამინ გეტყვი შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა!“

ამგვარად, მხსნელი რწმენა მდგომარეობს იმაში, რომ მე მიცხადდება ღმერთის სიწმიდე, რომ მე შეგნებული მაქვს ჩემი წარწყმედილი მდგომარეობა და რომ მე ვიღებ ჩემთვის ჯვარზე გაკრულ მომაკვდავ იესოს ჩემი ხსნის ერთადერთი შანსის გამო. ასეთი რწმენის გარეშე თქვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაძლებთ! სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია მე თქვენთვის!

ხალხი მე უკვე მსაყვედურობდა იმის გამო, რომ მე ძალზე ცალმხრივად ვმსჯელობ, რაზედაც მე შემიძლია მხოლოდ ასეთი პასუხი გავცე: „მაპატიეთ! მაგრამ არსებობს მხოლოდ ერთადერთი გზა, რომ გაუმკლავდე ცხოვრებას, სიკვდილს

და სამსჯავროს; კერძოდ კი: მე – ცოდვილი, მოვდივარ იესოსთან, ვინანიებ, ვაღიარებ ჩემს ცოდვებს და მწამს, რომ „იესოს სისხლი წვეთდა ჯვარიდან, მისი შუბლიდან და მის ღაწვებიდან, ვიყავი სავსე ბიწიერებით, მაგრამ განბანილ მისით“. მე მინდოდა, რომ თქვენ არასოდეს დაგვიწყებოდათ ეს ერთადერთი წინადადება: „იესო ჩემთვის მოკვდა!“ როდესაც თქვენ დილით ადრე დგებით, დე, ჟღერდეს თქვენს შეგნებაში: „იესო ჩემთვის მოკვდა!“ როდესაც თქვენ ხვალ სამსახურში იქნებით, ცხოვრების ორომტრიალში, დე, უცაბედად გაგახსენდეთ: „იესო ჩემთვის მოკვდა!“ და მაშინ ღმერთის წყალობით თქვენ მუხლს მოიდრეკთ მის წინაშე და იტყვით: „მოკვდა ჩემთვის! ჩემთვის! ე. ი., მე შემიძლია ვირწმუნო!“ იმ წამს, რა წამსაც თქვენ ამას მიხვდებით – თქვენ უკვე ღმერთის შვილი ხართ! იესო ამბობს: „მე ვარ კარი: ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ცხოვნდეს!“

ახლა მე კიდევ მინდა, ვთქვა, ის, რომ ბევრი მე მეუბნება: „დიახ, პასტორო ბუშო, სწორედ იმას, რასაც თქვენ ამბობთ, მე არ შემიძლია დავუჯერო. როდესაც მე თქვენ გისმენთ, ყველაფერი თითქოს კარგადაა, მაგრამ დაჯერება მე არ შემიძლია.“ და ამაზე მინდოდა მეპასუხა ახლა. ადამიანები, რომლებიც ასე ამბობენ, მე მინდა დავყო ოთხ ჯგუფად. ამგვარად:

3. ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ ირწმუნონ...

ა) ... იმიტომ, რომ ისინი არ არიან რელიგიურნი

პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებიც მე მიხსნიან: „არ შემიძლია ვირწმუნო, ვინაიდან მე არა ვარ რელიგიური. თქვენ რელიგიური ხართ, ბატონო პასტორო, მე კი – არა!“ ამაზე მე შემიძლია მხოლოდ გიპასუხოთ: „არც მე ვარ რელიგიური“. ზარების რეკვა, საკმეველი და მსგავსი რამ არ ახდენს ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას. მე დიდად მოხარული ვარ, რომ უკანასკნელ წლებში ესენში მე შემეძლო მექადაგა დარბაზში, სადაც მხოლოდ გვარიანი სასულე ორკესტრი იყო. არ იყო ორგანი და ზარები, და მე არც მჭირდებოდა ისინი. მე არა ვარ მათი წინააღმდეგი, მაგრამ არა მაქვს მათი მოთხოვნილება. აი, რა მცირედია ჩემი რელიგიურობა!

როდესაც იესო, ძე ღმერთისა, მიწაზე იყო, არსებობდა ბევრი რელიგიური ადამიანი. იმ დროს იყვნენ მწიგნობარნი, ფარისეველნი – ყველა ეს ძალიან რელიგიური ხალხია. მაგალითად, სადუკეველთა რელიგიურობა უფრო ლიბერალური იყო. ეს ისინია, ვინც დღეს ასე იტყოდა: „მე ვეძებ ღმერთს ბუნებაში.“ ნაცისტურ წრეებში ისინი ამბობდნენ: „ჩვენს დროშებზე ღმერთია გამოხატული“. ისინი რელიგიურნი არიან ნებისმიერ დროს. და ამ რელიგიურმა ხალხმა ჯვარს აცვა ძე ღმერთისა. იგი არ შეეფარებოდა მათ კომპანიას. იყვნენ სრულიად არარელიგიური ხალხიც: მრუშები, სპეკულანტები (ბიბლია მათ მეზვერეს უწოდებს), ხელოსნები, რომლებიც მთლიანად თავის მუშაობაში არიან ჩაფლულნი, ვინაიდან ამით შოულობდნენ თავისთვის პურს არსობისა, დიდგვაროვანი ადამიანი სახელად ზაქე, რომელიც „აკეთებდა ფულებს“, ფცქვნიდა რა სხვას. ყველა ესენი აბსოლუტურად არარელიგიური ტიპები არიან. და მათ შეიცნეს იესო! როგორღა მოხდა ეს? მათ იცოდნენ, რომ არიან ცოდვილები, რომ მათი ცხოვრება არასწორია. მაგრამ, აი, მოვიდა მაცხოვარი, რომელიც აქცევს ცოდვილებს ღმერთის შვილებად, და მათ ირწმუნეს იგი.

იესო მოვიდა არა იმისთვის, რომ რელიგიური ადამიანები კიდევ უფრო რელიგიურნი გაეხადა, არამედ იმისთვის, რომ ცოდვილები სიკვდილისგან და ჯოჯოხეთისგან ეხსნა და ისინი ღმერთის შვილებად ექცია. თუ არსებობს ისეთი ხალხი, რომელიც ამბობს: „მე არ შემიძლია ვირწმუნო, ვინაიდან მე არა ვარ რელიგიური“, მე მათ შემდეგს ვეტყოდი: „თქვენ გაქვთ ყველა შანსი, რომ ღმერთის შვილები გახდეთ! ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ჩვენ ცოდვილები ვართ, მაგრამ „იესო ჩემთვის მოკვდა“! მე ვიმეორებ: „იესო მოვიდა არა იმისათვის, რომ რელიგიურნი კიდევ უფრო რელიგიურებად მოექცია, არამედ იმისათვის, რათა ცოდვილები, რომლებიც უნდა წარწყმდნენ, ცოცხალი ღმერთის შვილები გამხდარიყვნენ!“

ბ) ... იმიტომ, რომ მათ არ უნდათ ირწმუნონ

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი, ვინც ამბობს, რომ მათ არ შეუძლიათ ირწმუნონ. მაგრამ სინამდვილეში, ისინი რომ ბოლომდე პატიოსანნი ყოფილიყვნენ, უნდა ეთქვათ, რომ მათ სრულებითაც არ უნდათ ირწმუნონ. მათ რომ ერწმუ-

ნათ, მათ მოუხდებოდათ მთელი თავისი ცხოვრების წესის შეცვლა. ამის გაკეთება კი მათ არ სურთ... მათ იციან, რომ მათი ცხოვრება არასწორია. და თუ ისინი ღმერთის შვილები გახდებოდნენ, ყველაფერი გამოაშკარავდებოდა. არა, ამის გაკეთება მათ არ სურთ. მაშინ, შესაძლოა, კოლეგებს ისინი გაემასხარავებინათ! და რას იტყოდნენ ნათესავები, თუკი ისინი უცებ ქრისტიანები გახდებოდნენ? არა, მაშინ ჯობს თავი შეიკავო! და თუ თქვენ შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ არ შეუძლიათ ირწმუნონ, დააკვირდით მათ ყურადღებით, განა არ ჯობს მათ თქვან, რომ მათ არ უნდათ ირწმუნონ?!

ბიბლიაში მოთხრობილია საოცარი ამბავი. ძე ღმერთისა, უფალი იესო, ზის ელეონის მთაზე. მის წინ, ველზე, შესანიშნავ მზიურ ნათებაში განლაგებული იყო ქალაქი იერუსალიმი. მოშორებით აღმართულია მთა, ზედ დიდებული ტაძრით, რომელზედაც წარმართნიც კი ამბობდნენ, შესაძლებელია იგი მივაკუთვნოთ სამყაროს ერთ-ერთ საოცრებასო. ყველაფერი ეს მის წინ ძევს. მაგრამ უცებ მოწაფეებმა, შეძრწუნებულებმა, დაინახეს, რომ იესოს სახეზე ცრემლები სდის. ისინი გაკვირვებულნი და მავედრებელი მზერით შეჰყურებენ მას. და მაშინ იესო ქრისტე ამბობს: „იერუსალემ, იერუსალემ, ...რაოდენ გზის ვინებე შეკრებაი შვილთა შენთაი, ვითარცა სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართუენი თვისნი ქუეშე ფრთეთა თვისთა და არა ინებეთ! აჰა, ესერა დაეტეოს თქუენგან სახლი თქუენი ოხრად,“ აი, თქვენ ღმერთის სამსჯავროზე უნდა წარსდგეთ. აქ ქვა ქვაზე არ დარჩება, ყველაფერი დაილეწებაო. ეს არის ბიბლიის ერთერთი საკვირველი სიტყვები: „მაგრამ არა ინებეთ თქუენ!“ – არა ისმინეთ-იერუსალიმის მცხოვრებნიც ამბობდნენ: „ჩვენ არ შეგვიძლია ვირწმუნოთ!“ – მაგრამ სინამდვილეში მათ არ უნდოდათ ერწმუნათ.

უნდა გითხრათ, რომ მას, ვისაც არ სურს ირწმუნოს, ნუ ირწმენს. ეკლესიაში დღემდე არსებობს სხვადასხვა იძულებები. მაგრამ ღმერთის საუფლო შესდგება მხოლოდ მოხალისეებისგან. ვისაც უნდა იცხოვროს ღმერთის გარეშე,დე, ასე იცხოვროს! ღმერთი ჩვენ გვთავაზობს თავის თავს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია იგი უკუვაგდოთ. თქვენ გინდათ იცხოვროთ ღმერთის გარეშე? იცხოვრეთ! გინდათ იცხოვროთ ლოცვის გარეშე? იცხოვრეთ! გინდათ იცხოვროთ ბიბლიის გარეშე? იცხოვრეთ! თქვენ არ გინდათ წმიდად შეხვდეთ კვირადღეს,

გინდათ იმრუშოთ, ილოთოთ, იცრუოთ, იქურდოთ? კი ბატონო! ვისაც არ უნდა სცნოს ეს მაცხოვარი, რომელიც ღმერთმა გამოგზავნა ცოდვილთა გადასარჩენად, მას შეუძლია იგი უკუაგდოს. ვინც მიისწრაფვის ჯოჯოხეთში, მას არ ეკრძალება! ღმერთი არ მიმართავს ძალადობას, მხოლოდ გაარკვიეთ თქვენთვის, შეგიძლიათ ყოველივე ამის შედეგი თქვენ თქვენს თავზე აიღოთ? ღმერთი იესოს მეშვეობით გთავაზობთ ცოდვების მიტევებას და მშვიდობას. თქვენ შეგიძლიათ თქვათ: „მე არ ვსაჭიროებ ამას, მე ეს არ მინდა!“ მაშინ იცხოვრეთ ასე! მაგრამ არ იფიქროთ, რომ სიკვდილის წინ, თქვენი ცხოვრების უკანასკნელ ხუთ წუთში, თქვენ შესძლებთ ჩასწვდეთ იმას, რასაც ღმერთი გთავაზობდათ მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე. თქვენ შეგიძლიათ უკუაგდოთ მშვიდობა ღმერთთანა იესოში, მაგრამ მაშინ თქვენ მოგიხდებათ იცხოვროთ ღმერთთან მშვიდობის გარეშე უკუნითი უკუნისამდე. ეს კი ჯოჯოხეთია!

ჯოჯოხეთი – ეს ის ადგილია, სადაც თქვენ ნამდვილად სულ განთავისუფლდებით ღმერთისგან. იქ თქვენ აღარავინ არ დაგიწყებთ პატიჟს. იქედან თქვენ აღარავინ გამოგიძახებთ. შესაძლოა, თქვენ მოგინდეთ იქ ლოცვა, მაგრამ უკვე ვეღარ შესძლებთ ამას. იქ, შესაძლოა, თქვენ მოგინდებათ იესოს სახელის მოხმობა, მაგრამ მას თქვენ უკვე ვეღარ გაიხსენებთ. თქვენ შეგიძლიათ არ მიიღოთ ჩემს მიერ შემოთავაზებული ცნობები. თქვენ შეგიძლიათ არ მიმართოთ იესოს, მაგრამ გააგებინეთ თქვენს თავს, რომ ამით თქვენ ჯოჯოხეთს ირჩევთ! თქვენ სრულიად თავისუფალი ხართ არჩევანში!

– მაგრამ არა ისმენთ თქუენ! – უთხრა იესომ იერუსალიმის მცხოვრებთ. იგი მათ არ აიძულებდა. მაგრამ ის, რაც მათ აირჩიეს, იყო საშინელება!

გ) ... იმიტომ, რომ მათ ძალიან ბევრი რამ გადაიტანეს

მესამე ჯგუფს ადამიანებისა, რომლებიც ამბობენ, თითქოს არ შეუძლიათ ირწმუნონ, განეკუთვნებიან, ძირითადად, მამაკაცები. მათ მოჰყავთ უცნაური საბუთი. ქალებისგან მე მსგავსი რამ არ გამიგია. საბუთი კი ასეთია: „ბატონო პასტორო, მე იმდენი გადავიტანე, რომ არ შემიძლია ვირწმუნო!“ მე ვეკითხები: „ასეთი რა გადაიტანეთ, ჩემი ცხოვრებაც არ იყო დალხენილი!“ – „დიახ... მე იმდენი გადავიტანე, რომ არ

შემიძლია მეტი რაიმე დავიჯერო!“ და ეს აზრი, როგორც მოჩვენება, შორიდან ილანდება მსოფლიოს მამრობითი ნახევრის წინ. ასეთ შემთხვევაში მე დავცინი მათ და ვამბობ: „ხომ გჯერათ თქვენ ავტობუსების მოძრაობის განრიგისა, ხომ გჯერათ პოლიციიდან მიღებული ცნობებისა?“ „დიახ“! „მაშინ აღარასოდეს არ მითხრათ, რომ არაფრისა გჯერათ, თქვით მხოლოდ, რომ არ გჯერათ არაფრისა, გარდა ავტობუსების მოძრაობის განრიგისა და იმისა, რასაც პოლიცია იტყვის“. თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა. და მე ვაგრძელებ: „იცით რა, ჩემს შავბნელ ცხოვრებაში, რომელიც აღსავსე იყო ცოდვით, უწმინდურებით, წყვდიადითა და შეცდომებით, შემოვიდა იესო. მე მივხვდი: იგი არის ძე ღმერთისა, ღმერთისგან გამოგზავნილი. და მაშინ მე გადავაბარე ჩემი ცხოვრება მას, ვინც ასე ბევრი გამიკეთა მე – იესოს. და თუ თქვენ მართლა არავისი და არაფრის აღარ გჯერათ, მისი, ვინც თქვენთვის თავისი სიცოცხლე დასდო, თქვენ უნდა გჯეროდეთ. დიახ, მისი თქვენ შეგიძლიათ გწამდეთ. თქვენ ძალიან ბევრი რამისა გჯერათ, მარტო მას ერთადერთს, ვისაც შეიძლება მთლიანად მიენდოთ და ვისზეც ჯერ არავის გული არ გასტეხია, თქვენ ეუბნებით: „არა! ეს ხომ ძალზე სასაცილოა!“ და ამბობთ კი, რომ ძალზე ბევრი გადაიტანეთ. არა, თქვენ ჯერ არ გადაგიტანიათ საკმარისად.

დ) ... იმიტომ, რომ მათ რაღაც-რაღაცეები აბრკოლებთ

მეოთხე ჯგუფი ადამიანთა, რომელთაც არ შეუძლიათ ირწმუნონ – ეს წესიერი, დალაგებული ხალხია. მათ არ შეუძლიათ ირწმუნონ თითქოს იმიტომ, რომ ან ეკლესია, ან საეკლესიო სწავლება აბრკოლებთ.

ერთმა ახალგაზრდა გოგონამ, სტუდენტმა, მომმართა მე და მიამბო: „ბატონო პასტორო, მე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ვსწავლობ და ერთ-ერთი თქვენი ლექციის მოსმენისას, ვიგრძენი, რომ გამიჩნდა სურვილი, ზოგი რამ მესწავლა თქვენგან, მაგრამ მე არ შემიძლია ვირწმუნო. იცით, ყველა ეს დოგმა და საეკლესიო ცხოვრების პრინციპები ჩემთვის მიუღებელია. მათი მიღება იგივეა, რომ ერთი ბღუჯა ხმელი თივა ჩაყლაპო!“ მე გავიცინე და შევეპასუხე: „გოგონი! თქვენ სულაც არ გჭირდებათ ერთი ბღუჯა ხმელი თივის ჩაყლაპვა! თქვენ ოდესმე გსმენიათ იესოზე?“ –

„დიახ“ – თქვა მან. – „მე რომ მეთქვა, რომ იესო მატყუარაა, თქვენ დაიჯერებდით ამას?“ – „არა, ამისა მე არ მჯერა“! – მიპასუხა მან. მე კი განვაგრძობდი: „გოგონი, შეგიძლიათ კი თქვენ კიდევ ვინმეზე თქვათ, რომ იგი არასდროს არ სტყუის?“ – „არა, – მითხრა მან, – ამას მე, ალბათ, ვერც ერთ ადამიანზე ვერ ვიტყოდი“. – „აი, ხომ ხედავთ, გოგონი, თქვენ ხომ გჯერათ? თქვენ გამოხატეთ თქვენი ნდობა იესოსადმი. ეს ხომ შესანიშნავია! აი, აქედან იწყება ყველაფერი. იგი ჭეშმარიტებას ამბობდა. ბიბლიაში ნათქვამია, რომ მას, ვინც ცნობს ღმერთისგან გამოგზავნილ იესო ქრისტეს, აქვს სამარადისო ცხოვრება. თქვენ არ გჭირდებათ დოგმებზე და საეკლესიო ცხოვრების პრინციპებზე მსჯელობა. ხოლო ცხოვრების ბურუსიდან თქვენსკენ მოდის ის ერთი. თქვენ სულ უფრო ცხადლივ ხედავთ ჭრილობებს – ლურსმნებისგან და ეკლიანი გვირგვინისგან, რაც იმის მოწმობაა, რომ მან თავის თავზე აიღო თქვენი ცოდვები და შეგიყვარათ თქვენ ისე, როგორც ჯერ არავის არ ჰყვარებიხართ. დე, სულ მთლად აგეხილოთ თვალები, რომ იესოს ხილვისას თქვენ შეძლოთ თქვათ: „ჩემო მაცხოვარო! ჩემო უფალო და ჩემო ღმერთო!“ რწმენა – არ ნიშნავს დოგმის, როგორც ხმელი თივის ყლაპვას, რწმენა – ნიშნავს მიიღოთ იესო ქრისტე“.

ერთმა კაცმა სთქვა: „მე არ შემიძლია ვირწმუნო იმიტომ, რომ პასტორები, პასტორები...“ – და აქ იწყება. მე მოვისმინე სხვადასხვა ამბები პასტორებზე. ერთს სასიყვარულო ისტორიები ჰქონდა. მეორეს საქმე ჩაეფუშა სალაროსთან დაკავშირებით. და ყველგან პასტორებს რაღაცეები მოსდიოდათ. „ამიტომ მე აღარ შემიძლია ვირწმუნო!“ მე ვწითლდები, ვინაიდან მე ვიცნობ ჩემს თავს. თუმცა მე არ მომსვლია მარცხი სალაროსთან დაკავშირებით, მაგრამ მე რომ ვცნობოდი ხალხს, ისინი მეც ეჭვის თვალით შემომხედავდნენ. და რა შეიძლება ამაზე სთქვა? აბა, ახლა მოისმინეთ: ბიბლიაში არსად არ არის ნათქვამი: „ირწმუნე იესო ქრისტე – და გადარჩები!“ რა თქმა უნდა, ყველა პასტორი არ შეეფერება ამ დანიშნულებას – მაგრამ პასტორი შეიძლება შეადაროთ საგზაო ნიშანს, რომელიც გიჩვენებს გზას იესოსკენ. ჩვენთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს ის, რომ საგზაო ნიშანი შეიძლება იყოს ოდნავ გაღუნული და ირიბგვერდა, ან ცოტა წვიმით გადარეცხილი. მთავარია – დაინახო, საით მიგანიშნებს იგი. არც მე მოვუსმენდი პასტორს, რომელიც არ არის იესოსკენ, ჯვარცმული და აღმდგარი ძე

ღმერთისაკენ გზის გამკვალავი. მე ხომ არ დავიწყებ გაბრაზებას საგზაო ნიშანზე, რომელიც მიმითითებს მე გზაზე და მიზანზე, არამედ განვაგრძობ მიზნისკენ სწრაფვას. და მიზანი ესაა: „იესო მოვალს – წყარო მადლისა.“ ნუთუ თქვენ გინდათ განკითხვის დღეს წარსდგეთ ცოცხალი ღმერთის წინაშე სიტყვებით: „ღმერთო, მე არ მივიღე შენი მადლი, მე არ მივიღე ცოდვების მიტევება, იმიტომ, რომ პასტორი არაფრად არ ვარგოდა!“ მაშ, ასე, გინდათ წარსდგეთ ერთხელ ღმერთის წინაშე? არა, ჩემო მეგობრებო, ტყუილია, რომ თქვენ არ შეგიძლიათ ირწმუნოთ! იესომ სთქვა ერთხელ დიდად მნიშვნელოვანი სიტყვები: „ვისაც სურს ქმნა ღმერთის ნებისა, ის გაიგებს: ღმერთისაგან თუა ჩემი სწავლება“. საქმე ისაა, მსურს კი დასაბამი დავუდო მორჩილებას და იმ მცირედის აღსრულებას, რაც ჩემს ცხოვრებაში შევიგნე. შემდეგ კი მე წინ გავსწევ.

4. რა უნდა ჰქნა, თუ არ შეგიძლია ირწმუნო?

ამის შესახებ მე რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ

ა) შესთხოვეთ ღმერთს ნათელი!

ის თქვენს გვერდითაა. უთხარით მას; „უფალო, მიმიყვანე რწმენამდე! მომეც დავინახო შენი ნათელი!“ და ის გაგიგონებთ.

ბ) ანგარიში გაუწიეთ იმას, რომ ღმერთი მუდმივაა!

იესო ყოველთვის ჩვენთანაა! უთხარით მას მყუდრო სიმარტოვეში: „იესო, მე მინდა ჩემი ცხოვრება გიბოძო შენ“. ასე მოვიქეცი მე, როდესაც ჩემს ურწმუნო მდგომარეობაში უეცრივ ვიგრძენი შიში ღმერთის წინაშე და ამის შემდეგ გავიგე იესოს შესახებ.

გ) იკითხეთ ბიბლია!

ყოველდღიურად გაატარეთ თხუთმეტი წუთი იესოსთან პირისპირ.

იკითხეთ ბიბლია და უსმინეთ იმას, რაც ღმერთს უნდა თქვენ გითხრათ. იკითხეთ ყურადღებით! შემდეგ ლოცვით

დაიკრიბეთ ხელები და თქვით: „იესო, მე ბევრი რამე მაქვს შენთვის სათქმელი. მე არ შემიძლია მოვერიო ჩემს ცხოვრებას, მიშველე შენ!“

დ) ეძიეთ ურთიერთობა!

ეძიეთ ურთიერთობა ხალხთან, რომლებსაც ასევე უნდათ ჭეშმარიტი ქრისტიანები გახდნენ! ნუ დარჩებით მარტოდმარტონი! მარტოხელა მგზავრი ზეცისკენ მიმავალ გზაზე არ არსებობს! ეძიეთ ურთიერთობა ქრისტიანებთან, რომლებიც იმავე გზას აღგანან.

როგორ გავიტანოთ თავი ცხოვრებაში, როცა ჩვენ მუდმივ თან გვდევს შეცდომები და დაუდევრობანი?

ეს ძალზე სერიოზული საკითხია. ნამდვილად ასეა, ჩვენ მუდმივ თან გვდევს შეცდომები და დაუდევრობანი. ამიტომ მე ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს მოგითხროთ დიდი და შესანიშნავი ძღვენის შესახებ, რომელსაც ადამიანებისთვის უზომო ბედნიერება და სიმდიდრე მოაქვს. ამ ნივთს თქვენ ვერსად ვერ იყიდით, მსოფლიოს ვერცერთ ქვეყანაში. მილიარდერიც რომ იყოთ და მთელი თქვენი ბანკნოტები რომ დადოთ მაგიდაზე, თქვენ ვერ შეძლებდით მის ყიდვას. ნაცნობობითაც ვერ შეიძენდით მას. ის, რისი ყიდვაც დღეს შეუძლებელია, ძირითადად შეიძლება ნაცნობობით მოიპოვოთ. არავითარი შანსი არაა, თავად შეიძინოთ ეს დიდებული ნივთი. ის მხოლოდ საჩუქრად შეიძლება მიიღოთ. და ეს სასწაული ნივთი რომელზედაც მე მინდა მოგითხროთ, ნივთი, რომლის არც ყიდვა შეიძლება და არც ნაცნობობით შეძენა, გახლავთ ცოდვათა მიტევება.

ვიცი, რომ ბევრი ახლა, გულგატეხილი, ფიქრობს: „ცოდვათა მიტევება?“ და მაშინვე ისმის კითხვა:

1. მჭირდება კი ეს მე?

დაწრმუნებული ვარ, თქვენგან ნახევარი მაინც იტყვის, რომ არ გჭირდებათ ცოდვათა მიტევება. ამასწინათ ერთმა ახალგაზრდა კაცმა მითხრა: „ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა ჩვენი მოთხოვნილებები რეკლამებით აღიძვრის. ჩვენმა პაპის მამებმა არაფერი იცოდნენ საღეჭი რეზინებისა და სიგარეტების შესახებ. ჩვენ კი გაუთავებელი რეკლამების მეშვეობით (ტელევიზორით, რადიოთი თუ აფიშებზე) დღენიადაგ მოგვიწოდებენ იქითკენ, რომ, მაგალითად, სიგარეტის გარეშე სრულიად წარმოუდგენელი იყოს ჩვენი ცხოვრება. ჯერ აღიძვრება მოთხოვნილება, შემდეგ შეიძლება ვაჭრობა!“

„ასე იქცევა ეკლესიაც – განაგრძო ახალგაზრდამ. „ეკლესია ცდილობს აუხსნას ადამიანებს, რომ მათ სჭირდებათ ცოდვათა მიტევება, შემდეგ კი იგი ვაჭრობს ამით. გესმით, ჩვენ არა გვაქვს საამისო მოთხოვნილება, თქვენ კი აღძრავთ მას ჩვენში, რათა შემდეგ გაასაღოთ თქვენი საქონელი!“ განა ასეა ეს? თუ თქვენ ახლა პირველსავე შემხვედრს გაჩერებთ ქუჩაში სიტყვებით „გამარჯობათ! თქვენი სახელი? „მაიერი?“ – ბატონო მაიერ, თქვენ გჭირდებათ ცოდვების მიტევება“? – ბატონი მაიერი ასე გიპასუხებთ: „სისულელეა! მე მჭირდება არა ცოდვათა მიტევება, არამედ 2000 მარკა!“ ხომ ასეა ეს! შეიძლება კი გაჩნდეს მოთხოვნილება, რომელიც ამ მომენტში სრულიად არ არსებობს, რათა შემდეგ ვუპასუხოთ ბიბლიის მეშვეობით?

უნდა გითხრათ, რომ ეს დიდი გაუგებრობაა, საშინელი გაუგებრობა. არაფერია ჩვენთვის უფრო აუცილებელი, ვინემ ცოდვათა მიტევება! ვინც ფიქრობს, რომ მას არ სჭირდება ცოდვათა მიტევება, მან არ იცის წმიდა და საშინელი ღმერთი. ღვთაებრივ სიყვარულზე იმდენი რამ ითქვა, რომ ჩვენ სრულებით არ ვიცით, რომ ღმერთი – ეს არის „ღმერთი საშინელი“, როგორც ბიბლიაშია ნახსენები! ასე, ერთხელ მე გონს მოვედი, გამოვეხიზლდი ჩემი ცოდვით სავსე ცხოვრებიდან, და უცებ აშკარად მივხვდი, რომ ღმერთისა უნდა გვეშინოდეს! ვინც ამბობს, რომ არ სჭირდება ცოდვათა მიტევება, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს ცოცხალ ღმერთზე, რომელსაც ძალუძს ხორცი და სული შთააგდოს ჯოჯოხეთში. დიახ, ჭეშმარიტად, შეიძლება სამუდამოდ წარვწყმდეთ! ამას ამბობს ღმერთი, ხოლო მან – იცის. და თუ მთელი მსოფლიო იტყვის, რომ არ სჯერა ეს, მაშინ მთელი მსოფლიო წარწყმდება! იესომ იცის ის, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ. ის ჩვენ დაჟინებით გვაფრთხილებს წარწყმედის შესახებ! ჩვენ კი ვდგევართ ჩვენი ცოდვებით და ვბედავთ, ვილაპარაკოთ, რომ არ გვჭირდება ცოდვათა მიტევება, რომ ეკლესია აღაგზნებს ჩვენში მოთხოვნილებას, რომელიც არ არსებობს. რა სისულელეა! არაფერი არ გვჭირდება ჩვენი ისე, როგორც ცოდვათა მიტევება!

მინდა ერთი ეპიზოდი მოგიყვეთ. ერთხელ მე მომიხდა კრების ჩატარება შესანიშნავ ქალაქში – ციურიხში, ყრილობათა სასახლეში. ეს იყო ძალზე დიდი თავყრილობა. ბევრმა ადგილიც ვერ ნახა და მათ ფეხზე დგომა მოუწიათ კედელთან. ასეთებს შორის ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მი-

იპყრო ორმა ჯენტლმენმა, რომელიც ხალისით საუბრობდა. ვგრძნობდი, რომ ისინი ცნობისმოყვარეობის გამო იყვნენ მოსული. ერთ მათგანს კოხტა წვერი ამშვენებდა. მე თვალი გამექცა მისკენ – გული დამწყდა, მე რომ არ შემეძლო ასეთი წვერი მქონოდა. დავიწყე ლექცია და გადავწყვიტე მათი ყურადღება მიმეპყრო. დიდი ინტერესით მისმენდნენ. მაგრამ, აი, როგორც კი ცოდვათა მიტევება ვახსენე, იმწამს შევნიშნე, როგორ ჩასჩურჩულა რაღაც ყურში ირონიული ღიმილით წვეროსანმა თავის მეზობელს. მე ვერ გავიგე, რა უთხრა მან, მაგრამ მივხვდი კი ეს გამომეტყველების მიხედვით. მისი ირონია დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: „ცოდვათა მიტევება! ეს ხომ ტიპიური პასტორისეული ლაყბობაა! ღმერთო ჩემო!“ და ამასთან, შესაძლოა, იგი ფიქრობდა: „მე ხომ დამნაშავე არა ვარ! მე სრულებითაც არ მჭირდება ცოდვების მიტევება!“ – თქვენც ხომ ასევე ფიქრობთ, ასე არ არის? „მე ხომ დამნაშავე არა ვარ! მე სრულებითაც არ მჭირდება ცოდვების მიტევება!“ ასე რომ, წვეროსანმაც დაახლოებით ეს უთხრა თავის მეზობელს. აქ მე გავბრაზდი. მე კარგად ვიცი, რომ გაბრაზება ღმერთის წინაშე არ შეიძლება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მომერია ბოღმა. „ყურადღება, ერთ წამს! – ვთქვი მე – მე ახლა ნახევარი წუთით შევწყვეტ საუბარს, თქვენ კი ამასობაში თქვენსავე თავს გაეცით პასუხი ჩემს შეკითხვაზე: „უარს ამბობთ თქვენ სამუდამოდ ცოდვების მიტევებაზე, რაკი არ გჭირდებათ ეს? ჰო თუ არა?“ და ამის შემდეგ უზარმაზარ, ხალხით გაჭედილ დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. წვეროსანი ვაჟბატონი გაფითრდა და კედელსაც მიეყრდნო. ასე შეშინდა საცოდავი! მას ალბათ უნდოდა ეთქვა: „მე არა ვარ დამნაშავე! მაგრამ თუ ლაპარაკია სიკვდილზე, თუ საქმე სერიოზულადაა, მაშინ მე მაინც თანახმა ვარ, მივიღო ცოდვათა მიტევება. მე ვერ ვიტყოდი ამაზე უარს“. თქვენც ასე ფიქრობთ? თუ მაინც უარზე ხართ?

არსებობს ერთი გამოთქმა, რომელიც საკმაოდ ხშირად მომისმენია ჩემი ცხოვრების მანძილზე, კერძოდ: „მე მართალი ვარ და არაფრის არ მეშინია!“ მაგრამ წარმოიდგინეთ, ეს ფრაზა მე არასოდეს გამიგია 40-ზე ნაკლები წლოვანების ადამიანისაგან. ყმაწვილმა კაცმა, უთუოდ, იცის, რომ მისი ცხოვრება სავსეა მანკიერებით. მხოლოდ საკუთარი, დაუნდობლად ჩაკლული სინდისის ხარჯზე შეიძლება მიხვიდე იმ ზომამდე, რომ ამგვარი სიცრუე ამტკიცო. როცა მე

ვინმესგან მესმის სიტყვები: „მე მართალი ვარ და არავისი არ მეშინია“! ასე ვპასუხობ: „შენ უკვე 40 წელს გადაგაბიჯე, შენ სკლეროზი გაქვს, იმიტომ ლაპარაკობ ასე. შენ დაუნდობლად ჩაჰკალი შენი სინდისი!“ ვიდრე ჩვენი სინდისი ჩამკვდარი არ არის, ჩვენ სრული სიზუსტით ვიცით, რომ არაფერია ისე აუცილებელი ჩვენთვის, როგორც ცოდვათა მიტევება!

ამ რამდენიმე წლის წინ ესენში გამოდიოდა „თანამედროვე“ მუსიკოსი ბილ ჰალეი, ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ „პრანჭიკელა“. მის და მისი საესტრადო ანსამბლის მოსასმენად დიდ დარბაზში ათასობით ჭაბუკსა და გოგონას მოეყარა თავი; მაგრამ უკვე პირველსავე მუსიკალური ნაწარმოების შესრულების დროს მათ ნელ-ნელა, მაგრამ ნაღდად დაიწყეს დარბაზის დალეწვა. ზარალი დაახლოებით 60 ათას მარკას შეადგენდა. მოგვიანებით ერთი ახალგაზრდა პოლიციელი მიყვებოდა: „მე წინა რიგებში ვიჯექი და მთელი ძალებით ვებღაუჭებოდი სკამს, რათა ამ ალიაქოთის მონაწილე არ გავმხდარიყავი“. მეორე დღეს ქალაქის ქუჩებში მივდი-მოვდიოდი და ერთგან თვალი მოვკარი ყმაწვილებს, რომლებიც შეჯგუფულიყვნენ და ისე გამოიყურებოდნენ, რომ ისინიც უნდა ყოფილიყვნენ იქ, კონცერტზე. მე მივუახლოვდი მათ: „გამარჯობათ! მოდით დავნაძლევდეთ, რომ გუშინ საღამოს თქვენც უსმენდით ბილ ჰალეის! – „მართალი ბრძანდებით, ბატონო პასტორო!“ – „ოო, როგორც ჩანს, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, – ვეუბნები მე, – რა კარგია! ერთი მითხარით, მაინც რატომ გაათახსირეთ ასე დარბაზი? ჩემთვის ეს გაუგებარია“. და მესმის პასუხად: „ოხ, პასტორო ბუშ, ეს მხოლოდდამხოლოდ სასოწარკვეთილებაა!“ „რა? – ვეკითხები მე, – სასოწარკვეთილება? რის გამო?“ – „ეს კი თვითონ ჩვენც არ ვიცით“, – მოჰყვა პასუხად.

დიდი დანიელი თეოლოგი და ფილოსოფოსი სორენ კირკეჰაარდი იხსენებდა თავისი ცხოვრებიდან ბავშვობის წლებს, როცა ის მამასთან ერთად სეირნობდა ხშირად. ზოგჯერ მამა შეჩერდებოდა, მიაჩერდებოდა მას დაფიქრებული და ამბობდა : „ჩემო პატარავ, შენ რაღაც უხალისოდ ხარ, თითქოს რაღაც გაწუხებს.“ ჩემი პასტორად მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე მე ბევრჯერ შემხვედრია ადამიანები ამგვარი შინაგანი წუხილით, დაბეჩავებულ მდგომარეობაში. ახლა კი მე თქვენ გეკითხებით: ნაცნობია თქვენთვის ეს შინაგანი სასოწარკვეთილება, დაბეჩავებული

მდგომარეობა ცხოვრებაში? ერთ მაგალითს მოგიყვანთ, თუ რატომ ხდება ეს. როცა რურის გარეუბანში პასტორად ვიყავი, მე ხშირად ჩავსულვარ შახტში. ეს ძალზე საინტერესოა. იცმევ სპეცტანსაცმელს, თავზე – მუზარადს, და ამწე კაბინით მიექანები ქვემოთ, მაგალითად, მერვე ჰორიზონტამდე, ზოგჯერ უფრო ღრმადაც. დიახ, მაგრამ იქ აღარ ჩადიან, რადგან სულ ქვემოთ „ჭაობია“. იქ გრუნტის წყლები გროვდება და მეშახტეები ამას „ჭაობს“ ეძახიან. ესენში ჩემი ცხოვრების მანძილზე, ერთხელ, ასეთი შემთხვევა მოხდა: გაწყდა ტროსი და კაბინა ძირს ჩავარდა, „ჭაობში“. ეს საშინელება იყო!

მინდა პარალელი გავავლო – ჭაობი მაღაროებში და ადამიანები... ყველამ ვიცით, რომ ჩვენს ცხოვრებაში არსებობს რამდენიმე დონე. ჩვენ შეგვიძლია, მაგალითად, გარეგნულად მხიარული განწყობილების შთაბეჭდილებას ვტოვებდეთ, მაგრამ შიგნით სულ სხვა განცდა გვქონდეს. ანდა შეიძლება ვიცინოდეთ, და ამავე დროს დიდი დარდი გვაწუხებდეს. შეიძლება ისეც დავიჭიროთ თავი, თითქოს ცხოვრებაში ჩვენ ყველაფერი აღვილად გვეძლევა, მაგრამ სულის სიღრმეში, გულის ფსკერზე, დიდი სასოწარკვეთილება გვქონდეს ჩაბუდებული. ასე ლაპარაკობენ ექიმები, ფილოსოფოსები, ფსიქიატრები, ფსიქოლოგები. ერთმა ფსიქიატრმა მითხრა: „თქვენ ვერც კი წარმოგიდგენიათ, რამდენი ახალგაზრდა შემოდის ჩემს კაბინეტში!“ მაგრამ ადამიანების უმეტესობას სრულებით არ აინტერესებს, საიდან მოდის სასოწარკვეთილება და შიში, და გამოსავალს მხოლოდ სიმთვრალეში პოულობენ. და განა უმჯობესი არაა, პირდაპირ თვალებში შევხედოთ სინამდვილეს?

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ის ფაქტი, რომ ადამიანის გულის სიღრმეში სასოწარკვეთილებაა ჩაბუდებული, ჩვენი საუკუნის აღმოჩენა იყოს. საკვირველი ისაა, რომ ბიბლიამ ეს აღმოაჩინა 3000 წლის წინ. „უკეთურ არს გული კაცისა... და ყოვლად წარხდენილი“, – წერია ბიბლიაში. ბიბლიაში ისიცაა ნათქვამი, თუ რატომაა ასე. დასახელებულია რამდენიმე მიზეზი: ის, რომ, ცოდვითდაცემის ჟამიდან მოყოლებული, ჩვენ შორს ვდგავართ ღმერთისგან, რამეთუ მას შემდეგ ჩვენ არ ვცხოვრობთ ჩვენს ნამდვილ სტიქიაში, რომელიც ღმერთშია! ის, რომ ჩვენ, არსებითად, გვაშინებს ცხოველი ღმერთის მსჯავრი ჩვენი ცხოვრების გამო. მაგრამ ძირითადი მიზეზი ჩვენი გულის ღრმა სასოწარკვეთისა ჩვენი

დანაშაულია, ჩვენი დანაშაული ღმერთის წინაშე! ეს არის სწორედ ჩვენი ცხოვრების უდიდესი პრობლემა, რომელსაც ჩვენ თვითონ ვერ გავწვდენილვართ! ჩვენ ვგრძნობთ ამას! და ამიტომ ჩვენს გულში ღრმა სასოწარკვეთილებაა.

გვჭირდება თუ არა ჩვენ ცოდვათა მიტევება?

რა თქმა უნდა, გვჭირდება! არ არსებობს ჩვენთვის სხვა უფრო აუცილებელი რამ, ვინემ ცოდვების მიტევება!

რა არის ცოდვა! ცოდვა ეს არის ყოველგვარი გამიჯვნა ღმერთისგან! ჩვენ ვიბადებით კიდეც უკვე ცოდვილებად. ნება მიბოძეთ, ერთი მაგალითი მოვიყვანო. პატარა ბავშვს, რომელიც ომის წლებში დაიბადა ინგლისში, რა თქმა უნდა, ჩვენი, გერმანელების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. მაგრამ ის მტრის ბანაკს ეკუთვნოდა. ასევე ჩვენც, ბუნებითად იმ ბანაკში ვიბადებით, რომელიც მტრულადაა განწყობილი ღმერთის მიმართ. ჩვენ ჩვენი შეცდომებისგან ვაშენებთ კედელს და სულ უფრო და უფრო ვშორდებით ღმერთს. ღვთიურ მცნებათა ყოველი დანაშაული ის ქვაა, რომლითაც ეს კედელი შენდება. ამრიგად, ცოდვა ავბედითი რეალობაა.

ახლა მე მინდა მოგიყვეთ თქვენ, თუ როგორ გავიგე პირველად, რომ ცოდვა – ავბედითი რეალობაა და რომ არავითარი ცოდვის გასწორება არ შეიძლება. მე მყავდა შესანიშნავი მამა, რომელთანაც საუცხოო ურთიერთობა მაკავშირებდა. ერთხელ მე ჩვენი სახლის ფლიგელში ვიჯექი და გამოცდებისთვის ვემზადებოდი. უცებ ქვემოდან შემომესმა: „ვილჰელმ!“ – ეს ჩემი სახელია. თავი გავყავი, მამაჩემი მეძახდა და ვკითხე: „რა მოხდა? იწვის?“ მან კი მიპასუხა: „ქალაქში მივდივარ, არ გინდა ჩემთან ერთად წამოხვიდე? ორნი ვიქნებით, ასე ხომ უფრო სახალისოა!“ – „ოხ, მამიკო, – ჩამოვძახე მე ზემოდან, – მე ახლა ჩემი საგამოცდო სამუშაოს ისეთ მნიშვნელოვან თემას ვუზივარ, რომ ძალიან გამიჭირდება, მოვწყდე.“ – „მაშინ მე მარტო წავალ“, – მითხრა მან. 14 დღის შემდეგ მამა გარდაიცვალა. ჩვენთან იყო ასეთი ჩვეულება: კუბო ცხედრით სახლში იდგმებოდა, და ვაჟიშვილები რიგრიგობით მორიგეობდნენ მის ახლოს. წყნარი ღამეა. ყველას ძინავს. მე მარტო ვზივარ კუბოსთან და უცებ ვიხსენებ, როგორ მთხოვა მამაჩემმა 14 დღის წინ ქალაქში გავყოლოდი, მე კი უარი ვუთხარი! ახლა მე დავყურებ მას და ვამბობ: „ეხ, მამილო, მთხოვე კიდევ ერთხელ და თუ შენ მოისურვებ ჩემთან ერთად 100 კილომეტრი გაიარო, მე წამოგყვები!“ მაგრამ მისი ბაგეები არ შენძრეულა. მაშინ

მე მივხვდი, რომ ჩემი გულგრილობა ავბედითი რეალობაა, რომელსაც მე ვერასოდეს გამოვაკეთებ.

როგორ ფიქრობთ, რამდენი შეცდომა მოგვსვლია ჩვენს ცხოვრებაში, რამდენჯერ მოგვეცარა ხელი? როგორ გავიტანოთ თავი ამ ცხოვრებაში, როცა ჩვენ მუდმივ თან გვდევს შეცდომები და დაუდევრობანი? ცოდვათა მიტევების გარეშე ჩვენ, არსებითად, ვერ გავიტანთ ამ ცხოვრებას!

და რა მოვუხერხოთ სიკვდილს? ხომ არ გსურთ თქვენ ყველა თქვენი დანაშაული თან გაიყოლოთ მარადისობაში? მე ხშირად წარმომიდგენია, რა სანახავი იქნება ეს. მე ხომ თანდათან ვუახლოვდები ამას. შესაძლოა, ჯერ კიდევ მაგრად ჩასჭიდებიხარ საყვარელ ხელს, მაგრამ, აი, დგება წუთი, როცა მე ისიც უნდა გავუშვა. მაშინ ჩემი ცხოვრების ხომალდი დიადი მდუმარებით წარსდგება ღმერთის წინაშე, მისი სახის წინაშე! დამიჯერეთ, ერთხელაც იქნება, თქვენც წარსდგებით მის წინაშე. ყველა თქვენი შეცდომებით, ყველა თქვენი დაუდევრობით წარსდგებით თქვენ მაშინ ცხოველი ღმერთის წინაშე! რა საშინელება იქნება, თუ აღმოჩნდება, რომ ყველა თქვენი დანაშაული, ყველა თქვენი დაუდევრობა თან წაგიღიათ!

გვჭირდება თუ არა ჩვენ ცოდვათა მიტევება? ის გვჭირდება ჩვენ ისე, როგორც არაფერი, უფრო მეტად, ვინემ პური არსობისა.

2. სადღა შევიძინოთ ცოდვათა მიტევება?

შესაძლოა კი წარსულის დავიწყება? თუ შესაძლოა, როგორ? მე წეღან მოგიყევით მამაჩემის ისტორია. მე ვერა და ვერ შევძელი თავიდან მომეშორებინა ჩემი ეს დანაშაული. გესმით ჩემი? არსებითად ჩვენ უძლურნი ვართ გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები. ყველა ჩვენი ქმედება ღმერთის წინაშე აღბეჭდილია შურისძიების მოლოდინით. ერთმა კაცმა, სახელად იუდამ, უღალატა თავის მაცხოვარს 30 ვერცხლის საფასურად. და უცებ ის მიხვდა, რომ სწორად არ მოიქცა. ის მიდის მათთან, ვისთანაც დაასმინა მაცხოვარი, უბრუნებს ფულს და ამბობს: „მე ბოროტება ჩავიდინე. წაიღეთ უკან ეს ფული! მე მინდა გამოვასწორო ეს საქმე“! მათ მხრები აიჩეჩეს და ასე უთხრეს: „ეს რა ჩვენი თავსატეხია? შენ თვითონ იცი! შეგიძლიათ ვისაც გინდათ მიმართოთ, ასე გიპასუხებენ: „შენ თვითონ იცი!“ და მაინც, მიუხედევად ამი-

სა, არსებობს შესაძლებლობა გავანადგუროთ, მოვსპოთ შეცდომები, მოვაგვაროთ ყოველივე ის, რაც ხელიდან გაგვიშვია? როგორ? რანაირად ხდება ცოდვების მიტევება?

ჩემო მეგობრობო, ამ კითხვაზე ბიბლიაში ერთსულოვნად პასუხობენ რწმენის თავკაცები, აღფრთოვანებულნი, ერთხმად. თავიდან ბოლომდე, ძველი აღთქმიდან ახალ აღთქმამდე, ბიბლიაში ლეიტმოტივად ჟღერს: არსებობს ცოდვათა მიტევება!

სად? გამომყევით მე იერუსალიმის კარიბჭის მიღმა, გოლგოთის ბორცვისკენ. ჩვენ არ მივაქცევთ ყურადღებას არც ხალხის ბრბოს, არც ავაზაკებს – მარჯვნივ და მარცხნივ, არც რომაელ ჯარისკაცებს. თვალებს მივაპყრობთ მხოლოდ კაცს, რომელიც მათ შუაშია ჯვარზე გაკრული. ვინაა ეს კაცი? ის არაა ისეთი, როგორიც ჩვენ ვართ. ერთხელ, დიდძალი ხალხის წრეში, მან თქვა: „ვის შეუძლია მე ბრალი დამდოს რაიმე ცოდვაში?“ და ვერავინ ვერ დაასახელა ვერც ერთი ცოდვა. ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ გაბედავდა ეკითხა ეს. შემდეგ მას ბრალად დასდეს დანაშაული და რომაელმა მსაჯულებმა და აგრეთვე ებრაულმა სინედრიონმა დაჰკითხეს ის, მაგრამ ვერ სცნეს დამნაშავედ. ის – არ არის ერთი ჩვენთაგანი. მას არ სჭირდება ცოდვების მიტევება. და ეს ის კაცი ჰკიდია იქ, ჯვარზე?! ვინაა ეს კაცი? ის გამოცხადდა არა ადამიანთა მსოფლიოდან, ის მოვიდა ჩვენთან სხვა განზომილებიდან, ღმერთის საუფლოდან. მე ვლაპარაკობ იესოზე, ძე ღმერთისას შესახებ. და ის ჰკიდია ჯვარზე?! რატომ? რისთვის? მეგობრებო, ღმერთი სამართლიანია: მან უნდა მსჯავრი დასდოს ცოდვას. მაშინ მან ჩვენი ცოდვები ძეზე გადაიტანა, თავის ძეზე, და მას, იესოს აზღვევინებს ჩვენს ცოდვებს! „სასჯელი სოფლისაჲ ჩუენისა იდო მასზედ!“ ეს ბიბლიის დიადი უწყებაა: ჩვენი მშვიდობისათვის იესო ღმერთის სამსჯავროზეა გადაცემული! აი, სად არის ცოდვათა მიტევება!

სად დავაღწიო მე თავი ცოდვებს? სად ვიპოვნო მშვიდობა ღმერთის მიმართ? იესოს ჯვართან? „სისხლი იესო ქრისტესი, ძისა ღმერთისა, განგვწმენდს ჩუენ ყოვლისა ცოდვისაგან“. ეგების ჩავწვდეთ ჩვენ ამას!

გამოქვეყნებულია ამერიკელი ვილიამ ლ. ჰულის საინტერესო წიგნი. ეს იყო პასტორი, რომელმაც ცამეტჯერ მიონახულა ციხეში ადოლფ აიხმანი, დადანაშაულებული მილიონობით ადამიანის მკვლელობაში. ის დიდხანს ესაუბრებოდა

მას, მოისმინა მისი უკანასნელი სიტყვაც, მიაცილა იგი სახრჩობელამდე და იმასაც დაესწრო, როცა მისი ფერფლი ხმელთაშუა ზღვაში გადაყარეს. პასტორმა გამოაქვეყნა თავისი საუბრები აიხმანთან სათაურით – „ბრძოლა ერთი სულისათვის“ (ერთი სულის სახსნელად). დასაწყისში იგი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ მას დიდი სურვილი ჰქონდა გადაერჩინა ეს საშინელი ცოდვილი კაცი, რათა იგი ჯოჯოხეთში არ მოხვედრილიყო. თავზარდამცემი იყო, რომ ეს კაცი, რომელმაც მილიონობით ადამიანი მოკლა, საშინელი უბედურება მოუტანა კაცობრიობას, იჯდა საწერ მაგიდასთან და უკანასკნელ წუთამდე ამბობდა: „მე არ მჭირდება ის, რომ ჩემთვის ვინმემ დადოს თავი. მე არ მჭირდება ცოდვების მიტევება. მე უბრალოდ არ მსურს ეს“.

ხომ არ გინდათ თქვენ აიხმანის ნაკვალევს გაჰყვეთ და ასე მოკვდეთ? არა? თუ თქვენ ეს არ გსურთ, მიენდეთ მთელი გულით იესოს, ძე ღვთისას, მხოლოდ მას ძალუძს მოტევებაჲ ცოდვათა, რამეთუ მოკვდა მათთვის, საფასური გაიღო მათთვის. როცა პასტორი ჰული აიხმანს ესაუბრებოდა, მას ზიზღს ჰგვრიდა ის, რომ შეეთავაზებინა ამ კაცისათვის ცოდვათა მიტევება იესოს სისხლის ფასად. განა შესაძლებელია ასეთ კაცსაც კი ეღირსოს ხსნა? დიახაც! დიახაც! „სისხლი იესო ქრისტესი, ძისა ღმრთისა, განგვწმენდს ჩვენ ყოველგვარი ცოდვისგან“. მაგრამ მე უნდა ვაღიარო ჩემი ცოდვა, გავანდო მას, შემდეგ კი შევხედო ჯვარს და რწმენით მივიღო: „ იესოს სისხლი წვეთდა ჯვარიდან, მისი შუბლიდან, მის ღაწვებიდან, ვიყავი სავსე ბიწიერებით, მაგრამ განბანილ მისით“.

ბიბლიაში მოყვანილია სულ ახალი და ახალი მაგალითები იმის ასახსნელად, თუ როგორ მიუტევებს ჯვარცმული და აღმდგარი მეუფე იესო ცოდვებს. იესო ხომ არ დარჩა საფლავში, ის აღსდგა მესამე დღეს, ეს თქვენ ალბათ იცით – ის ცოცხალია.

ასე, მაგალითად, ბიბლიაში საუბარია თავდებობის შესახებ. თავდები თავისთავზე იღებს მოვალეობას, გამომესარჩლოს მე, როცა არაფერი გამაჩნია ვალების გასასტუმრებლად. ანგარიშის გასწორება კი საჭიროა. ცხოვრებაში ყოველთვის ასეა, როცა ვინმეს ვალი აქვს გადასახდელი. ყოველთვის, როცა ჩვენ ცოდვას ჩავდივართ ჩვენს ცხოვრებაში, ჩნდება ვალდებულება ღმერთის წინაშე. ბიბლიაში ნათქვამია: „შურის-გება ცოდვათათვის სიკუდილ არს.“ ღმერთი

შეგვთხოვს, ჩვენი სიკვდილით ავანაზღაუროთ ვალი. მაგრამ, აი, მოვიდა იესო და მოკვდა ჩვენთა ცოდვათათვის, რათა ჩვენ შევძლოთ ცხოვრება. ის თავდებია ჩვენი წინაშე ღმერთისა. ამრიგად, თქვენ თქვენი ცოდვების გამო ან ჯოჯოხეთში მოხვდებით, ანდა მიდიხართ იესოსთან სიტყვებით: „უფალო იესო, მე მინდა ვიცოდე, რა გადაიხადე შენ ჩემს მაგიერ!“ ერნსტ გოტლიბ ვოლტერსდორფი ერთ თავის ჰიმნში აღიარებს: „მე ვიცი უცილობლად, მოვიდა ჩემი მოსარჩლე, მან თავის თავზე აიღო ჩემი ცოდვების მიტევება, მან გადიხადა სრულად ყოველი ჩემი შეცდომის საფასური, ისე რომ, მათგან არავითარი კვალი აღარ დარჩა.“ ბიბლიაში ასევე ნათლადაა წარმოდგენილი გამოსყიდვის სურათი. ერთი კაცი მონათმოვაჭრის ხელში მოხვდა. თავად მან ვერ მოახერხა თავის დახსნა. მაგრამ, აი, გამოჩნდა კეთილი ადამიანი და ხედავს ამ დამონებულს. მას გული შეეკუმშა და იკითხა: „რა ღირს ეს კაცი? მე გამოვისყიდი მას!“ როდიდანაა მონა თავისუფალი? იმ წუთიდან, როცა გადახდილია უკანასკნელი კაპიკი. იესომ გაიღო გოლგოთაზე თქვენს გამო უკანასკნელი კაპიკი! ახლა, იცით რა ეს, თქვენ შეგიძლიათ თქვათ: „უფალო იესო, შენ წინ ვყრი ჩემს ცოდვებს და მწამს, რომ შენ მათ მოსპობ!“ იესოს ძალუძს გამოსყიდვა! ის ათავისუფლებს ცოდვათა მონობისაგან! ფილიპ ფრიდრიხ ჰილერი იმღერს: „ცოდვათაგან გათავისუფლება – ეს სიცოცხლის განახლებაა განაწამები სულისათვის, ის იესოს სახელით მოხდა.“.

ბიბლიას მოჰყავს სულ ახალი და ახალი მაგალითები. აი, კერძოდ, მაგალითი შურისგებისა. ბნელმა წარმართმაც კი იცის, რომ მას სჭირდება შერიგება. ამიტომაც ყველა რელიგიაში ბევრია მღვდელი, რომელიც შესარიგებლად მსხვერპლშეწირვას ასრულებს. მაგრამ ღმერთი შერიგების მხოლოდ ერთადერთს მსხვერპლს ცნობს: „აჰა ტარიგი ღმერთისაჲ, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი!“ მღვდელთაგან ბევრს მოჰქონდა სხვადასხვა მსხვერპლი. იესო კი თავად არის მღვდელი, რომელიც გვარიგებს ღმერთთან! და იგი თავად არის ის მსხვერპლი, რომელიც ღმერთთან გვარიგებს! მხოლოდ მას ძალუძს შეგვარიგოს ჩვენ ღმერთთან. ალბერტ კნაპი ერთ-ერთ ჰიმნში ამბობს: „მარადჟამს ჩემს თვალწინ იქნება, როგორ ჰკიდია ეს მშვიდი ტარიგი ჯვარზე, ფერმიხდილი, დასისხლული შუბლითა და ძელზე მილურსმული ხელებით... მე მწამს, მაშინაც ჩემზე ფიქრობდა, როცა წარმოსთქვა ჯვრითგან: „აჰა, აღსრულდა“.

გარდა ამისა, ბიბლიაში გამოყენებულია ხატი განწმენდისა. ერთი ქრისტიანი წერს მეორეს: „მან შემიყუარნა ჩუენ და განგუბანნა ცოდვათა ჩუენთაგან სისხლითა თვისითა“. თქვენ, უთუოდ, იცით ისტორია უძღები შვილისა, რომელიც იქამდე მივიდა, რომ იძულებული გახდა ღორებს შორის ეცხოვრა. ასე იყო მრავალი ადამიანის ცხოვრებაში. ასეთები გულწრფელად უნდა გვებრალებოდეს. მაგრამ, აი, უძღები შვილი გონს მოვიდა და იგი – ისეთი, როგორიც იყო – სახლისკენ გაიქცა, მამას ჩაეკონა. მას არ უცდია ჯერ მოწესრიგებულიყო, არ უყიდია თავისთვის კოსტიუმი და ფეხსაცმელი; დაბრუნდა ისეთი, როგორიც იყო. ხოლო მამამ შემდეგ იგი გაასუფთავა, ჩააცვა ახალი ტანისამოსი. ბევრი თვლის, რომ ჯერ ის კეთილი უნდა გახდეს და მაშინ შეძლებს ქრისტიანი იყოს. ეს კატასტროფული გაუგებრობაა. ჩვენ შეგვიძლია მივეახლოთ იესოს ისეთი ბინძურნი და მოთითხნილნი, როგორებიც ვართ. ვახ, რა მოსვრილია და წაბილწული ჩვენი ცხოვრება! მიეახლეთ იესოს ისეთები, როგორიც ხართ. ის განგწმენდთ თქვენ! ის განაახლებს ყოველივეს! „სისხლი იესო ქრისტესი, ძისა ღმრთისა, განგვწმენდს ჩუენ ყოვლისა ცოდვისაგან.“ ამას გვიდასტურებს იოანე მოციქული. ეს შეგვიძლია დავამოწმოთ ჩვენც.

მე არა მაქვს ახლა შესაძლებლობა ბიბლიაში მოყვანილი ყველა მაგალითი მოგაწოდოთ. მაგრამ ვფიქრობ, თქვენ თავად დაიწყებთ ბიბლიის კითხვას და, ამდენად, თქვენ უფრო ღრმად გაეცნობით ამ შესანიშნავ ამბავს ცოდვათა მიტევების შესახებ.

როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ ამ ცხოვრებაში, როცა გამუდმებით თან გვდევს შეცდომები და დაუდევრობა? საკუთარი ძალებით ჩვენ მათ ვერ დავძლევთ. ამის მოგვარება მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ მივეახლებით იესოს და შევსთხოვთ მას, მოგვიტევოს ცოდვები. მაშინ გაქრება შინაგანი შიში და სასოწარკვეთილება. მიუძღვნათ ჩვენი თავი იესოს – ეს არის არა შავბნელი, საზარელი საქმე, არამედ გარდასვლა უკუნი საფლავისეული შიშიდან ღვთიური მადლის გაზაფხულის მზიური სიკაშკაშისკენ.

ამრიგად, გვჭირდება თუ არა ჩვენ ცოდვათა მიტევება? დიახ, გვჭირდება! სად ვპოვოთ ჩვენ იგი? იესოსთან, ჯვარცმულ და მკვდრეთით აღმსდგარ მაცხოვართან!

3. როგორ მივაღწიოთ ამას?

შეიძლება ახლა ფიქრობს ვინმე: „ეს ხომ მშვენიერებაა! ალბათ შესანიშნავი უნდა იყოს – გქონდეს მიტევება ცოდვათა! მაგრამ როგორ მივაღწიოთ ამას? ამაზე არც გაზეთები წერენ, არც ფილმებში საუბრობენ, ვერც რომანებში ნახავთ რაიმეს. როგორ მივაღწიო მე ამას?“ დიახ, როგორ მივაღწიო?

აქ ვერავინ გვიშველის. მე ვფიქრობ, ყველაზე კარგი იქნება, თუ თქვენ დღესვე განმარტოვდებით და შეჰვედრებთ იესოს. ის ხომ აღსდგა! ის ცოცხალია! ბიბლიაში ასეა ნათქვამი იმ ადამიანებზე, რომელთაც ირწმუნეს: „ყოველნი, ვინცა მოუხმობს სახელსა იესოს...“ პირდაპირ ახლავე შეუდექით საქმეს, მოუხმეთ მას!

იცით თქვენ, რას ნიშნავს სიტყვა „მოხმობა“, „რეკა“, „დარეკვა“ ეს პირდაპირი ხაზია იესოსკენ! მაგრამ თქვენ დიდი ხანია არ გისარგებლიათ ამ ხაზით! თქვენ გაქვთ პირდაპირი ხაზი იესოსკენ, მაგრამ შესაძლოა, თქვენ არასდროს არ გისაუბრიათ მასთან! დიდად სამწუხაროა! გამოიძახეთ ის! თქვენ არ გჭირდებათ დიდი დრო სიტყვების შესარჩევად, საკმარისია თქვათ მხოლოდ: „უფალო იესო!“ – და ის უკვე ხაზზეა, ის უკვე გისმენთ. და ესაა სწორედ ლოცვა.

ხოლო შემდეგ? რაზე უნდა ისაუბროთ? ყველაფერზე, რაც თქვენ გულში გაქვთ! უთხარით: „იესო, მე ცუდი ურთიერთობა მაქვს ერთ კაცთან. მე თითონ ვერაფერს გავხდი. მაგრამ ვიცი, რომ ეს ცოდვაა. იესო, მიშველე მე!“ ანდა: „იესო, ჩემს საწარმოში არეულობაა. უკვე კარგა ხანია მოუწესრიგებელია საგადასახადო თანხები, მაგრამ მე არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე სხვაგვარად, როცა ბანკროტობა მელოდება. უფალო იესო, მიშველე შენ მე!“ ან კიდევ: „უფალო იესო! მე ვღალატობ ჩემს ცოლს და არ ვიცი, როგორ გამოვძვრე ამ ვითარებიდან. უფალო იესო, მიშველე შენ მე!“ გასაგებია? თქვენ შეგიძლიათ იესოს „პირდაპირი ხაზით“ გაანდოთ ყველაფერი ის, რასაც ვერც ერთ ადამიანს ვერ ეტყვით. მას ესმის! გადმოალაგეთ, მაშ, ყველაფერი! ეს გაგათავისუფლებთ თქვენ. გაუმხილეთ მას ყველა თქვენი შეცდომა. შეეკითხეთ მას: „უფალო იესო! პასტორმა ბუშმა გვითხრა, რომ შენი სისხლი ყოველივეს განწმენდს. მართალია ეს?“ ჰკითხეთ ეს მას. დაელაპარაკეთ მას დღესვე. დაიწყეთ საუბარი იესოსთან „პირადაპირი ხაზით“, რომე-

ლიც უკვე ამდენი ხანია არსებობს და თქვენ კი არ გისარ-გებლიათ. გამოიყენეთ ეს ხაზი განუწყვეტლივ. მისი საშუ-ალებით თქვენ შეგიძლიათ ესაუბროთ იესოს. მიმართეთ იმ ადამიანებს, ვინც უხმობს იესოს სახელს!

შეიძლება, თქვენ ბრძანოთ: „კი ბატონო, მე ყველაფერი მოვუყევი მას, მაგრამ ის არაფერს მპასუხობს!“ დამიგდეთ ყური! ახლა მე გეტყვით თქვენ იმ ხაზის შესახებ, რომლის წყალობითაც ის თქვენ გესაუბრებათ. აიღეთ ხელში ევანგე-ლე – ახალი აღთქმა. ძველ აღთქმას თქვენ მოგვიანებით წაიკითხავთ. ნუ დაიწყებთ ამ წიგნით, ეს ჯერ თქვენთვის საკმაოდ რთული იქნება. ახალი აღთქმის კითხვა დაიწყეთ იოანეს სახარებით, შემდეგ კი ლუკას სახარება წაიკითხეთ. შეუდექით კითხვას ისე, თითქოს ჟურნალში კითხულობდეთ რომელიღაც ფაქტის შესახებ. და მაშინ თქვენ მიხვდებით, რომ ეს ღმერთი გესაუბრებათ თქვენ. ამით გამოირჩევა ბიბ-ლია ყველა სხვა წიგნისგან – იგი ის ხაზია, რომლის საშუ-ალებითაც ღმერთი საუბრობს ჩემთან. ერთხელ ვიღაცამ მითხრა: „როცა მე ღმერთის მოსმენა მინდა, ტყეში მივდი-ვარ.“ მე კი ვუპასუხე მას: „ეს ხომ სისულელეა! როცა მე ტყეში ვარ, მე მესმის ხეების შრიალი, ჩიტების გალობა და ნაკადულების ჩუხჩუხი. ეს შესანიშნავია, მაგრამ ტყე ვერ გამცემს მე პასუხს შეკითხვებზე: მომეტევა თუ არა მე ჩემი ცოდვები, როგორ მივიღო მე ახალი გული, მოწყალეა თუ არა ღმერთი ჩემდა მიმართ. ამის შესახებ მხოლოდ ბიბლიის მეშვეობით მესაუბრება ღმერთი მე.

დაუთმეთ ყოველდღიურად მეოთხედი საათი იესოს. შეჰ-ღაღადეთ იესოს და უთხარით მას ყველაფერი: „უფალო! დღეს მე უამრავი საქმე მაქვს. მარტო მე ამას ვერ გავწვდე-ბი“. გამიგეთ მე? უთხარით მას ყოველივე! შემდეგ კი გადა-შალეთ სახარება და წაიკითხეთ ნახევარი თავი. „უფალო იესო, აწ ჰსთქუი შენ!“ და უცებ თქვენ წააწყდებით სიტყუას ღმერთისას თქვენთვის. ამას თქვენ წამსვე შენიშნავთ: „ესა იგი მეტყოდა მე!“ გახაზეთ ეს სიტყვები თქვენთვის, უმჯობე-სია კი – თარიღი დასვით გვერდით.

ჩემს ყმაწვილკაცობაში როგორღაც ერთ სახლში მოვ-ხვდი. იქ პიანინოზე ბიბლია იდო. ხელში ავიღე და შევნიშნე, რომ ბევრგან ადგილები წითელი და მწვანე ფანქრით იყო გახაზული, ხოლო გვერდით თარიღები მიეწერათ. ეს იყო დიდი ოჯახი და მე ვკითხე, თუ ვისია ბიბლია. „იგი ჩვენი ემმის საკუთრებაა“, – მოჰყვა პასუხად. მე თვალში მომი-

ვიდა ეს ემმი და ცოლად მოვიყვანე იგი. მე მსურდა, გვერდით მყოლოდა გოგონა, რომელსაც ეცოდინებოდა, რომ იესო ასეთი ხაზის მეშვეობით გვესაუბრება ჩვენ და არა სხვაფრივ.

როცა ბიბლიაზე კამათობენ, მე აფორიაქებული ვარ. ამბობენ, რომ ბიბლია ადამიანების ხელითაა დაწერელი, და მესმის კიდევ სხვა ამგვარი სისულეები. მე ეს ძალზე ცუდ გუნებაზე მაყენებს!

პირველ მსოფლიო ომში რამდენსამე ხანს მე ტელეფონისტი ვიყავი, მაშინ ჩვენ არაფერი ვიცოდით უმავთულო რადიოს შესახებ. ჩვენ გვქონდა პატარა აპარატები, რომლებსაც მავთულები უერთდებოდა. ერთხელ მოვხვდი სათვალთვალო პუნქტში, რომელიც მაღლობზე იყო განლაგებული. ჯერ კიდევ არ იყო აღმართული არავითარი სათავდაცვო ნაგებობები, და მე, ბალახში ჩაწოლილი, ვცდილობდი ბატარეას დავკავშირებოდი. უცებ დავინახე, მაღლობის გაყოლებით ერთი მსუბუქად დაჭრილი ქვეითი ჯარისკაცი მიდის. დავიყვირე: „დაწექი! ჩვენ აღმოგვაჩინეს! ახლა ცეცხლს გაგვიხსნიან!“ ის პირქვე დაემხო, მოცოცდა ჩემთან და მეუბნება: „მე შვებულება მაქვს, მე ახლა შემიძლია სახლისკენ გავემგზავრო. მისმინე ერთი, ეს რა ძველი აპარატი გქონია შენ!“ – „ჰო, – ჩავიბურტყუნე მე – ძველი მოდელია“. – „მოსაჭერებიც მთლად მორყეულია“. – „ჰო, მოსაჭერები სულ მოიშალა“. – „აი, ერთგან მოტეხილიც კია“ – არ ჩერდებოდა ის. მე ველარ მოვითმინე: „აბა, ახლა მორჩი, არა მაქვს ამდენი დრო, ვისმინო შენი კრიტიკა! კავშირზე უნდა გავიდე!“ ზუსტად ასევეა, როცა ბიბლიაზე მიდგება საქმე. როგორც კი განვეწყობი, მოვისმინო იესოს ხმა, მომადგებიან ადამიანები და მეუბნებიან, რომ ბიბლიაც ადამიანების ხელითაა დაწერილი! ამაზე მე მხოლოდ ასე შემიძლია ვუპასუხო: „ოხ, აბა გაჩუმდით, ბიბლიაში მესმის მე იესოს ხმა!“

გამიგეთ? ნუ დაიბნევით, ღმერთი ამ ხაზზე ლაპარაკობს.

და კიდევ: ეძიეთ ურთიერთობა ადამიანებთან, რომლებსაც ამავე გზით სურთ სიარული!

იცით რა, როცა მე ჩემს გამოსვლებში ამაზე ვსაუბრობ, ადამიანები ჩვეულებრივ წამომენთებიან ხოლმე: „ოხ, ეს ხომ ბებიების საქმეა. ეკლესიაში მხოლოდ მოხუცი ხალხი დადის“. ამიტომ მე მიხარია, რომ 30 წელზე მეტი პასტორად ვემსახურებოდი ახალგაზრდობას და მათ შორის ბევრია, რომელთაც შეუძლიათ დაგიმოწმონ თქვენ ჩემი ნათქვამი:

არსებობს მიტევება ცოდვათა, შეიძლება იესოსთან საუბარი, ის გვპასუხობს.

ეძიეთ ურთიერთობა ადამიანებთან, რომლებსაც იესოსთან ურთიერთობის გამოცდილება აქვთ. დიახ, შეიძლება მოინახოს ასეთი ადამიანები, რომელთაც სურთ იესოსთან ერთად გავიდნენ ზეციურ გზაზე.

ამგვარად, იესო თქვენ წინაა და გეუბნებათ თქვენ: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი, რამეთუ ყოველსა ჟამსა თქუენ თანა არს ცთუნებანი და მშვიდობასა დაგიტევებ თქუენ! ძალ-მიც მე ძღუანად თქუენდა მიტევებაჲ ცოდვათა!“

როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ჩვენ გვაღიზიანებენ ადამიანები?

თემის სათაური მთლად ზუსტი არ არის: „თუ ჩვენ გვაღიზიანებენ სხვები“ – ხოლო ისინი ჩვენ გვაღიზიანებენ, ეს ხომ ასეა! ჩვენ ხომ უსათუოდ ვიღაც გვაღიზიანებს, განა ასე არ არის? მე კიდეც გავბედავ და ვიკითხავ: „აბა, თუ არის ვინმე თქვენს შორის ისეთი, ვისაც არავინ არ უშლის ნერვებს“? აი, ხომ ხედავთ, არავინ ჩანს ასეთი! ჩვენ გვაღიზიანებენ, ეს ფაქტია, არავითარი „თუ...,“ ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია. განა მართალი არა ვარ? დიახაც ასეა, ჩვენ საშინლად ვმოქმედებთ ერთმანეთის ნერვებზე! ყველას არ ეხება ეს. ჩემი ცოლი, მაგალითად, მე არ მაღიზიანებს, მაგრამ ბევრი სხვა მე ხშირად მიშლის ნერვებს. თქვენც? ნუ, რაღა თქმა უნდა! ამიტომაცაა, რომ ჩვენ ვჩხუბობთ ხოლმე. ოჯახად, მეზობლებს შორის, საწარმოებში და ქრისტიანულ წრეებშიც კი ადამიანები ნერვებს უშლიან ერთმანეთს განუწყვეტლივ. ყველგან ამ „ნერვების აშლაზე“ თუა მხოლოდ ლაპარაკი. ბევრია ადამიანი, რომელსაც შეუძლია თქვას: „მე ყველაფერი ჩინებულად მექნებოდა, რომ არა ის ვაებატონი, ან ის დედაკაცი!“ ამრიგად, ეს „ვიღაც“ ეკალივითაა არა მარტო თვალში, არამედ ცხოვრებაშიც. და ამის შესახებ ღირს საუბარი. როგორ უნდა ვიცხოვროთ, როცა ჩვენ ვიღაც გვაღიზიანებს?

ჩემო მეგობრებო, მე მინდა უფრო დაწვრილებით შევჩერდე ამ საკითხზე. იცით რა, არის ხოლმე ასე, ვიღაც ცოტა-ცოტას ახველებს თითქოს, სინამდვილეში კი მას ფილტვები აქვს დაავადებული. აქ უკვე ხველების საწინააღმდეგო კარამელები ვერ უშველის. აუცილებელია უფრო დეტალური გამოკვლევა და სხვაგვარი მკურნალობა. გასაგებია თქვენთვის ეს შედარება? ის, რომ ჩვენ ერთმანეთს ვაღიზიანებთ, მხოლოდ იმის ნიშანია, რომ ადამიანის ორგანიზმი დასნეულებულია. ამ გაღიზიანებას ბევრად ღრმა ფესვები აქვს, ვინემ, მაგალითად, ის, რომ თქვენი მეზობელი ქალი მთლად გულზე არ გახატიათ თქვენ. ამიტომ მე მინდა ეს საკითხი უფრო ფართოდ გავაშუქო. მე მინდა გიჩვენოთ თქვენ, რომ გაღიზიანება იმის ნიშანია, რომ კაცობრიობა დასნეულებულია.

1. ქვეყანა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ

მოგეხსენებათ, ჩემი მსოფლმხედველობა ბიბლიაზეა დამყარებული. და მე ვთვლი, ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა, რამდენადაც სხვა ყველაფერი 20 წლის შემდეგ, ასე თუ ისე, სანაგვეზე აღმოჩნდება.

ბიბლია კი ამბობს: „ღმერთმა შექმნა ქვეყნიერება სრულყოფილი. მაშინ არც ადამი აღიზიანებდა ევას, და არც ევა ადამს. სრული ჰარმონია იყო. და მითუმეტეს, ღმერთი ცხოველი არ აღიზიანებდა ადამიანებს, ხოლო ადამიანები არ აღიზიანებდნენ ღმერთს. იქ ყველაფერი თანხმობაში იყო: ღმერთი ადამიანებთან, ადამიანები – ერთმანეთს შორის.

მაგრამ, აი, ბიბლია მოგვითხრობს, რომ კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე მოხდა პირველი კატასტროფა. ბიბლია მას ცოდვითდაცემას უწოდებს. მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ადამიანი იყო ცთუნებადი. მას არ უნდა ეჭამა გარკვეული ხის ნაყოფი – ეს მას ღმერთმა აუკრძალა. მაგრამ მას ბოძებული აქვს არჩევნის უფლება – და ის ირჩევს უკეთურებას, ურჩობას. იგი იღებს აღკვეთილ ნაყოფს. როგორც კი კაცობრიობის ისტორიის დასაწყისში მოხდა ცოდვითდაცემა, იმწამსვე დაირღვა მთელი ჰარმონია.

მაშინ ღმერთი და ადამიანები დაშორიშორდნენ. ღმერთმა განდევნა ადამიანი სამოთხიდან და შესასვლელის წინ ქერუბიმი დააყენა. მას აქეთ ჩვენ და ღმერთი გაყრილები ვართ. მას აქეთ ჩვენ ვაღიზიანებთ ღმერთს, ხოლო ღმერთი – ჩვენ. ჩამოუგდეთ სიტყვა ღმერთზე ადამიანებს, ისინი მაშინვე ღიზიანდებიან: „შეწყვიტეთ, ბოლოს და ბოლოს, ამაზე ლაპარაკი! არავინ იცის, არსებობს კი იგი ნამდვილად!“ ღმერთსა და ჩვენს შორის – საშინელი უფსკრულია.

სწორედ იმავ დროს განიყვნენ ადამიანებიც. ეს ცხადი გახდა უკვე ადამისა და ევას ბავშვების მაგალითით. უკვე იმ დროიდან მოყოლებული ადამიანები აღიზიანებენ ერთმანეთს.

აი, ორი ძმა. სინამდვილეში ასეა ხშირად, სწორედ ძმები დიდად უშლიან ნერვებს ერთმანეთს. კაენი და აბელი სრულიად სხვადასხვანი იყვნენ. არსებითად ვერც ვიტყვით, რატომ იყვნენ ისინი განსხვავებულნი. ერთხელ მიწათმოქმედი კაენი თოხით მინდვრად მუშაობდა. მაგრამ, აი, მოდის აბელი. მე წარმომიდგენია, როგორ გადაუტრიალდა ყველაფერი კაენს: „ნეტამც ჩქარა გამეცალოს ეს თვინიერი მლიქვნელი!

მისი დანახვა არ მინდა!“ მაგრამ აბელი უახლოვდება ძმას და საუბარს იწყებს. მაშინ კაენმა თოხი შემოჰკრა აბელს საძულველ სახეში და მხოლოდ მაშინ მოვიდა იგი გონს, როცა ძმა უკვე აღარ სუნთქავდა. ჩემო ძვირფასებო, ჩვენ ყველანი ცივილიზებულნი ვართ და ამიტომ არ ვკლავთ ერთმანეთს თოხით. მაგრამ თუ თქვენ გაზეთებს კითხულობთ, წააწყდებით რაღაც ამდაგვარს. და თუ გავიხსენებთ განადგურების ფართომასშტაბიან პროცესებს მესამე რაიხის წლებში, იქ, არსებითად, იგივე კაენური აზრი სუფევს: სიძულვილი ადამიანების მიმართ! ასე მოისპო ასობით ათასი სიცოცხლე! კაენი გონს მოდის და ხედავს, მის წინ აბელი მკვდარი გდია. იგი ოდნავ შემკრთალია. მაგრამ შემდეგ თხრის ორმოს, ჩაასვენებს იქ გვამს და მიწას აყრის. კაენი აქეთ-იქით იცქირება და დარწმუნებულია, რომ მოწმეები არ არიან, იგი არავის დაუნახავს. ჩვენ, ადამიანები ხომ მუდამ ასე ვფიქრობთ: ის, რაც არავის დაუნახავს, სინამდვილეში არც მომხდარა. ოჰ, რომ იცოდეთ, რა ბნელი ისტორიებით არის ყველგან გარემოცული ადამიანი! კაენი მიდის. ის ადგილს ვერ პოულობს. მაგრამ უცებ ჩაესმის ხმა: „კაენ!“ ვინ უნდა იყოს? „კაენ!“ ტანში ჟრუანტელი უვლის, და უცებ ის ხვდება, ვინც უძახის: ცოცხალი ღმერთი! მან ყველაფერი დაინახა! ის დამუნჯებული მოწმე იყო! „კაენ!!! სად არის შენი ძმა აბელი?“ კაენი მაინც არ ნებდება: „მე ხომ ჩემი ძმის ძიძა არა ვარ! მე რა, ჩემი ძმის ყარაული ვარ?“ „კაენ – ბრძანა ღმერთმა, – შენი ძმის სისხლის ყივილი შემჰღაღადებს მე დედამიწიდან!“

თქვენ ახლა ჰხედავთ, როგორ გვიხსნის ყველაფერს ეს ისტორია: ცოდვითდაცემის დროიდან მოყოლებული ყველაფერი გარკვეულია. ადამიანები დაშორიშორდნენ. ღმერთი აღიზიანებს კაენს, ისევე როგორც, ის აღიზიანებს ბევრ ჩვენთაგანს. მაგრამ ჩვენ ვერ შევძლებთ დავეხსნათ ჩვენს ახლობლებს, ისევე როგორც, ჩვენ არ შეგვიძლია დავეხსნათ ღმერთს! ასეთია ქვეყანა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ!

2. დარწმუნება უნაყოფოა

დიახ, ახსნა-განმარტებანი ახლა უნაყოფოა. მაგალითად: ვერავითარი ლაპარაკი„ღმერთი მწყალობელის“ შესახებ ვერ გვიშველის. ღმერთსა და ჩვენს შორის ახლა კედელია, უფსკრულია. ომის დროს, როცა ჩემი სახლი და ნახევარი

ესენი იწვოდა, ჩემთან ყვირილით მოირბინა ერთმა ქალმა: „როგორ უნდა დაუშვას ასეთი რამ თქვენმა ღმერთმა?“ ამაზე მე ვუპასუხე: „ჩემს ღმერთს შეუძლია ეს დაუშვას. იქნებ ღმერთი თქვენი მტერია?!“ ცოდვითდაცემის დროიდან მოყოლებული ყველაფერი განცალკევდა: ღმერთი და ადამიანი! ჩვენ გავემიჯნეთ ღმერთს და ადამიანებს. და აქ იმალება იმის მიზეზი, რომ ადამიანები გვაღიზიანებენ ჩვენ. თუ თქვენ გყავთ მეზობელი ქალი, რომელიც გაღიზიანებთ თქვენ, ამის მიზეზი ცოდვითდაცემაა, ე. ი. ის, რომ ჩვენ – ბნედაცემული ადამიანები, გავცილდით ღმერთს, ამიტომ ყოველგვარი ახსნა-განმარტება ახლა უნაყოფოა.

ახლახან მე შვეიცარიის საზღვარზე მოვხვდი. საგუშაგოზე პლაკატი იყო გამოკიდული: „ერთად – უკეთესია!“ გავიფიქრე: „გასაგებია! მაგრამ პლაკატი მე ვერ მიშველის, როცა მე ადამიანები მაღიზიანებენ!“ ანდა ასეთი პლაკატი, რომელიც ამ დღეებში ვნახე: „იყავით ურთიერთთავაზიანნი!“ ამერიკელებს ყოველ კუთხეში გამოფენილი აქვს ასეთი შინარსის პლაკატები: „გაიღიმეთ გულთბილად!“ მაგრამ ეს, არსებითად, საქმეს ვერ უშველის! განა მართალი არა ვარ? არა, დარმწუნება უნაყოფოა!

მახსოვს, რა ხშირად დავდიოდი მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა თეოლოგი, ერთ ოჯახში, სადაც ყველა წაკიდებული იყო ერთმანეთთან. მთელი ნათესაობა ერთ ადგილას ცხოვრობდა და სულ გაუთავებელ ჩხუბში. ერთ საღამოს მე ყველა ისინი ერთად შევკრიბე და ჩემთვის ჩვეული აღფრთოვანებით მოვინდომე მათი შერიგება. ბევრი ვილაპარაკე, ენად ვიქეცი. საღამოს 11 საათი იქნებოდა, ისინი შერიგდნენ და ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. მე ბედნიერი ვიყავი და გავიფიქრე: „ჩემგან მომავალში საქმიანი პასტორი უნდა დადგეს, თუკი დასაწყისი ასეთი კარგი აღმოჩნდა“. გახარებული დავბრუნდი შინ და მშვიდად დავიძინე. დილით შერიგებულთაგან ერთ-ერთ ახალგაზრდა ქალბატონს შევხვდი და ვუთხარი: „რა კარგი საღამო იყო გუშინ, ხომ მართალია?!“ – „კარგი?“ – შემეპასუხა იგი, – „არ იცით განა, რა მოხდა?“ – „მაინც რა?“ – შევეკითხე მე, ოდნავ გაფითრებულმა. თურმე გზაზე, სახლებისკენ რომ ბრუნდებოდნენ, ყველას ისევ ჩხუბი აუტეხია, ხოლო შემდეგ საქმე კიდევ უფრო ცუდად წასულა. თქვენ გეცინებათ? მაგრამ მე არ მქონდა სიცილის თავი. მე უცებ მივხვდი, რომ ცოდვითდაცემასთან დაკავშირებით საქმის ვითარება მეტად სერიოზულია, რომ

ჩვენ ღმერთთან და ჩვენ ახლობლებთან გაყრილები ვართ და რომ აქ ვერავითარი, ყველაზე კეთილი სიტყვაც კი ვერ გვიშველის.

ხშირად მწერენ: „ძვირფასო პასტორო, აქა და აქ მე მყავს ნათესავები, რომლებიც წაჩხუბებულნი არიან ერთმანეთთან. ვერ შეხვდებოდით მათ?“ ასეთ შემთხვევაში მე უარზე ვარ, რადგან ვიცი, რომ კეთილი სიტყვა აქ უძლურია. დაფიქრდით ადამიანებზე, რომლებიც თქვენ გაღიზიანებენ. მე შემიძლია დიდხანს გარწმუნოთ, მაგრამ ყველაფერი ეს უნაყოფო იქნება. ესაა სწორედ მთელი უბედურება. მინდა მოგიყვეთ ერთი ოჯახის შესახებ, რომელიც მე მოვინახულე. შემოდის ოთახში 17 წლის ვაჟი, მოუხეშავი, ლურჯ ჯინსებში, თმააბურძგნილი. მე ვამჩნევ, რომ მამა ღიზიანდება: „ერთი ამას შეხედეთ, – ამბობს იგი, – რას ჰგავს!“ მამა – წესიერი და კორექტული მოსამსახურეა. წარმოიდგინეთ, რას განიცდის მამა, როცა საკუთარი ვაჟის ულაზათობასა და დაუდევრობას ხედავს. ანდა მეორე ოჯახი, სადაც მოყვარული დედა, ქრისტიანი ქალი, ხედავს როგორ იღებავს ქალიშვილი ტუჩებს! განა ასე არაა ყველგან? როცა მე ერთ ცოლგანაშვებ მამაკაცს ვუხსნიდი, რომ ის სცოდავს, მან ასე მომიჭრა: „მომეშვით, ბატონო პასტორო! მე უკვე მარტო ის მაღიზიანებს, როგორ აწკლაპუნებს ჩემი ცოლი, როცა წვენს ხვრეპს!“

თქვენ თვლით, რომ ეს ძალზე სასაცილოა? მე კი მეჩვენება, რომ ეს საშინელებაა! თქვენ ამბობთ: „ეს წვრილმანია!“ – წვრილმანი? ეს იმის ნიშანია, რომ ცოდვითდაცემის დროს ღმერთს ხელიდან გამოეცალა ქვეყანა და რომ ჩვენ ვცხოვრობთ ზნედაცემულ ქვეყანაში, როგორც ხალხი უღმერთო!

ეს გაღიზიანება ზოგჯერ შეიძლება ძალზე მძიმედ შემოგვიბრუნდეს. მე ვიცნობ ერთ ახალგაზრდა ქალბატონს ესენში, რომელსაც გაფანტული სკლეროზი ჭირს, და მთლად პარალიზებულია ამ საშინელი დაავადების შედეგად. იგი პატარა სახლში ცხოვრობს. გვერდით კი ცხოვრობს ერთი თავზე ხელაღებული ყმაწვილი, რომელსაც საღამოობით, რვისნახევრიდან თერთმეტამდე, უყვარს ტელევიზორის ყურება, ძალზე ხმამაღლა ჩართული. საცოდავ დასნეულებულ გოგონას ყოველ საღამოს გამუდმებით უნდა ესმინა ყველაფერი ეს თხელი კედლის მიღმა. იგი ევედრებოდა ყმაწვილს, ოდნავ მაინც დაეწია ტელევიზორის ხმა, მაგრამ პასუხად ის კიდევ

უფრო უმატებდა ხმოვანებას. წარმოიდგინეთ თქვენ, ასე გრძელდებოდა წლიდან წლამდე, საღამოდან საღამომდე, საათიდან საათამდე. თურმე როგორი მხეცები, როგორი უნამუსოები შეიძლება ვიყოთ! შეგიძლიათ თქვენ წარმოიდგინოთ, როგორ აღიზიანებს ეს ყმაწვილი გოგონას? ამ ყმაწვილს კი ეს გოგო უშლიდა ნერვებს. კედლებს მიღმა გაჩაღებული იყო ბრძოლა, რომელიც აუტანელს ჰხდიდა ცხოვრებას!

როცა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა პასტორი ვიყავი, 150 კონფირმანტი მყავდა, დავიწყე მათთან სიარული. ყველა ისინი მრავალბინიან სახლებში ცხოვრობდნენ. ჩემი პირველი ვიზიტის დროს სახლში სკანდალი დამხვდა. ასევე იყო მეორე და მესამე მისვლაზეც. მაშინ, კონფირმაციის საათზე, მე მივმართე ახალგაზრდებს წამომდგარიყვნენ, ვინც ნაჩხუბარი არ იყო. მხოლოდ სამი თუ ოთხი ადგა. „და დანარჩენები ყველანი წაჩხუბებული ხართ?“ – ვიკითხე მე და დადებითი პასუხი მივიღე. მაშინ მათ დავუსვი კითხვა, რომლებიც არ ჩხუბობდნენ: „თქვენ როგორღა ახერხებთ, რომ არ ჩხუბობთ?“ მათ მიპასუხეს, რომ მარტონი ცხოვრობდნენ.

აი, ასეთია ვითარება. ჩვენ უნდა ვიყოთ მხიარულები, უნდა ვშრომობდეთ. ამ დროს ჩვენი ნერვები ინგრევა!! როცა ჩვენ ფეხზე რაღაც დაგვეცემა, გვტკივა. როცა ჩვენ ვიღაც გამუდმებით გვიშლის ნერვებს, ამის ატანა შეუძლებელია.

3. ღმერთის ჩარევა!

მე რომ მეტი არაფერი მქონდეს სათქმელი, რაც ვთქვი, მე არც კი დავიწყებდი საუბარს. მაგრამ მე უაღრესად მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გაუწყოთ, საოცარი ამბავი: თავისი შეუწვდენელი მწყალობლობით ღმერთი ცხოველი ჩარეულია ურთიერთ გაღიზიანებისა და განაწყენების მთელ ამ ორომტრიალში! ღმერთის თვალწინაა მთელი ეს ბედშავი ქვეყანა და ღმერთი მზადაა ზომების მისაღებად!

საოცრებაა მისი ჩარევა. ეს არის ბიბლიის ყველაზე მომნუსხველი ამბავი. ღმერთი ანგრევს იმ კედელს, რომელიც ჩვენსა და მას შორის არის აღმართული, და თავისი ძის, იესოს, სახით გვეცხადება ჩვენ! ის, რომ ჩვენი თანამედროვე ცხოვრება უპატივცემულოდ თვალს არიდებს ევანგელეს იესოს შესახებ, ამ ევანგელეს წინააღმდეგ კი არ მეტყველებს, არამედ აღასტურებს ჩვენი დროის წინდაუხედაობას, რამ-

დენადაც იესო ჩვენი ხსნის ერთადერთი შანსია! რა შეიძლება იყოს იმაზე დიდებული, ვინემ ის, რაც ღმერთმა მოიმოქმედა, დალეწა რა კედელი ჩვენსა და მას შორის, მოგვივლინა რა ძე თვისი ამქვეყნად, ამ, ღმერთისგან გამიჯნულ, გაღიზიანებებითა და განხეთქილებებით აღსავსე სამყაროში? მოსვლა ძისა ღმრთისა, იესო ქრისტესი, სრულიად ცვლის ვითარებას!

ა) იესო გვიწყალობებს მშვიდობას ღმერთთანა

ახლა კი მე მინდა თქვენ გიჩვენოთ, რომ იესოში ყველაფერია გაერთიანებული. იესო არ იყო ღმერთისგან განცალკევებული. იესო – ძე არს ღმერთისა. ამასწინათ ასე მითხრეს: „იესო ისეთივე ადამიანი იყო, როგორიც თითოეული ჩვენთაგანი, უკიდურეს შემთხვევაში, ის იყო რელიგიის დამფუძნებელი!“ ამაზე მე ვუპასუხე: „როგორც ჩანს, თქვენ ვიღაცას სხვას გულისხმობთ. მე მხედველობაში მყავს ის, ვინაც თავის თავზე თქვა, რომ ის ზეციდანაა ჩამოსული, ხოლო ჩვენ მიწის შვილები ვართ.“ დიახ, მე ვლაპარაკობ მასზე, ღმერთისა ცხოვლისა ძეზე, რომლის სახელი სასწაულია, მასზე, რომლის მეშვეობით შემოიჭრა ღმერთი ჩვენს წარწყმედილ, დაწყევლილ ქვეყანაში. გარდა ამისა, მას ადამიანთაგან არავინ აღიზიანებს. არ აღიზიანებს მას არც იუდა, რომელმაც გასცა იგი. მე მაღიზიანებს ის, ვინც ჩემი მოღალატეა. იესოს ბოლომდე უყვარს იუდა! თქვენ უნდა წარმოიდგინოთ ისტორია იესოსი, როგორც კაცისა, რომელსაც ვერავინ ვერ აუშალა ნერვები!

აი, მაგალითად, საოცარი ამბავი, რომელიც მისი სიკვდილის წინ მოხდა, უკანასკნელ საღამოს, როცა ის სერობას მართავდა მოწაფეებთან. აღმოსავლეთის ქვეყნებში მაგიდის გარშემო სკამებზე კი არ ისხდნენ, არამედ მოზრდილ ბალიშებზე იყვნენ ნახევრად წამოწოლილნი. მე მიჭირს წარმოვიდგინო, როგორ ახერხებდა კაცი ასეთ მდგომარეობაში პურისჭამას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, წამოწოლილებს, გაგვიჭირდებოდა პური გვეჭამა დანა-ჩანგლით. მაგრამ ისინი შეექცეოდნენ. პირველ ყოვლისა, მათ სანდლები გაიძვრეს. ასე იყო იქ მიღებული. შემდეგ ფეხები განიბანეს, მტვერი მოიშორეს, – ამ დღეს მოწაფეებმა იესოსთან ერთად დიდი გზა გამოიარეს. ისინი დაიქანცნენ, სანდლები გაიხადეს და ბალიშებზე მოკალათდნენ. მე წარმოვიდგინე, რომ პეტრე

თავს უქნევს იოანეს და იმავდროულად თვალით ანიშნებს: ერთმა მათგანმა ხომ წყალი უნდა მოიტანოს და ფეხები განბანოს დანარჩენებს, იოანე კი – ყველაზე ახალგაზრდა, ნერვებს უშლის პეტრეს, რადგან სულ იმას ცდილობს, როგორმე თავი დაიძვრინოს. ხოლო იოანე, მხრებს იჩეჩავს და ასე ფიქრობს: „როგორ მაღიზიანებს პეტრე, მუდამ რაღაცაზე უნდა მიმითითოს. განა იაკობს არ შეუძლია, წყალი მოიტანოს ფეხების დასაბანად?“ იკობს კი ჰგონია, რომ ეს მას არ შეშვენის, ის ხომ ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მოწაფეა, დე, ამჯერად მათემ მოიტანოს წყალი. ამ წუთებში ყველა გაღიზიანებულია ერთმანეთის მიმართ და ყველა ცდილობს თავიდან აიცილოს ეს დავალება. და მაშინ ფეხზე დგება იესო, მოწაფეები შიშით შესცქერიან: ნუთუ ის წავა წყლის მოსატანად! და ის მიდის, აიღებს ტილოს, ჩაასხამს წყალს ტაშტში და ფეხს ბანს ყველას. „და მოიღო წყალი და შტაასხა საბანელსა მას და იწყო ბანად ფერხთა მოწაფეთა თვისთა.“ იუდას! პეტრეს! იოანეს! მათეს! კინაღამ წამომცდა: და მეც! ასეთია იესო, ის, რომელშიც არის ყოველივე: ღმერთი მასშია, ხოლო მან შეიყვარა ყველა.

მე უნდა წარმოგიდგინოთ თქვენ იესო, ჯვარზე გაკრული – ასეა ის ჩემთვის ყველაზე უფრო ძვირფასი! როგორ მინდა მე, თქვენთან ერთად აღმოვჩნდე იმ ბორცვზე იერუსალიმის კარიბჭის წინ, სადაც ღრიალებს ხალხის ბრბო, სადაც დგანან შუბოსანი რომაელი მეომრები, სადაც თავებს ზემოთ გადმოკიდებულია სამი ჯვარი. მე მხედველობაში მაქვს შუათანა ჯვარი. ის, თავზე ეკლის გვირგვინით, მინდა მე თქვენ წარმოგიდგინოთ. ჩემო მეგობრებო, ის თქვენთვის კვდება იქ, რათა გამოგიყვანოთ თქვენ ამ სავალალო მდგომარეობიდან, როცა თქვენ აღიზიანებთ სხვებს, აღიზიანებთ საკუთარ თავსაც, და სხვებიც გაღიზიანებენ თქვენ, – და მოგარიგოთ თქვენ ღმერთთან.

თუ თქვენ გსურთ, ყველაფერი ის, რაც თქვენსა და ღმერთს შორისაა, მოიშოროთ – წადით იესოს ჯვართან, ეს იესო, რომელიც თქვენთვის მოკვდა და აღსდგა, ღმერთის მიერ გამოგზავნილი მშვიდობის დესპანია. დათმეთ მთელი თქვენი ეჭვები, რაც ასე მოჭარბებულად გაქვთ, და მიეახლეთ თქვენთვის ხელებგამოწვდილ იესოს. დაყარეთ მის ფერხთით ყველა თქვენი ჩვევა და ცოდვა! თქვენ შეძლებთ ამას, თუ მზერას მიაპყრობთ იესოს ჯვარს. გაუწოდეთ მას თქვენი ხელები და შეჰღაღადეთ: „მინდა შენ გეკუთვნოდე!“ და ეს იქნება

თქვენი პირველი ნაბიჯი ღმერთთან შერიგებისაკენ. პავლე მოციქული ამბობს თავის ეპისტოლეში რომაელთა მიმართ: „აწ უკუე განმართლებულ ვართ სარწმუნოებითა, და მშვიდობაჲ გუაქუს ღმრთისა მიმართ უფლისა ჩუენისა მიერ იესო ქრისტესა“. იესო – ღმერთის მიერ გამოგზავნილი მშვიდობის დესპანი. მიიღეთ ის! სამწუხაროა, რომ ბევრმა, თუმც კი გაუგია ამის შესახებ, ვერ მოახერხა ღმერთთან შერიგება. ეს საშინელებაა! მე მინდა ყოველი ღონე ვიხმარო თქვენი გულისა გამო, თქვენი სულებისა გამო, რათა თქვენ მიიღოთ ღმერთის მიერ გამოგზავნილი მშვიდობის დესპანი!

დღეს მე რამდენიმე ჟურნალისტს ვესაუბრე. მსჯელობისას წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ჩვენს დროში ისეთი, რასაც შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა მივანიჭოთ. მე გულწრფელად ვუთხარი მათ, რომ ჩემს ზურგზე გადატანილი ორი ომისა და ნაციზმის შემდეგ რაღა უნდა იყოს სერიოზული ყურადღების ღირსი. ცარიელი ფრაზები, რომელსაც მთავაზობენ საერთაშორისო წინასწარმეტყველნი და პოლიტიკური მოღვაწეები? ისინი ხომ თავად არ იღებენ მათ სერიოზულად და არც მე. არ ვიცი, ცასა და დედამიწას შორის რა შეიძლება იყოს სერიოზული, გარდა ღმერთის დესპანისა იესოს სახით. ეს შემიძლია მე მივიღო სერიოზულად. ეს არის ერთადერთი ის, რაც კიდე შეიძლება სერიოზულად მივიჩნიოთ. ღირს ამის გაკეთება. და თუ აქ არიან ახალგაზრდა და ასაკოვანი ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ სერიოზულად არაფრის მიღება არ შეუძლიათ, ევანგელე სწორედ ამის შესახებ ამბობს თქვენთვის: „ღმერთი არაჩვეულებრივი სერიოზულობით გეკიდებათ თქვენ – იესოში“. ახლა თქვენც სერიოზულად მიიღეთ მისი წინადადება „მშვიდობისა იესოში“ შესახებ! ხედავთ, იესო ჩვენ ხელახლა გვაერთებს ღმერთთან. თქვენი უბედურება ისაა, რომ თქვენ, შესაძლოა, ქრისტიანებს უწოდებთ თქვენ თავს, წესიერად იხდით საეკლესიო გადასახადს, მაგრამ არა გაქვთ მშვიდობაჲ ღმერთთან! მე გეუბნებით თქვენ: იესო მოკვდა თქვენს გამოც, მან თავის თავზე აიღო თქვენი ცოდვები, რათა თქვენ ახლა მიეახლოთ მას, თავქვე დაემხოთ მის წინაშე და შეძლოთ წარმოსთქვათ: „უფალო, შენთან მოვალს წარწყმედილი ცოდვილი. მე ახლა მრწამს შენი! – მე უნდა მიგიღო შენ!“ ეს მიგიყვანთ თქვენ ცხოვრებასთან, ეს შეგარიგებთ თქვენ ღმერთთან!

მაგრამ იქ, სადაც შუამავალი იესოა, ხდება შერიგება არა მარტო ღმერთთან, არამედ მოყვასთანაც. მაშინ ბოლო ეღება ყოველგვარ გაღიზიანებას.

ახლა ყურადღებით მომისმინეთ. თქვენ შორის არიან შესანიშნავი ქრისტიანები, მაგრამ თუ თქვენ სხვა ადამიანები გაღიზიანებენ, ყველაფერი რიგზე ვერ არის. გასაგებია ეს თქვენთვის? თქვენ იტყვით: „თქვენ, აბა, იცნობდეთ ჩვენს მეზობელ ქალბატონს! ამ თხას!“ მე კი თქვენ გეუბნებით: „ვიდრემდის თქვენ მას არ შეიყვარებთ, თქვენი საქმე ვერ იქნება რიგზე“. როცა იესო ჩვენს ცხოვრებაში შემოიჭრება, გაღიზიანება, რომელიც მუდამ გვაქვს ვიღაც-ვიღაცეების წყალობით, გვცილდება.

იცით რა, თუ ჩვენში ჩასახლდა იესო, ის გვჩუქნის ჩვენ მშვიდობას ღმერთთან და მშვიდობას მასთან, ვინც ჩვენ გვაღიზიანებს. თუ არიან ადამიანები, რომლებიც გაღიზიანებენ თქვენ, მაშინ თქვენ გჭირდებათ იესო. ვერაფერი სხვა თქვენ ვერ გიშველით! თქვენი ნერვები ვერ გაუძლებს ასეთ ცხოვრებას. იესომ უნდა შეგარიგოთ თქვენ ღმერთთან, იესო თქვენი უნდა გახდეს, და მაშინ სხვებთანაც საქმე კარგად გექნებათ.

მე მყავს ერთი ჩემთვის ძალზე ძვირფასი მეგობარი. მას კარგი ბინა აქვს, მაგრამ სახლის პატრონი, ვინც აქირავებს ბინას, საშინელი ხასიათისაა, და, ამასთან, ფულს ძალიან დახარბებული. და, აი, ახლახან ბინის პატრონმა უსინდისო წერილი გამოუგზავნა ჩემს მეგობარს, – იგი მოითხოვდა ესა და ეს გაეკეთებინა მას, გადაეხადა ამისა და ამის ფული. მეგობარი მიყვებოდა: „თმები ყალყზე დამიდგა. მივედი საწერ მაგიდასთან, რათა პასუხი დამეწერა. მაგრამ უცებ ჩემს წინ აღიმართა იესოს ხატი, იესოსი, რომელიც მოკვდა ჩემს გამო და ჩემის ბინის პატრონის გამო. მე ვეღარ შევძელი მკაცრი პასუხი გამეცა. მაშინ წავედი მასთან და ვუთხარი: „მომისმინეთ, ნუთუ ჩვენ მართლა ასე უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს! ჩვენ ხომ ორთავე წესიერი ადამიანები ვართ! იქნებ, უფრო გონივრულად მოვიქცეთ? მე ნამდვილად პატივს გცემთ თქვენ! ამიტომ არაა აუცილებელი ასე მომეპყრათ მე“. სახლის პატრონი დამარცხებული აღმოჩნდა, სკანდალი არ ატყდა. ახლა ისინი კეთილი მეგობრები არიან: მეპატრონე, თავისი საშინელი ხასიათით, და იესოს მიმდევარი.

ნება მიბოძეთ, ზოგი რამ კიდევ მოგითხროთ. ყურადღებით იყავით. მე ვიცნობ ერთ კაცს, სახელად დაპოცცო. ის ფრანგი ევანგელისტია. საკონცენტრაციო ბანაკის შემდეგ მას ხელი დასახიჩრებული აქვს. მან მომიყვა სწორედ ერთი ისტორია, რომელსაც ვერასოდეს დავივიწყებ: „ერთხელ საკონცენტრაციო ბანაკში, საღილობისას, ბანაკის უფროსმა გამომიძახა. შემიყვანეს ოთახში, სადაც სუფრა დამხვდა გაშლილი. მაგიდა მხოლოდ ერთ კაცზე იყო გაწყობილი. შემოვიდა უფროსი. მე მგელივით დამშეული ვიყავი. ბანაკის უფროსი მაგიდას მიუჯდა, მას ერთიმეორეზე ფანტასტიკური კერძები მოართვეს, მე კი მშვიდად უნდა ვმდგარიყავი და მეცქირა. ის გემრიელად შეექცეოდა და მთელი თავისი არსებით მიჩვენებდა, რა კმაყოფილი იყო, მე კი შიმშილით კუჭი მიხმებოდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ბოლოს, მას ყავა მოუტანეს, მან რაღაც შეხვეული დადო მაგიდაზე და მითხრა: „ერთი, ნახეთ, ეს თქვენმა მეუღლემ გამოგიგზავნათ ნამცხვარი პარიზიდან!“ მე ვიცოდი, რომ იქ კვების მხრივ დიდი გაჭირვება იყო და გამიკვირდა, როგორ მოახერხა ჩემმა ცოლმა ნამცხვარის გამოცხობა. და, აი, ბანაკის უფროსი ნამცხვარსაც მიადგა. მე ვთხოვე მას: „ერთი ნატეხი მაინც მომეცით, მე არ შევჭამ მას, მაგრამ ჩემი ცოლის სახსოვრად მაინც დამრჩეს.“ უფროსმა ჩაიცინა და ბოლომდე გადასანსლა“. ეს იყო მომენტი, როცა გაღიზიანება უმაღლეს წერტილს აღწევს – სიძულვილს! დაპოცცო განაგრძობდა: „იმ წუთებში ჩემთვის ნათელი გახდა, რას ნიშნავს „... სიყვარული ღმერთისა ჩაიღვარა ჩუენს გულში“. მე შემეძლო ამ კაცის სიყვარული, მე ასე ვფიქრობდი: „რა საცოდავი ხარ შენ! არავინაა ისეთი, ვინაც შენს სიყვარულს შეძლებდა. შენს ირგვლივ მხოლოდ სიძულვილია! მაინც რა კარგია, რომ მე ღმერთის შვილი ვარ!“ გესმით თქვენ? დაპოცცოს შესწევდა ძალა, თანაგრძნობისა და შეწყალების განცდა ჰქონოდა ამ კაცის მიმართ. ეს კაცი მას არ აღიზიანებდა. ბანაკის უფროსმა ეს იგრძნო: იგი წამოვარდა და გავარდა! ომის შემდეგ დაპოცცომ როგორღაც მოინახულა ის. სტუმრის დანახვაზე იგი გაფითრდა: „თქვენ გინდათ სამაგიერო გადამიხადოთ? – „დიახ, – უპასუხა დაპოცცომ, – მე მინდა თქვენ სამაგიერო გადაგიხადოთ. მე მინდოდა თქვენთან ჭიქა ყავა დამელია. მე ტორტი მოვიტანე, დავსხდეთ ახლა ერთად და მივირთვათ!“ ის კაცი მიხვდა უცებ: ვინც იესოს მფარველობის ქვეშაა, მას უკვე არ შე-

უძლია სიძულვილი, ის უკვე აღარ ღიზიანდება, რადგან მის გულში ჩაიღვარა სიყუარული ღმერთისა.

მე – დიდი ქალაქის დიდიხნის პასტორს, ძალიან ხშირად მომისმენია წუწუნი: „მე სულ მარტოხელა ვარ. მე არავის არ ვუყვარვარ!“ აღარ შემიძლია მეტი ამის მოსმენა. ამ დროს მე მინდა ვთქვა: „და შენ? არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია შენზე თქვას – მან მე სიყვარული მომიტანა!?“ იცით რა, მე სისულელედ მიმაჩნია, როცა გამუდმებით წუწუნებენ: სიყვარული არ არსებობს ამქვეყნად, თავად კი ლოლუასავით გაყინულნი არიან! მომიტევეთ უხეში გამოთქმის გამო, მაგრამ მე წარმოშობით რურის ოლქიდან ვარ და იქ უხეში ლაპარაკი იციან.

როცა მე ეს გავიგე, გადავწყვიტე, რომ უნდა გამოვხატო ხოლმე სიყვარული. და უცებ შევნიშნე, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მისი გამოვლენა. ჩვენი გული უზომოდ ეგოისტურია. არიან ადამიანები, რომელთა სიყვარული შეიძლება, რადგან ისინი გვესიმპათიურებიან ჩვენ. მაგრამ ისინი, ვინც ნერვებს გვიშლიან?

მაგონდება ჩემი საუბარი ერთ მუშა-კომუნისტთან, რომელიც მეუბნებოდა: „ჩვენ ვმონაწილეობდით ყულების დემონსტრაციაში, შანხაიში!“ ამაზე მე მივაყოლე: „ეს შესანიშნავია! მაგრამ როგორია თქვენი დამოკიდებულება მეზობლის მიმართ? და მას წამოსცდა: „ერთი შემხვდებოდეს, ნახავს ის, რაც მოუვა!“ გესმით? „გიყვარდეს შენი შორებელი“ – ეს არც ისე ძნელია. მაგრამ „გიყვარდეს მოყვასი შენი“ – ეს უკვე უფრო რთული საქმეა.

ამრიგად, მე ვთვლი, რომ ჩვენი ქვეყანა მხოლოდ მაშინ შეიძლება სხვაგვარი გახდეს, როცა მე შევძლებ შევიყვარო მოყვასი ჩემი, მათ შორის ისეთებიც, რომელთაც მძიმე ხასიათი აქვთ, საშიშნი, რომელთაც ბოროტი ზრახვები აქვთ ჩემს მიმართ. საამისო ძალა მე არ შემწევს. ეს ღმერთის წყალობაა. ჩემო მეგობრებო, ეს, რა თქმა უნდა, არ არის ადვილი, მე თავად გამოვცადე ეს, კერძოდ: როცა იესო ჩვენს ცხოვრებაში მკვიდრდება და გვიწყალობებს ჩვენ მშვიდობასა ღმერთთანა, ხოლო შემდეგ სურს აგრეთვე გვიწყალობოს ჩვენ მშვიდობაჲ მოყვასის თანა, ეს ძალზე მტკივნეულია, რადგან ის ამით გვიჩვენებს, რომ ჩვენ ბევრად უფრო ვაღიზიანებთ სხვებს, ვინემ ისინი ჩვენ, რომ სხვებს ბევრად უჭირთ ჩვენი ატანა. მას შემდეგ, რაც მე იესო შევიცანი, მე ვხედავ მისი წყალობით ჩემს შეცდომებს, რომელიც მე სხვე-

ბის მიმართ ჩავიდინე. და მაშინ სულ უფრო ნათელი ხდება, რომ მაცხოვარი მოკვდა ჯვარზე და იგი მოგვიტევებს ჩვენს ცოდვებს.

გასაგებია თქვენთვის? ყველაზე დიდ რევოლუციას ამ ქვეყნად იესო იქმს, მაგრამ ის უნდა მივიღოთ! და ამიტომ მე ვითხოვ თქვენგან, არა მარტო ისმინოთ ყოველივე ეს, არამედ მთელი სერიოზულობით მიიღოთ იესო. მე ვისურვებდი, რომ თქვენ გეთქვათ, მე ვპოვე იესო, ხოლო მან მპოვა მე.

ყველაფერი უნდა შეიცვალოს – მაგრამ როგორ?

ჩემი სიყმაწვილის ჟამს ყველა დიდი გატაცებით კითხულობდა მაქს ეიტის ნოველებს, მწერლისა, რომელიც დღეს მივიწყებულია. იგი, არსებითად, ინჟინერი იყო და თავის სამწერლობო მასალას, უწინარესად, ტექნიკური საუკუნის სათავეებიდან იღებდა. ერთ-ერთ ნოველას ეწოდებოდა „ტრაგედია მოწოდებისა“. ნოველაში გამოყვანილია ახალგაზრდა ინჟინერი, რომელმაც ერთხელ, უჩვეულო ვითარებაში, მიიღო ძალზე საპასუხისმგებლო დავალება. მას უნდა აეგო ხიდი მდინარეზე, რომელიც ზღვის უბეს, ლიმანს წააგავდა უფრო. ეს მეტად რთული დავალებაა, რადგან ასეთ ხიდზე ზემოქმედებას ახდენს ზღვის მოქცევა და უკუქცევა. ტექნიკური საუკუნის დასაწყისში კი ჯერ კიდევ არ იყო ისეთი საშუალებები, როგორიც ჩვენს დროში არსებობს. მაშ, ასე, ახალგაზრდა კაცი აგებს ამ გიგანტურ ხიდს. როცა მშენებლობა დამთავრდა, შედგა საზეიმო გახსნა – მუსიკა, დროშები, გაზეთების კორესპონდენტები. ყველა გაზეთი წერდა ამ ახალგაზრდა კაცზე. ახლა ის დიდი კაცი გახდა საზოგადოებაში. ლონდონში მან ააგო უზარმაზარი საარქიტექტურო ბიურო, ცოლად მოიყვანა მდიდარი ქალი, მას ყველაფერი ჰქონდა, რაც კი შეიძლება კაცმა ინატროს. მაგრამ მის ცხოვრებაში იყო უცნაური ბნელით მოცული საიდუმლოება, რომლის შესახებაც მხოლოდ ცოლმა იცოდა. ყოველთვის შემოდგომის პირზე, იგი გაქრებოდა ხოლმე, თავის ხიდთან მიემგზავრებოდა. როცა ღამით შტორმი ბობოქრობდა და წვიმა ასხამდა, ის, ლაბადაში გახვეული ხიდთან იდგა შიშით შეპყრობილი. ის აშკარად გრძნობდა შტორმის ძალას, რომელიც ხიდის ბურჯებს ეხეთქებოდა. კვლავ და კვლავ იწყებს გათვლებს – რამდენად მტკიცეა ბურჯები, სწორად გაიანგარიშა თუ არა მან ქარის ძალა, რომელიც ბურჯებზე მოქმედებს. როცა ქარიშხალი შეწყდება, ის ისევ ლონდონშია. ის კვლავ დიდი კაცია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ვერავინ ამჩნევს, რომ, არსებითად, ის მუდამ შიშითაა შეპყრობილი: „სწორადაა კი ხიდი აგებული? საიმედოა მისი სიმტკიცე?“ ეს მტანჯველი კითხვებია მისი ცხოვრების ბნელით მოცული საიდუმ-

ლოება. მაქს ეიტი საუცხოოდ გვიხატავს, თუ როგორ გასცქერის ეს ინჟინერი, ერთ-ერთი შემაძრწუნებელი ქარიშხლიანი ღამით, ისევ შიშით აცახცახებული, თავის ხიდს. ის ხედავს, როგორ მოჰქრის ხიდზე მატარებელი; ის ხედავს ჯერ კიდევ უკანასკნელი ვაგონის შუქს, მაგრამ უცებ ყველაფერი გაუჩინარდა ქარიშხლის ღვარცოფში. და ის იმწამსვე მიხვდა: მატარებელი ჩაიქცა ქვემოთ, აბობოქრებულ მორევში. ხიდი შუაზე გადატყდა.

როცა მე, ჯერ კიდევ ყმაწვილმა კაცმა, ეს მოთხრობა წავიკითხე, ასეთი აზრი დამებადა: „განა ეს თითოეულ ჩვენთაგანს არ ეხება?“ ჩვენ ყველანი ჩვენი ცხოვრების ხიდს ვაშენებთ, და თუ ზოგჯერ უძილობით ღამე გვიტყდება ანდა რაღაც ძლიერ გვაღელვებს, შეიძლება, შიშმა აგვიტანოს: „სწორად ავაგე კი მე ჩემი ცხოვრების ხიდი? გაუძლებს კი ის ცხოვრების ყველა ქარიშხალს?“ და ჩვენ სავსებით მტკიცედ ვრწმუნდებით, რომ არაა ყველაფერი რიგზე. ჩვენი ცხოვრების ხიდი არაა მთლად რიგიანად გამართული! და, აი, პირველი, რაც მინდა თქვენ გიჩვენოთ:

1. არ არის ყველაფერი რიგიანად

როცა მე დიდი ქალაქის პასტორი ვიყავი, ბევრთან მისაუბრია ამ თემაზე. ვეკითხებოდი მათ: „მითხარით, ყველაფერი რიგზეა თქვენს ცხოვრებაში?“ – და მე ჯერ არასდროს არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, არ ეღიარებინა: „ყველაფერი რიგზე? არა! ბევრი რამ მინდა სხვაგვარად იყოს!“ მე, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, სად მოისუსტებს თქვენი ცხოვრების ხიდი. მაგრამ თქვენ ხომ თავად იცით, რომ ბევრი რამ სხვაგვარად უნდა იყოს.

მაშინ დროდადრო მიიღეთ გადაწყვეტილება: მე უნდა შევიცვალო! აი, აქ და იქ, მე ყველაფერი უნდა შევცვალო უკეთესობისაკენ! მითხარით, მართლა გჯერათ თქვენ, რომ ადამიანი შეიძლება გამოიცვალოს? არა, არსებითად, ადამიანს არ შეუძლია გარდაიქმნას! ბიბლია ამის შესახებ სრულიად გარკვეულად ამბობს: „უკუეთუ ცვალოს ეთიოპელმან ტყავი თვისი და ვეფხმან სიჭრელენი მისნი, და თქუენცა შეუძლოთ კეთილისა ქმნაი მოსწავლეთა ბოროტთასა“. ქვეყანა სავსეა მნეობრივი სიტყვებითა და კეთილი მრახვებით. მაგრამ არც ერთ ადამიანს არ შეუძლია თვითონ გარდაქმნას თავისი თავი. ეს სასტიკი სიტყვებია! მე ხშირად ვდგა-

ვარ, თავზარდაცემული, იმ ადამიანებს შორის, ვისთანაც მიწევს შეხვედრები, და ვგრძნობ, რომ მათი ცხოვრების ხიდი არ არის მთლად რიგზე. ისინი კი მეკითხებიან: „აბა, რა უნდა ვქნათ? ხომ არ შეგვიძლია ჩვენ თვითონ შევიცვალოთ!“ დიახ, ეს ასეა: გარყვნილ კაცს არ შეუძლია შეიქმნას თავისთვის სუფთა გული. ცრუ ადამიანებს არ შეუძლიათ მართალნი გახდნენ. ეგოისტს არ ძალუძს უცებ გამოავლინოს მსხვერპლად გაღებული სიყვარული, თუმცა მას შეუძლია თვალთმაქცობაც, რჩება რა ამასთან თავის თავში შეყვარებულ ადამიანად, როგორც ადრე იყო. ხოლო უპატიოსნო კაცი ვერ შეძლებს პატიოსნად იქცეს თავად. ო, რომ ვიცოდე, რა ადგილასაა გაუმართავი თქვენი ცხოვრების ხიდი! მაგრამ ღმერთს კი შესწევს ძალა დაგანახოთ ეს თქვენ.

ეს საოცარი ჭეშმარიტებაა, რომელზედაც მიგვითითებს ჩვენ ბიბლია. მე ხომ ჩემს საკუთარ იდეებს არ გთავაზობთ თქვენ, მე იმას ვქადაგებ, რაზედაც საღმრთო წერილი ლაპარაკობს. ბიბლია გვაუწყებს არაჩვეულებრივ, სულის შემძვრელ ჭეშმარიტებას. ის ამბობს: ღმერთი ცხოველი გვიგზავნის ამა სოფლად დესპანს, რომელსაც შეუძლია შეგვცვალოს ჩვენ და შეცვალოს მთელი ჩვენი ცხოვრება! და ეს სხვა არავინაა, თუ არა ძე ღმრთისა, უფალი იესო!

2. ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს

ჩემო მეგობრებო, განა ეკლესიაზეა დამოკიდებული ის, რომ ხალხს ქრისტიანობა მოსაწყენად მიაჩნია. მე კი ვთვლი: არაფერია უფრო სულის შემძვრელი ამბავი, ვინემ ის, რომ ღმერთმა ძე თვისი გამოგზავნა ამა სოფლად, როგორც ერთადერთი შანსი ჩვენი ხსნისა! ეს იესო ამბობს გასაოცარ სიტყვებს: „აჰა, ყოველივე ახალსა ვიქმ!“ მას და მხოლოდ მას ძალუძს შეცვალოს ადამიანი!

მე მინახავს ლოთები, რომლებმაც მიატოვეს ლოთობა; თავისთავში შეყვარებული ხანში შესული ქალები, რომლებიც სულს უწუხებდნენ გარშემო მყოფთ თავისი ეგოიზმით, უცებ შეიცვალნენ და სხვათა შემჩნევა დაიწყეს; მამაკაცები, რომლებიც უწმინდურობის წუმპეში იყვნენ ჩაფლულნი, განთავისუფლებულან. იესო გარდაქმნის ადამიანებს! მოდის იესო და უცბად – ყველაფერი განახლებულია! ეს არ არის ზღაპარი. მე უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია.

და ამიტომაც ჩვენ, რომლებმაც შევიგნეთ, რომ ჩვენი

ცხოვრების ხიდი არაა მთლად რიგზე, გვჭირდება ეს მხსნელი. ჩვენ გვჭირდება უფალი იესო, არა ქრისტიანობა, არამედ ქრისტე! გაიგეთ, ჩვენ არ გვჭირდება რელიგია, დოგმა, ეკლესიურობა, ჩვენ გვჭირდება ცოცხალი მხსნელი. და ის აქ არის! თქვენ შეგიძლიათ, ის მოიხმოთ დღეს და მოუთხროთ მას თქვენი სავალალო მდგომარეობის შესახებ. ეს არის სწორედ შესანიშნავი ამბავი, რომელსაც მე გაუწყებთ.

ნება მიბოძეთ, მაგალითით განგიმარტოთ ის, რაზეც ეს წუთია ვილაპარაკე. ახლახან მე ერთი კვირა დავყავი მიუნსენში, რომლის საუცხოო ღირსშესანიშნაობათა შორის არის უზარმაზარი პარკი ქალაქის ცენტრში, ე. წ. ინგლისური ბაღი. ჩემი სასტუმრო იქვე, შორიახლოს მდებარეობდა და მე ყოველ დილით შევდიოდი ბაღში. შესასვლელთან ხის პატარა ხიდი იყო პატარა მდინარეზე. ხიდისგან მარცხნივ წყალი საგუბარზე გავლით სწრაფად მიექანებოდა თავქვე. ერთხელ მე დავინახე, რომ იქ, სადაც წყალი თავქვე ეშვებოდა, ხის მოზრდილი ნახლეჩი ტრიალებდა. რაკი დრო მქონდა, მე ვაკვირდებოდი, როგორ გაუჩერებლივ მოძრაობდა წრეზე ეს ნახლეჩი. ზოგჯერ ასე ჩანდა, რომ ის ნაკადს უნდა შერთვოდა თითქოს და საცაა გაჰყვებოდა კიდეც დინებას, მაგრამ მორევი კვლავ ითრევდა მას. მეორე დღეს, როცა მოვედი, ხის ნახლეჩი იმავე ადგილას დამხვდა. შორიდან ისე ჩანდა, ის თითქოს ლამობდა დინებაში მოხვედრილიყო, მაგრამ მას ისევ და ისევ ითრევდა მორევი. შეგიძლიათ თქვენ წარმოიდგინოთ ეს? იქ მიედინებოდა სწრაფი ნაკადი, მაგრამ ხის ნახლეჩი ტრიალებდა და ტრიალებდა წრეზე.

ასეთია ადამიანთა უმეტესობის ცხოვრება. ყველაფერი ერთსა და იმავე წრეში ტრიალებს: იგივე ცოდვები, იგივე გაჭირვება, იგივე გულგატეხილობა. ერთი და იგივე უღიმღამო დღეები, ერთი და იგივე წრე! მაგრამ გვერდით არსებობს ნაკადი, რომელიც მოედინება ძე ღმერთისაგან, იესოდან. ეს იესო ჩვენი გულისთვის მოკვდა ჯვარზე. როგორ ფიქრობთ, თუ ღმერთმა ასეთ საშინელ სიკვდილზე გაუშვა ძე თვისი, ხომ არ ნიშნავს ეს რაღაც განსაკუთრებულს, მაშინაც კი, თუ თქვენ ამაში ჯერ კიდევ არაფერი გაგეგებათ! აღაპყრეთ გონებით თქვენი მზერა მისკენ. ხომ არის აქ რაღაც აზრი! ხომ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ! ყველა ღონე უნდა იხმაროთ თქვენ, რომ ეს გაიგოთ! შემდეგ კი ღმერთის ნებით ის აღსდგა მესამე დღეს. იესოდან მოდის ნაკადი განთავისუფლებისა. მაგრამ ჩვენ, როგორც ხის ნახლეჩი, მხოლოდ

ვტრიალებთ წრეზე ჩვენს გარშემო. მე გავიფიქრე იქ, ინგლისურ ბაღში, საკმარისია ხელი წავკრათ ამ ხის ნახლეჩს და ის დინების ნაკადში აღმოჩნდება. მაგრამ მე ვერ მივწვდი მას – არ მინდოდა წყალში ჩავვარდნილიყავი. ჩვენ არა ვართ ხის ნახლეჩი, და ეს ნაბიჯი მარადიული ძველი წრიდან, ეს ნაბიჯი – ხსნის ნაკადისაკენ, რომლის სათავე ძე ღმერთისაა, ჩვენ თვითონ უნდა გადავდგათ. შემდეგ კი მივხვდებით, რომ ჩვენ მაინც ღმერთმა ამოგვიყვანა! ახლა მე მინდა გითხრათ: თქვენ თქვენით უნდა გადადგათ ეს ნაბიჯი! არიან ადამიანები, რომლებიც ცხადად გრძნობენ, რომ ღმერთი წარმართავს მათ გადადგან ეს ნაბიჯი მარადიული ძველი წრიდან – ხსნის ნაკადში, რომელიც იესოდან მოედინება!

3. ასე თუ ისე

მე მინდა განგიმარტოთ თქვენ ეს რამდენიმე ბიბლიური ისტორიის მეშვეობით. პავლე მოციქული, როგორც ტუსაღი, კესარიაში მიიყვანეს, სადაც რომაელი მმართველის რეზიდენცია იყო. ერთხელ იუდეველთა მეფე აგრიპა, თავის ცოლთან, ბერენიკესთან ერთად, ესტუმრა რომის ახალ პროკურატორს, სახელად ფესტუსს. მათ ძალზე აინტერესებდათ პატიმრის, პავლედ წოდებულის, საქმე და დიდი სურვილი ჰქონდათ მოესმინათ მისთვის. ფესტუსი შეჰპირდა, რომ მეორე დღეს ისინი მოუსმენდნენ მას. და, აი, როცა ფესტუსი, აგრიპა და ბერენიკე დიდი ბრწყინვალებით მობრძანდნენ სამსჯავრო პალატაში ათასისთავისა და უწარჩინებულესი მოქალაქეების თანხლებით, და დასხდნენ თავ-თავიანთ სეფეადგილებზე, ბრძანება გასცეს შემოეყვანათ პატიმარი. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ დეკორაციები შეიცვალა. უკვე პავლე კი არ იყო ბრალდებული, არამედ მთელი საზოგადოება, რომელიც მის გარშემო იმყოფებოდა. პავლემ წარმოსთქვა ევანგელიზირებული ქადაგება, რომელშიც განუმარტა თავის მსმენელებს, რას წარმოადგენს იესო. ამჯერად ის ლაპარაკობს არა იმდენად მათს ცოდვებზე, რამდენადაც ძეზე ღმერთისაზე, გამოსახა რა მათი სულიერი მზერის წინაშე ის, ვინაც სთქვა: „უკუეთუ ვისმე ჰსწყუროდის, მოვედინ ჩემდა და სუემდინ.“ „თქვენ, რომელნიც კმაყოფილნი კი არა ხართ თქვენი ცხოვრებით, არამედ გაქვთ დამძიმებული სინდისი, შიში სიკვდილის წინაშე, წყურვილი და შიმშილი სული-

სა, რომელსაც სურს ღმერთთან, ისმინეთ თქვენ: იესო თქვენ-კენაც ხელებგამოწვდილია სიტყვებით – „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი!“ ასე ქადაგებდა, როგორც ჩანს, პავლე და ასე წარუდგინა მათ სიდიადე იესოსი, რომელსაც პირადად შეხვდა იგი. როცა პავლემ დაამთავრა, ფესტუსმა თქვა: „ლაპარაკი შენ შესანიშნავი შეგძლებია, პავლე, მაგრამ, ჩემის აზრით, ის, რასაც შენ ამბობ, სიგიჟეს ჰგავს!“ მან, ამ ფესტუსმა, ვერაფერი გაიგო. ბიბლია ლაპარაკობს ზოგ-ზოგი ადამიანის შესახებ, რომ ისინი გულქვები გახდნენ. დიახ, ხდება ასე, ისინი ყველაფრისგან დაცლილან, ისინი ვერაფერს ვერ აღიქვამენ. შეიძლება თქვენს შორისაც იყვნენ გულქვა ადამიანები. ასეთი იყო ბატონი ფესტუსიც. მაგრამ მეფე აგრიპა გაოგნებული იყო და მე გამაოცა მისმა სიტყვებმა: „პავლე, ცოტაც და შენ მე ქრისტიანად მაქცევ, ქრისტეს მოწაფედ.“ – „ცოტაც“, – მაგრამ ის წავიდა და ყველაფერი ძველებურად დარჩა. ისე, როგორც ხის ის ნახლეჩი ინგლისურ ბაღში, ყველაფერი ტრიალებს წრებრუნვაში, იმავე უღიმღამო დღეებში, იმავე ცხოვრებაში, ასე, თვით სიკვდილამდე და შემდეგ – პირდაპირ ჯოჯოხეთში. ძველებური სიმღერა ცოდვასა და თვითმართლობაზე. თქვენც ყველაფერი ძველებურად დაგრჩათ? მაშინ იესო ამაოდ მომკვდარა თქვენი გულისთვის. მაშინ თქვენ არ გიწერიათ მიტევება, არ გიწერიათ განთავისუფლება, არ გიწერიათ მშვიდობა ღმერთთან. მხოლოდ ერთი ნაბიჯია საჭირო. „ცოტაც – და მე ქრისტიანი გავხდებოდი“. ეს საკვირველებაა: ადამიანები, რომლებიც ქრისტიანებს უწოდებენ თავის თავს, მაინც არ არიან ღმერთის შვილები. ადამიანები, რომლებიც ქრისტიანებს უწოდებენ თავის თავს, მაინც მიდიან წარსაწყმედელში. ადამიანები, რომლებიც ქრისტიანებს უწოდებენ თავის თავს, მაინც რჩებიან შერიგების გარეშე.

ახლა კი მე მინდა წარმოგიდგინოთ საპირისპირო მაგალითი. ერთხელ პავლე მოციქული ჩავიდა ფილიპოსში, ევროპულ ქალაქში. აქ იყო სხვადასხვა გასართობი დაწესებულება, თეატრი და ყველაფერი ის, რაც უნდა ჰქონდეს ჩვეულებრივ მოზრდილ ქალაქს. და რადგან ყოველ ასეთ ქალაქს ციხეც უნდა ჰქონდეს, ამ ქალაქში ციხეც იყო. ციხეს მართავდა ყოფილი რომაელი ოფიცერი, რომელმაც ეს მშვიდობიანი პოსტი, შესაძლოა, აღრე რომ დაჭრილი იყო, იმის წყალობით მიიღო. ერთხელ ამ დილეგის მცველს, როგორც ბიბლია უწოდებს მას, მიჰგვარეს ორი პატიმარი, როგორნიც

ადრე ძნელად თუ უნახავს: პავლე მოციქული და მისი თან-მხლები სილა. ისინი ქალაქში ქადაგებდნენ. მაგრამ ვინაიდან ამ ქადაგებების შემდეგ ხალხი აღგზნებული იყო, ხელისუ-ფალთ უბრძანებია მათი გვემა და ციხეში ჩასმა. ასე რომ, პავ-ლე და სილა ჩააბარეს დილეგის მცველს და გააფრთხილეს, დილამდე მათზე თვალი არ მოეშორებია, რაზედაც მან, როგორც ნამდვილმა მსახურმა, უპასუხა: „არის თვალი არ მოვაშორო! ასე იქნება!“ ქვემოთ მას ჰქონდა კამერა, რომ-ლის კედლებზეც წყალი მოწანწკარებდა. სწორედ ამ კამე-რაში ჩაყარა მან პავლე და სილა, და ფეხებზე ორთავეს ბორ-კილები დაადო. ჩემთვის რომ ვისმე ეკითხა, რა რელიგიას აღიარებდა ეს კაცი, მე ვიტყოდი: იმასვე, რომელსაც ბევრი თქვენგანი. მას სწამდა უფალი ღმერთი, შესაძლოა, რამდენი-მე ღმერთიც. რომში ხალხი ისეთ რელიგიასაც კი აღიარებ-და, რომელსაც თავად სერიოზულად არც იღებდა. ისევე, როგორც ჩვენთანაა. წარმოიდგინეთ თქვენ ასეთი დილეგის მცველი! მაგრამ, აი, მოხდა რაღაც სრულიად უჩვეულო რამ. შეუძლებელია ამის მთელი სისრულით ახსნა. შუაღამისას პავლემ იესოს სადიდებელი გალობა წამოიწყო. მე ასე ვფიქრობ, რომ შუაღამემდე იგი განცდებში იყო მომხდარი ამბების გამო. მას დრო ჭირდებოდა, რათა მოენელებინა ყველაფერი ის, რაც გადახდა – უმოწყალო ცემა-ტყეპა და ციხეში ჩაყუდება. ძალიან ძნელია ამას კაცი შეურიგდეს. მაგრამ შემდეგ მას თავში მოუვიდა: „მე ხომ გამომისყიდა თავისი სისხლით იესომ, ძე ღვთისამ! მე ხომ შერიგებული ვარ ღმერთთან! მე აქაც მის ხელში ვარ!„ და მან ჰიმნის მღერა დაიწყო. მას სილაც აჰყვა. ჩინებულია! და ეს ესმის ყველა პატიმარს. არასდროს არ გაუგიათ ეს მელოდია ციხეში. როცა მე დაპატიმრებული ვიყავი, მე გავეცანი საპა-ტიმროებს. იქ გამეფებულია მცველთა წყევლა-კრულვა და ყვირილი, ღრიალი, თავგასულობა. როდესაც ერთხელ მე მოვინდომე ღმერთის სადიდებელი სიმღერა მეთქვა, მაშინვე ამიკრძალეს. როგორც ჩანს, თანამედროვე მცველებს ესმით, რომ ღმერთის განდიდებაში საშიშროება იმალება. მაგრამ იმ ძველ დროში აქამდე არ იყვნენ მისული. და, აი, პავლე და სილა მღეროდნენ. ამან, რა თქმა უნდა, განაცვიფრა დილე-გის მცველი. ალბათ, ყური მიუგდო, დაინტერესდა რას მღე-როდნენ. ისინი მღეროდნენ სასულიერო ჰიმნებს! ნუთუ ადა-მიანი ჯერ კიდევ სერიოზულად იღებს თავის ღმერთს? მითუმეტეს ციხეში? ამ სოროში, ქვემოთ, ალბათ, ყველაფრის

ხასიათი უნდა წაგერთვას კაცს. ისინი კი თავის ღმერთზე მღერიან! ამასობაში დილეგის მცველი ლოგინში ჩაწვა, მაგრამ უცებ საშინელი მიწისძვრა მოხდა. ეს ღმერთისგან იყო. გაიღო ციხის კარები. პატიმრები განთავისუფლდნენ ბორკილებიდან. დილეგის მცველი ლოგინიდან წამოვარდა, ფაცაფუცით ჩაიცვა და დაინახა, რომ ყველა კარი დაღებულია. გადაწყვიტა, რომ ყველა მისი პატიმარი გაქცეულია და პასუხისმგებლობის შიშით შეპყრობილმა თავისმოკვლა დააპირა. მაგრამ პავლემ ხმამაღლა შესძახა: „არაფერი უბედურება არ ჩაიდინო, ჩვენ ყველანი აქ ვართ“. ბიბლია არაფერს ამბობს მცველის შინაგანი განცდების შესახებ. მაგრამ მას უმალ აეხილა თვალი, რომ არსებობს ცოცხალი ღმერთი, რომელსაც შეუძლია გამოექომაგოს და დაიცვას თავისი მიმდევრები! არსებობს ცოცხალი ღმერთი, რომელსაც იგი მთელი თავისი არსებით აძაგებდა და კიცხავდა! არსებობს ცოცხალი ღმერთი, რომელსაც ხელი უნდა ეკრა მისთვის! არსებობს ცოცხალი ღმერთი, რომლისთვისაც ცნობილია ყველა მისი ცოდვა და ყველა მისი უწმინდურობა! არსებობს ცოცხალი ღმერთი, ხოლო ის – წარწყმედილი ცოდვილია! იგი შევარდა პავლესთან კამერაში ყვირილით: „ბატონებო, რა უნდა ვქნა, რომ გადავრჩე?“ მან იგრძნო, რომ მისი ცხოვრება, როგორც ხის ის ნახლეჩი ინგლისურ ბაღში, სულ ტრიალებს წრეზე, ის კი, რაც ადრე იყო, ისევ იმად რჩება. მაგრამ, აი, მის წინაშე წარმოიჭრა კითხვა: „რა უნდა ვქნა, რომ გადამრჩენელ ნაკადში მოვხვდე?“ შესაძლოა, ჩვენს დროში მისთვის ერჩიათ დიდი ქადაგება, ვრცელი მოხსენება მორალის თემაზე. ჩვენ, შესაძლოა, ვეტყოდით: „მოინანიე, აბა ერთი გადმოალაგე ყველაფერი!“ პავლემ კი ერთი ურჩია: „შენ გჭირდება იესო! გწამდეს უფალი იესო ქრისტე, და ცხონდები შენცა და მთელი შენი სახლიც!“ დილეგის მცველმა ცოტა რამ თუ იცოდა იესოს შესახებ. ყურმოკრული ჰქონდა მხოლოდ, რომ იესოს შეუძლია იხსნას ღვთიური რისხვისგან, სამსჯავროსგან, ჯოჯოხეთისგან, ძველი ცხოვრებისგან. და, აი, ძველმა ცხოვრებამ მას უბიძგა გამომხსნელ ნაკადში. ის იესოს მონაპოვარი გახდა. ბიბლიაში შესანიშნავადაა აღწერილი, თუ როგორ ანთავისუფლებს საპატიმროს მცველი პავლეს ციხიდან, როგორ უსმენს იგი მის ქადაგებას იესოს შესახებ და როგორ მოინათლა ის ღამით, რათა მთლიანად იესოს ხელში გადასულიყო. ეს ისტორია შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „ის ხარობდა მთელს თავის სახლეულთან ერთად,

რომლებმაც იწამეს ღმერთი, ახლა ის ცხოვრების ნაკადში მოხვდა! ახლა ის შერიგებულია ღმერთთან!

ზემომოტანილ ეპიზოდებში ერთ კაცზე ნათქვამია, რომ მას „სულ ცოტა აკლია“ ხსნამდე. მეორეს კი უბიძგეს ხსნის ნაკადში. და თქვენ რას ფიქრობთ ხსნის შესახებ?

4. შეიწყნარეთ იესო მთელი სერიოზულობით

ყველაფერი უნდა შეიცვალოს, მაგრამ როგორ? პირველ ყოვლისა, მთავარი ისაა, რომ თქვენ გაეცნოთ იესოს!

ეს მოხდა სულ მალე ომის შემდეგ. მე მომმართა საშუალო სკოლის დირექტორმა: „ბატონო პასტორო, მე მყავს 15 ახალგაზრდა, რომლებმაც ომის წლებში დაამთავრეს სკოლა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, მათ კიდევ სჭირდებათ ნახევარი წლის მეცადინეობა. ესენი არიან ყოფილი ავიაციის ლეიტენანტები, არტილერიის უფროსი ლეიტენანტები და სხვა ამდაგვარი ტიპები. მათ, რა თქმა უნდა, ძალზე აღიზიანებთ ის, რომ კიდევ ერთხელ უნდა მიუსხდნენ სკოლის მერხებს. ხომ არ ჩაუტარებდით თქვენ მათ გაკვეთილებს რელიგიაში?“ როგორც ადრეც მითქვამს, მე მივდიოდი მათთან შიშითა და გულის ფანცქალით. და, აი, ჩემს წინ სხედან გახუნებულ სამხედრო ფორმებში გამოწყობილი მეომრები, კვამლითა და დენთით შეჭაღარავებულნი. „გამარჯობათ, – მივესალმე მათ, – მე თქვენ რელიგიის გაკვეთილები უნდა ჩაგიტაროთ“. მაგრამ ვერც კი მოვასწარი დამემთავრებინა ჩემი შესავალი სიტყვა, რომ ერთი მათგანი წამოხტა და მკითხა: „როგორ უნდა დაეშვა ღმერთს ასეთი საშინელი ომი?“ მეორემ გააგრძელა: „სადღაა სიყვარული ღმერთისა? ის ხომ ხმაგაკმენდილი უცქერის იმას, რომ მილიონობით ებრაელია მოწამლული გაზით?“ და ასე შემდეგ! ყოველი მხრიდან დამაყარეს კითხვები. ბოლოს და ბოლოს, მე ხელი აღვმართე და ვთქვი: „ერთი წუთით! თქვენ ხომ იმ უსინათლო კაცს ჰგავხართ, ნისლში რომ ჯოხით მიფათურობს. ღმერთზე ასე საუბარი უაზრობაა! ღმერთი სრულიად უცნობია და დამალული. ის გამოგვეცხადა ჩვენ მხოლოდ იესოს სახით. იმისათვის, რომ წინ წავიდეთ, უნდა ვიცოდეთ, პირველ ყოვლისა: ვინ არის იესო? ბატონებო, სანამ დისკუსიას დავიწყებდეთ, თქვენ უნდა შეისწავლოთ ღვთიური გამოცხადებანი. ამით უნდა დავიწყოთ ჩვენ. შემდეგი გაკვეთილისათვის თითოეულმა თქვენგანმა მოიტანეთ თქვენი ბიბლია“; და

ჩვენ დავიწყეთ კითხვა: „დასაბამად ქმნა ღმერთმა ცაჲ და ქუეყანა“. ჩვენ ვკითხულობდით ცოდვითდაცემის შესახებ და ზნედაცემული კაცობრიობის განკითხვაზე. ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ბიბლიის სიტყვებმა: „შენ უნდა იცნა და ირწმუნო, უკუეთუ დაუტევე უფალი ღმერთი შენი, კეთილნებობით გასწირავ თავსა შენსა ჭირად და უბედურებად“. ამას განიცდიან ხალხები. ამას განიცდიან ცალკეული ადამიანები. შემდეგ ჩვენ ვკითხულობდით იესოს შესახებ! ერთ ჯერზე ჩვენ წავიკითხეთ მისი სიკვდილისა და მისი აღდგომის შესახებ. დაუვიწყარია ჩემთვის ის საათი, როცა უცბად ჩამოვარდა სრული სიჩუმე: ერთი კითხულობდა, სხვები კი უსმენდნენ. ჩვენ სული შეგვეკრა ღმერთის იმ დიადი საქმეების წინაშე, რომელიც იესოში იყო მოვლენილი. ყველანი ძალზე აღელვებულნი იყვნენ, ისე, რომ ეს სულელური დისკუსია ახლა სრულიად უადგილო ჩანდა. ისინი მიხვდნენ, რომ კი უწოდებდნენ თავის თავს ქრისტიანებს, მაგრამ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ ცოცხალ ღმერთზე, რომელიც იესოს სახით გამოგვეცხადა ჩვენ და ყველაფერი გააკეთა ჩვენთვის.

მაშ, ასე, შეიწყნარეთ იესო და მისი მოწოდება მთელი სერიოზულობით! ერთხელ იესომ ასეთი იგავი მოყვა: მეფემ თავის ვაჟს საქორწინო ლხინი გაუმართა. მან თავისი მსახურები დააგზავნა ხალხის მოსაპატიჟებლად: „მობრძანდით, ყველაფერი მზადაა!“ მაგრამ ყველამ მობოდიშებით დაიწყო. ერთმა სთქვა: „მე სიამოვნებით მოვიდოდი, მაგრამ დიდი საქმე მაქვს მოსაგვარებელი და ახლა ამით ვარ დაკავებული.“ ბევრი ასე მსჯელობს: „თქვენ – პასტორი ბრძანდებით, თქვენ სულ სხვა მდგომარეობა გაქვთ, ხოლო კომერსანტს ასე არ შეუძლია“. მეორე ბოდიშს იხდის და ამბობს: „დიდ მადლობას გწირავთ. მაგრამ მე ესესაა ცოლი მოვიყვანე, თაფლობის თვე მაქვს, თავად გესმით. ამიტომ სხვებისთვის არა მცალია“. ასე რომ, არც ერთი მათგანი არ მოვიდა წვეულებაზე. მე ვცდილობდი წარმომედგინა, როგორ ცხოვრობდა ეს ხალხი შემდგომში ასეთი აზრით: „კაცმა რომ თქვას, მე უნდა წავსულიყავი მეფისწულთან, მაგრამ გარემოებამ შემიშალა ხელი.“

თქვენც ხომ, უმეტესობას, იგივე გჭირთ: „რა თქმა უნდა, მე უნდა ვიყო ღმერთის შვილი, მაგრამ სულ როგორღაც მოუცლელი ვარ...“ ოო, მე გთხოვთ თქვენ, შეიწყნარეთ იესო რწმენით! ბევრი ამბობს, რომ მათაც აქვთ რწმენა. რიღასი

რწმენა არ ჰქონდათ გერმანელებს მესამე რაიხის წლებში: ფიურერის, გერმანიის, საბოლოო გამარჯვების, სასწაულიიარაღის და ა. შ. ჩვენ უკვე ყველაფრის რწმენა გვქონდა, რისი შესაძლებლობაც კი იყო. მაგრამ არ არის საკმარისი ის, რომ მეც მაქვს რაღაც რწმენა. მე უნდა მქონდეს მშვიდობა ღმერთთან, ეს კი მხოლოდ იესოს მეშვეობითაა შესაძლებელი! ახლა მე მინდა მოგითხროთ თქვენ, თუ რას ნიშნავს რწმენა. რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ. როცა მე ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა პასტორი ვიყავი, მომიწია ერთ საშინელ ოლქში ყოველი სახლი მომენახულებია. სადაც კი მივედი, ყველგან ლამის კარი მომიხურეს ცხვირწინ, მეუბნებოდნენ: „ჩვენ არაფერს არ ვყიდულობთ!“ მე მაინც ვასწრებდი ფეხი გადამედგა ზღურბლზე და მეთქვა: „მე არც არაფერს არ ვყიდი, მე მინდა თქვენ რაღაც გაჩუქოთ! მე პასტორი ვარ“. „ჩვენ არ გვინდა პასტორი“, – იყო პასუხი. ერთხელ ერთ ბინას მივადექი. კარი შევაღე და მაშინვე სამზარეულოში აღმოვჩნდი. ოთახებში წინ და უკან გაშმაგებული დარბოდა ყმაწვილი კაცი. „გამარჯობათ! – მივესალმე მე. პასუხად მან რაღაც ჩაიბურტყუნა. „მე ევანგელიკური პასტორი ვარ“ – წარვუდგინე ჩემი თავი. იგი შეჩერდა და დაიღრიალა: „რა? პასტორი? ესღა მაკლდა! სწორედ ესღა მაკლდა ახლა! მიბრძანდით! მე უკვე აღარაფრისა მჯერა, მე დავკარგე ადამიანის რწმენა“. როგორც ჩანს, მან რაღაც დიდი უბედურება გადაიტანა. მე ვუპასუხე მას: „ყმაწვილო, მოდი, გადავეხვიოთ ერთმანეთს! რწმენა ადამიანისა მეც დავკარგე! ჩვენ შესანიშნავად უნდა შევეწყოთ.“ „როგორ? – გაკვირვებულმა იკითხა მან, – თქვენ ხომ პასტორი ბრძანდებით, თქვენ უნდა განადიდებდეთ რწმენას ადამიანის მიმართ.“ – „განა? – შევეკითხე მე, – სამწუხაროა, მაგრამ მე დავკარგე ის. მე ომში ვიყავი. მახსენდება ყველა სისაძაგლე, მთელი სიბინძურე, რასაც იქ გადავეყარე, და ის, რომ არავის არავისთვის არ ემეტებოდა სიკეთე. არა, გმადლობთ, ადამიანისადმი რწმენა ნაფლეთ-ნაფლეთ გაიფანტა!“ – „ხოო, – წარმოსთქვა მან, – მაშინ მე არ მესმის, რატომ ხართ თქვენ პასტორი?!“ – „ოო, – ვეუბნები მე, – მე მივიღე ახალი რწმენა, რომელიც არ გაიბნევა ნაფლეთ-ნაფლეთ!“ – „აჰა, მე მინდა ვიცოდე, რა რწმენაა ეს!“ და მე მოვუყევი მას სახარების შესახებ: „ეს არის სრული მინდობა იესო ქრისტეზე, რომელიც მოვიდა ამა სოფლად როგორც ერთადერთი შანსი ხსნისა!“ „იესო? – გაიკვირვა მან, – ეს ხომ ქრისტი-

ანობაა! მე მეგონა, რომ ეს უკვე დიდიხნის მოთავებულია.“ „რას ბრძანებთ, პირიქით, ის იწყება მაშინ, როდესაც ყოველი სხვა რწმენა გამქრალია!“

როგორ მინდა მე, რომ თქვენ ყველა სხვა რწმენა გადააგდოთ და მოიპოვოთ ნდობა იესოს მიმართ!

უმალვე ომის შემდეგ მე შევიძინე ავტომანქანა – ძველებური P4, რაკი გადაწყვეტილი მქონდა ბევრი მემოგზაურა. როდესაც მე პირველად მოვგორდი რახრახით ამ პატარა P4-ით, ერთმა ჩემს მეგობართაგან წამოიძახა: „ოო, პასტორია საჭესთან! ახლა ჩვენ ყოველ ხეს რბილი ქსოვილი უნდა შემოვაკრათ“. – „შენ რა, გგონია, რომ მე მანქანის ტარება არ ვიცი?“ – გავბრაზდი მე. – „როგორ გეკადრება, შენ ხომ გაქვს მართვის უფლება!“ – „მაშინ დაჯექი, წავიდეთ!“ – მივახალე მე. – „არა, არა, მაღლობელი ვარ, მე ჯერ ანდერძი არ დამიწერია“ – შემეპასუხა ის. ამ დროს გამოჩნდა ჩემი მეუღლე. „დაჯექ, წავიდეთ“ – მივმართე მე მას. იგი უყოყმანოთ ჩაჯდა და აქამდე ჯერ კიდევ ცოცხალია. იმ წუთიდან, როცა ის მანქანაში დაჯდა, მან მთლიანად მომანდო მე თავისი სიცოცხლე. ასევე უნდა მოიქცეთ თქვენ იესოს მიმართ. მიანდეთ მას მთლიანად თქვენი სიცოცხლე!

ახლახან მე წავიკითხე საინტერესო ცნობა მეორე მსოფლიო ომის დღეებთან დაკავშირებით, როდესაც სტალინგრადის „ქვაბულში“, რომელიც ყოველი მხრიდან რუსების არმიებით იყო გარშემორტყმული, შეიჭრა გერმანელთა უკანასკნელი თვითმფრინავი. ამ თვითმფრინავში დაჭრილები მოათავსეს. მაგრამ, აი, თვითმფრინავს მიუახლოვდნენ მსუბუქად დაჭრილი და მოყინული ჯარისკაცები, – მათაც გაფრენა სურთ. მაგრამ თვითმფრინავი უკვე გადატვირთულია. მაშინ ისინი ჩაებღაუჭნენ თვითმფრინავს, სადაც კი შეიძლებოდა ხელის მოვლება: კარის გარე სახელურებზე, შასზე... და თვითმფრინავი აფრინდა. როცა ის მიწაზე დაეშვა, იმ ჩაბღაუჭებულთაგან აღარვინ იყო: ისინი ქარმა გაიტაცა. გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც შიგნით იყო.

მაშინ მე უნებურად გავიფიქრე: ევანგელე ძე ღმერთისაზე, იესოზე, რომელიც ჩვენი გულისთვის მოკვდა და აღსდგა, ასეთი გადამრჩენელი თვითმფრინავის მსგავსია. ამ თვითმფრინავით შეიძლება ამოფრინდე წარსაწყმედელი ქვაბულიდან. მასში საკმარისი ადგილია. მაგრამ რა ბევრია ისეთები, რომლებიც ჯერ არ შესულან, რომლებიც გარეთ არიან ჩამოკიდებულნი: ეკლესიაში დადიან მხოლოდ შობადღეს; მო-

ნათლულნი, მაგრამ სწამთ რაც კი მოხვდებათ. ხოლო როცა კვდებიან, პასტორმა უნდა დაამოწმოს, რომ ისინი კეთილი, წესიერი ადამიანები იყვნენ. გასაგებია თქვენთვის, რისი თქმაც მსურს? ბევრი მხოლოდ გარეთაა ჩამოკიდებული. დარწმუნებული იყავით, რომ ყველას მათ ქარი წაიღებს! გადარჩება მხოლოდ ის, ვინც შიგნითაა! ხართ კი თქვენ შიგნით?

ჯოჯოხეთი გაივსება ადამიანებით, რომლებმაც იცოდნენ იესოს შესახებ, მაგრამ არ შევიდნენ მასთან. გასაგებია? გწამდეს იესო ნიშნავს – შეხვიდე მასთან. მოიმოქმედეთ ეს! ის, ერთადერთია, ვისაც დაუფიქრებლად შეგიძლიათ მიანდოთ თქვენი სიცოცხლე და თქვენი ცხოვრება.

დასასრულ, მე მინდა კიდევ ერთხელ წარმოგიდგინოთ თქვენ თვალწინ ჯვარი იესოსი. ავიდეთ, გონებით, ჩემთან ერთად, გოლგოთაზე, იერუსალიმის კარიბჭის წინ აღმართულ ბორცვზე. იქ, ჯვარზე ჰკიდია ძე ღმრთისა. ეს ჯვარი – ერთადერთი ადგილია მთელს ქვეყანაზე, სადაც ადამიანს შეუძლია ცოდვების მიტევება იპოვნოს, სადაც ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს!

ქალაქ ლიუბეკში არის შესანიშნავი ძველი ეკლესია, ლიუბეკის ტაძარი, სადაც ინახება ცნობილი სურათი – ჯვარცმა, შესრულებული მე-15 საუკუნეში, ვითარცა ხატი, ჰანს მემლინგის მიერ. 1942 წელს ეს ეკლესია ცეცხლის ალში იყო გახვეული. დაბომბვის შემდეგ, ერთი უცნობი ჯარისკაცი, ისე, რომ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, რამდენიმე თავის მეგობართან ერთად, ეკლესიაში შევარდა, რათა ეს ხატი გადაერჩინა. მალე ომის შემდეგ მე ლექციებს ვკითხულობდი ლიუბეკში. ერთხელ ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა მითხრა: „ჩემთან სარდაფში ინახება მემლინგის ცნობილი სურათი, თუ გსურთ, მე მას სიამოვნებით გიჩვენებთ“. ეს შემთხვევა მე, რა თქმა უნდა, არ გამიშვია. მუზეუმის დირექტორთან და კიდევ ერთ მეგობართან ერთად, ჩვენ ჩავედით სარდაფში, შესანიშნავი სურათია: მეომრები, რომლებსაც წილის ყრა აქვთ გაჩაღებული, ჭრელი ხალხის ბრბო, მოტირალი ქალები, დამცინავი ფარისეველნი. და ყოველივე ამის თავზე აღმართულია სამი ჯვარი. უეცრად მე შევნიშნე საკვირველი რამ: ხალხის შუაგულში, იესოს ჯვრის ქვეშ, ბალახოვანი საფარის ღაქა, ცარიელი ადგილი. „ეს ხომ გასაოცარია, – ვთქვი მე, – ხალხში, იესოს ჯვრის ქვეშ, თავისუფალი ადგილია. რისი თქმა უნდოდა ჰანს მემლინგს

ამით?“ შუა საუკუნეების მხატვრებს თავისი სურათებით ყოველთვის სურდათ რაღაცა ეთქვათ, ისინი რამდენადმე ექსპრესიონისტები იყვნენ. ჩემმა მეგობარმა კი ასე ახსნა: „მე ვფიქრობ, მას სურდა ეთქვა – „აქ, იესოს ჯვრის ქვეშ, არის თავისუფალი ადგილი, შეგიძლია შენ დაიკავო იგი!“

მე ხშირად მაგონდება ეს სურათი: „აქ, ამ ჯვრის ქვეშ, // სიკვდილი ჰკარგავს თავის ნესტარს. // ქრისტეს ღრმა ჭრილობებში //ვხედავ მე ჩემს ხსნას. // ჩვენსკენ გამოწვდილი ხელები // გამოიხსნის ქვეყანას.....“ დიახ, მე მიხარია, რომ იესოს, ძეს ღმერთისას, ჯვრის ქვეშ არის ადგილი ჩემთვის. ეს ადგილი თქვენთვისაც თავისუფალია! ნუთუ თქვენ სამუდამოდ თავისუფალს დატოვებთ ამ ადგილს?

იცოდე, მე არა!

დროის ყოველი პერიოდისათვის დამახასიათებელია თავისი მოდური გამოთქმები, რომლებიც მუდამ იხმარება ყველა შესაძლო, თუ შეუძლებელ სიტუაციებში, ყოველგვარი შესაფერი თუ შეუფერებელი მიზეზის გამო. ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, მოდური გამოთქმაა: „იცოდე, მე არა!“ ამ სიტყვით ჩვენ შეგვიძლია დარტყმები მივაყენოთ ყველა მიმართულებით. ხელი მოუღეროთ, ხელი აღვმართოთ სხვებზე და თვითმკვლელობამდეც კი მივიღეთ. „იცოდე, მე არა! – სიცოცხლისათვის ძალიან სახიფათო გამოთქმაა. მაგრამ მას შეიძლება დიდი დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდეს. მოდით, ერთად განვსაჯოთ ეს.

1. ჩვენ მას არ ვხმარობთ, როცა უნდა გვეხმარა კი

ბიბლიაში არის ძველი ისტორია, რომელსაც ჩვენს დროშიც აქტუალური მნიშვნელობა აქვს და ზუსტად ჩვენს თემას უდგება. მე მოგიყვებით მას.

თქვენ, შესაძლოა, ოდესმე გსმენიათ აბრაამის შესახებ, რომელზედაც ბიბლია სულ დასაწყისში ამბობს: აბრაამ „ერწმუნა უფალს, ხოლო მან სიწრფელეში ჩაუთვალა ეს.“ აბრაამი იყო ადამიანი, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ცოდვები ღმერთის წინაშე. ერთხელ აბრაამი, თავის ძმისწულთან, ლოტთან, ერთად კრიტიკულ სიტუაციაში მოხვდა. ბიბლია გადმოგვცემს: „ძალზე მდიდარი იყო აბრაამი ჯოგითა...“ ლოტსაც, რომელიც აბრაამთან ერთად მგზავრობდა“, ჰყავდა წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი. სწერია: „ცილობა ჰქონდათ ერთმანეთში აბრაამისა და ლოტის მწყემსებს“. ეს შეიძლებოდა გადაზრდილიყო ნათესავებს შორის დიდ კონფლიქტში. დავა მწყემსებს შორის სულ უფრო საშიშ ფორმებს იღებდა. სულ უფრო ხშირად გამორბოდნენ ისინი თავიანთ ბატონებთან და აღელვებულნი ყვებოდნენ სასტიკი დავისა და ინციდენტების შესახებ. მდგომარეობა მწვავდებოდა. მეგობრებო, თქვენ რომ ყოფილიყავით აბრაამი, რომელიც ბევრად უფროსი იყო თავის ძმისწულზე, ლოტზე, როგორ მოიქცეოდით მსგავს სიტუაციაში? მე რომ ამ ლოტის ბიძა ვყოფილიყავი, მე მას ვეტყოდი: „როგორ

ექცევიან შენი მწყემსები ჩემსას? მოშორდი, აქედან!“ ლოტი ამაზე მიპასუხებდა: „არაფრით! მე მინდა ის, რაც ნამდვილად მე მეკუთვნის. შენ თვითონ მოშორდი!“ და ასე დავა შეიძლებოდა უსასრულობამდე გაგრძელებულიყო. მიაქციეთ ყურადღება, ეს იყო მომენტი, რომელიც შეიძლება დასაბამი გამხდარიყო გარდუვალი დიდი სკანდალისა აბრაამსა და ლოტს შორის, მაგრამ, აი, ღმერთისმოსავი აბრაამი წარსდგა ღმერთის წინაშე, შემდეგ შეხედა თავის ძმისშვილს ლოტს და იფიქრა: „ჩხუბი? სკანდალი? იცოდე, მე არა! განვედ ჩემგან!“ და ასე, მან ლოტს მხარზე ხელი დაადო და უთხრა: „ჩემო ძვირფასო, ნუ იქნება ცილობა ჩვენს შორის, ჩვენ ხომ სახლიკაცები ვართ!“ და სთავაზობს მას გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან თავისდა საზიანოდ, ოღონდ კი კინკლაობაში არ მიეღო მონაწილეობა.

ნება მომეცით, კითხვა დავუსვა აქ მყოფ ქალებსა და მამაკაცებს: თქვენ, ალბათ, ყველას აგრეთვე განცდილი გაქვთ მსგავსი სიტუაციები, როდესაც ცდილობდნენ თქვენს ჩხუბში ჩათრევას. თქვენ ასევე ფიქრობდით: „ჩხუბი? იცოდე, მე არა!“ იგივე რეაქცია გქონდათ, რაც აბრაამს? არა, თქვენ, ალბათ, სიამოვნებით აწყობდით სკანდალს და ახლაც წაჩხუბებულები ხართ ფრაუ შულცესთან ან მეზობლებთან. ხომ ხედავთ, რა ხშირად არის ხოლმე მართებული გამოთქმა – „იცოდე, მე არა!“ უფალი იესო ამბობს: „ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი“. მთელ ჩვენს ქრისტიანობას ასეთი პატარა ავტორიტეტი აქვს, ვინაიდან გადამწყვეტ მომენტში არ შეუძლია უარი თქვას კამათებზე, ვინაიდან ჩვენ გადამწყვეტ მომენტში საცოდავად ვმარცხდებით.

მე მოგიყვებით თქვენ კიდევ ერთ ისტორიას, რომელიც ძალიან მიყვარს. იცით კი თქვენ ეს მშვენიერი ისტორია ბიბლიიდან, ისტორია ერთი ახალგაზრდა კაცისა, სახელად იოსების, რომელიც ჯერ კიდევ ბიჭი იყო, როცა მისმა ძმებმა მონად გაყიდეს ეგვიპტეში. იმხანად ეს იყო დიდებული ქვეყანა დიდად განვითარებული კულტურით. იოსები მოხვდა ერთი მდიდარი კაცის, ფოტიფარის სახლში. ფოტიფარს უამრავი მონა ჰყავდა და დიდი სახლები ჰქონდა. იოსებმა ჭაბუკობის წლებიდან აღთქმა მისცა ღმერთს. დიახ, ასეც ხომ ხდება! ყმაწვილი კაცი მტკიცე გადაწყვეტილებას იღებს და ჰპირდება ღმერთს: „მე მინდა შენ გეკუთვნოდე!“ და, აი, იგი სრულიად მარტოა ეგვიპტეში. იგი ხედავს, როგორ იპარავენ და როგორ სცრუობენ სხვა მონები, მაგრამ იგი არ ღალა-

ტობს პატიოსნებასა და სიმართლეს. მას დასცინიან, მაგრამ მისი ბატონი ნდობითაა გამსჭვალული მის მიმართ. თქვენთვის ცნობილია, რომ ქრისტიანებს ხშირად დასცინიან, მაგრამ მათ ბევრ რამეში ენდობიან, ვინაიდან ისინი არ იპარავენ და არ სცრუობენ. როდესაც ეს ყმაწვილი დავაქცაცდა, იგი თავისი ბატონის, ფოტიფარის, მთელ საქმეებს განაგებდა. იოსები ლამაზი იყო ტანადაც და სახითაც, ელეგანტურად იცვამდა. და მას ბატონის ახალგაზრდა მეუღლემ დაადგა თვალი. ეს იყო წარმართი ქალი, რომელიც უქმად და არხეინად ცხოვრობდა. ყველა საქმისათვის მას მონა ქალები ჰყავდა, ხოლო როგორც თქვენთვის ცნობილია, უსაქმურობა თავია ყველა მანკიერებისა. ერთხელ, ფოტიფარის მეუღლემ თვალი მოჰკრა იოსებს და მასთან კეკლუცობა დაიწყო. იოსები არ იმჩნევს არაფერს. მაგრამ, აი, ხდება ეს ავბედითი ამბავი. ფოტიფარის ცოლი მარტო დარჩა იოსებთან, მიეჭრა მას მთელი თავისი თავაშვებული ვნებიანობით, ჩაავლო ხელი მის სამოსელს და უთხრა: „დაწექი ჩემთან!“ მშვენივრად მოგვითხრობს ბიბლია, თუ რას ამბობს იოსები მცირე დაფიქრების შემდეგ: „იცოდე, მე არა! იცოდე, მე არა! სიმრუშე? არა! იცოდე, მე არა!“ ასე ეჯერს ეს ჩვენს ენაზე. მაგრამ ადამიანები, რომლებიც ბიბლიაშია აღწერილი, ბევრად უფრო შესანიშნავად გამოხატავენ თავის აზრებს! იოსებმა ასე სთქვა: „როგორ უნდა ჩავიდინო მე ასეთი დიდი ბოროტება, როგორ უნდა შევცოდო ღმერთის წინაშე?“ და ამას ნიშნავს: „იცოდე, მე არა!“

საეჭვოა, ხნიერთაგან მოიძებნოს აქ ვინმე, ვისაც თავისი ცხოვრების რაღაც მომენტში არ მიეღოს გადაწყვეტილება, ბიწიერების ცოდვაში შეცდენილს, და ეს ცოდვა დღეს ცოდვად მიაჩნდეს. სთქვით განა თქვენ მაშინ: „ღმერთი მიცქერის! იცოდე, მე არა!“? რას განვიცდით ჩვენ, როდესაც იოსების ისტორიას ვისმენთ? ახ, ჩვენ თავშიაც არ მოგვივიდოდა, ალბათ გვეთქვა: „იცოდე, მე არა! იცოდე, მე არა!“ – მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ღმერთის ნება-სურვილია ვიცხოვროთ უმწიკვლოდ, ვიყოთ წესიერები სიტყვითა და საქმით. რა იშვიათად, რომ ასეთ შემთხვევებში ჩვენ გაგვახსენდეს სიტყვები: „იცოდე, მე არა!“ მაგრამ მე უნდა გითხრათ, რომ ღმერთი ყველა ჩვენს ყოველდღიურ ცოდვას იმახსოვრებს. რა საშინალებაა, რომ გადამწყვეტ მომენტში ჩვენ არ გვახსენდება სიტყვები: „იცოდე, მე არა!“ ეს კი ასე აუცილებელი უნდა ყოფილიყო ყოველთვის, როდესაც ჩვენ გვეპარება

ცდუნება ღმერთის ნება-სურვილის გასათელად. ჩვენი დროის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ღმერთის ნება-სურვილები ითელება.

ერთხელ მე უნდა გამოვსულიყავი ჰანოვერის პასტორების წინაშე მოხსენებით თემაზე: „რა არის აუცილებელი ჩვენთვის, პასტორებისათვის და ჩვენი ეკლესიებისათვის?“ ამ მოხსენებაში ნათქვამი იყო: „მინდა მხოლოდ ვთქვა, რომ ჩვენ ყველას გვაკლია შიში, რომ ჩვენ შეგვიძლია ჯოჯოხეთში მოვხვდეთ, რომ ღმერთი ნამდვილად მკაცრია, რომ ღმერთი თავის ნება-სურვილებში ურყევია“.

ეს სიტყვები: „იცოდე, მე არა!“ – ჩინებულია. თუ დღევანდელი ეპოქის სული აღგვანთებს ჩვენ, უბრალოდ გავთელოთ ღმერთის ნება-სურვილები, მაშინ: „იცოდე, მე არა!“

ბიბლიაში არის ერთი ამაღელვებელი ისტორია. დგას ძე ღმერთისა მთაზე. ეშმაკი კი (თქვენ გჯერათ, რომ არსებობს ეშმაკი? მაგრამ ის არსებობს. იყავით დარწმუნებულნი!) დგას ძე ღმერთისას გვერდით, უჩვენებს მას მსოფლიოს ყველა ქვეყანას ყველა თავისი მშვენიერებით და ამბობს: „ყველაფერს ამას მე მოგცემ შენ, თუკი შენ სულ ერთი წამით დაიჩოქებ ჩემს წინაშე, ერთი წამით!“ მაგრამ ძე ღმერთისა პასუხობს: „იცოდე, მე არა. და მაშინაც კი, თუ მთელი სამყარო დაიჩოქებს შენს წინაშე, იცოდე, მე არა!“ ეს ჩვენს ჟარგონზე. მაგრამ უფალმა იესომ უფრო მშვენივრად თქვა: შენს უფალს ღმერთს ეცი თაყვანი, და მხოლოდ მას ერთს ემსახურე.“

ო, ეს „იცოდე, მე არა!“ რომ ყოველთვის გვახსენდებოდეს საჭირო დროს, არა? მაგრამ ხშირად ისე სულელურად ხდება, რომ ჩვენ მას ვხმარობთ იქ, სადაც იგი სრულებითაც არ არის საჭირო!

2. ჩვენ მას ვიყენებთ მაშინ, როდესაც იგი სრულებითაც არ არის საჭირო

მეგობრებო, ჩვენი უმრავლესობა გამოთქმას „იცოდე, მე არა!“ სრულიად უადგილოდ იყენებს. მე მაგონდება ერთი ახალგაზრდა, ასეთი კეთილი ყრმა, როგორც ამბობენ, რომელსაც ვუთხარი: „მისმინე, შენ შეგეძლო ბევრისთვის მიგეღწია, შენ რომ გადაგეწყვიტა შენი ცხოვრება ცოცხალი ღმერთისათვის მიგეძღვნა!“ იგი კი შემეპასუხა: „არა, იცოდე, მე არა!“

ჩვენ ისე ვექცევით ღმერთს, როგორც ახალგაზრდები ძველ დივანს იმ ისტორიიდან, რომელსაც მე ახლა თქვენ მოგიყვებით. ექიმმა ყოველდღიური სეირნობა დამინიშნა. და, აი, ამ დღეებში მოვდივარ მე ესენში ჩვეული გზით, სამხრეთის ვაგზლის გასწვრივ, და ვხედავ პირდაპირ გზაზე დივანი დგას. ჩანს, იგი მეტი აღარავის სჭირდება და გვიან საღამოს სკვერში გამოდგეს. მე წარმოვიდგინე ამ დივანის ისტორია: შესაძლოა, იგი მემკვიდრეობით იყოს მიღებული ბებიისაგან, რომელიც ახლახან გარდაიცვალა. მაგრამ ახალგაზრდებს აქვთ თანამედროვე ბინა, მოდური ავეჯით. „რა ვუყოთ ამ ძველ დივანს? – ამბობს ქმარი – იგი ხომ, უბრალოდ, არ ეწყობა ჩვენი ავეჯის სტილს. გარდა ამისა, კაცმა არ იცის, რა მწერები დაფარფაშებენ იქ. მოდი, უბრალოდ, გადავაგდოთ იგი!“ და მათ იგი სკვერში გადგეს. ზუსტად ასევე ექცევა ადამიანი ცოცხალ ღმერთს. ღმერთი ჩვენი ცხოვრების სტილს არ ეწყობა. მას არა აქვს ადგილი ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში. მაშ, რა ვუყოთ ღმერთს? ჩვენ ამ „ძველ დივანს“ ეკლესიაში დავდგამთ! სულ ერთია, იგი მთელი კვირა დაკეტილია.

მაგრამ, მეგობრებო, ღმერთი არ არის ძველი დივანი. გასაგებია ეს თქვენთვის? ცოცხალი ღმერთი არ არის ძველი ავეჯი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ჩვენის ნებით გადავაგდოთ ჩვენი ცხოვრებიდან, რადგან იგი არამოდური გახდა. იცით კი თქვენ, რას წარმოადგენს ღმერთი? შესაძლოა, ეკლესიის ბრალიცაა, რომ ღმერთი ჩვენს დროში პრობლემად იქცა. ჩვენ ტანში ჟრუანტელმა უნდა დაგვიაროს „ღმერთის“ – სახელის მხოლოდ ხსენების დროსაც კი! ო, ეს თავქარიანი დამოკიდებულება ღმერთისადმი: „იცოდე, მე არა!“

ახლა მინდა კიდევ უფრო შორს წავიდე. დღეს ყველგან ამბობენ, რომ მთელი ჩვენი დასავლეთი დასნეულებულია არა მხოლოდ ფიზიკური დაავადებებით, როგორიცაა კიბო და ბევრი სხვა, არამედ სულიერი დაავადებებითაც. და იცით, საშინელება ის არის, რომ ჩვენ სულიერად ავადმყოფები ვართ. ცნობილია კი თქვენთვის, რომ სულიერად დაავადებულთა რიცხვი თვალბედითად იზრდება. გონიერი ხალხი ფიქრობს იმაზე, საკუთრივ რითიღაა დაავადებული ჩვენი ძველი კულტურული სამყარო? ერთმა შვეიცარიელმა ექიმმა ამის თაობაზე ძალიან ჭკვიანურად სთქვა: „ჩვენი თანამედროვე სამყარო უღმერთობით არის დაავადებული.“ მიაქციეთ ყურადღება, საუკუნის შუა წლებში ღმერთს კიდევ

უწევდნენ ანგარიშს. ამას დიდი ეკლესიები მოწმობს. მაგრამ შემდეგ დაიწყო მცდელობა თავი დაეღწიათ ღმერთისგან. მისგან თავის დაღწევას ცდილობენ ტექნიკის გაღმერთების გზით. მეცნიერებმა დაისისხლიანეს ხელები წერით, ამტკიცებდნენ რა, რომ ღმერთი არ არსებობს. ბრბო ღრიალებს: „რელიგია ხალხის ოპიუმია!“ სულელი ბავშვიც კი უკვე კითხულობს: „სადღა უნდა იყოს ღმერთი? მე იგი ჯერ არ მინახავს, ე. ი. ის არ არის!“ – და აგრძელებს თითის ლოკვას. რას არ მიმართავდნენ, რომ ღმერთისაგან თავი დაეღწიათ. და იცით, დღემდე ვერავინ ვერ შესძლო ეს! თანამედროვე ავტომატიკის დიდმა ფუძემდებელმა, პროფესორმა მაქს პლანკმა, ცოტა ხნით ადრე სიკვდილის წინ, გამოაქვეყნა ბროშურა სათაურით: „რელიგია და ბუნებისმეტყველება“. იქ ის წერს: „დღეს ჩვენთვის, ბუნებისმეტყველთათვის, თავისთავად ცხადია, რომ ყოველგვარი შემეცნების საფუძველია ცოცხალი შემოქმედი.“ ხედავთ, ჩვენ ვერ დავაღწიეთ თავი ღმერთს!

ამასწინათ მე ვკითხულობდი ლექციებს მთის პატარა ქალაქში. როდესაც საღამოს ეკლესიიდან გამოვედი, დავინახე შორიახლოს მდგომი ყმაწვილები, რომლებიც ასე ოცი წლისა იქნებოდნენ. მე ვკითხე მათ, თუ რატომ არ შემოდიან ეკლესიაში. პასუხად მათ რაღაც გაურკვევლად ჩაიბურტყუნეს. „ეს ხომ პასუხი არ არის, – ვამბობ. – მე გეკითხები შენ, – მივმართე ერთ მათგანს, – ღმერთი ცოცხალია თუ არა?“ მან მიპასუხა: „არ ვიცი!“ რაზედაც მე შევეპასუხე: „მისმინე, ეს ხომ საშინელებაა! თუ ის ცოცხალია, შენ უნდა ეკუთვნოდე მას, თუ არა და, მაშინ, გეთაყვა, ნუ თვლი შენს თავს ეკლესიის წევრად“. მე მივმართე მეორეს: „ღმერთი ცოცხალია?“ – „დიახ, მე მჯერა!“ – „ო! მაშინ სთქვი, იცავ შენ მის მცნებებს?“ – „არა!“ ასე ვსაუბრობდი მე ყმაწვილებთან. მათ შორის არ იყო არავინ, ვინც გაბედავდა ღმერთის უარყოფას. მაგრამ არ იყო აგრეთვე არც ერთი, ვისაც ნამდვილად, სერიოზულად უნდოდა ღმერთს მიკუთვნებოდა. და ასე ყველგან!

როდესაც მე სხვადასხვა ოჯახში ვხვდები და ვსაუბრობ, მამაკაცები, ჩვეულებრივ, ამბობენ: „ღმერთი მე მწამს, მაგრამ ეკლესიაში სხვებმა იარონ.“ გესმით, ისინი არ უარყოფენ ღმერთს, მაგრამ არც ეკუთვნიან მას!

ღმერთის საკითხი ადამიანებს გადაუჭრელი დარჩათ. ასეთ გადაუჭრელ საკითხებს, მათ მთელ კომპლექსს მივ-

ყავართ სულიერ დაავადებამდე, რომელიც დამღუპველია ადამიანისთვის. და ჩვენ ვიღუპებით, ვინაიდან ჩვენ არა გვაქვს ვაჟკაცობა გამოვარკვიოთ ჩვენი ურთიერთობები ღმერთთან! ეკლესიაში ზის ათი ქალი, და, შესაძლოა, ერთი მამაკაცი. სადღა არიან მამაკაცები? მე გაძლევთ თქვენ გარანტიას, რომ ისინი სულიერად დაიღუპებიან მანამ, სანამ ჯოჯოხეთში მოხვდებიან, ვინაიდან მათ არ ჰყოფნით ვაჟკაცობა ეკუთვნოდნენ ღმერთს, მაგრამ არც თავის დაღწევა შეუძლიათ მისგან.

ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით ჩვენც, ქრისტიანები, მაშინ, როდესაც არსებობს სულის შემძვრელი უწყება, რომ სწორედ ამ ღმერთმა, რომელსაც ჩვენ ასე გულგრილად ვექცევით, გაარღვია კედელი, რომელიც ჩვენ მისგან გვყოფს და ჩამოვიდა ძირს, ჩვენთან, იესოს სახით. ღვთაებრივი მხსნელი მოგვევლინა ამა სოფლად. მაგრამ მარტო ეს კი არაა, რომ იგი გამოგვეცხადა. იგი მოკვდა ჯვარზე ჩვენი გულისათვის! რა დარჩა კიდევ ღმერთს ჩვენთვის გასაკეთებელი, თუ არა სიკვდილი ჯვარზე?! შემდეგ იგი ძლევამოსილად აღსდგა მკვდრეთით, საბოლოო დარტყმა მიაყენა სიკვდილს და სამარადისო ცხოვრებისაკენ გაკვალა გზა.

ჩვენ კი ვდგავართ და ვამბობთ: „ახ, რა თქმა უნდა! ეს ხომ შესანიშნავია, მეც ოდესმე მოვისმენ ამის შესახებ, მაგრმ „იცოდე, არა ახლა!“ ასეთი არათანმიმდევრული მსჯელობებისაგან ცუდად ხდები, უბრალოდ, ფიზიკურად ცუდად!

როდესაც მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა პასტორი ვიყავი, ჩემს ოლქში იყო ერთი მუშა, რომელიც ყოველთვის მეწინააღმდეგებოდა და დამცინოდა, როდესაც მე იესოზე ვიწყებდი ლაპარაკს. ჩემს კითხვაზე: „როგორ ფიქრობთ, ერთხელაც. სიკვდილს?“ – მან მიპასუხა: „თქვენ, მღვდლები, ყოველთვის სიკვდილით გვაშინებთ! იცოდე, მე არა!“ იგი ყოველთვის მეურჩებოდა. მაგრამ, აი, ის სიკვდილის პირასაა, ჯერ 40 წლისაც არ არის. ერთხელ ღამით მისმა მეუღლემ დამიძახა. მე მოვირბინე მასთან და ვეუბნები: „დადგა ჟამი, როდესაც იესო შენ უკანასკნელად გიხმობს!“ ეს იყო საშინელება. მას უნდოდა ლოცვა და არ შეეძლო. მე ვეუბნებოდი მას სიტყვებს ბიბლიიდან, წყალობის სიტყვებს, მაგრამ მას უკვე არ შეეძლო მათი აღქმა. ის ამბობდა, როდესაც ღმერთს უარყოფდა: „იცოდე, მე არა?“ ახლა ღმერთმა უარჰყო იგი. და ის გარდაიცვალა. დიდად სასოწარკვეთილი, ღმერთთან შეურიგებელი.

მე გემუდარებით თქვენ, შეიცანით მთელი სერიოზულობით სულის შემძვრელი უწყება: „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ“. მაგრამ იესო კიდევ უფრო მეტს იქმს. იგი ამბობს რაღაც უკიდურესად ამაღელვებელს: „აჰა, მდგომარე ვარ რეკად კარსა შენისა გულისა.“ მეგობრებო, არსებობს ბევრი სხვადასხვა ქრისტიანი: არიან ქრისტიანები, რომლებიც მხოლოდ საეკლესიო გადასახადს იხდიან. დიდად სასიამოვნოა, თუმც საშინლად მოსაწყენი. არიან ქრისტიანები, რომლებიც ეკლესიაში მხოლოდ შობადღეს დადიან. ახ, თქვენ, ძვირფასო საშობაო ქრისტიანებო! არიან ქრისტიანები, რომლებიც არ უკრძალავენ თავის ცოლებს ეკლესიაში იარონ, მაგრამ თვითონ არ დადიან. არიან ქრისტიანები, რომლებიც ამბობენ: „მე მონათლული ვარ“. შესანიშნავია! მაგრამ ეს ცოტაა! არიან ქრისტიანები, რომლებსაც ცოცხალი ღმერთის სიტყვები ესმით: „აჰა, მდგომარე ვარ რეკად კარსა. ვინცა ისმენს ხმასა ჩემსა და შეაღოს კარი, შევალ მასთან“, რაზედაც ისინი მპასუხობენ: „იცოდე, მე არა! რა საშინელებაა ეს! „უფალო იესო, ცოტა ქრისტიანობა ჩემში ლამაზად გამოიყურება, მაგრამ ვიყო შენით დამარცხებული, ეს უკვე ნამეტანია. „იცოდე, მე არა!“ ამგვარად, ჩვენ ხშირად ვამბობთ „იცოდე, მე არა!“ სრულიად უადგილოდ.

თქვენ არ იქნებოდით აქ, რომ არ გიზიდავდეთ ქრისტიანობა, მაგრამ მომისმინეთ. იესოს სიდიადეს თქვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიცნობთ, როდესაც მის კაკუნს მიაქცევთ ყურადღებას, გაუღებთ მას კარს და შეიწყნარებთ მას, მიიღებთ მას თქვენს ცხოვრებაში.

3. არის ერთადერთი, ვისაც აქვს სრული უფლება თქვას: „იცოდე, მე არა!“, მაგრამ ის არ ამბობს ამას

ეს ერთადერთი – თვით უფალი იესოა: მას ნამდვილად ექნებოდა სრული უფლება ეთქვა: „იცოდე, მე არა!“, მაგრამ იგი არ ამბობს ამას. მადლობა ღმერთს, რომ იგი ასე არ ამბობს!

ნება მომეცით, ამასთან დაკავშირებით ერთი ისტორია მოგიყვეთ. დანიელ მწერალს იაკობსენს აქვს ძალიან სა-

ინტერესო ნოველა – „შავი ჭირი ბერგამოში.“ ბერგამო პატარა იტალიური ქალაქია, რომელიც რავენის მახლობლადაა გაშენებული, მთის კალთაზე. მასთან მთის ვიწრო ბილიკს მივყავართ. იაკობსენი წერს, რომ ამ ქალაქში საუკუნის შუა წლებში შავმა ჭირმა იფეთქა. შემზარავია! დღე და ღამე ისმოდა სამგლოვიარო ზარები. ხალხი ღმერთს უხმობდა. ისინი შველას შესთხოვდნენ. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო, ჭირი სულ უფრო მძვინვარებდა. და მაშინ მათ ყველაფრისადმი სრული გულგრილობა დაეუფლებათ. ისინი ამბობენ: „ღმერთი არ არის!“ ისინი აგორებენ კასრებს დუქნებიდან და იწყება დიდი ლოთობა. უგონოდ მთვრალნი, ისინი გარყვნილების წუმპეში გადაეშვნენ. იწყება ბაკქანალია, სასოწარკვეთილების ორგია. და ასე დღიდან დღემდე. სრული გულგრილობა. ყველა ვნებათა თავაშვებულობა. ხანდახან, ცეკვის დროს, ვიღაც, ჩაჟამებული სახით, ეცემოდა. მას ასევე უპატრონოდ სტოვებდნენ. ორგიები გრძელდებოდა: „ვჭამოთ და დავლიოთ, ხვალ მაინც მოვკვდებით.“ ერთხელ ისინი შეცბნენ. მათ გუნდის გალობა მოესმათ. როდესაც ქალაქის კარიბჭეს მიადგნენ, მათ დაინახეს მწკრივი ადამიანებისა, მონანიე ადამიანებისა, რომლებიც მთის ბილიკით მიემართებოდნენ და მღეროდნენ ლიტანიას: „ღმერთო შეგვიწყალე! ღმერთო, შეგვიწყალე!“ წინ მოდიოდა ახალგაზრდა ბერი, რომელსაც შავი ხის ჯვარი მოჰქონდა.

პროცესიამ ქალაქის კარიბჭე გაიარა. ბერგამოს მცხოვრებნი იდგნენ და ხითხითებდნენ: „თქვენ, იდიოტებო! აქ ღმერთი არ არის! შეწყვიტეთ თქვენი სულელური ლიტანია! წავიდეთ, ვჭამოთ და დავლიოთ, ვინაიდან ხვალ მაინც მოვკვდებით.“ მაგრამ მონაზონი, თავისი დიდი ხის ჯვრით მსვლელობის თავში, გზას მიიკვლევდა. ეკლესიის კარები ღია იყო. იქ უკვე მაინც აღარავინ შედიოდა. პროცესია ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შედის ეკლესიაში. ბერმა ჯვარი კოლონას მიაყუდა. შემდეგ კი ხარხარითა და ღრიალით შემოიჭრა თავაშვებული, სასიკვდილოდ განწირული ადამიანების ხროვა. ერთი შმაგი ყასაბი, სისხლიან წინსაფარში, საკურთხეველთან შედგა, ასწია სერობის ოქროს თასი და დაიღრიალა: „ილოთეთ! ჩვენ არა გვყავს ღმერთი!“ მაგრამ, აი, კათედრაზე საცოდავი ბერი დგება და სიჩუმისკენ მოუხმობს ხალხს. სიჩუმე ჩამოვარდა, და ამ სიჩუმეში მან სთქვა: „მე მინდა ზოგი-რამ მოგიყვეთ. როდესაც ძე ღმრთისა კვდებოდა ჯვარზე, რომელზედაც იგი ხელებით მილურსმნეს,

ბრბო ასევე აბუჩად იგდებდა მას, ამასხარავებდა და დასცინოდა. და ორი ავაზაკიც კი, რომლებიც მარჯვნივ და მარცხნივ ეკიდნენ, ისინიც ხითხითებდნენ. მაშინ ძე ღმერთისამ იფიქრა: „მე უნდა მოვკვდე ამ ხალხისათვის, რომელსაც ჩემი სიკვდილი სრულიადაც არ ენაღვლებათ?! მე უნდა შევწირო ჩემი სიცოცხლე ამ საძაგლებს, რომელთა გულის მონადირება ყოვლად შეუძლებელია?!“ და ძე ღმერთისამ გადაწყვიტა: „იცოდე, მე არა! იცოდე, მე არა!“ მან ღვთიური ძალის მეშვეობით ამოგლიჯა ლურსმნები ხიდან, გადმოხტა ჯვრიდან, გამოსტაცა ჯარისკაცებს ტანსაცმელი ისე, რომ სათამაშო ძვლები, რომლითაც ისინი წილს იყრიდნენ, ჩამოგორდნენ გოლგოთის მთიდან, ჩაიცვა თავისი სამოსი და ამაღლდა ზეცად სიტყვებით: „იცოდე, მე არა!“ და ჯვარი ცარიელი დარჩა! ამიტომ არ არის ახლა არავითარი განთავისუფლება, არავითარი წყალობა ადამიანებისა და არავითარი ხსნა. ახლა მხოლოდ სიკვდილი და ჯოჯოხეთია!“ ასე ქადაგებდა ბერი. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. ყასაბი დიდიხანია, რაც ჩამოხტა საკუთრხევლიდან, იგი ქვემოთ, კათედრის ქვეშ დადგა. თასი გაუვარდა ხელიდან. „აღარ არის მეტი ხსნა, აღარ არის წყალობა!“ – როგორც ექო, ისე გაიელვა მის გონებაში. უცებ გაველურებული ყასაბი სამ ნაბიჯს წინ დგამს, უწვდის ხელს ბერს და ყვირის ჩაწყვეტილი ხმით: „ეი, შენ! დაკიდე ისევ მაცხოვარი ჯვარზე! დაკიდე ისევ მაცხოვარი ჯვარზე!“

მეგობრებო, ბერ-მონაზონმა არასწორად მოჰყვა მაცხოვრის ისტორია. მაგრამ ყველაზე ამაღელვებელი ისაა, რომ ძე ღმერთისამ არ სთქვა: „იცოდე, მე არა!“ იგი აქამდე ჯვარზე იტანჯება, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ამბობს: „სამსახური, გართობა და ამა ქვეყნის ყველა სიამენი ჩვენთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი სულების ხსნა“.

ამ მაცხოვარს, რომელსაც ახლაც კი სურს ჩვენ გვიხსნას, სრული უფლება ჰქონდა ეთქვა: „იცოდე, მე არა! აკეთეთ, რაც გინდათ!“ მე რომ იესო ვყოფილიყავი, ჩემთვის ასეა – თუნდაც მთელი სამყარო დაღუპულიყო. მაგრამ იესო, ძე ღმერთისა არ ამბობს: „იცოდე, მე არა! იცოდე, მე არა! იცოდე, უჩემოდ!“ იგი გვეძებს ჩვენ! კიდევ რამდენ ხანს უნდა გეძებოთ თქვენ? ბოლოს და ბოლოს, როდის დაინახავთ, რომ იესოს სურვილია მოგიპოვოთ თქვენ? ბოლოს და ბოლოს, როდისღა აგეხილებათ თვალები, რომ თქვენ შეგეძ-

ლოთ სთქვათ: „ჩემო მაცხოვარო! ჩემო მხსნელო!?“ სულ მოკლედ შევეხები უკანასკნელ პუნქტს:

4. „უჩემოდ ვერ შესძლებთ ვერაფრის გაკეთებას“.

მიაქციეთ ყურადღება, ჩვენ ვამბობთ „იცოდე, მე არა! იცოდე, უჩემოდ!“ ძახილის ნიშნით. იესომ ერთხელ სთქვა ეს სიტყვა „უჩემოდ,“ მაგრამ ძახილის ნიშნის გარეშე. შემდეგ მოდის თხრობა: „უჩემოდ ვერ შესძლებთ ვერაფრის გაკეთებას“. თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ეს ჭეშმარიტებაა და ის, რასაც თქვენ მის გარეშე აკეთებთ, არაფრად არ ღირს მარადისობის თვალსაზრისით.

ერთხელ მე ვუთვალთვალებდი, როგორ ჩხუბობდა ქუჩაში რამდენიმე ყმაწვილი. მათ შორის იყო სულ პატარა ბიჭი, რომელსაც, როგორც ჩანს, აგრეთვე წამოარტყეს შემთხვევით. სანამ მიშველებაზე ვფიქრობდი, მოხდა შესანიშნავი ამბავი. ბიჭუნა გამოძვრა მოჩხუბრების წრიდან. თვალებიდან ედინებოდა, ცხვირიდან ედინებოდა, ყველაფერი ედინებოდა, და ისიც „მიედინებოდა.“ როდესაც მან ხუთი ნაბიჯი გაირბინა, კიდევ ერთხელ მობრუნდა და დაიყვირა: „დამაცადეთ, მე ყველაფერს მოვუყვები ჩემს უფროს ძმას!“ მე მივაქციე ყურადღება, რომ ყველა უცებ დაშოშმინდა. ბიჭუნას ჰყავდა უფროსი ძმა, რომლისთვისაც მას შეეძლო ყველაფერი მოეყოლა, რომელიც მას დაეხმარებოდა. მაშინ მე გავიფიქრე: „ჩემო პატარავ, რა კარგია, რომ შენ უფროსი ძმა გყავს!“ მე დამეუფლა დიდი სიხარული, რომ იესოს სახით მეც მყავს უფროსი ძმა, რომელიც მე მეხმარება! რა შესანიშნავია, რომ ამ უფროს ძმას შესწევს დიდი ძალა დაიცვას თავისიანები. და რომ მან სთქვა კიდევაც: „უჩემოდ ვერ შესძლებთ ვერაფრის გაკეთებას!“

პოეტ ჰაევერგალის ერთი ჰიმნი ასე იწყება: „ღმერთო, წაიღე ცხოვრება: ის // მთლიანად შენ გეძღვნება. //ღღეები წაიღე, დე, ყოველ საათს //გესმოდეს შენ ხმა ქებისა და დიდებისა!“

მე მინდა, რომ თქვენ უთხრათ თქვენს მაცხოვარს, მაცხოვარს, რომელმაც ამდენი გააკეთა თქვენთვის: „უფალო ჩემო, იესო, და აღარც მე მსურს ამიერიდან რაიმე გავაკეთო უშენოდ!“

შეიძლება კი გავერკვეთ რელიგიურ საკითხებში?

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ რელიგიურ საკითხებში არ არის გარკვეულობა. „რელიგია“ – ეს არის ღმერთის მარადიული ძიება, რაც მუდმივ ღელვასა და დაურწმუნებლობას ნიშნავს. სახარება კი – ეს უკვე სულ სხვა რამ არის, აქ სწორედ რომ საპირისპირო ვითარებაა: ღმერთი გვეძებს ჩვენ, ამიტომ უმჯობესია საკითხის ასე დასმა: „გვინერგავს კი ქრისტიანობა იმის რწმენას, რომ გადავრჩებით?“

1. ჩვენ ღმერთისადმი უკიდურესად გაურკვეველ დამოკიდებულებას ვიჩენთ

თავში უნდა ვთქვა, რომ ჩვენ – თანამედროვე ადამიანები, არსებითად, ძალიან სასაცილონი ვართ. თუ სოლიდურ ადამიანს რაღაც უმნიშვნელოდ წამოსტკივდა, იგი მაშინვე ექიმთან გარბის: „ბატონო ექიმო, მე ისეთი ტკივილები მაქვს! რა არის ეს?“ „ჩვენ ზუსტად გვინდა ვიცოდეთ, რა გვჭირს. ან სხვა შემთხვევა: ერთი ოჯახი მოახლეს ეძებს. და, აი, ისიც მოინახა. დიასახლისი უჩვენებს მას მისთვის განკუთვნილ ოთახს, ცხელი და ცივი წყლით, ტელევიზორით და უხსნის, რომ კვირაში ერთი დღე მას თავისუფალი ექნება. „ეს კარგია, – ამბობს გოგონა, – მაგრამ მე მინდოდა მცოდნოდა ჩემი ხელფასის შესახებ“. რაზედაც დიასახლისი პასუხობს: „ამაზე ჩვენ მოვილაპარაკებთ, ჯერ მე მინდოდა მენახა, როგორ ართმევთ თავს თქვენს მოვალეობებს“. „არა, არა – პასუხობს გოგონა, – მე არა ვარ თანახმა, მე თავიდანვე მინდა ვიცოდე, რას გადამიხდით“. სწორია კი გოგონა? რა თქმა უნდა, სწორია! როდესაც ჩვენ სამსახურში ვეწყობით, უმთავრესი საკითხი ჩვენთვის ხელფასია. ფულის საკითხებში ჩვენ ვერ ვიტანთ გაურკვევლობას. დიახ, ყველა საკითხში გვსურს ჩვენ ვიცოდეთ საქმის ნამდვილი ვითარება. მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროში, კერძოდ, ღმერთთან მიმართებაში, გვაკმაყოფილებს ჩვენ, როგორი საოცარიც არ უნდა იყოს ეს, სრული გაურკვევლობა.

მრავალი წლის წინ მე კრებას ვატარებდი აუგსბურგში, მოედანზე გაშლილ კარავში, მოედანზე, სადაც ჩვეულებრივ

ბაზრობა იმართება ხოლმე. ორგანიზატორებს შესანიშნავი იდეა მოუვიდათ თავში. იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველ შაბათ საღამოს ყველა რესტორანში დიდად მხიარული ლხინი იყო გაჩაღებული, მათ გადაწყვიტეს კრება შაბათს, ღამის 12 საათზე ჩაეტარებინათ. წინასწარ ამის შესახებ არავინ გაუფრთხილებიათ, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მოვიდოდნენ ის სათნო ცნობისმოყვარე ქრისტიანები, რომელთა გამოჩენა კრებაზე არ იყო მაინცდამაინც სასურველი. ჩემი მეგობრები მანქანებით დაქროდნენ ღამე, თავს უყრიდნენ ყველა ღამის მოქეიფეს, რომლებიც დაახლოებით 12 საათისთვის დახურული რესტორნებიდან გამოსულიყვნენ, ოფიციანტებს, რომლებიც შინ ბრუნდებოდნენ, ქალიშვილებს სხვადასხვა ბარიდან. ავტომანქანებს უწყვეტად მოჰყავდა კარავთან ხალხი. და როდესაც მე 12 საათზე ფიცარნაგზე შევდექი, ჩემს წინ ისეთი ხალხის თავყრილობა აღმოჩნდა, რომელიც მე იშვიათად თუ მინახავს. შესანიშნავია! ბევრი ნასვამიც იყო. ერთი მათგანი ზუსტად ჩემს წინ იჯდა, ერთი ჩასუქებული კაცი ნამწვით პირში, მან ქუდიც კი არ მოიხადა. მე გავიფიქრე: „რა კარგად გამოვიდა ყველაფერი!“ და დავიწყე ჩემი სიტყვა. როდესაც პირველად წარმოვსთქვი „ღმერთის“ სახელი, ამ მსუქანმა კაცმა წამოიძახა: „ის ხომ არ არსებობს!“ ყველამ გაიცინა. მე დავიხარე მისკენ და ვკითხე: „თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ღმერთი არ არსებობს? სრულიად დარწმუნებული ხართ?“ მან კეფა მოიფხანა ისე, რომ ქუდი წინ ჩამოუცურდა, ნამწვი პირის მეორე კუთხეში გადაიტანა და, ბოლოს, თქვა: „ამის შესახებ ზუსტად არავინ არაფერი იცის“. და მაშინ მე მსუქან კაცს პირდაპირ სახეში შევცინე: „და მაინც! მე ამის შესახებ სრულიად ზუსტად ვიცი!“ – „მაინც, – შემეპასუხა იგი, – საიდან იცით თქვენ ასე ზუსტად, რომ ღმერთი არსებობს?“ მე ავუხსენი მას, რომ იესოს წყალობით ვიცი მე სრული სიზუსტით ღმერთის შესახებ. შემდეგ კი სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

დარწმუნებული ხართ თუ არა თქვენ ღმერთის არსებობაში? მე ქრისტიანებს ვეკითხები: „ხართ კი დარწმუნებული, რომ თქვენი ცოდვები მიტევებულია, რომ თქვენს ვალებს არ გაგიხსენებენ, ვინაიდან ყველაფერი სრულად არის გასტუმრებული?“ და რა მესმის პასუხად? „დიახ, იმედი მაქვს!“ კარგად გამიგეთ, ეს ხომ სასაცილოა, რომ ქრისტიანები, წარმართების მსგავსად, კმაყოფილდებიან ასეთი გაურკვევლობითა და დაურწმუნებლობით ღმერთის მიმართ! მე რომ

ახლა წავსულიყავი ქალაქში და მეკითხა ნებისმიერი კაცისათვის: „გწამთ კი ღმერთის არსებობა?“ – ამას მოჰყვებოდა პასუხი: „დიახ, ალბათ, იგი არის!“ და რომ გამეგრძელებინა: „ეკუთვნით კი მას?“ – ალბათ, გავიგონებდი: „არ ვიცი!“ რა გაუგონარ გაურკვევლობას იჩენენ ამ სფეროში სოლიდური ადამიანები!

აი, რა გადახდა ერთ ჩემს მეგობარს. იგი სტუდენტია და არდადეგების დროს ფული იშოვნა – როგორც დამხმარე მუშამ, მშენებლობაზე. ერთხელ მისმა კოლეგებმა გაიგეს, რომ ის აქტიურადაა ჩართული ევანგელური ახალგაზრდობის საქმიანობაში. დაიწყო დაცინვები: „ეი! შენც პასტორ ბუშის ახალგაზრობას ეკუთვნი?“ – „დიახ!“ – „და შენც კვირაობით ეკლესიაში დადიხარ?“ – „რა თქმა უნდა!“ – „ყოველ კვირას? – „დიახ, ყოველ კვირას!“ – „ყოველ კვირას! შენ რა, გიჟი ხარ?“ – „არა! მე კვირაში ერთხელ ბიბლიურ საათებზეც დავდივარ!“ – ხო, შენ ნამდვილად შერყეული ხარ!“ და ყოველი მხრიდან მას თავს დააცხრნენ – მასხარად აიგდეს: „მღვდლები აბრიყვებენ ადამიანებს!“ „ქრისტიანობა აღმოჩნდა უსაფუძვლო, თუმცა კი უკვე 2000 წელია, რაც არსებობს!“ „ბიბლია – ეს ხომ ნამდვილი სისულელეა!“ მოკლედ, ახალგაზრდა კაცზე დაცინვის ნიაღვარი გადმოინთხა. მაგრამ იგი იყო, რომ იტყვიან, „სქელკანიანი, როგორც სპილო“, და ყველაფერს მშვიდად გაუძლო. როდესაც ეს ვაჟბატონები დაწყნარდნენ, მან სთქვა: „დიახ, თუ თქვენ ყველა ასე ექცევით ქრისტიანობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არცერთი თქვენთაგანი ეკლესიის წევრი არ არის“. ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ ერთი ხანშიშესული კაცი შეეპასუხა: „რა გინდა ამით რომ სთქვა? მე ხომ მწამს უფალი ღმერთი! შენ ფიქრობ, რომ მხოლოდ შენა ხარ ქრისტიანი? მეც ქრისტიანი ვარ! მეც მწამს ღმერთი!“ და მაშინ ყველა აყიყინდა: „საერთოდ, რა წესია ეს, რომ შენი თავი ჩვენზე უკეთესად მიგაჩნია! ჩვენც ქრისტიანები ვართ! ჩვენც გვწამს უფალი ღმერთი!“ იმწუთში შეიცვალა ტაქტიკა. ისინი ყველანი შეთანხმებულად ყვიროდნენ: „ჩვენც გვწამს უფალი ღმერთი! ჩვენც ქრისტიანები ვართ!“ როდესაც ისინი დაშოშმინდნენ, ჩემი მეგობარი შეეკითხა მათ: „მაშ, რაღატომ დამცინით?“ და პასუხად შემოესმა: „აჰ! შენ ჩვენ მხოლოდ გვაბრიყვებ! შენთან შეუძლებელია ლაპარაკი!“ გესმით! სოლიდური მშენებლები, რომლებსაც მომქანცველი სამუშაოს შემდეგ, ადვილად შეუძლიათ გადაჰკრან რამდენიმე

ბოთლი ლუდი, ჯერ დიდი ხმაურით დასცინიან ქრისტიანობას, ხოლო შემდეგ უცებ გონს მოდიან: მოიცა, მოიცა, ჩვენც ხომ ქრისტიანები ვართ! განა ეს არ არის გამაოგნებელი, რომ ადამიანებს სრულიად არ ანაღვლებთ ღმერთის მიმართ ასეთი გაურკვევლობის დაშვება! ჩვენ თავს ხან წარმართებად ვასაღებთ, ხან ქრისტიანებად. განა მე სწორი არა ვარ? დარწმუნებული ვარ, რომ თქვენგან უმრავლესობა ასეთსავე გაურკვევლობაში იმყოფება!

2. ბიბლია ლაპარაკობს სხივმოსილი რწმენის შესახებ

თქვენ, შესაძლოა გაკვირვებით მკითხოთ: „პასტორო ბუშო, განა ქრისტიანულ სარწმუნოებას შეიძლება ჰქონდეს რაიმე საერთო დარწმუნებულობასთან? ქრისტიანული რწმენის არსი განა ის არაა, რომ მასში არაფერია გარკვეული და ყველაფერი რწმენით უნდა მივიღოთ?“ ამასწინათ მე ისევ შემახსენეს ერთი გამონათქვამი, რომელიც მე ხშირად მსმენია ჩემს ცხოვრებაში: „ის, რომ ორჯერ ორი ოთხია, ჩვენ ზუსტად ვიცით, მაგრამ ქრისტიანობაში ვერაფერს ზუსტად ვერ გაიგებ, ვინაიდან ყველაფერი რწმენაზეა დაფუძნებული“. ბოლოს და ბოლოს ჩვენ გვექმნება წარმოდგენა, რომ ქრისტიანული ჭეშმარიტებებისკენ მიმართული ჩვენი გონება ჩვენ უნდა ჩემოდანში ჩავალაგოთ, ან გარდერობში დავკიდოთ და რწმენით უცნობლობის, არასაცნაურობის გზას დავადგეთ. ასე სწამს ბევრს. ზოგჯერ ჩემთან გამოუთქვამთ ასეთი აზრიც: „თქვენ, ქრისტიანებს, ხომ ერთმანეთშიაც არა გაქვთ ერთობა. თქვენ გყავთ კათოლიკები, ევანგელური ქრისტიანები და ა. შ. ხოლო ევანგელურებს შორის არიან ლუთერანები, რეფორმისტები და ა. შ. ვინღაა სწორი? მე ვფიქრობ, რომ ქრისტიანობაც კი თავის არსში დარწმუნებულია, რომ ქრისტიანული რწმენა ყველაზე დაურწმუნებელი და გაურკვეველი რამაა. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა.

უნდა გასხოვდეთ, რომ იმის გაგება, თუ რა არის ქრისტიანობა, მხოლოდ ახალი აღთქმიდან შეიძლება. აქ კი თითოეული სტრიქონი სხივმოსილი დარწმუნებულობითაა აღბეჭდილი! დამიმტკიცეთ, რომ ეს ასე არაა! ამიტომ სასაცილოა, როდესაც ქრისტიანები ასეთ გაურკვევლობაში ცხოვრობენ. მაგრამ აქ საქმე ქრისტიანობაში არაა; არა! მთელი ახალი აღთქმა დარწმუნებულობითაა გასხივოსნებული. მე ამას

მოკლედ აგიხსნით: ახალი აღთქმა გამოხატავს სრულ დარწმუნებულობას იმის შესახებ, რომ ღმერთი ცოცხალია!

არა უმაღლესი არსება, არა მოჩვენება, არა ბედი, არამედ ღმერთი, მამა იესო ქრისტესი, ცოცხალია! საიდან ვიცით ეს? იგი გამოგვეცხადა იესოში! ახლა ჩვენ ეს ზუსტად ვიცით. გადაშალეთ ბიბლიის ნებისმიერი ადგილი და დაინახავთ, რომ იქ რელიგიური პრობლემა კი არ წყდება, არამედ მტკიცებაა იმისა, რომ ღმერთი ცოცხალია! იგი გამოგვიცხადდა იესოში! ადამიანი კი, რომელიც ღმერთის გარეშე ცხოვრობს, არასწორად, უკუღმართად, უაზროდ ცხოვრობს.

იქ ასევე დაბეჯითებითაა ნათქვამი, რომ ღმერთს, რომელსაც შეუძლია ხალხები გაანადგუროს, რომელიც მათ გაასამართლებს, მხურვალედ ვუყვარვარ მე, და ეს ვარაუდი კი არ არის, არამედ არაორაზროვნადაა ნათქვამი ეპისტოლეში რომაელთა მიმართ, მერვე თავში: „... რამეთუ მრწამს მე, – მიაქციეთ ყურადღება, – მრწამს მე, ვითარმედ არცა სიკუდილმან, არცა ცხოვრებამან... შემიძლოს ჩუენ განყენებად სიყუარულსა ღმერთისასა, რომელ არს ქრისტე იესოჲს მიერ უფლისა ჩუენისა“. ღმერთის სიყუარული მოგვევლინა ჩვენ იესოში! ჩვენ კი არ ვვარაუდობთ ამას, არამედ ზუსტად ვიცით. როგორ ვლინდება ღმერთის სიყვარული? მან შეგვიყვარა ჩვენ იესოში. იესოს მოწაფეები მღერიან: „დიდება წმიდა სიყუარულის მამას, ვინაც ხალხს ამა ქუეყნად ქრისტე მოუვლინა!“ იცით კი თქვენ ამის შესახებ? გაქვთ კი ამის შესახებ თუნდაც მცირეოდენი წარმოდგენა?

ბიბლია მოგვითხრობს ადამიანებზე, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი ღმერთს ეკუთვნიან. ორმოცდამერვე ფსალმუნში დავითი ამბობს: „ღმერთი დაისხნის ჩემს სულს ჯოჯოხეთისაგან, როცა ამომიყვანს.“ იქ არ არის ნათქვამი: ვიმედოვნებ, რომ ღმერთი დაიხსნის ჩემს სულს, არამედ დარწმუნებითაა ნათქვამი: „ღმერთი დაიხსნის ჩემს სულს...“ ან კიდევ: „ღმერთთა დაგვიხსნა ბნელეთის ძალებისგან და შეგვიყვანა თავისი საყუარელი ძის საუფლოში.“ იესოს მოწაფეებმა თავისი პიროვნების შეცვლა გადაიტანეს, ისინი შეიცვალნენ იესოს მეშვეობით და იციან ამის შესახებ! კიდევ ნათქვამია: „ჩვენ ვიცით, რომ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავედით. „ჩვენ ვიცით“. შეგიძლიათ კი თქვენ ასე სთქვათ? ან: „მისი სული გვიმოწმებს, რომ ჩვენ ღმერთის შვილები ვართ“. პირდაპირ ასეა დაწერილი – „ვართ.“

ბიბლიაში ყველაფერი ძალიან ნათელია. საიდანღა გაჩ-

ნდა ჩვენ ხალხში ეს უაზრო გამოთქმა: „ის, რომ ორჯერ ორი ოთხია, ეს მე ზუსტად ვიცი, მაგრამ ქრისტიანობაში ზუსტად მაინც ვერაფერს ვერ გაიგებ, იმიტომ, რომ ყველაფერი რწმენაზეა დაფუძნებული“? ის, რომ ორჯერ ორი ოთხია, მე ზუსტად ვიცი, მაგრამ კიდევ უფრო დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ღმერთი ცოცხალია, ხალხი, რომელიც მოიქცა ღმერთისკენ, ამბობს: „ორჯერ ორი – ოთხია, ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ღმერთის შვილები გავხდით!“

ახლა კი მე თქვენ გეკითხებით: „თანამედროვე ქრისტიანობაში სად შეიძლება შევხვდეთ ასეთ გასხივოსნებულ მტკიცე რწმენას? სად?“ ეს არის იმის ნიშანი, რომ ჩვენ ოდნავ დავშორდით ბიბლიას და ჩვენთვის აუცილებელია კვლავ მივუახლოვდეთ მას. მე მოგიწოდებთ, არ დაკმაყოფილდეთ ქრისტიანობის რაღაც ნაწილაკით! ეს სრული უაზრობაა. აზრი აქვს მხოლოდ წმინდა ბიბლიურ ქრისტიანობას. მხოლოდ ასეთ ქრისტიანობას აქვს ნამდვილი ფასი. იყო დარწმუნებული იმაში, რომ ღმერთი ცოცხალია, რომ მას მხურვალედ ვუყვარვარ და რომ მე შემიძლია მას ვეკუთვნოდე – აი რაშია ნამდვილი ფასეულობა! სხვა ყველაფერს არავითარი ფასი არა აქვს. იგივე გასხივოსნებული მტკიცე რწმენა ისმის სასულიერო საგალობლების კრებულის ფურცლებიდან. მაგალითისათვის: „უფალი ჩვენი ფარი და სასოებაა, /ჩვენი სიმტკიცე და კლდეა; // მან გვიბოძა ჩვენ მშვიდობა და გამართლება,/მან გვიხსნა ჩვენ ცოდვისა და ბოროტებისაგან.“ ან: „მე ვიცი, დიახ, მე ვიცი // რომ ცოცხალია მაცხოვარი ჩემი, // რომ მისით ვპოულობ მე არაამქვეყნიურ ცხოვრების ძღვენს“. ან კიდევ: „მე ვიცი, ვინ მწამს მე, // არაფერი მე ქრისტესთან არ გამყრის // და ის მიბოძებს მე ხსნას // იმ დღით, როდესაც მოვა კვლავ“.

ნება მიბოძეთ, მოგიყვეთ ამის შესახებ ერთი სხვა ასპექტითაც. ქრისტიანული რწმენა ნიშნავს: ობიექტურად იცოდე, რომ ღმერთი ცოცხალია, რომ მისი გამოცხადება იესოში ჭეშმარიტებაა, თუნდაც მთელი ქვეყანა მას უარყოფდეს, იესო შერიგებისათვის მოკვდა და აღსდგა, რათა გადაერჩინა ცოდვილნი, კიდევაც რომ არავინ ისარგებლოს ამით. მაგრამ ქრისტიანული დარწმუნებულობა ნიშნავს იმის სუბიექტურ ცოდნასაც, რომ ღმერთი ცოცხალია და მოგვევლინა იესოში, მოკვდა და აღსდგა, რაც მე პირადად ჩემთვის მტკიცე რწმენად მივიღე.

და თუ 10000 პროფესორი არწმუნებს ერთ ახალგაზრდას იმაში, რომ იესო არ აღმსდგარა, მას შეუძლია დაადასტუროს: „პატივცემულო 10000 პროფესორო! მე ვიცი, რომ ჩემი მხსნელი ცოცხალია! და თუ მთელი ქვეყანა შეეწინააღმდეგება მას, რწმენა დაამტკიცებს: „მე ვიცი, ვისიც მწამს!“ და თუ თქვენ მომიყვანთ უამრავ მეცნიერულ უარყოფას, მე გიპასუხებთ: „მე ამის შესახებ უკეთ ვიცი!“ და თუ მთელ ქვეყანას შეეპარებოდა ეჭვი, მე ვიტყოდი: „მე ამაში დარწმუნებული ვარ!“ მეგობრებო, აი, როგორი ნათელგარკვეულია ქრისტიანული რწმენა, რომელსაც ჩვენ ბიბლია გვთავაზობს.

3. თქვენ კი გაქვთ მტკიცე რწმენა?

ახლა კი მე თქვენ მოგმართავთ კითხვით: „გაქვთ კი ასეთი მტკიცე რწმენა? თუ თქვენ იგი გაკლიათ? თქვენ რომ გეთქვათ: „მე ჩემი თავი ქრისტიანად მიმაჩნია, მაგრამ ჯერ არა ვარ იგი. მე ხომ ჯერ კიდევ ბევრი რამ ვერ გამირკვევია!“ – მაშინ ჩემს სიტყვებს ფუჭად არ ჩავთვლიდი. მე მახსენდება დღეები, რომელიც მე გავატარე ერთხელ, ჩემი მოცალეობის ჟამს, ახალგაზრდებთან, ჰოლანდიაში. ღამის ორ სააათზე ჩემს კარებზე დააკაკუნეს. როდესაც კარი გავაღე, დავინახე პიჟამოებში გამოწყობილი მთელი საზოგადოება. „რა გნებავთ?“ – ვკითხე მე. ერთმა მათგანმა მიპასუხა: „ჩვენ ვთვლიდით ჩვენს თავს ქრისტიანებად, მაგრამ ახლა მივხვდით, რომ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ამას!“ ამან ისინი ისე შეაშფოთა, რომ მათ ღამის ორ საათზე მოინდომეს გარკვეულიყვნენ. ძალიან ფასეულია, როდესაც ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ მთელი ჩვენი ქრისტიანული მდგომარეობა ჯერ კიდევ შორსაა იმ გასხივოსნებული რწმენისაგან, რასაც ჩვენ ბიბლია გვიჩვენებს.

სპერჯენმა, შესანიშნავმა ინგლისელმა მქადაგებელმა, ამის შესახებ ასეთი რამ გამოთქვა ერთხელ: „რწმენა – ეს გრძნობის მეექვსე ორგანოა“. თქვენ იცით, რომ ჩვენ გვაქვს გრძნობის ხუთი ორგანო, რომელთა მეოხებით ვეცნობით სამყაროს: მხედველობის, სმენის, შეგრძნების, გემოსა და ყნოსვის ორგანოები. გრძნობის ამ ხუთი ორგანოს საშუალებით ჩვენ შეგვიძლია შევიცნოთ ჩვენი სამგანზომილებიანი სამყარო. ადამიანი, რომელიც ცხოვრობს მხოლოდ გრძნობის ორგანოებით, კითხულობს: „სადღა არის ღმერთი? მე მას ვერ ვხედავ. იესოსაც ვერ ვხედავ. მე არ მჯერა ყოველი-

ვე ეს!“ მაგრამ თუ ღმერთი ჩვენ გვანათლებს სული წმიდის საშუალებით, მაშინ ჩვენ გრძნობის მეექვსე ორგანოს ვიღებთ. მაშინ ჩვენ შეგვიძლია არა მხოლოდ ვხედავდეთ, ვისმენდეთ, ვგრძნობდეთ, ვიგრძნოთ გემო და სუნი, არამედ შეგვიძლია სხვა სამყაროც შევიცნოთ. ბიბლიაში ნათქვამია: „და ესე არს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ, რაჲთა გიცოდიან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესო ქრისტე“. ეს შესაძლებელია მეექვსე გრძნობის მეოხებით.

ამასწინათ ესენში ვიყავი, ერთ მსხვილ მრეწველთან, მისი რეზიდენცია მდებარეობდა მაღლივ სამსახურებრივ შენობაში, საიდანაც შეიძლებოდა ნახევარი ქალაქის დათვალიერება. გავიარე რამდენიმე მისაღები და მე, ბოლოს და ბოლოს, მის პირისპირ აღმოვჩნდი. მან სწრაფად მოამთავრა საქმე და მითხრა ჩემთან საუბრისას: „მე დაინტერესებული ვარ ჩემთან მიღებაზე პასტორი მყავდეს. ომის შემდეგ მეც ხანდახან დავდიოდი მეცბდინეობებზე რელიგიის შესახებ, მაგრამ მე მაინც ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა...“ „განაგრძეთ, განაგრძეთ, – ვეხმარები მე მას, – მე მაგარი ნერვები მაქვს!“ – „მე შემექმნა შთაბეჭდილება, – განაგრძობდა იგი, – რომ ქრისტიანობა – ძალიან გაურკვეველი რამ არის! ჩვენ გვიკითხავდნენ ლექციებს თემებზე: „ქრისტიანი და ეკონომიკა“, „ქრისტიანი და შეიარაღება“, „ქრისტიანი და განიარაღება“, „ქრისტიანი და ფული“, „ქრისტიანი და მისი ეკლესია“. მაგრამ არავის ჯერ ჩემთვის არ უთქვამს, რას წარმოადგენს მაინც ქრისტიანი. როგორც ჩანს, ეს ხალხმა თავად არ იცის!“ და აი, ვზივარ მე ამ მშვენიერ კანცელარიაში და ვიღებ ასეთ გამოწვევას. „ო, – შევეპასუხე მე, – თქვენ ცდებით!“ ამას მოჰყვა გაკვირვებული კითხვა: „თქვენ შეგიძლიათ მითხრათ, რას წარმოადგენს ქრისტიანი?“ – „ო, დიახ, – ვუპასუხე მე, – მე გიამბობ ამის შესახებ მოკლედ და გარკვევით. აქ არაფერია გაურკვეველი“. – „ხა-ხა, – ჩაიცინა მან, – ერთი ამბობს, რომ ქრისტიანია ის, ვისაც ეკლესიაში ნათლავენ და ასაფლავებენ!“ მაგრამ მე გავაგრძელე: „ბატონო გენერალურო დირექტორო, მე გეტყვით, რას წარმოადგენს ქრისტიანი, მაგრამ მაგრად იყავით! ქრისტიანი არის ადამიანი, რომელსაც გულის სიღრმიდან შეუძლია თქვას: „მე მჯერა, რომ იესო ქრისტე – ჭეშმარიტი ღმერთი, გაჩენილი მამაღმერთის მიერ მარადისობაში, და ჭეშმარიტი ადამიანი, გაჩენილი ქალწული მარიამის მიერ, არის ჩემი უფალი, რომელმაც მიხსნა მე,

წარწყმედილი და განწირული ადამიანი. ბატონო გენერალურო დირექტორო, გიხსნათ თქვენ – „წარწყმედილი და განწირული ადამიანი!“ მან თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია. მან ყველაფერი გაიგო. „კარგი, – ვთქვი მე, – ვინც მიხსნა მე, წარწყმედილი და განწირული ცოდვილი, მომიპოვა მე და განმათავისუფლა მე ყველა ცოდვისაგან, სიკვდილისაგან და ეშმაკის ძალებისაგან. ბატონო გენერალურო დირექტორო, მომიპოვა და განმათავისუფლა ეშმაკის ძალებისაგან!“ მან ისევ დააქნია თავი. ამის შესახებ მან რაღაც-რაღაცეები იცოდა. მე კი განვაგრძე: „ოქროთი და ვერცხლით კი არა, არამედ თავისი წმიდა, ძვირფასი სისხლით და თავისი უდანაშაულო ტანჯვითა და სიკვდილით, იმისათვის, რომ მე მას ვეკუთვნოდე. გესმით! ვისაც შეუძლია თქვას: „მე ვეკუთვნი იესოს, მან მიხსნა მე თავისი სისხლით ცოდვისაგან, სიკვდილისა და ჯოჯოხეთისაგან, და ამაში მე დარწმუნებული ვარ!“ – სწორედ ის არის ნამდვილი ქრისტიანი, ბატონო გენერალურო დირექტორო“; კაბინეტში წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ მან მკითხა: „როგორ მივაღწიო მე ამას? როგორ მივაღწიო მე ამას?“ მე ვუპასუხე მას: „მომისმინეთ, მე ამ წუთში თქვენი მდივანი ქალისაგან შევიტყვე, რომ თქვენ შვებულებაში მიდიხართ. მე დღესვე, სადილის შემდეგ, გამოგიგზავნით ახალ აღთქმას, წაიღეთ იგი თან და ყოველდღიურად იკითხეთ ნაწყვეტი იოანეს სახარებიდან და ილოცეთ ამაზე, მხოლოდ მაშინ მიაღწევთ თქვენ ამას.“ სწორად გამიგეთ, ქრისტიანობა, როგორც ის ახალ აღთქმაშია წარმოსახული, მტკიცედაა დარწმუნებული იმაში, რომ ობიექტური ჭეშმარიტებანი ნამდვილად ჭეშმარიტია და რომ მე შემიძლია ამას სუბიექტურად რწმენის მეოხებით მივაღწიო და მივიღო ხსნა! გაქვთ კი თქვენ ასეთი დარწმუნებულობა? მე ვერ ვიცხოვრებდი, რომ არ ვყოფილიყავი დარწმუნებული იმაში, რომ მან, იესომ, მე შემიწყნარა. ერთხელ მე ვკითხე ერთ ახალგაზრდას: „გიყვარს იესო?“ – „დიახ“. – „იცი, რომ მან შენ შეგიწყნარა? ხარ შენ მისი მონაპოვარი?“ – „დიახ, მაგრამ მე არა ვარ ამაში ზუსტად დარწმუნებული. მე კიდევ იმდენი საბრძოლველი მაქვს“. – „მისმინე, მე ვერ შევძლებდი ასე მეცხოვრა, – ვთქვი მე, – მე ხომ უნდა ვიცოდე, შემიწყნარა კი მან მე!“ ო, თქვენ, დაეჭვებულო ქრისტიანებო, თქვენ, რომლებმაც ზუსტად იცით თქვენი ფინანსური მდგომარეობა, ხოლო ღმერთზე არაფერი იცით! თქვენ ხომ სრულებით არ

ხართ ქრისტიანები! ახალი აღთქმის მიხედვით, ქრისტიანები არიან ისინი, ვისაც შეუძლია სთქვას: „მე მწამს, რომ ქრისტე გახდა ჩემი უფალი.“

ამას მე უნდა დავუმატო ერთი პატარა ისტორია, რომელიც თქვენ, შესაძლოა, იცით. გენერალმა ფონ ფიბანმა მიამბო, როგორ გამოედო იგი ტოტს, მანევრების დროს, როდესაც ცხენზე ამხედრებული მიდიოდა ტყით, და მუნდირი დაეხა. გენერალს ეთაკილებოდა ასეთი სახით გამოჩენა, და ამიტომ, დაინახა რა რამდენიმე ჯარისკაცი სოფლის შესასვლელთან, სადაც ისინი ბინადრობდნენ, მან შეაჩერა ცხენი და იკითხა: „თქვენ შორის ხომ არ არის ვინმე მკერავი? ერთ-ერთმა ახლოს მოირბინა, სმენაზე დადგა და უპატაკა: „დიახ, არის! ბატონო გენერალო, მე მკერავი ვარ.“ გენერალმა ფონ ფიბანმა უბრძანა: „მაშინ მოდით ჩემთან ბინაზე და დაკემსეთ ჩემი მუნდირი“. მაგრამ ჯარისკაცმა მას ასე უპასუხა: „მე ვერ შევასრულებ ამას.“ „რატომ ვერ შესძლებთ, თქვენ ხომ მკერავი ხართ? „მაპატიეთ, ბატონო გენერალო, ჩემი გვარია მკერავი, მაგრამ მე მკერავი არა ვარ.“ გვიამბობდა ამას გენერალი ფონ ფიბანი და, ბოლოს, ასე შესანიშნავად დაუმატა: „ზუსტად ასევე შეიძლება ითქვას ქრისტიანთა უმრავლესობაზეც. ანკეტებში, სტრიქონის – „რელიგია“ – გასწვრივ შეიძლება წაიკითხო „ქრისტიანი, ევანგელური“. სინამდვილეში კი უნდა თქმულიყო: „ვიწოდები ქრისტიანად, მაგრამ არა ვარ იგი.“

ო, რა სავალალო და საშიში მდგომარეობაა! ეს ხომ იმას მოწმობს, რომ ადამიანი არ არის გადარჩენილი!

4. როგორ უნდა მოვიპოვოთ ურყევი რწმენა?

თქვენ შემეკითხებით: „როგორ უნდა მოვიპოვო ურყევი რწმენა? ამის შესახებ ბევრი შეიძლება ითქვას, სთხოვეთ ამაზე ღმერთს! დაიწყეთ დღენიადაგ ბიბლიის კითხვა, თუნდაც – თხუთმეტი წუთი ყოველდღიურად! მაგრამ მე კიდევ უნდა გითხრათ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი: რწმენის დამკვიდრება ხდება არა გონების, არამედ სინდისის გზით.

მოგეხსენებათ, როდესაც ხალხს ქრისტიანობაზე ჩამოუგდებთ ლაპარაკს, იმწუთშივე გესმით ასეთი სიტყვები: „მაგრამ მე არ შემიძლია ვირწმუნო, ბატონო პასტორო. ბიბლიაში იმდენი წინააღმდეგობაა“. – „წინააღმდეგობები?“ – გაკვირვებული ვარ; – „დიახ, მაგალითად, იქ ნათქვამია,

რომ ადამსა და ევას ჰყავდა ორი ვაჟი – კაენი და აბელი. კაენმა მოკლა აბელი და წავიდა უცხო ქვეყანაში, სადაც თავისთვის ცოლი გამოძებნა. მაგრამ თუკი მათ გარდა, სხვა ადამიანი არავინ იყო, მაშინ როგორღა შეეძლო კაენს თავისთვის ცოლი გამოეძებნა. ბატონო პასტორო, ამის გაგება მე არ შემიძლია!“ თქვენ მოსმენილი გაქვთ უკვე ეს ისტორია? ამ ისტორიის მეშვეობით ცდილობენ გერმანელები ღმერთს გადაურჩნენ. ჩვეულებრივ ასეთი შემთხვევების დროს მე ვამბობ: „თქვენ საინტერესო ამბებს ჰყვებით. აი, თქვენ ბიბლია, ერთი მიჩვენეთ, სად სწერია ეს, რომ კაენი წავიდა უცხო ქვეყანაში და იქ თავისთვის ცოლი გამონახა?“ ისინი, როგორც წესი, წითლდებიან, მე კი ვაგრძელებ: „თუ თქვენ უარყოფთ ბიბლიას, რომლის საშუალებითაც ათასმა წესიერმა კაცმა ირწმუნა, და, ამგვარად, თქვენ თქვენს თავს უფრო წესიერებად თვლით, თქვენ, როგორც ჩანს, საფუძვლიანად შეგისწავლიათ ბიბლია. სად სწერია ამის შესახებ?“ ამაზე მათ არავითარი პასუხი არა აქვთ. მაშინ მე ვძებნი ამ ადგილს, იქ სულ სხვაგვარად სწერია, კერძოდ, რომ „კაენი წავიდა უცხო ქვეყანაში და იცნა კაენ ცოლი თვისი“. იგი წავიდა უცხო ქვეყანაში თავის მეუღლესთან ერთად. ვინღა იყო მისი ცოლი? ცოტა ზემოთ წერია რომ ადამსა და ევას ჰყავდათ ბევრი ქალ-ვაჟი. ე. ი., ეს იყო კაენის ერთ-ერთი და. ბიბლიაში ნათლადაა ნათქვამი, რომ ღმერთს სურდა, ერთი გვარიდან წარმოშობილიყო ადამიანთა ყველა თაობა. ამიტომ დასაწყისში ქორწინებები ოჯახის შიგნით ხდებოდა, მოგვიანებით კი ღმერთმა ასეთი ქორწინებები აკრძალა. გასაგებია ყველაფერი? ყველაფერი! მე დავამტკიცე, რომ ყველა ეს სულელური საუბარი უსაფუძვლოა. მაგრამ როგორ ფიქრობთ, ამ კაცმა ირწმუნა? არა! ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია! მან იმწუთშივე მოამზადა ახალი კითხვა: „ბატონო პასტორო, აბა, მითხარით...“ და შემდეგ იმდაგვარადვე გააგრძელა. ცხადია, მე შემეძლო ასეთი ადამიანისთვის ასეულ ათას კითხვაზე გამეცა პასუხი, მაგრამ იგი მაინც ისეთივე დარჩებოდა, როგორიც ადრე იყო. რწმენისაკენ მიდიან არა გონების, არამედ სინდისის გზით!

ესენში ჩემი წინამორბედი პასტორი და მქადაგებელი იულიუს დამანი იყო. ერთხელ მასთან მივიდა ახალგაზრდა კაცი და შეეკითხა აგრეთვე კაენის ცოლზე და სხვა ამდაგვარ ამბებზე. მაგრამ დამანმა იგი მშრალზე დატოვა, თქვა რა: „ახალგაზრდავ, იესო ქრისტე იმიტომ არ მოსულა, რომ

სახრიკო კითხვებზე გაეცა პასუხები, იგი მოვიდა იმისათვის, რომ ცოდვილები დაეხსნა! და როდესაც თქვენ საცოდავი ცოდვილი გახდებით, მაშინ მობრძანდით კვლავ.“ ხალხს, რომელთაც სინდისი ქეჯნით, ხალხს, რომელთაც იციან, რომ მათი ცხოვრება ვერ არის მთლად რიგზე, რომ მათ არ შეუძლიათ თავი გაართვან მას, მათ შეუძლიათ ისწავლონ იესოს რწმენა. გაგება აუცილებლად მოვა მოგვიანებით.

ერთხელ მე შემემთხვა ამბავი, რომელზედაც ახლა უნდა მოგიყვეთ. მე აღმოვჩნდი საავადმყოფოს პალატაში, სადაც ექვსი მამაკაცი იწვა. მათ სიხარულით შემომძახეს: „ახ, ბატონო პასტორო, რა კარგია, რომ მოხვედით! ჩვენ შეკითხვა გვაქვს თქვენთან!“ – „ო, შეკითხვა? ძალიან სასიამოვნოა! რა შეკითხვაა?“ მე მიეხვდი, რომ ისინი მახეს მიგებდნენ, ერთმა მათგანმა მკითხა: „თქვენ ხომ გწამთ, რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა?“ – „დიახ, მწამს!“ – „მაშინ იბადება კითხვა: შეუძლია კი თქვენს ღმერთს შექმნას ისეთი მძიმე ქვა, რომლის ასაწევადაც თავად არ ეყოფა ძალა? ხედებით, რაშია კითხვის მარილი? თუ მე ვიტყოდი „დიახ“, მაშინ ღმერთი არ ყოფილა ყოვლისშემძლე, თუ მე ვიტყოდი „არა“, მაშინ იგი მაინც არ ყოფილა ყოვლისშემძლე. წუთით შევყოვნდი და დავფიქრდი, ავუხსნა თუ არა მას საქმის არსი, მაგრამ მე მეჩვენა, რომ ამის გასაგებად იგი ზედმეტად სულელია და შემხვედრი კითხვა დავუსვი მას: „ყმაწვილო, ნება მიბოძეთ, ჯერ მე შეგეკითხოთ: „უძილობა ხომ არ გაწუხებდათ თქვენ ამის თაობაზე?“ – „უძილობა?“ – მკითხა მან გაკვირვებით, – არა!“ მაშინ მე მას ვუთხარი: „იცით რა, მე უნდა დავზოგო ჩემი ძალები, ამიტომ მე ვპასუხობ მხოლოდ იმ კითხვებზე, რომლის გამოც ხალხი ძილს კარგავს. კეთილი ინებეთ, ახალგაზრდავ, მითხარით, რა მიზეზითა გაქვთ თქვენ უძილო ღამეები?“ ამაზე მან დაუყოვნებლივ მიპასუხა: ეხ, ჩემი გოგონას გამო. იგი ბავშვს ელოდება, ხოლო დაქორწინება ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვიძლია“. – „მაშ, ასე, – ვამბობ მე, – ამის გამო გაქვთ თქვენ უძილობა. მაშინ ამაზე ვილაპარაკოთ!„ – „მაგრამ განა ამ საკითხს აქვს რაიმე საერთო ქრისტიანობასთან?“ – გაიკვირვა მან; – „ო, – ვთქვი მე, – იმ ქვას ქრისტიანობასთან არა აქვს კავშირი, ხოლო თქვენს გოგონასთან დაკავშირებულ საქმეს პირდაპირი კავშირი აქვს! იცით რა, თქვენ შესცოდეთ! თქვენ დაარღვიეთ ღვთიური წესი, თქვენ მოატყუეთ ქალიშვილი! და ახლა თქვენ ფიქრობთ იმაზე, როგორ გამოძვრეთ შექ-

მნილი მდგომარეობიდან. თქვენ თავგზა აგერიათ თქვენს გადაცდომებსა და ცოდვებში. თქვენი შველა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიმართავთ ცოცხალ ღმერთს, მოინანიებთ და იტყვით: „მე შევცოდე!“ მაშინ მაცხოვარი თქვენს გვერდით გაჩნდება და გიშველით“. ახალგაზრდა კაცი ისმენდა და უცებ მისთვის ნათელი გახდა, რომ იესო დაინტერესებულია მისი დამძიმებული სინდისით! იესოს შეუძლია მისი შველა! ის არის ხსნა მისი გამოუვალი ცხოვრებისა!“

სწორად გამიგეთ მე? ის, რისი ჩაწვდომაც მას გონებით სურდა, იქცა სულელურ ლაპარაკად, მაგრამ როგორც კი მის სინდისს შეეხო, მას უეცრად ნათელი მოეფინა. ეს თქვენთვის გასაგებია? ჩვენ ვპოვებთ დარწმუნებულობას ჩვენს გადარჩენაში არა სახრიკო კითხვებზე პასუხების გაცემით, არამედ როდესაც ჩვენ გვესმის საკუთარი სინდისის ხმა და ვაღიარებთ: „მე შევცოდე!“ მაშინ შევძლებთ დავინახოთ ჯვარზე გაკრული იესო. და მხოლოდ მაშინ შევძლებთ ჩვენ გავიგონოთ: „შენ მოგეტევა ყველა შენი ცოდვა!“ ხოლო შემდეგ მოიპოვო ურყევი რწმენა: „მან შემიწყნარა მე!“ ეს ხდება სინდისის და არა გონების გზით.

ამგვარად, თუ გინდა გქონდეს ურყევი რწმენა გადარჩენისა, მაშინ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნდა წახვიდე რისკზე. ეკლესიებში ხშირად სარკმლებისათვის ფერად მინებს იყენებდნენ. თუ თქვენ მათ დღისით ნახავთ, გარედან ისინი შავად გამოიყურება და მათ ფერს ძლივს თუ გაარჩევ. მაგრამ შეხვალთ თუ არა ეკლესიაში, ისინი ხასხასა ფერებით აკიაფდება. ასეთივე ვითარებაა ქრისტიანობასთან დაკავშირებით.

სანამ მე თვალყურს ვადევნებ გარედან, არაფრის გაგება არ შემიძლია. ყველაფერი შავად ჩანს. გავბედავ და შევალ, გამოვეცნაურები ქრისტეს! მე უნდა ვენდო იესოს! და ყველაფერი ნათელი გახდება! მხოლოდ ერთი ნაბიჯი სიკვდილიდან სიცოცხლეში – და ერთბაშად მთელი ქრისტიანობა საცნაური ხდება.

ერთხელ უფალი იესო ქადაგებდა, და მას ათასი კაცი უსმენდა, მაგრამ უცებ მან საშინელი სიტყვები წარმოთქვა: „ისეთები, როგორიც თქვენა ხართ, თქვენ ვერ შეხვალთ ღმერთის სასუფეველში! თქვენ უნდა იშვათ ზეგარდმო! თქვენი ბუნება, ყველაზე საუკეთესოც კი, ღმერთის საუფლოსთვის არ გამოდგება!“ რის შემდეგაც ზოგი მამაკაცთაგან წამოდგა და თქვა: „წავიდეთ ერთი აქედან, ეს ხომ უნამუსო სიტყვაა.“

და სამმა მამაკაცმა დატოვა იქაურობა. ეს ექვსმა ქალმა დაინახა, მათ განსაჯეს: მამაკაცები წავიდნენ, მოდი წავიდეთ ჩვენც! და წავიდნენ ისინიც; შენიშნა ეს რამდენიმე ახალგაზრდამ: მამაკაცები წავიდნენ, ქალები წავიდნენ, ჩვენც უნდა წავიდეთ! თანდათან ბრბო თხელდებოდა. ეს, ალბათ, საშინელება იყო. მე წარმომიდგენია, რა იქნებოდა ეს, ჩემი ქადაგების დროს რომ წამოშლილიყვნენ მსმენელები და თანდათან გასულიყვნენ. და უცებ მარტო დავრჩენილიყავი რამდენიმე ჩემს ერთგულ მეგობართან ერთად. ასე მოხდა იესოს შემთხვევაშიც. საშინელებაა! უცებ იგი მარტო დარჩა. ათასი კაცი წავიდა მისი ქადაგების დროს. მათ არ უნდოდათ მისი მოსმენა. მხოლოდ 12 მოწაფე დარჩა მასთან. მე რომ უფალი იესო ვყოფილიყავი, მე დავუწყებდი მათ ხვეწნას: „ახ, თქვენ მაინც დარჩით ჩემთან! თქვენ მაინც, ჩემო ერთგულო მეგობრებო, თქვენ მაინც ნუ დამტოვებთ!“ მაგრამ იესო სხვაგვარად მოიქცა. იცით, რას ამბობს იგი? იგი ამბობს: „და თქვენც შეგიძლიათ წახვიდეთ, თუ გსურთ!“ ღმერთის სასუფეველში არ არის ძალდატანება. ღმერთის სასუფეველი ერთადერთი საუფლოა, სადაც პოლიცია არ არის. ღმერთის საუფლო ყველაზე ნებაყოფლობითია ყველა არსებულთა შორის. „და თქვენც შეგიძლიათ წახვიდეთ, კი ბატონო!“ – ასე უთხრა იესომ თავის მოწაფეებს. მოწაფეებსაც უნდოდათ წასვლა. თუ 6000 კაცი წავიდა, მათაც შეიძლება დაბადებოდათ ასეთი სურვილი. მოწაფეები, შესაძლოა, წასულიყვნენ კიდეც, მითუმეტეს, რომ უფალმა იესომ თქვა: „კი ბატონო, მიბრძანდით!“ მან ფართოდ გაუღო კარი: „თქვენც შეგიძლიათ! თქვენც შეგიძლიათ წარწყმდეთ! როგორც გენებოთ!“ მაგრამ აქ პეტრე ჩაფიქრდა: „სადღა უნდა წავიდე? სად? შრომაში და ოფლში ვიცხოვრო, ვიცხოვრო ცოდვის ლაფში და, ბოლოს და ბოლოს, ისევ ჯოჯოხეთის კარზე აღმოვჩნდე? არავითარი აზრი არ არის!“ უცებ მისი მზერა იესოზე შეჩერდა, და მისთვის სრულიად ნათელი გახდა: აზრი აქვს მხოლოდ ერთადერთ ცხოვრებას – ცხოვრებას იესოსთან. და იგი ამბობს: „სადღა წავიდეთ ჩვენ, უფალო იესო? შენ ნაბოძები გაქვს სიტყვა მარადიული ცხოვრებისა, ჩვენ ვირწმუნეთ და შევიცანით (ხომ გესმით: ურყევი რწმენა), რომ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა. ჩვენ მხოლოდ შენთან დავრჩებით!“

მეგობრებო, მხოლოდ ასე შეიძლება მოვიპოვოთ მტკიცე რწმენა. გამოვცდით რა ცხოვრების სხვადასხვა გზებს,

ჩვენ მივდივართ დასკვნამდე: იესო ერთადერთი შანსია ჩვენი ხსნისა! ო, როგორი სურვილი მაქვს, რომ თქვენც მიგეღოთ ასეთი გასხივოსნებული ურყევი რწმენა: „ჩვენ ვირწმუნეთ და შევიცანით, რომ ქრისტე არის ძე ღმერთისა ცხოველისა“.

დასასრულ, მე მინდა კიდევ რამდენიმე სიტყვა ვთქვა სპეციალურად მათთვის, ვინც რწმენის გზაზე პირველი ნაბიჯები გადადგა, ვინც თავისი გული იესოს უბოძა, მაგრამ მაინც ამბობს: „მე არ ვარ დარწმუნებული, რომ გადავრჩები. როგორ მივაღწიო ამას? მე ჯერ კიდევ უამრავ ცოდვას ვხედავ ჩემს ცხოვრებაში!“ ამ სულებს, რომლებმაც სერიოზულად მიიღეს ცნობა გადარჩენის შესახებ, მე მინდა ვუთხრა: „ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ მტკიცე რწმენა გადარჩენისა შეიძლება მხოლოდ სრულიად უცოდველთ ჰქონდეთ? მაშინ თქვენი ადგილი ზეცაშია! იესო ქრისტეს სისხლი უკანასკნელ დღემდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მჭირდება მე ცოდვების მიტევებისათვის!“

უძღები შვილის ისტორია თქვენთვის ცნობილია. იგი დაბრუნდა შინ და თქვა: „მე შევცოდე!“ და მამამ მიიღო იგი, ნადიმი მოაწყო. ახლა მე წარმოვიდგინე ასეთი სურათი: მეორე დილით ვაჟს უნებლიედ ფინჯანი დაუვარდა იატაკზე. მას შემდეგ, რაც მან ღორებთან ამოჰყო თავი, იგი გადაეჩვია სერვირებულ მაგიდას და შემთხვევით უვარდება მაგიდიდან ფინჯანი. როდესაც იგი ხმაურით გატყდა, მან შეიგინა. როგორ ფიქრობთ, დატუქსავს და გააგდებს მას მამამისი: „გასწი! წაბრძანდი შენს ღორებთან!?“ ნუთუ თქვენ ასე თვლით? არა! პირიქით, მამა იტყვის: „ვინც შეწყნარებულია, ის შეწყნარებულია!“ იგი არიგებს მას: „შვილო ჩემო, მოდი ნუ მოვიქცევით ასე, შევეცადოთ, რომ შენ ფინჯნებს მაგიდასთან უფრო ფრთხილად მოეკიდო. არ შეიგინო და თანდათან მიეჩვიე ჩვენი სახლის წესებს!“ მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ გააბრუნებდა შვილს ისევ ღორებთან. მისმინეთ ყურადღებით: როდესაც ადამიანი თავის თავს იესოს მიუძღვნის, ის, მისდა სამწუხაროდ, რწმუნდება, რომ მისი ძველი ბუნება ჯერ კიდევ არსებობს! კიდევ არსებობს დამარცხება! მაგრამ თუ თქვენ მოქცევის შემდეგ მარცხი შეგემთხვათ, არ გაიტეხოთ მაშინვე გული, დაემხეთ მუხლებზე და ილოცეთ. უპირველესად: „უფალო, მადლობას გწირავ, რომ ჯერ კიდევ მაინც შენ გეკუთვნი!“ მეორედ: „მომიტევე და განმბანე სისხლითა შენითა!“ მესამედ: „მიხსენ ჩემი

ძველი ბუნებიდან!“ მაგრამ უპირველესად: „უფალო, მადლობას გწირავ, რომ ჯერ კიდევ მაინც შენ გეკუთვნი!“

გამიგეთ? გადარჩენის ურყევი რწმენა მდგომარეობს იმაში, რომ მე ვიცი: მე მოვედი სახლში და ახლა ვიბრძვი კურთხევისათვის, როგორც მუდმივი მაცხოვრებელი ამ სახლისა, და არა დროებითი, რომელიც ხან მოდის, ხან მიდის. როდესაც ქადაგებენ, რომ ხსნა უნდა მოიპოვო ხელახლა ყოველდღიურად, ეს საშინელებაა. ჩემს შვილებს სრულებითაც არ სჭირდებათ ყოველ დილით მოვიდნენ ჩემთან და მკითხონ: „მამა, შეიძლება ჩვენ დღესაც ისევ შენი შვილები ვიყოთ?“ ისინი ჩემი შვილები არიან! და ვინც გახდა ღმერთის შვილი, ის არის ღმერთის შვილი და ახლა როგორც ღმერთის შვილი – სიწმიდისკენ მიისწრაფის!

ამგვარად, მე თქვენ მთელი გულით გისურვებთ ღმერთის შვილთა გასხივოსნებულ ურყევ რწმენას!

არის კი ქრისტიანობა პირადული საქმე?

ხშირად შეიძლება გაიგო ასეთი გამოთქმა: „რელიგია პირადული საქმეა“! სწორია კი ეს? უმჯობესია, მოდით ვიკითხოთ: „არის კი ქრისტიანობა პირადული საქმე?“

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მე მინდოდა შემხვედრი კითხვა დამესვა. წარმოიდგინეთ ხუთმარკიანი მონეტა. რა არის მასზე გამოსახული? ხუთიანი თუ არწივი? ისიც და ისიც! ხუთმარკიან მონეტას ორი მხარე აქვს. ზუსტად ასევეა ამ კითხვასთან დაკავშირებით: „არის თუ არა ქრისტიანობა პირადული საქმე?“ პასუხი: ისიც და ისიც. არის და არც არის.

ჭეშმარიტ ცოცხალ ქრისტიანობას ორი მხარე აქვს: წმინდა პირადული და წმინდა საზოგადო. და თუ ერთი მათგანი აკლია, მაშინ რაღაც რიგზე ვერ არის!

მე მინდოდა მეჩვენებინა თქვენთვის ჭეშმარიტი ქრისტიანობის ორივე მხარე, ქრისტიანობისა, რომლის შემოქმედი არის სული წმიდა.

1. წმინდა პირადული მხარე ქრისტიანობისა

ეს რომ აგიხსნათ, მე ჯერ მოგიყვებით ერთ ისტორიას. ერთხელ მე დამარქვეს „მთხრობელი“. პასუხად ვუთხარი: „ეს ხომ სირცხვილი არ არის. მე ყოველთვის დიდად მაშინებს ის, რომ ხალხს ეკლესიაში შეიძლება დაეძინოს. და როდესაც მე შუალედებში ისტორიებს ვყვები, ისინი არ იძინებენ!“ გარდა ამისა, მთელი ცხოვრებაც ხომ ისტორიებისგან შესდგება და არა თეორიებისგან.

გასულ საუკუნეში ცხოვრობდა ერთი შესანიშნავი მქადაგებელი ჰენრიხ ფოლკენინგი. მისი ქადაგებების წყალობით ბილეფელდის გარეუბანი სრულიად გარდაიქმნა. და, აი, ერთხელ ფოლკენინგი მიიპატიჟეს ერთი მდიდარი გლეხის სახლში, რომელსაც დიდი ეზო ჰქონდა და რომელიც თავად პატიოსანი მშრომელი კაცი იყო. მაგრამ ქადაგებებს იგი გულის სიღრმემდე ვერ იტანდა. იგი არ თვლიდა თავს ცოდვილად. მას არ სჭირდებოდა ჯვარზე გაკრული ცოდვილთა მხსნელი. იგი ამბობდა: „მე მართალი ვარ და არავისი არ მეშინია.“ ერთხელ ფოლკენინგს დაუძახეს ამ გლეხთან, რო-

მელიც სასიკვდილოდ იყო გადადებული და ზიარება მოისურვა. ფოლკენინგი გაეშურა. იგი მაღალი, ტანადი კაცი იყო უჩვეულოდ გაბრწყინებული თვალებით. და, აი, ის უახლოვდება ავადმყოფის ლოგინს, დიდხანს დასცქერის მას დადუმებული, შემდეგ კი ამბობს: „ჰენრიხ, მე ძალიან ვშიშობ თქვენს გამო. თუ ყველაფერი ძველებურად დარჩა, მაშინ თქვენი გზა ზეცისკენ კი არა, პირდაპირ ჯოჯოხეთში მიდის.“ სთქვა, მოტრიალდა და წავიდა. მდიდარი გლეხი გააფთრებული მძვინვარებს: „და იგი თავისთავს პასტორს უწოდებს! განა ეს ქრისტიანული სიყვარულია?“ დგება ღამე. მძიმედ დაავადებულ გლეხს არ სძინავს. მას სინდისი ქენჯნის: „გზა ზეცისკენ კი არა, ჯოჯოხეთში! და თუ ეს სიმართლეა?“ და მას ყოველგვარი თავისი ცოდვა ახსენდება. იგი არ ეთაყვანებოდა ღმერთს. შემთხვევა რომ ჩაუვარდებოდა, იგი ძალიან ხშირად ეშმაკურად ატყუებდა ხალხს. მომდევნო ღამით იგი ნამდვილად შიშმა აიტანა. სრულიად დაკარგა სიმშვიდე, ვინაიდან უცებ დაინახა, რომ მისი ცხოვრება ცოდვებითაა სავსე, რომ იგი შორსაა ღმერთის შვილობისგან, ახლა მას ნამდვილად უნდა, რომ შეიცვალოს. სამი დღის შემდეგ იგი ისევ აგზავნის თავის ცოლს ფოლკენინგთან: „ცოლო, დაუძახე ფოლკენინგს!“ გვიანი საღამო იყო, მაგრამ ფოლკენინგმა იმ წუთშივე მოირბინა“. გლეხი დიდად შეშფოთებული ამბობს: „პასტორო! მე ვფიქრობ, რომ უნდა შევიცვალო!“ – „დიახ, – ამბობს ფოლკენინგი, – თქვენ მიხმობთ უკიდურესი გაჭირვების ჟამს, მაგრამ იძულებითი მონანიება – მკვდარი მონანიებაა! სულ სხვაგვარად უნდა იყოს.“ ამბობს, ტრიალდება და მიდის. აი, ახლა კი გლეხში ნამდვილმა მძვინვარებამ გაიღვიძა. თქვენც, ალბათ, ძალიან გაბრაზდებოდით პასტორზე, ასე არაა? ბოლოს და ბოლოს, პასტორისთვისაც უმჯობესი უნდა ყოფილიყო, რომ იგი მდიდარ გლეხს უფრო თავაზიანად დალაპარაკებოდა. ხომ ასე ჩანდა, რომ ამ ადამიანს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა. მაგრამ ფოლკენინგი იყო კაცი, რომელიც ღმერთის წინაშე იდგა და მან იცოდა, რასაც ამბობდა.

გავიდა სამი დღე. გლეხი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ის გრძნობდა, რომ მალე მოკვდებოდა! და სადღა იყო მის ცხოვრებაში სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, მრავლის დათმენა, სიკეთე, მოწყალება, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება? იგი მთელი ცხოვრება არად აგდებდა მაცხოვარს, რომელიც მისთვის მოკვდა. იგი აგდებდა მას, რომელიც თა-

ვისი სიყვარულით იდგა მის წინ. იგი ხედავს თავისთავს ჯოჯოხეთის პირას და სრულ სასოწარკვეთაში ვარდება. „ცოლო, – ეეედრება იგი, – წადი პასტორის მოსაყვანად!“ იგი შეეპასუხება: „მე მეტი აღარ წავალ! იგი შენ მაინც ვერ გიშველის!“ – „ცოლო, წადი მის მოსაყვანად! მე ჯოჯოხეთში მოვხვდები!“ და ცოლი წავიდა. როდესაც ფოლკენინგი მობრძანდა, დაინახა ადამიანი, რომელმაც გაიგო: „ნუ სტყუვდებით, შეგინებული ღმერთი არ არსებობს. რასაც დასთესს ადამიანი, იმასვე მოიმკის!“ ფოლკენინგი სკამს მიწევს ლოგინისკენ, ჯდება და ეკითხება: „ხომ სწორია, გზა ჯოჯოხეთისკენ მიდის?“ – „დიახ, ჯოჯოხეთისკენ!“ მაგრამ, აი, ფოლკენინგი ამბობს: „ჰენრიხ, წავიდეთ გოლგოთაზე! შენთვისაც მოკვდა იესო იქ!“ იგი ალერსიანი და ნაზი სიტყვებით ყვება იმაზე, თუ როგორ იხსნის ცოდვილებს იესო. მაგრამ ამისათვის ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ცოდვილნი ვართ. და უნდა ბოლო მოეღოს იმას, რომ „მე მართალი ვარ და არავისი არ მეშინია?“ ამისათვის საჭიროა აღვივსოთ ჭეშმარიტებით. მაშინ შეუძლია იესოს ჩვენი ხსნა. გლეხი უცებ შეიცნობს: „იესო ჩემთვის მოკვდა ჯვარზე! მან ჩემი ცოდვები გამოისყიდა! მხოლოდ მას შეუძლია მომცეს სამართლიანობა, რომელსაც ფასი აქვს ღმერთის წინაშე! და პირველად გლეხი გულწრფელად ლოცულობს: „ღმერთო, იყავ მოწყალე ჩემს მიმართ, ცოდვილის მიმართ! უფალო იესო, გადამარჩინე წარწყმედას ჯოჯოხეთში!“ ფოლკენინგი ჩუმ-ჩუმად მიდის. იგი სტოვებს ადამიანს, რომელიც იესოს მოუხმობს. ფოლკენინგი დამშვიდებულია, ვინაიდან ბიბლიაში სამჯერ სწერია: „ვინც მოიხმობს იესოს სახელს – გადარჩება!“ როდესაც იგი მეორე დღეს ისევ მოვიდა, მას შეხვდა ღმერთთან შერიგებული ადამიანი: „ჰენრიხ, როგორაა საქმეები? და ჰენრიხი პასუხობს: „მან შემიწყნარა მე სიყვარულით!“ მოხდა სასწაული!

ხედავთ, როგორ აღორძინდა ამაყი ადამიანი! ახლა კი დიდი ყურადღებით იყავით. ერთხელ ღამით იესოსთან მოვიდა ერთი სწავლული კაცი და უთხრა: „უფალო იესო, მე მინდოდა მეკამათა შენთან რელიგიურ თემაზე.“ იესო შეეპასუხა მას: „აქ საკამათო არაფერია! მაგრამ ვინც არ იშვა ზეგარდამო, ის ვერც ღმერთის სასუფევლის დანახვას შესძლებს!“ – „როგორ – კითხულობს ეს კაცი, – მე ხომ არ შემიძლია ისევ პატარა ბავშვი გავხდე, ხელმეორედ მოვხვდე დედაჩემის საშოში და დავიბადო!“ მაგრამ იესო თავისას არ-

იშლის: „ვინც წყლისა და ჰაერისგან არ არის ნაშობი, მას არ შეუძლია ღმერთის სასუფეველში შესვლა!“ სწორედ ამაში მდგომარეობს ქრისტიანობის პირადული მხარე: ადამიანმა ვიწრო კარიბჭეებით უნდა განვლოს გზა სიცოცხლისაკენ, იგი უნდა იშვას ზეგარდამო ღმერთის უდიდესი სასწაულის მეოხებით.

მე გესაუბრებით თქვენ არა რაღაც ნაკლებად მნიშვნელოვან თეოლოგიურ ამბებზე, არამედ სამარადისო გადარჩენის გზაზე. დამიმტკიცეთ, რომ მე სწორი არა ვარ! შესაძლოა, როდესაც თქვენ სასიკვდილო სარეცელზე იქნებით, თქვენს გვერდით არავითარი ფოლკენინგი არ იდგება. გესმით?! აღორძინებისათვის აუცილებელია ვცნოთ, რომ ღმერთი მართალია, შევიგნოთ ჩვენი თავი წარწყმედილ ადამიანად, ვაღიაროთ, რომ ჩვენი გული უკიდურესად გაფუჭებულია. აღორძინება – ეს არის ნაღვლიანობა იესოზე, სამყაროს ერთადერთ მხსნელზე. აღორძინება – ეს არის გულწრფელი მონანიება იესოს წინაშე: „მე შევცოდე ზეცისა და შენს წინაშე“ აღორძინება – ეს რწმენაა: მისი სისხლი განმწმენდს მე ყოველგვარი ცოდვისაგან. მან გამომისყიდა და მომანიჭა მე სიწმიდე, რომელსაც აქვს ძალა ღმერთის წინაშე“. აღორძინება – ეს უფლისადმი სრული მინდობაა, როდესაც სული წმიდა გიმოწმებთ თქვენ, რომ თქვენ შეწყნარებულნი ხართ. ბიბლია ამას „აღბეჭდვას“ უწოდებს. აღორძინების გარეშე თქვენ ვერ მოხვდებით ღმერთის სასუფეველში! მაგრამ ვინც ღმერთის შვილი გახდა, მან უეჭველად იცის ეს. მეგობრებო, როცა მე ვიხრჩობი და ვიღაც გამომიყვანს წყლიდან, მე ვიცი, რომ გადარჩენილი ვარ, თუ ნაპირზე ვიმყოფები და მაქვს შესაძლებლობა თავისუფლად ვისუნთქო.

გამიგეთ? ეს ქრისტიანობის პირადული მხარეა. ეს გარდასვლა სიკვდილიდან სიცოცხლეში თითოეულმა პირადად უნდა განიცადოს. ვიგონებ რა ჩემს აღორძინებას, მე ვცნობ ჩემი ცხოვრების ამ ცვლილებას, როგორც სასწაულს. მე ვცხოვრობდი ცოდვებში, ღმერთისაგან მოშორებით. მაგრამ, აი, იესო შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში, ახლა მე მას ვეკუთვნი და მინდა ჩემი ცხოვრება მას მივუძღვნა, რათა დავიცვა ხალხი წარწყმედისაგან და მოვუხმო მათ ქრისტესკენ. მე მოგიწოდებთ, არ დაწყნარდეთ მანამ, სანამ არ მიაღწევთ აღორძინებას და არ დარწმუნდებით, თუ რა ღრმა აზრია ამაში – ეკუთვნოდე იესოს და იცოდე ნამდვილად, რომ თქვენ

მისი მონაპოვარი ხართ, ხოლო ის – თქვენი. მაგრამ აღორძინება – არ არის საბოლოო ეტაპი პირადული ქრისტანობისა, იგი მხოლოდ დასაწყისია. ამის შემდგომ ქრისტიანობის პირადული მხარე გრძელდება.

მე მინდა დაგიდასტუროთ, რომ როდესაც მე ავღორძინდი, ვიგრძენი: „ახლა მე, აუცილებლად, ყოველდღე უნდა მოვისმინო ჩემი მეგობრის ხმა!“ და მე დავიწყე ბიბლიის კითხვა. დღევანდელ დღეს კი ბიბლიას მხოლოდ პასტორი კითხულობს. ჩემი სახლის გვერდით სკვერია. მე სიამოვნებით გავდივარ იქ ყოველ დილით ბიბლიის წასაკითხად, ამასთანავე დავსეირნობ წინ და უკან. ახლო-მახლო მცხოვრებთ ყოველთვის შეუძლიათ იქ ჩემი ნახვა. ამასწინათ ერთმა მათგანმა მითხრა: „მე ყოველთვის თვალყურს გადევნებთ, როდესაც თქვენ ლოცვანს კითხულობთ“. ლოცვანს კათოლიკური მღვდლები კითხულობენ. მას არც კი შეეძლო წარმოედგინა, რომ მე ვკითხულობ წიგნს, რომლის წაკითხვა ზუსტად ასევე შეუძლია ნებისმიერ ერისკაცს. ბიბლია ხომ ყველას შეუძლია იკითხოს!

როდესაც მე, ჩემს ესენელ ახალგაზრდებთან ერთად, მივდიოდი სადმე დროის გასატარებლად, ჩვენ ყოველდღიურად, საუზმის წინ ვიკრიბებოდით თხუთმეტი წუთით, ჯერ ჰიმნს ვმღეროდით ამის მაგვარს: „... ძილისაგან აღმდგარი, შენ წინაშე წარმოვდეგ ჩემო შემოქმედო...“, და ლექსს ბიბლიიდან ლოცვა-კურთხევისათვის, შემდეგ კი რომელსამე ტექსტს ვთავაზობდი ბიბლიიდან, თითოეული ჯდებოდა განმარტოებულ ადგილას თავისი ბიბლიით, რათა პირადად თვითონ წაეკითხა იგი. ის, ვინც ირწმუნა და დაიწყო თავისი ცხოვრება ქრისტესთან ერთად, ასევე იქცევა სახლშიც, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ ისე იცხოვრონ, რომ არ მოისმინონ თავისი მწყემსი კეთილის ხმა და არ დაელაპარაკონ მას.

ახლა კი მე გთხოვთ თქვენც: გამოაცოცხლეთ თქვენი პირადული ქრისტიანული ცხოვრება და დაიწყეთ ახალი აღთქმის კითხვა! გამოჰყავით საამისოდ თხუთმეტი წუთი დილით ან საღამოს!

ხოლო დახურავთ თუ არა სახარებას, და ხელებს დაიჭდობთ სალოცავად, თქვით: „უფალო იესო, ახლა მე მსურს დაგელაპარაკო შენ. დღეს მე ბევრის გაკეთება მომიხდება. დამეხმარე! დამიცავ ჩემი საყვარელი ცოდვებისგან! მომანიჭე მე სიყვარული მოყვასისადმი! მომანიჭე მე სულიწმიდა!“ ილოცეთ! ესაუბრეთ იესოს! ის აქაა! იგი გისმენთ თქვენ!

როდესაც ქრისტიანი მიმართავს ლოცვით ღმერთს, ესეც ცოცხალი ქრისტიანობის სრულიად პირადულ მხარეს მიეკუთვნება.

ამასწინათ მე ვუთხარი ერთ კაცს, რომელმაც ირწმუნა: „თქვენ გჭირდებათ ყოველდღიურად, თუნდაც თხუთმეტი წუთი, ესაუბროთ იესოს.“ რაზედაც იგი შემეპასუხა: „მისმინეთ, მე ხომ არა ვარ პასტორი, რომელსაც დრო აქვს საამისოდ. მე ხომ დიდად დაკავებული კაცი ვარ;“ – „აჰა! ე. ი. თქვენ დრო არ გყოფნით?“ – შევეკითხე მე. როდესაც მან ეს დამიდასტურა, მე განვაგრძე: „აი, ხედავთ! ეს ხდება იმიტომ, რომ თქვენ გაკლიათ ის ჩუმი თხუთმეტი წუთი ლოცვისა. როგორც კი თქვენ მიეჩვევით იესოსთან საუბარს დილაობით, მუდმივად სახარების კითხვას და ლოცვას, თქვენ შენიშნავთ, რომ საქმეებს იოლად გაართმევთ თავს. რაც უფრო ბევრი საქმე გაქვთ, მით უფრო გჭირდებათ ეს თხუთმეტი წუთი. მოგვიანებით, შესაძლებელია, როდესაც თქვენ გადაწყვეტთ ყველა თქვენთვის ამაღელვებელი საკითხი გაუზიაროთ უფალს, თხუთმეტი წუთი გადაიქცევა ნახევარსაათად, და თქვენ უცებ იგრძნობთ, რომ საქმეები უკეთ მიდის. ამას მე საკუთარი გამოცდილებით ვამბობ. ხანდახან მეც ასე მაქვს: ვერ მოვასწრებ ლოგინიდან ადგომას, რომ დარეკავს ტელეფონი. შემდეგ გაზეთი – და ისევ ტელეფონი. ამასობაში კი ჩემთან ვიღაც მოვიდა. და მაშინ მე მთელი დღე აფორიაქებული ვარ, არაფერი გამომდის. და უცებ, მე ვიხსენებ: მე ხომ არ მისაუბრია ჯერ იესოსთან, და მასაც არ მივეცი სიტყვის ამოღების საშუალება! როგორღა შეიძლება, მე წარმატება მსდევდეს?

გესმით, ურთიერთობა იესოსთან პირისპირ, მყუდროებაში, მიეკუთვნება ქრისტიანული ცხოვრების მხოლოდ სრულიად პირადულ მხარეს.

გარდა ამისა, ქრისტიანული ცხოვრების სრულიად პირადულ მხარეს ეკუთვნის კიდევ ისიც, რომ ყოველდღიურად უნდა გააკრა ჯვარზე შენი ხორცი და შენი სისხლი. ჩემი ცხოვრების მანძილზე მე ბევრჯერ მისაუბრია ხალხთან, და, არსებითად, ყოველი ადამიანი რაღაცაზე ჩიოდა. ცოლები თავის ქმრებზე ჩიოდნენ. ქმრები თავის ცოლებზე ჩიოდნენ, მშობლები თავის შვილებს უჩიოდნენ, შვილები თავის მშობლებზე ჩიოდნენ. თითოეული ცდილობდა თავის უბედურებაში მეორე გაემტყუნებინა. მაგრამ დამიჯერეთ, თუ თქვენ შესძლებთ გამოძებნოთ ეს ჩუმი თხუთმეტი წუთი, უფალი გაგიმხელთ, რომ ყველა უბედურების მიზეზი თქვენშივეა. თქვენი

ოჯახური ცხოვრება არ აეწყო იმიტომ, რომ თქვენ ცხოვრობთ არა ღმერთის ნებით. თქვენ წარუმატებლობა გაქვთ სამსახურში იმიტომ, რომ თქვენ იქცევით არა ღმერთის კარნახით. ქრისტიანებმა უნდა ისწავლონ თავისი ბუნების ყოველ დღე ჯვარზე მილურსმვა.

მინდა შემდეგი მოგითხროთ: მე ახლახან დასვენების რვა დღე გავატარე ახალგაზრდების ჯგუფთან ესენიდან. უჩვეულოდ კარგი იყო. ყველანი ისეთი ბედნიერნი ვიყავით, რომ გამოხატვაც ძნელია. ყველაფერი დალოცვილი იყო. მაგრამ როდესაც ჩვენ ბოლო დღეს შევიკრიბეთ სერობაზე, ბევრმა უცებ დაიწყო ერთმანეთში პატიების თხოვნა. მეც მივედი სამ მათგანთან და პატიება ვთხოვე იმის გამო, რომ ამასწინათ უკმეხად მოვიქეცი. შემეპასუხნენ: „მაგრამ თქვენ ხომ სწორი იყავით!“ მე კი მაინც პატიებას ვითხოვდი. გესმით, ჩემთვის არ იყო ადვილი 20 წლის ბიჭების წინაშე თავი დამემცირებინა, მაგრამ მე ვერ მოვისვენებდი, სანამ ამას არ გავაკეთებდი.

როდესაც თქვენ წყნარ სიმყუდროვეში იესოსთან გექნებათ ურთიერთობა, თქვენ ისწავლით თქვენი ბუნების ყოველდღე მილურსმვას ჯვარზე. მაშინ თქვენ კარგად იგრძნობთ თავს და სულის სიმშვიდე მოგეფინებათ. ეს ეკუთვნის ქრისტიანული ცხოვრების სრულიად პირადულ მხარეს. მაგრამ თუ თქვენთვის ეს ყველაფერი უცნობია, ნუ შეწყვეტთ ქრისტიანებად იწოდებოდეთ.

იცით, ხშირად, ქუჩაში რომ მივდივარ, ვფიქრობ: ყველა შემხვედრი ადამიანი თავის თავს ქრისტიანს უწოდებს, თითქმის ყველა იხდის საეკლესიო გადასახადს, მაგრამ ახლა რომ ვინმე გამეჩერებინა და მეკითხა: „ბოდიში! თქვენ ქრისტიანი ბრძანდებით? – მიპასუხებდნენ: „რა თქმა უნდა, მე ხომ მუსულმანი არა ვარ!“ მაგრამ მე რომ მეკითხა: „მისმინეთ, გქონიათ თქვენ უძილო ღამეები იმ სიხარულის გამო, რომ თქვენ ქრისტიანი ხართ?“ – მაშინვე მომახლიდნენ, რომ მე ჩემს ჭკუაზე არა ვარ. და, აი, შედეგი: ქრისტიანობა სიხარულის გარეშე. უკიდურეს შემთხვევაში ქრისტიანები გამოთქვამენ თავის უკმაყოფილებას საეკლესიო გადასახადების გამო, მაგრამ სიხარულის კვალიც არ არის. მაგრამ აღორძინების მომენტში თქვენ გაიგებთ, რას ნიშნავს სიტყვები: „ყოველსა ჟამსა გიხაროდენ უფლისა გამო“. და კიდევ ვამბობ: „გიხაროდენ!“

ჩემო მეგობრებო, ამასწინათ მე ჩემს ყმაწვილებთან

ერთად წავიკითხე შესანიშნავი სიტყვები ბიბლიიდან: „და აღმოგიბრწყინდეს თქუენ მოშიშთა სახელისა ჩემისათა მზე სიმართლისა, – ეს კი იესოა, – და კურნებაჲ შორის ფრთეთა მისთა.“ რა შესანიშნავია ეს! და იცით კი თქვენ, რა წერია შემდეგ? შემდეგ წერია: „... და გამოხვიდეთ და სტულობდეთ და ჰკრთებოდით, ვითარცა ზუარაკნი ხსნილნი საკრველთაგან.“ მე იშვიათად შემხვედრია ქრისტიანები, რომლებიც, ხარობენ რა იესოს გამო, „სტულობდნენ და ჰკრთებოდნენ, ვითარცა ზუარაკნი ხსნილნი საკრველთაგან“. რაშია საქმე, რატომ არ ძალგვიძს ჩვენ ასე გავიხაროთ? საქმე ისაა, რომ ჩვენ სრულებით არა ვართ ჭეშმარიტი ქრისტიანები! მე მახსენდება ჩემი საყვარელი დედა. ის ყოველთვის ხარობდა უფლისა გამო. მახსენდება კიდევ ბევრი სხვა გახარებული ქრისტიანი, რომლებიც შემხვედრია ცხოვრებაში. სიბერის დადგომასთან ერთად მე თვითონ მინდა სულ უფრო მეტი და მეტი სიხარული განვიცადო უფლისა გამო. მაგრამ ამისათვის ქრისტიანობა უნდა სერიოზულად მივიღოთ, და არა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ზედაპირული ქრისტიანობით!

ამგვარად, ეს ქრისტიანობის ერთი მხარეა. არის თუ არა ქრისტიანობა პირადული საქმე? დიახ, არის, რა თქმა უნდა!

მაგრამ, აი, განვიხილოთ ხუთმარკიანი მონეტის მეორე მხარე. ჭეშმარიტ ცოცხალ ქრისტიანულ მდგომარეობას აქვს კიდევ მეორე მხარეც, რომელიც ყველა ადამიანისთვის თვალსაჩინოა.

2. ქრისტიანობა – საზოგადო საქმე

ქრისტიანობის საზოგადო მხარე საზოგადოებასთან ქრისტიანების შეერთებაში მდგომარეობს. ის, რასაც ახლა მე ვიტყვი, მეტად მნიშვნელოვანია: ჭეშმარიტი ქრისტიანები უერთდებიან მათ, ვისაც აგრეთვე უნდათ, რომ გადარჩენილები იყვნენ.

ყოველ კვირას იმართება ღვთისმსახურება. თქვენ რატომ არ ესწრებით მას? „მე რადიოთი ვისმენ ღვთისმსახურებას“ – უპასუხებთ თქვენ. მე არ ვლაპარაკობ აქ ავადმყოფებზე, დე, დასტკბნენ ისინი რადიოთი ღმრთისმსახურების მოსმენით. მაგრამ თუ თქვენ არ გიზიდავთ ნამდვილი ღვთისმსახურება, ქრისტიანთა კრება, თქვენი სულიერი მდგომარეობა უკიდურესად სავალალოა.

ქრისტეს დაბადებიდან მესამასე წელს, და ე. ი. ძალიან,

ძალიან დიდი ხნის წინ, დიდი რომის იმპერიის იმპერატორი იყო საოცარი კაცი, სახელად დიოკლეტიანე. ოდესღაც იგი მონა იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც თავისულება მოიპოვა, მან წარმატებული კარიერა გააკეთა და, ბოლოს და ბოლოს, რომის იმპერატორი გახდა. იმ დროისათვის ქრისტიანობა უკვე ფართოდ იყო გავრცელებული. იმპერატორმა დიოკლეტიანემ კარგად იცოდა, რომ მისი წინამორბედები ქრისტიანებს სდევნიდნენ. მაგრამ იგი არ იყო იმდენად სულელი, რომ საუკეთესო ადამიანების დევნა დაეწყო. დე, ირწმუნოს ხალხმა ის, რაც უნდათ. ეს იყო იმპერატორის საკმაოდ იშვიათი, მაგრამ სავსებით კეთილგანწყობილი პოზიცია, ვინაიდან მმართველებს, ჩვეულებრივ, ადამიანების მრწამსის მართვაც სურთ. მაგრამ იმპერატორ დიოკლეტიანეს ჰყავდა ახალგაზრდა თანამმართველი სახელად გალერიუსი. იგი მისი მემკვიდრე უნდა გამხდარიყო. ამ გალერიუსმა ერთხელ უთხრა დიოკლეტიანეს: ერთი მისმინე, დიოკლეტიანე, თუ ქრისტიანები გაიმარჯვებენ, დიდი გაუგებრობა მოხდება. ისინი მუდამ თავის მეფეზე, იესოზე ლაპარაკობენ. ჩვენ რაღაც უნდა ვიღონოთ მათ წინააღმდეგ!“ „ოხ. – შეეპასუხა დიოკლეტიანე, – გამანებე თავი! ჩემი წინამორბედნი 250 წელი სდევნიდნენ ქრისტიანებს და ვერ მოერივნენ მათ. მეც ვერაფერს გავხდები ამათთან“. ძალიან გონივრული ნათქვამია. მაგრამ გალერიუსი არ ეშვებოდა და თავს აბეზრებდა: „მაგრამ ქრისტიანები განსაკუთრებული ხალხია. ისინი ამბობენ, რომ მათ ჰყავთ სული წმიდა, რომელიც სხვა ხალხებს არა ჰყავთ, და რომ ისინი წმინდანები არიან, დანარჩენები კი – არა, ეს ქედმაღალი ხალხია. შენ რაღაც უნდა იღონო მათ წინააღმდეგ!“ მაგრამ დიოკლეტიანემ კვლავ უარი თქვა ქრისტიანების დევნაზე. გალერიუსი კი გამუდმებით უზუზუნებდა მას, სანამ დიოკლიტიანე არ დანებდა: „კარგი, ჩვენ ავკრძალავთ მხოლოდ ქრისტიანულ შეკრებებს.“ და ასე, გამოიცა დეკრეტი: „ყოველ მოსურნეს შეუძლია იყოს ქრისტიანი. მაგრამ ქრისტიანებს ეკრძალებათ შეკრებების ჩატარება. აკრძალვის დარღვევისათვის – სიკვდილით დასჯა“. ყველას შეეძლო ყოფილიყო ქრისტიანი მხოლოდ პირადად თავისთვის, ასე ვთქვათ, ეს პირადული საქმეა, მაგრამ მათ შეკრება ეკრძალებოდათ! მაშინ ქრისტიანთა უხუცესები სათათბიროდ შეიკრიბნენ: „რა ვქნათ? შესაძლოა, ღირდეს დათმობა? ყოველ ადამიანს ხომ შეუძლია სახლში გააკეთოს ის, რაც უნდა. იქ მას არავინ არაფერს დაუშავებს“. და, აი,

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ დევნის დროს მცხოვრებმა ქრისტიანებმა გადაწყვიტეს: „შეკრება საჭიროა ლოცვისათვის, გალობის, ქადაგების, საღმრთო წერილის მოსმენისა და მსხვერპლისათვის. ეს უბრალოდ განუყოფელია ქრისტიანობისაგან. ჩვენ განვაგრძობთ შეკრებას!“ მათ შემდგომაც გააგრძელეს შეკრება თავის თემებში. გალერიუსი ზეიმობდა: „ხედავ, დიოკლეტიანე! ისინი სახელმწიფო დამნაშავენი არიან? ისინი მაინც ურჩობენ!“ და დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დევნა ქრისტიანებისა.

ბევრმა მაშინ დასთმო, და ასე ამბობდნენ: „სახლშიაც ხომ შეიძლება იყო ქრისტიანი! ჩვენ არ წავალთ შეკრებებზე!“ – და შეინარჩუნეს სიცოცხლე. მაგრამ ქრისტიანულმა თემმა ისინი მოიკვეთა. „ვინც არ დადის ქრისტიანულ შეკრებაზე, ის მოკვეთილია“. ეს ღირს, რომ უთხრა თანამედროვე ქრისტიანებს. მათ შორის ბევრია ასეთი მოკვეთილი. სწორი იყვნენ იმ დროის ქრისტიანები, რომ არ დაემორჩილნენ იმპერატორის დეკრეტს! ბიბლიაში ნათლად წერია: „ნუ მიატოვებთ თქვენ შეკრებებს, როგორც ეს ზოგიერთებს სჩვევიათ!“ ახლა უნდა ითქვას: „როგორც სჩვევია თითქმის ყველას!“ სწორედ ამიტომ მე გთხოვთ ყველას, ვისაც გინდათ, ხსნა მიიღოთ, შეუერთდით მათ, ვისაც ქრისტიანად ყოფნის სერიოზული სურვილი აქვს! ურთიერთობის ასეთი შესაძლებლობები ბევრია. არის საეკლესიო თემები. არის საშინაო ბიბლიური წრეები. არის საზოგადოებრივი მოძრაობები, ახალგაზრდული წრეები. მე თქვენ დაბეჯითებით გთხოვთ, ეძებეთ ურთიერთობები! ერთმა ფრანგმა როგორღაც მითხრა: „ერთნი დიდი სიამოვნებით ქაშაყს მიირთმევენ, სხვები სიამოვნებით დადიან ეკლესიაში“. მაგრამ საქმე ბევრად უფრო სერიოზულადაა: ერთნი ჯოჯოხეთში მიდიან, ხოლო სხვები ქრისტიანებს უერთდებიან. აი, სინამდვილეში როგორაა საქმე! და თუ თქვენ ნამდვილად გსურთ მისდიოთ იესოს, მიდით თქვენს პასტორთან და ჰკითხეთ, ვის ჯობს რომ შეუერთდეთ, სად უფრო მეტს შეიტყობთ იესოს შესახებ. და წადით იქ, სადაც თქვენ ნამდვილად შეიტყობთ მაცხოვარზე! ყველგან არიან ადამიანები, რომლებსაც უყვართ უფალი იესო. შესაძლოა, ისინი ბევრნი არ არიან. შესაძლოა, ეს ხანდახან უცნაური ხალხიცაა. მაგრამ თქვენი ქრისტიანული მდგომარეობა მკვდარია, თუ თქვენ არ გექნებათ ურთიერთობა ქრისტიანებთან!

ქრისტიანთა ჭეშმარიტი ურთიერთობისათვის დამახასი-

ათებელია: უპირველესად – გალობა, მეორე – საღმრთო წერილის მოსმენა, მესამე – ლოცვა, მეოთხე – შეწირულობა. ყოველივე ეს ქრისტიანულ შეკრებას მიეკუთვნება. ასე იქცეოდნენ პირველი ქრისტიანები. ეს არის გამოვლინება ცხოვრებისა, რომელიც ღმერთისაგან მომდინარეობს. ჭეშმარიტი ქრისტიანობა მხოლოდ იქაა, სადაც ურთიერთობაა. ბიბლიაში კიდევაც ნათქვამია: „ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ გარდავედით სიკვდილიდან სიცოცხლეში, ვინაიდან სიყვარული გვაქვს ძმათა“ ეს კი ნიშნავს: ვისაც სხვა ქრისტიანებისკენ გული არ მიუწევს, ის ჯერ კიდევ მკვდარია სულიერად!

მე დღემდე არ შემიძლია დავივიწყო ჩემი როგორც პასტორის მსახურების დასაწყისი ბილეფელდში, სადაც ერთერთ ოლქში მე მქადაგებლის თანაშემწე ვიყავი. მხოლოდ ცოტანი იკრიბებოდნენ მსახურებაზე საეკლესიო დარბაზში. მაგრამ, აი, ღმერთის ნებით, ერთ-ერთ შაბათ საღამოს მე მქონდა შესაძლებლობა მესაუბრა მუშათა კლუბში ღამის პირველ საათამდე. ღამის პირველ საათზე კლუბის პატრონმა ჩვენ ქუჩაში გამოგვაგდო. წვიმა მოდიოდა. პირველად ჩემს ირგვლივ შემოიკრიბა დაახლოებით 100 კაცი – ჩემი ოლქის ფაბრიკის მუშები. ჩვენ ფარანის ქვეშ ვიდექით. ისინი მეკითხებოდნენ, მე ვპასუხობდი. ჩვენ ვსაუბრობდით იესოზე, რომ იგი სხვა სამყაროდან მოვიდა. ჩვენ ვსაუბრობდით იმის შესახებ, რომ ისინი უბედურნი არიან, რომ ტყუილია, თითქოს მათ ცოდვები არ ჰქონდეთ და რომ საერთოდაც, მათ სწამთ მარადიულობისა და ღმერთის სამსჯავროს არსებობა. ღამის ორ საათზე მე ვთქვი, რომ სახლში მივდივარ. ხვალ დილით, ათის ნახევარზე, მე ღმერთისმსახურება უნდა ჩავატარო. „მე ვიცი, რომ თქვენ სიამოვნებით მოხვიდოდით, ერთმანეთის რომ არ გეშინოდეთ“. – ვუთხარი მე მათ. ესენი ვესტფალელები იყვნენ. ჩემს წინ იდგა მუშა, მაშინ 35 წლისა იყო, ნამდვილი ვესტფალელი გახლდათ. „განა მე ვინმესი მეშინია? – მომიგო მან. – ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია!“ მაგრამ მე მას შევეპასუხე: „დაწყნარდი, მეგობარო, ორშაბათს შენ ფაბრიკაში სასაცილოდ აგიგდებდნენ, კვირას რომ ეკლესიაში მოსულიყავი. ამისა კი შენ გეშინია!“ – „არ მეშინია!“ – კიდევ ერთხელ მომიჭრა მან. მაგრამ როდესაც მე ისევ ეჭვი გამოვთქვი, მან მითხრა: „კარგი! მე ხვალ დილით მოვალ სასულიერო ჰიმნების კრებულით!“ კვირა დილით, ე. ი. ჩვენი საუბრიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ეს ვესტფალელი მოდის ქუჩაში ღმერთისმსახურებაზე სასულიერო სიმღერების

კრებულით ხელში. ამ კვარტალში ყველა ერთმანეთს იცნობდა. ორშაბათს საღამოს იგი მოდის ჩემთან და მეუბნება: „თქვენ მართალი იყავით, ფაბრიკაში მე კარგად მომხვდა იმის გამო, რომ მე ეკლესიაში ვიყავი! მე ვიცი, როგორი ტერორი სუფევს ჩვენთან: ჩვენ თავისუფლებაზე გავკივით, თავად კი საცოდავი მონები ვართ. მაგრამ მე მაინც ჩემს აზრზე დავრჩი. ახლა მომიყევით უფრო მეტი იესოზე!“ იგი გახდა ჩემი პირველი, გულწრფელად მომნანიებელი მრევლთაგანი.

გესმით, ყველაფერი დაიწყო იმით, რომ იგი მოვიდა პატარა ღარიბი თემის ღმერთისმსახურებაზე. და, აი, როდესაც ერთმა გაბედა, სხვებმაც დაიწყეს მოსვლა. კედელი გაირღვა. შემდეგ ღმერთმა კიდევ ბევრი აკურთხა. მაგრამ მე თვალში მომხვდა ის, რომ ამ მუშებს სჭირდებოდათ ნებისყოფა, რათა მოსულიყვნენ ჩვენთან, ქრისტიანებთან საურთიერთობოდ.

მე გემუდარებით თქვენ – თქვენი სულების გადასარჩენად – შეუერთდით ქრისტიანულ თემებს. მე არა ვარ ეკლესიის და პასტორების ან თემებისა და მათი მმართველი ძმების პროპაგანდისტი, მაგრამ საუბარია, პირველ რიგში, თქვენს ხსნაზე!

და მეორე, რაც ჭეშმარიტი ქრისტიანობის საზოგადო მხარეს მიეკუთვნება: რომ ჩვენ ჩვენთა ბაგეთაგან უნდა ვაღიაროთ იესო ქრისტეს წინაშე.

ჩვენ მოვხვდით უცნაურ სიტუაციაში: ვფიქრობთ, რომ თუ ჩვენ საეკლესიო გადასახადი გადავიხადეთ, მაშინ სახარების გავრცელების საქმეს პასტორს ვანდობთ, დანარჩენი კი ჩვენ არ გვეხება. როგორ მინდა ხანდახან, რომ შეწყდეს საერთოდ ამ საეკლესიო გადასახადების შეგროვება, რომ ქრისტიანებმა, ქრისტეს მოწაფეებმა, იცოდნენ, რომ სახარების გავრცელება არა მხოლოდ პასტორის საქმეა, არამედ მათიც, იმისათვის, რომ იესოს სახელის შესახებ იცოდნენ ყველგან, სადაც კი ჩვენ ვიმყოფებით: წარმოებებში, სკოლებში, დაწესებულებებში. დაგიდასტურებიათ კი თქვენ ოდესმე იმის შესახებ, რომ იესო ნამდვილად ცოცხალია, რომ ბილწსიტყვაობა ცოდვაა, რომ უწმაწური ანეგდოტების მოყოლა სამარცხვინოა ღმერთის წინაშე? დაგიდასტურებიათ კი ოდესმე იმის შესახებ, რომ თქვენ იესოს ეკუთვნით? ხალხი აუცილებლად ყურს მიუგდებდა. მე უნდა გითხრათ, რომ სანამ ჩვენ არ გვყოფნის ვაჟკაცობა ვცნოთ ჩვენი მაცხოვარი, მანამდე ჩვენ საერთოდ არა ვართ ჭეშმარიტი ქრისტიანები!

მისმინეთ ყურადღებით, იესო ამბობს: „...ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემის ზეცათაჲსა. და რომელმან უარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“.

რა საშინელება იქნება, როდესაც ერთხელ, განკითხვის დღეს, ისინი ქრისტიანებს რომ უწოდებდნენ თავისთავს, წარსდგებიან და იტყვიან: „უფალო იესო! მეც მწამდა შენი!“ იესო კი ეტყვის მამა-ღმერთს: „მე არ ვიცნობ მათ!“ – „უფალო იესო, მე ხომ ვიყავი...“ – „მე არ გიცნობ შენ! შენმა მეზობელმა არ იცოდა იმის შესახებ, რომ მიდიოდა ჯოჯოხეთში მიმავალი გზით! შენ იგი არასოდეს გაგიფრთხილებია, თუმც შენ იცოდი ცხოვრებაში მიმავალი გზა! შენ სდუმდი ამა სოფლის ადამიანებთან საუბრის დროს, როდესაც უნდა გაგეღო პირი და გეღიარებინა მაცხოვარი!“ თქვენ, უთუოდ, შემეპასუხებით: „კი მაგრამ მე თავად ვიყავი სუსტი რწმენაში!“ მაშინ უფალი იესო პასუხობს: „ასეთ შემთხვევაში, შენ უნდა აღიარო შენი სუსტი რწმენა! სუსტ რწმენასაც ჰყავს ძლიერი მხსნელი! სხვათა შორის, შენ შეგეძლო გეღიარებინა არა შენი რწმენა, არამედ იესო! მე არ გიცნობ შენ! „ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა. და რომელმან უარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“, – ეს თქვა იესომ, ის კი არ სტყუის! როდისღა გაჩნდება ჩვენში ვაჟკაცობა, რომ პირი გავაღოთ?

უნდა მოგიყვეთ კიდევ ერთი ისტორია. რამოდენიმე კვირის წინ მე ვქადაგებდი რურის ოლქის ერთ-ერთ ქალაქში. კრებების ორგანიზატორად იყო ერთი ახალგაზრდა ოსტატი – ავტომობილისტი, ჩემი მეგობარი გუსტავი. ეს გუსტავი გახდა ხალისიანი და სრულუფლებიანი მოწმე იესოსი იმიტომ, რომ გადამწყვეტ მომენტში ისწავლა იესოს აღიარება. ორშაბათს დილით სახელოსნოში ყველა თავის საძაგელ თავგადასავლებზე ყვება. ერთი ამბობს იმაზე, თუ რა უმსგავსოდ დათვრნენ, მეორე ყვება თავის ოინებზე საეჭვო ქალიშვილებთან. „და შენ სად იყავი გუსტავ?“ – ჰკითხეს მას, მაშინ ჯერ კიდევ მოწაფეს. „მე დილით ღმერთისმსახურებაზე ვიყავი, – უპასუხა მან, – ხოლო სადილის შემდეგ მე ვეწვიე ახალგაზრდულ წრეს პასტორ ბუშთან“. და წამოვიდა ყოველი მხრიდან დაცინვები, ისე რომ, პატარა მოწაფე სულ

დაიბნა. და აი, აქ, როდესაც მისი მეგობრები ოსტატთან ერთად მასხრად იგდებდნენ მას, იგი უცებ აღშფოთდა, და გაიფიქრა: „რატომაა, რომ ქრისტიანობაში სისაძაგლის აღიარება შეიძლება,ხოლო მაცხოვრისა არა?!“ იმ წუთიდან მან გადაწყვიტა იესოსკენ გადმოებირებინა სახელოსნოს თანამშრომლები. დაიწყო თავისი თანამოწაფეებიდან, უთხრა ზოგიერთ მათგანს, რომ ისინი პირდაპირი გზით ჯოჯოხეთში მიდიან, და მიიპატიჟა ისინი ახალგაზრდულ წრეში, სადაც შეიძლებოდა ქრისტეზე საუბრის მოსმენა. როდესაც გამოსაშვები გამოცდების შემდეგ იგი ოსტატი გახდა, სახელოსნო სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. მე პირადად დავრწმუნდი ამაში. ყველა მოწაფე იყო ჩვენი ახალგაზრდული წრის მონაწილე. ვერავინ ვერ ბედავდა სახელოსნოში უწმაწური ანეგდოტების მოყოლას. თუ რომელიმე ახალბედა შეეცდებოდა ბინძური საუბრის წამოწყებას, მას აჩერებდნენ: „დამუწე პირი! გუსტავი მოდის!“ ყველა მოწიწებით ეპყრობოდა მას. ახლა იგი შესანიშნავ ადგილზეა – დიდ ავტოსახელოსნოს ხელმძღვანელობს. ასე დალოცა იგი ღმერთმა ფიზიკურადაც.

მე ერთხელ კიდევ ვკითხულობ: „სადღაა, ბოლოს და ბოლოს, ის ქრისტიანები, რომლებსაც ეყოთ ვაჟკაცობა გაელოთ პირი და ეღიარებინათ იესო?!“ რა ზომითაც ჩვენ ამას ჩავდივართ, იმ ზომით ვიზრდებით სულიერადაც! არის კი ქრისტიანობა პირადული საქმე? არა! ჩვენ უნდა დავადასტუროთ ამა სოფლის წინაშე იესოს შესახებ. შეწყვიტეთ თქვენი საცოდავი დუმილი! სხვაგვარად იესო ზურგს შეგაქცევთ ჟამსა მას შინა!

როდესაც, მესამე რაიხის წლებში, 16-17 წლის ახალგაზრდა ბიჭებს მასობრივი წესით იწვევდნენ ჯარში, მე თითოეულ მათგანს პატარა ბიბლიას ვჩუქნიდი და ვამბობდი: „იყავით ყურადღებით! როდესაც თქვენ თქვენს სამსახურს შეუდგებით, პირველსავე საღამოს დაიდეთ თქვენი ბიბლია მაგიდაზე, გადაშალეთ ის ყველას თანდასწრებით და იკითხეთ. ამას მოჰყვება აღშფოთების ტალღა. მაგრამ მეორე დღეს თქვენ გაიმარჯვებთ. თუ თქვენ ამას პირველსავე დღეს არ გააკეთებთ, თქვენ ვერასოდეს იზეიმებთ გამარჯვებას. და ბიჭები სწორედ ასე იქცეოდნენ. პირველსავე დღეს იშლებოდა ბიბლია მაგიდაზე. „რას კითხულობ შენ მანდ?!“ – „ბიბლიას!“ ეს მართლაც ყოველ ჯერზე ისე მოქმედებდა, როგორც ხელყუმბარის აფეთქება, ვინაიდან გერმანულ ქრის-

ტიანობაში შეიძლება ყოველგვარი სიბინძურე წაიკითხო, მხოლოდ არა ბიბლია. ჩემს მეგობარ პაულს, რომელიც, სამწუხაროდ, დაიღუპა, ისე მოუხდა, რომ როდესაც მან მეორე დილით თავისი კარადა გააღო, ბიბლია იქ აღარ დახვდა. მან მიმოიხედა, ყველამ ჩაიღიმა. „თქვენ მომპარეთ ჩემი ბიბლია? – იკითხა მან. – სად წაიღეთ იგი?“ – „ის ობერფელდმაისტერთანაა!“ და იგი მიხვდა, რომ მას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მოუწევს. საღამოს იგი განმარტოვდა მყუდრო ადგილას და ილოცა: „უფალო იესო, მე აქ მარტოხელა ვარ, მე მხოლოდ 17 წლისა ვარ. გეევედრები, არ დამტოვო! დამეხმარე დაგემოწმო შენ!“ ამის შემდეგ იგი მიდის ობერფელდმაისტერთან და უკაკუნებს მას. „მობრძანდით“ – ესმის მას.

ობერ-ფელდმაისტერი ზის საწერ მაგიდასთან, რომელზედაც პაულის ბიბლია დევს. „რა გინდა?“ – „ბატონო ობერ-ფელდმაისტერო, დამიბრუნეთ, თუ შეიძლება, ჩემი ბიბლია. ის მე მეკუთვნის!“ იგი იღებს ბიბლიას, ფურცლავს მას: „ე. ი. შენ გეკუთვნის? განა შენ არ იცი, რომ ეს ძალიან საშიში წიგნია?“ – „დიახ, ზუსტად ასეა, ბატონო ობერ-ფელდმაისტერო, ეს მე ვიცი. ბიბლია საშიშია მაშინაც, როდესაც ის კარადაშია ჩაკეტილი. მაშინაც კი იგი შეშფოთებას იწვევს!“ ობერ-ფელდმაისტერი დგება: „აბა, დაჯექი!“ და მაშინ იგი აღიარებს: „იყო დრო, როდესაც მე მსურდა თეოლოგიის შესწავლა“ – „ე. ი. ბატონი ობერ-ფელდმაისტერი განუდგა რწმენას?“ – იკითხა პაულმა. შემდეგ გაიმართა შესანიშნავი საუბარი, რომლის დროსაც 40 წლის კაცი ესაუბრება 17 წლის ყმაწვილს იმის შესახებ, რომ იგი ძალიან უბედურია, მაგრამ არაფრის უკან დაბრუნება აღარ შეუძლია, ვინაიდან საკმაოდ ბევრი რამის დაკარგვა მოუხდებოდა. რაზედაც ყმაწვილმა უპასუხა: „საწყალი ობერ-ფელდმაისტერი! მაგრამ იესო ხომ ნებისმიერი მსხვერპლის ღირსია!“ ობერ-ფელდმაისტერმა შემდეგი სიტყვებით გამოისტუმრა ყმაწვილი: „შენ ბედნიერი კაცი ხარ!“ – „დიახ, ზუსტად ასეა, ბატონო ობერ-ფელდმაისტერო!“ – დაუდასტურა პაულმა და წამოვიდა თავისი ბიბლიით ხელში. მეტი აღარავის სიტყვა არ დაუძრავს ბანაკში!

ო, სადღაა ქრისტიანები, რომლებსაც აქვთ საკმაო სიმამაცე, რომ თავი გამოიდონ თავისი საქმისათვის?!

არის კი ქრისტიანობა პირადული საქმე? დიახ! აღორძინება და რწმენით ცხოვრება გულის ფიცარზეა აღბეჭდილი!

არის თუ არა ქრისტიანობა პირადული საქმე? არა! ქრისტიანები ღმერთისმსახურებისათვის ერთიანდებიან თემებში, საშინაო ბიბლიურ წრეებში, ახალგაზრდულ წრეებში, ქალთა წრეებში, მამაკაცთა წრეებში. ქრისტიანები პირს აღებენ და აღიარებენ თავის უფალს. უნდა იცოდეს ამა სოფელმა, რომ ღმერთმა ქრისტეს მეშვეობით ცეცხლი აანთო!

როდის დაიღუპება სამყარო?

ამას წინათ მე ვესაუბრებოდი ერთ მრეწველს. მან მხარზე ხელი მომითათუნა და მითხრა: „ბატონო პასტორო! თქვენ შესანიშნავად იქცევით, ახალგაზრდობას სიკეთისკენ რომ მოუწოდებთ!“ რაზედაც მე ვუპასუხე: მართალი გითხრათ, არა მაქვს დიდი იმედები. ბიბლიაში ნათქვამია, რომ ადამიანის გული სიყმაწვილის წლებიდანვე გაფუჭებულია. და ამიტომ მგონია მე, რომ მოწოდებები აქ ბევრს ვერაფერს უშველის. მე რაღაც სრულიად სხვას ვისურვებდი“. – „მაინც რას?“ – „მე ძალიან მინდა, რომ ეს ყმაწვილები იესოს კუთვნილნი გახდნენ და როგორც მიწაზე, ისე მარადისობაში ღვთის შვილები იყვნენ!“ – ავუხსენი მას – „ოხ, ბატონო პასტორო, – შემეკამათა ის ამაზე, – რა სიტყვებია ეს? ჩვენ ხომ გვსურს მტკიცე ფუნდამენტი გვქონდეს ფეხქვეშ!“ ჩინებული სიტყვებია, ხომ მართალია? „ჩვენ ხომ გვსურს მტკიცე ფუნდამენტი გვქონდეს ფეხქვეშ!“ მე ხმამაღლა გავიცინე და ვკითხე: „როგორი ფუნდამენტი გინდათ თქვენ, არსებითად, გქონდეთ, ჩემო ძვირფასო ბატონო დირექტორო? ნუთუ თქვენ აქამდე ვერ შენიშნეთ, რომ საყრდენი, რომელიც ჩვენს ფეხქვეშაა, უკვე დიდი ხანია ქანაობს? ვფიქრობ, არაა საჭირო სამრეწველო საწარმოს დირექტორი იყო, რათა შენიშნო, რომ საყრდენი, რაზედაც ჩვენ ვდგავართ, ძალზე არასაიმედოა. მთელი კაცობრიობა შიშითაა შეპყრობილი: ყველა ეძებს უსაფრთხოებას, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ იგი არ არსებობს. ზოგი ჩეკის წიგნაკებს იძენს თავისთვის შვეიცარიაში, სხვები თავშესაფარს იშენებენ ბოლივიაში. სადმე მაინც იქნება უსაფრთხოება. და მაინც ჩვენ ვგრძნობთ, რომ საბოლოოდ, უსაფრთხოება არსად არ არის! და, ბუნებრივია, ჩვენს დროში კვლავ კატეგორიულად დაისვა კითხვა: „რა ელოდება ჩვენს სამყაროს?“ კითხვა: „როდის დაიღუპება სამყარო-“ – მართლაც რომ ჩვენი დროების ნიშნად იქცა.

ამ რამდენიმე წლის წინ დაიდგა ცნობილი შვეიცარიელი მწერლის დიურენმატის სპექტაკლი – „ფიზიკოსები“. იგი მთავრდება იმით, რომ ერთ-ერთი ფიზიკოსი შავბნელ პროგნოზს აკეთებს: ერთხელაც კაცობრიობა ატომური ბომბით მოსპობს თავის თავს. შემდეგ კი პირდაპირაა ნათქვამი: „საბოლოოდ სადღაც განუწყვეტლივ და უაზროდ იტრიალებს რადიოაქტიური დედამიწა“. ასე რომ ნამდვილად ისახება

ჩვენს წინ ამომწყდარი, განადგურებული დედამიწა, რომელიც უაზროდ ბრუნავს კოსმოსში. ყურადღების ღირსია უკვე ის, რომ თანამედროვე მწერალი ასე ულმობლად ლაპარაკობს სამყაროს დაღუპვის შესახებ. მაგრამ მე არა მგონია ასე მოხდეს, რომ რადიოაქტიური დედამიწა ტრიალებდეს სადღაც კოსმოსში. მე რომ ამის შესახებ დიურენმატისთვის მეთქვა, ის ალბათ, თავის მხრით, მკითხავდა: „რატომ თვლით ასე? დღეს ხომ ყველაფერი აქეთ მიდის!“ მე ავუხსნიდი მას: „იმიტომ, რომ ბიბლიაში სხვაგვარად სწერია. უფალმა იესომ სთქვა, რომ კაცობრიობის მოდგმა ბოლომდე არ შეწყდება. ე. ი. არ მოხდება ყველაფერი ისე, როგორც თქვენ ფიქრობთ, მაშინაც კი, როცა ყველაფერი თითქოს ძლიერ გვიქადის ასეთ შედეგს!“

ბუნებრივია, იბადება კითხვა: ვის დავუჯეროთ, სახელდობრ, მოსალოდნელი შედეგის წინასწარმეტყველებაში. არსებობს ორი უსაფუძვლო მეთოდი, რომელიც თითქოს მომავალს გვიწინასწარმეტყველებს.

ერთ ამ მეთოდთაგანს შესანიშნავად ფლობდა იოსებ ჰებელსი. ის იმაში მდგომარეობს, რომ მომავლის შესახებ, უბრალოდ, ზღაპრებს თხზავენ. როგორც აგერ ახლა, ასე ჩამესმის: „ხუთი წლის შემდეგ გერმანული ქალაქები უფრო მშვენიერი გახდება, ვიდრე ოდესმე იყო“. მაშ, ასე, ეს მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ სასურველი სურათები პროექტირებულია ნისლში, რომელიც მომავალს მალავს. ამ მეთოდის ოსტატები არიან ე. წ. „იეღოვას მოწმეები“. მათ, ვინც ასაკოვანია ჩვენს შორის, ისევ უნდა ახსოვდეთ, როგორ იყო 1925 წელს ყველა გზაჯვარედინზე გამოკიდებული პლაკატები: „მილიონობით ადამიანი, რომლებიც დღეს ცხოვრობენ, არ მოკვდებიან“. ეს სხარტი ფრაზა ე. წ. „ბიბლიის სერიოზული მკვლევარებიდან“ მოდიოდა. მაგრამ ადამიანები მაშინ იხოცებოდნენ, ისე როგორც არასდროს კაცობრიობის ისტორიაში. უბრალოდ, მომავლის შესახებ გამოიგონეს რაღაც შესანიშნავი, მეტი არაფერი. მოგვიანებით მათ შეცვალეს თავისი სახელწოდება – „იეღოვას მოწმეები“ დაირქვეს. ახლა ისინი, როგორც ჩანს, ისევ რაღაცას მოიგონებენ.

მეორე უსაფუძვლო მეთოდი მკითხავთა წინასწარმეტყველებაში მდგომარეობს. ამის შესახებ მე არაფერი ვიცი და არც მინდა ვიცოდე: მკითხაობაზე, სპირიტიზმზე, კარტის გაშლაზე, ჰოროსკოპზე და სხვა ამდაგვარზე. და იმასაც გეტყვით, რატომაც არ მსურს, არაფერი ვიცოდე ამის შესახებ.

ჩემს ბიბლიაში რამდენჯერმეა ნათქვამი: „ასე ამბობს უფალი. ვინც მიმართავს მისნებს და წინასწარმჭვრეტთ, ასევე ვარსკვლავთმისნებს, ის უნდა განიდევნოს ჩემი ხალხიდან. მაგრამ რადგან ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ღმერთის ხალხს მივეკუთვნებოდე, მე ვერიდები ამგვარ საქმეებს მივსდიო. თქვენც მინდა გთხოვოთ, თქვენი სულის ხსნისათვის: განმარტოვდით, მოუხმეთ იესოს, აღიარეთ მის წინაშე თქვენი ცოდვები და შესთხოვეთ მოტევება!

მე უყოყმანოდ ვენდობი ღმერთის სიტყვას ბიბლიაში. ჯერ ერთი, ის განგვნათლავს, რამეთუ ჭეშმარიტებითაა აღბეჭდილი. მეორეც, კაცნი ბიბლიისა იტყოდნენ: „ასე ამბობს უფალი!“ ამგვარად, არსებობს ჭეშმარიტი გზა მომავლის განსაზღვრისა: მომავლის შესახებ ჩვენ ბიბლია გველაპარაკება.

როდესაც უკანასკნელმა ომმა თავის კულმინაციას მიაღწია, საიდუმლო პოლიციამ ამიკრძალა მე ქადაგებანი. მეკრძალებოდა მგზავრობა და მოხსენებებით გამოსვლა. მხოლოდ ესენში დამრთეს ნება მექადაგნა. და როცა ყოველ საღამოსაც კი მე ბიბლიურ საათს ვატარებდი ქალაქის რომელიღაც თავშესაფარში, ქალაქისა, რომელიც ყუმბარების სეტყვის ქვეშ იფერფლებოდა, მაინც მრჩებოდა ბევრი თავისუფალი დრო. ამ დროს მე იმისთვის ვიყენებდი, რომ საფუძვლიანად შემესწავლა გამოცხადებაჲ იოანესი, ბიბლიის უკანასკნელი წიგნი. ამასთან მე მივხვდი: „ეს წიგნი ხომ უაღრესად აქტუალურია!“ და მე გადავწყვიტე გაგიზიაროთ ზოგი-რამ, რაც მე მაშინ ამ წიგნში აღმოვაჩინე.

და, აი, მე მინდა გიჩვენოთ, რას გვეუბნება ბიბლია სრულიად გარკვევით მომავლის შესახებ.

1. იესო მოვა კიდევ ერთხელ

ბიბლია ამის შესახებ სრულიად ნათლად ლაპარაკობს: ყველა ამ მოვლენათა ცენტრში, რომელიც ქრისტიანებს ელით სამომავლოდ, არის უდიდესი ამბავი – იესო ქრისტეს მოსვლა დიდებითა!

როდესაც ის ზეცად აღმაღლდებოდა, მისი მოწაფეები იდგნენ და უცქერდნენ, როგორ უჩინარდებოდა იგი სხვა განზომილებაში. „და ღრუბელმან შეიწყნარა იგი“, – ნათქვამია ამის შესახებ. უცებ მოწაფეთა წინაშე ღმერთის ორი მაცნე გამოჩნდა და „ჰრქუეს მათ: ესე იესო, რომელი ამაღლდა თქუენგან ზეცად, ეგრთეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ

აღმავალი ზეცად“. იესო ისევ მოვა! ერთხელაც უფალი იესო ისევ გამოგვეცხადება დიდებითა – ღვთიური განზომილებიდან – ჩვენს სამყაროში! ეს არის იმედი ქრისტიანთა.

მე მინდა მოგიყვეთ თქვენ, თუ როგორ შევიცანი მე ერთხელ ეს რამდენადმე უცხო ამბავი. დაახლოებით 35 წელი გავიდა მას აქეთ, რაც მე, ახალგაზრდა პასტორი, ესენის მეშახტეთა ოლქში მოვხვდი. და, აი, მე – 27 წლის ყმაწვილი – აღმოვჩნდი 12 ათას მეშახტეთა შორის. არავის არ აინტერესებდა ჩემი საქმიანობა. ოლქის შუაგულში ერთი მოზრდილი უღიმღამო მოედანი იყო, ყაზარმული ტიპის სახლებით გარშემორტყმული. მოედნის ერთ-ერთ კუთხეში მომცრო სახლი იდგა, სადაც მე პატარა ოთახი მივაშენე ბიბლიური საათების ჩასატარებლად. სიხარულს მგვრიდა, რომ თანდათან მოდიოდა ხალხი: რამდენიმე მეშახტე, კომუნისტები და თავისუფლად მოაზროვნენი, რომელთაც სურდათ მოესმინათ, ერთი რა უნდა ეთქვა ამ „მღვდელს“, რამდენიმე მოხუცი ქალი, რამდენიმე ბავშვი, ორი-სამი ახალგაზრდა ყმაწვილი. სასაცილო გახდა: წარმოქმნილმა პატარა საკრებულომ ოლქის მთელი მაცხოვრებლები აღაგზნო. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გამუდმებით გვაწუხებდნენ. ერთხელ ფანჯრებიც ჩაგვილეწეს. მაშინ დარაბები გავაკეთეთ. მაგრამ მერე ამ დარაბებს ქვები დაუშინეს. სხვა დროს კარის მახლობლად კონსერვის ქილებით ფეხბურთის თამაში გააჩაღეს, ისე რომ, საკუთარი ხმის გაგონება ჭირდა. ზოგჯერ ჩვენი ოთახის წინ დემონსტრაციები იმართებოდა სალამურების თანხლებით. ქუჩაში მღეროდნენ: „არავინაა ჩვენი დამხსნელი, არავინ – ღმერთი, კაიზერი თუ ტრიბუნი. // ჩვენ თავად ვპოვებთ თავისუფლებას ჩვენივე ხელით!“ ჩვენ კი, ვინც შიგნით ვიყავით, ვმღეროდით: „ღმერთი არის სიყვარული! // ო, რა ბედნიერებაა!“ ჰოო, ეს იყო დროება! ერთხელ მთლად საშინელება დატრიალდა, თითქოს ნამდვილად ჯოჯოხეთსა და ეშმაკს ჯაჭვი აეწყვიტათ. შემდეგ კი მოხდა ის, რაც მე არასდროს დამავიწყდება: უცებ კარს რაღაც ბათქა-ბუთქით დაეჯახა და მძიმედ დაენარცხა მიწაზე. გავიფიქრე: ყუმბარა ხომ არ შემოგვიგდეს და გავიგონე როგორ გაიფანტა მთელი ხალხი ქუჩაში. გულები შეგვეკუმშა, სუნთქვა შეგვეკრა. კარს იქით ყველაფერი ჩაწყნარდა. მე კარს მივახტი, გამოვაღე და დავინახე რკინის დიდი ჯვარცმა ნახევრად გუბეში ჩაწოლილი, ნაცნობი ჯვარი იყო: მე მინახავს იგი მამათა კათოლიკურ მონასტერში, ახლა ის

თავისი ადგილიდან მოუგლეჯიათ და კარის წინ მოგვიგდეს: „აი თქვენ თქვენი ქრისტე! ტალახში ის!“ იყო ნოემბრის ბნელი საღამო. წვიმდა. ჯვარცმა გუბეში ეგდო. მე ვიდექი ყაზარმებით შემოჯარულ ამ გარინდულ მოედანზე. ჩემს უკან იდგა პატარა ჯგუფი შიშით აცახცახებული ადამიანებისა. ჯვარცმული მაცხოვრის გამოსახულება კი გდია გუბეში! მე გავიფიქრე: ღმერთს ათასი საფუძველი უნდა ჰქონოდა განდგომოდა ამა ქვეყანას. მაგრამ ის ამას არ აკეთებს! ის გვიგზავნის ძეს თვისას! და ეს ძე ღმერთისა რაღაცა გაუგონარს იქმს: ის თავის თავზე იღებს ჩვენს ცოდვებს და თანხმდება, ჯვარზე გააკრან. ხოლო ადამიანი, ნაცვლად იმისა, რომ დაემხოს მის წინაშე და ილოცოს, გუბეში აგდებს მის გამოსახულებას. ასე აფურთხებს ადამიანი ხელებგამოწვდილ ღმერთს! და, აი, კიდევ რა: მათ ხომ მხოლოდ და მხოლოდ სძულდათ იესო, ჩვენი თანამედროვეებისთვის კი იგი უბრალოდ საძულველი არ არის. თავისი სრული გულგრილობის გამო, ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მის ჯვარს გუბეში აგდებენ! მე გააფთრებული ვიყავი. ვფიქრობდი: „რას მოიმოქმედებს ახლა ღმერთი? ალბათ არაფერს, გარდა იმისა, რომ ცეცხლს გამოგვიგზავნის ზემოდან!“ მაგრამ არავითარი ცეცხლი არ გამოჩენილა. შორიდან ისმოდა ნიშნის მოგების ხითხითი. ეს მე დამცინოდნენ. მაშინ მე უცებ გამახსენდა: „არა იყვნეს შეგინებულ ძე ღმერთისა, რომელი მოკუდა სოფელისათვის“. არა იყვნეს! ის მხოლოდ მალავს ჯერჯერობით თავის ხელმწიფებას და დიდებას. მაგრამ მოვა დრო, და ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. მაშინ მთელი ქვეყანა, რომელიც არად აგდებდა მას, დაინახავს, რომ ის არის ერთადერთი შანსი ხსნისა, რომ ის არის მთავარი ამის სოფლისაჲ! მეორედ ის მოვა დიდებითა. როცა მე იმ წვიმიან საღამოს ვიდექი მოედანზე ჩემს თემსა და გუბეში ჩაგდებულ ჯვარცმას შორის, მე პირველად გავიხარე მართლაც უწყებით იესოს მეორე მოსვლის შესახებ. როდესაც დარბაზში დავბრუნდი, კათედრაზე შევდექი, გადავშალე მათეს სახარების 24-ე თავი და წავიკითხე: „... და იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა“. და მას აქეთ მე ვხარობ ამით.

იცით რა, როცა მე ვხედავ როგორ უგულებელჰყოფენ ჩემს მაცხოვარს, მაცხოვარს, რომელსაც ძალუძს გვიხსნას წარწყმედისაგან, მოგვიტევოს ცოდვები, მოგვიტანოს ბედ-

ნიერება, მე მახარებს ის დღე, როდესაც უგულებელყოფის მანტია ჩამოეხსნება მას და ის დიდებით ჩამოვა მიწაზე.

როცა მე ესენში პირველად შევედი ახალგაზრდულ კლუბში, კედელზე თვალი მოვკარი ერთადერთს სურათს. დიდ დარბაზში, სადაც ასობით ახალგაზრდა ყმაწვილი იკრიბებოდა, ეკიდა სურათი, რომელზედაც ქრისტეს მეორედ მოსვლა იყო გამოსახული. ქვემოთ მოსჩანდა ქალაქი, მის თავზე კი – ღრუბლები და თეთრი ცხენი. ცხენზე ზის იგი, მეუფე, ზეაღმართული, ჯვარზე გაფატრული ხელით. ამ სურათის დანახვისას მე ვუთხარი ჩემს წინამორბედს, პასტორ ბაიგლეს: „ცოტა სასაცილოდ ხომ არ გამოიყურება ახალგაზრდული კლუბისათვის ეს ერთადერთი სურათი, რომელიც შენ გამოგიკიდია აქ? მე რაღაც სხვას დავკიდებდი!“ მაგრამ მან ამიხსნა: „ძვირფასო ძმაო! მთელი კვირა ყმაწვილები კანტორებში, სკოლებსა, ფაბრიკებსა თუ შახტებში იმყოფებიან. როცა ისინი იქ იესოს ემოწმებიან, მათ დასცინიან და აბუჩად იგდებენ! როცა ისინი არ თანხმდებიან სხვებს ერთად შესცოდონ, მათ მასხრად იგდებენ და შეურაცხყოფას აყენებენ. ასეთ შემთხვევებში ისინი ხშირად დარდობენ. აქ კი ამ სურათმა მათ უნდა შეახსენოს: „იესო – გამარჯვებულია, ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება, და ქვეყნის ბატონპატრონი მხოლოდ იესო იქნება!“

ასეთი იმედი რომ შესანიშნავია, მე უკვე არა ერთხელ გამოვცადე ცხოვრებაში. მესამე რაიხის წლებში მე დამაპატიმრეს, მას შემდეგ, რაც დარმშტადტში, დიდ საკრებულოში ვიქადაგე იესოს შესახებ. მანქანაში ჩემს გვერდით იჯდა ესესელი კომისარი. ჩვენს გარშემო ასობით ადამიანი იდგა. ესესელს, რომელიც საჭესთან იჯდა, უბრძანეს მანქანა დაეძრა. მაგრამ მოტორი არ დაიქოქა. „წავედით!“ – ყვიროდა კომისარი. მე გვერდით ვიჯექი პატიმრის როლში. მაგრამ მოტორი არ იქოქებოდა. ამ დროს ეკლესიის კიბეებიდან, სადაც აღგზნებული ბრბო შეგროვილიყო, გაისმა ერთი ყმაწვილი კაცის გამკინავი ხმა: „იესო – გამარჯვებული, ეს ეუჭველია, და ქვეყნის ბატონ-პატრონი ქრისტე უნდა იყოს! მას აქეთ, რაც ის აღსდგა მკვდრეთით, ყველაფერი მის მფლობელობაში გადავიდა, და ჯვარზე მწარე წამების შემდეგ იგი აღმაღლდა მამის საყდრად. დიახ, იესო – გამარჯვებულია!“ ყმაწვილი კაცი ბრბოში გაერია, ავტომობილი კი, როგორც იყო დაიძრა. მე ვუთხარი კომისარს: „საცოდავი კაცი ხართ!

გამარჯვება მაინც ჩემს მხარესაა!“ ის აიმრიზა და ჩაიბურტყუნა: „აღრე მეც ახალგაზრდობის ქრისტიანულ კავშირს ვეკუთვნოდი“. – „მართლა? – გავიკვირვე მე, – ახლა კი თქვენ სდევნით ქრისტიანებს? საცოდავი ადამიანი, მე არ ვისურვებდი თქვენს ადგილზე ყოფნას!“

ჩვენ ციხისკენ მივემგზავრებოდით, მე კი ქრისტეს მოსვლის პერსპექტივა გადამეშალა თვალწინ.

რაც უფრო შავბნელი ხდება ქვეყანა, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება იესოს მოსვლის მოლოდინი.

იცოდეთ, იესოს ეს მოსვლა დიდებითა მიწაზე იქნება უკვე მესამედ მოსვლა.

პირველად იგი მოვიდა როგორც განკაცებული, მარიამის შობილი ჩვილი. ის ბაგაში იწვა, ბეთლემში. ამ ამბავს ჩვენ ვდღესასწაულობთ შობადღეს, თუკი საერთოდ ჯერ კიდევ ვიცით რაშია საქმე: კერძოდ, რომ ძე ღმერთისა განკაცდა, რათა გამხდარიყო ჩვენი ძმა, რათა ჩვენ შეგვძლებოდა გავმხდარიყავით შვილნი ღმერთისანი.

მეორედ მოსვლა ქრისტესი სულიერად ხორციელდება ჩვენს დროში. მან სთქვა: „აჰა ესერა ვდგა კარსა ზედა და ვჰრეკ. უკუეთუ ვინ ისმინოს ხმისა ჩემისაჲ და განაღოს კარი, და შევიდე მის თანა...“ იცით კი, რატომ ტარდება ევანგელიზაცია? ჩვენ გვინდა დავეხმაროთ იესოს, რათა მან შესძლოს თქვენთან შემოსვლა. ბიბლიაში სწერია: „ხოლო რაოდენთა იგი შეიწყნარეს, მოსცა მათ ჴელმწიფებაჲ შვილ ღმერთისა ყოფად.“ თქვენ უნდა განაღოთ თქვენი გული!

ხოლო მესამედ ის მოვა დიდებითა აქ, ამ მიწაზე. ხედავთ, რა თანამიმდევრულობაა. იმ დროისათვის ჩვენ გამოვლილი გვექნება ძალაუფლების ყველა ფორმა: კონსტიტუციური მონარქია და აბსოლუტური მონარქია, საპრეზიდენტო დემოკრატია და სახალხო დემოკრატია, დიქტატურა და სხვა. მაშინ ჩვენ ვნახავთ, რომ ყველა ისინი უვარგისია. მაშინ იესომ, ჩემმა მეუფემ, უნდა დაგვიმტკიცოს, შეუძლია თუ არა მას მართვა?!

2. რა უძღვის წინ იესოს მოსვლას

ბიბლიაში ნათქვამია, რომ მსოფლიო ისტორია საუკუნეების მანძილზე ვითარდება, მაგრამ შეუმჩნევლად დადგება დრო, როცა მსოფლიო ისტორია თავის დასასრულს მიუახლოვდება. ამ დროის აღსანიშნავად მე მინდა გამოვიყენო ტერმინი,

რომელიც არ იხსენიება ბიბლიაში. დავარქვათ ამ დროს „უკანასკნელი ჟამი“.

ბიბლიაში ნათქვამია, რომ დადგება დრო საყოველთაო უმწეობისა, როდესაც კაცობრიობის წინაშე უამრავი პრობლემა აღიძვრება. ამ უკანასკნელ ჟამს ადამიანები დაბნეულნი და უმწეონი იქნებიან. თავად იესომ დაასახელა ოთხი ნიშანი უკანასკნელი ჟამისა. ის ამბობს, რომ უკანასკნელი ხანა ხასიათდება პოლიტიკური ქაოსით. ეს გამოიხატება ასე: „ამხედრდება ხალხი ხალხზე და სამეფო სამეფოზე“. არასოდეს ყოფილა აღრე ასეთი დრო, როგორიც ახლაა, როდესაც მაღალხელფასიანი დიპლომატები ამდენ ძვირად ღირებულ კონფერენციებს ატარებენ. ჯერ არა ყოფილა ასეთი დრო, რომ ასე უაზროდ იფლანგებოდეს სახალხო სახსრები შეიარაღებაზე, როგორც ეს ჩვენს დროში ხდება. იმ სახსრებით, რომელიც ატომურ შეიარაღებაზე იხარჯება, შეიძლებოდა დიდი ქალაქების გაშენება და ყველა გაჭირვებულის დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართით. მაგრამ ნაცვლად ამისა ამბობენ: ჩვენ უნდა შევიარაღდეთ. ყველაზე პატარა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ატომური ბომბი! და, ამავე დროს, ჯერ არასოდეს ყოფილა ხალხთა ასეთი დიდი სწრაფვა მშვიდობისაკენ. ჩვენ მშვიდობა გვინდა. არც ერთ ადამიანს არ სურს ომი. მაგრამ ყველა გაშმაგებით იარაღდება. ეს არის სწორედ უკანასკნელი ხანის პოლიტიკური ქაოსის ნიშანი. მეორე ნიშანი, რომელსაც იესო ასახელებს, არის უმწეობა ეკონომიკის დარგში. იესო ამბობს: „იყვნენ სიყმილნი და სრვანი“. დედამიწაზე საკმარისი საკვები მოიპოვება, რათა ყველა ადამიანი დაკმაყოფილდეს. ჯერ არასოდეს ყოფილა ამდენი სწავლული ეკონომისტი, რამდენაც დღესაა. ჯერ არასოდეს ყოფილა ასეთი რთული ეკონომიკა, როგორიც ჩვენს დროშია. და, მიუხედავად ამისა, გაეროს ინფორმაციით, კაცობრიობის ნახევარზე მეტი ვერ იკვებება გულმოჯერებით. ნუთუ ასეთს მაღალცივილიზებულ საზოგადოებაში, სადაც საკმაო სიმდიდრეა, შეუძლებელი უნდა იყოს ყველა ადამიანის დაპურება? მაგრამ ჩვენ ამის გაკეთება არ შეგვიძლია. ეკონომიკური უმწეობა იზრდება.

მესამე ნიშნად უკანასკნელი ხანისა იესო ასახელებს რელიგიურ ქაოსს, როდესაც კაცობრიობას ამ სფეროში უამრავი პრობლემა უჩნდება. იესო ამას ასე გამოხატავს: „გეტყვიან თქვენ: აი, აქ არის ქრისტე ან იქ“.

ამას წინათ ერთმა ახალგაზრდამ მკითხა: „რისი უნდა

მჯეროდეს, კაცმა რომ სთქვას, მე? არიან კათოლიკები, მართლმადიდებელნი, რეფორმისტები, ლიუთერანები, უნიატები, მეთოდისტები, ბაპტისტები, ხსნის არმია, ორმოცდაათიანელები, იეღოველები, ახალსამოციქულო ეკლესიები, ისლამი, ბუდიზმი და ა. შ. რომლისღა უნდა მწამდეს მე?“ მე გამეცინა და ვთქვი: „ყმაწვილო, ნუ მიეცემით უიმედობას, ბიბლიაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ იქნება უფრო უარესი“.

ესაა უკანასკნელი ხანის ნიშნები. სატანა გონებას უბნევს ადამიანებს, რომლებსაც არ შეუძლიათ საღმრთო წერილში ორიენტირება. და ღმერთისათვის ეს დასაშვებია. „ქრისტე აქ, ქრისტე იქ“. რელიგიური არეულობა საშინელებაა. მე მზარავს, როცა ვხედავ როგორ აწყდება ხალხი დიდ ქალაქებში ერთი რელიგიური სენსაციიდან მეორისკენ. და, სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ვერც ერთი ევანგელისტი ვერ გიხსნით თქვენ. თუ თქვენ თავად არ მიხვალთ მაცხოვართან, თქვენ ვერასდროს ვერავინ ვერ გიშველით!

არის კიდევ მეოთხე ნიშანი უკანასკნელი ხანისა: ისრაელი ხალხი, გაფანტული მთელს მსოფლიოში, უნდა კვლავ შეკრბეს პალესტინაში. ჩემთვის ყველაზე ამაღელვებელი ნიშანი უკანასკნელი ხანისა არის ის, რომ არსებობს ისრაელის სახელმწიფო. ზოგი ჯერ მაინც არ თვლის მის არსებობას ჩვენი დროის ნიშნად. მაგრამ როცა ამას წინათ მე მომიხდა შვეიცარიის საზღვარზე გავჩერებულიყავი საბაჟოს მახლობლად, და ჩემს წინ აღმოჩნდა მანქანა ისრაელის სახელმწიფო ნიშნით, მე უნებურად გავიფიქრე: ბიბლიური აღთქმანი სრულდება. ამას აღასტურებს ავტომანქანების სანომრო ნიშნებიც კი!

მამაჩემი ყვებოდა, რომ 1899 წელს ებრაელებს შესთავაზეს მადაგასკარზე დაეარსებინათ თავისი სახელმწიფო. მაგრამ ებრაელებმა თქვეს: „არა, ჩვენ მხოლოდ ერთი აღთქმა გვაქვს – ჩვენი მამების მიწა!“ მთელი მსოფლიო კი თვლიდა: „ეს არასდროს არ იქნება!“ მაგრამ სახელმწიფო ისრაელი დღეს არსებობს.

ამგვარად, უკანასკნელი ხანისათვის დამახასიათებელია ის, რომ, მიუხედავად პროგრესისა, კაცობრიობა სულ უფრო უმწეო ხდება და ვერ ახერხებს თავი გაართვას თავის პრობლემებს. კაცობრიობის უძლურება სრულიად აშკარაა. ბიბლია არ ლაპარაკობს წლების გარკვეულ ოდენობაზე, მაგრამ გვაფრთხილებს: „იღვიძებდით უკუე!“ პავლე ასე ლაპარაკობს იესოს მოწაფეების შესახებ:“

მაგრამ როცა კაცობრიობის უსუსურობის ეს ხანა თავის კულმინაციას მიაღწევს, – იესოს მოსვლამდე ჯერ ანტიქრისტეს დრო დადგება. დროის ამ მონაკვეთს მე დასასრულს დავარქმევდი. უკანასკნელი ხანის უმწეობას ჩვენ უკვე ახლა განვიცდით. ამ უმწეობას ძლიერი მმართველი სჭირდება! მთელი მსოფლიო უკვე ახლა თხოულობს ამას. როდესაც ეს უმწეობა კულმინაციას მიაღწევს, მოგვევლინება ძლიერი, დიადი მმართველი, რომელიც თავის თავს სამყაროს მხსნელს უწოდებს. მაგრამ ეს ქრისტე კი არა, არამედ ანტიქრისტეა.

ბიბლიის სიტყვებით, ხალხის ზღვიდან აღსდგება დიქტატორი, რომელიც ხელთ იგდებს ძალაუფლებას მთელ მსოფლიოზე. ჩვენ დავარქვათ მას ანტიქრისტე. მოვა დრო, როცა მთელი მსოფლიო მისი ძალაუფლების ქვეშ იქნება. ისტორიის ეს მონაკვეთი ხასიათდება ადამიანის შეუპოვრობით. ეს არის მსოფლიოს უკანასკნელი ცდა პოლიტიკისა და ეკონომიკური პროგრამების მეშვეობით გადაირჩინოს თავი. ბიბლია გატაცებით მოგვითხრობს უკანასკნელი დიადი დიქტატურის შესახებ. ის ხატოვნად ლაპარაკობს მასზე. ეს რომ გავიგოთ, სულმან წმიდამან უნდა განგვანათლოს ჩვენ. მე მინდა მოგიყვეთ თქვენ, თუ რას ლაპარაკობს ბიბლია ანტიქრისტეს შესახებ, ამ უკანასკნელ ტირანზე. იოანე წინასწარმეტყველი ამბობს: „და დავდეგ მე ქვიშასა ზედა ზღვისასა და ვიხილე მხეცი ერთი აღმომავალი ზღვით, რომელსა აქურდეს ათნი რქანი და შვიდნი თავნი და რქათა ზედა მისთა ათნი გვირგვინნი... და აღაღო პირი თვისი გმობად ღმერთისა მიმართ“. როგორ გავიგოთ ეს დიდებული ხატი? ზღვა – ეს კაცობრიობაა. ვინც ზღვაზე ყოფილა, მან იცის, როგორი მოუსვენარია იგი, თითქმის არასდროს არ არის ის მთლად წყნარი. ასეა კაცობრიობაც. არც ის არის დამშვიდებული. ის მუდამ აღელვებულია. კაცობრიობის წიაღიდან გამოვა უკანასკნელი მხსნელი ქვეყნისა. უკანასკნელი ათწლეულების ყველა დიდი პოლიტიკური მოღვაწე აგრეთვე მხსნელის როლში გამოდიოდა. ყველა ისინი ხალხის მასებიდან იყვნენ: პატარა კორსიკელი ნაპოლეონი, მსოფლიო ომის ეფრეიტორი აღოლფ ჰიტლერი. ყველა ისინი – ანტიქრისტეს წინამორბედნი არიან. ყველანი დაბალი წარმოშობისა. ხალხი კი აღტაცებული გაიძახის: „ის ჩვენი წრიდანაა!“ ჩემი მხსნელი – იესო ქრისტე კი, არ არის წარმოშობილი ხალხის წიაღიდან, ის ღვთიური სამყაროდანაა, ის – არის ძე ღმერთისა ცხოველისა!

ანტიქრისტე მხეცად იხსენიება. რას ნიშნავს ეს? ადამიანის შესახებ ბიბლიაში ნათქვამია: „შექმნა ღმერთმა კაცი ხატად თვისად“. რაც უფრო ახლოს ვდგავარ მე ღმერთთან, მით უფრო ადამიანური ვხდები მე. რაც უფრო შორდება ადამიანი ღმერთს, მით უფრო საზარელი ხდება იგი. ნიცშე, ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი, ამბობდა: „ყველაზე კეთილშობილი ადამიანი ქერათმიანი ბესტიაა. მან ეს გაიგო. ანტიქრისტე იქნება ადამიანი, რომელიც მთლიანად უარყოფს ღმერთს და ამიტომ ჰქვია მხეცი – უგულო ბესტია.

მხეცი მრავალთავიანი. რას უნდა ნიშნავდეს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ის არ არის სულელი! მას „ლომის ხახა“ აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის მთელ ქვეყანას აიკლებს პროპაგანდით. რაღაც ამდაგვარი ჩვენ უკვე ვიწვნიეთ... სხვადასხვა მყვირალა რეპროდუქტორებიდან. ო, მე წარმომიდგენია, როგორ დაამხობს, ანტიქრისტეს მოსვლასთან ერთად, ყველაფერს უაზრო პროპაგანდა! მას არ მოაკლდება ბედის წყალობა, ეს იქნება ადამიანის უკნასკნელი მცდელობა იხსნას მსოფლიო თავისი ჭეშმარიტი მხსნელის, იესო ქრისტეს გარეშე. ეს არის ცდა ადამიანის ხსნისა შენანებისა და აღორძინების გარეშე. ყველა საკითხს მოეძებნება თავისი გადაწყვეტა.

გადაწყვეტილი იქნება პოლიტიკური პრობლემები, რამდენადაც ანტიქრისტე შექმნის ერთიან მსოფლიო სახელმწიფოს. გადაწყდება ეკონომიკური პრობლემები. ყველა მიიღებს სასურსათო ბარათებს. გადაწყდება რელიგიური პრობლემები. „მე ვარ მსოფლიოს მხსნელი, – იტყვის ანტიქრისტე, – თაყვანი მეცით მე!“

შემზარავია იყო იმის მოწმე, თუ როგორ მიექანება ჩვენი დრო ამ დასასრულის შესახვედრად.

მაშინ მთელი მსოფლიო ანტიქრისტეს კუთვნილება იქნება, ოღონდ ქრისტიანები იტყვიან: „ჩვენ არ გეთაყვანებით შენ!“ ყველას უნდა ჰქონდეს ნიში შუბლზე. მაგრამ ქრისტიანები იტყვიან: „არა! ჩვენ გვყავს ერთი მხსნელი და ეს არის – იესო!“ და მაშინ დაიწყება დევნა. ბიბლიაში ნათქვამია: „ვინ არა მიიღოს ნიშანი ესე, ვერცა ყიდდეს და ვერცა განჰყიდდეს“. 150 წლის წინ შვაბიელი კომენტატორი აუბერლენი წერდა: „ჯერჯერობით ეს ჩვენთვის არაა მთლად გასაგები, მაგრამ დადგება დრო, როცა ყველაფერი გაირკვევა“. ჩვენთვის კი უკვე გასაგებია. ჩვენ უკვე ვიცით ესეთი სახელმწიფოები. ჩვენ უკვე ვიცით, რას ნიშნავს ეს, როცა

ლაპარაკია ადამიანზე, რომელსაც არა აქვს ნებართვა საცხოვრებელ ადგილზე, არა აქვს პურის ბარათები. და შრომის წიგნაკი. დე, რაც სურს ის სწამდეს მას, მაგრამ სამშობლო და უფლებები მას არ გააჩნია. ჩვენს შორისაც ხდება ასე.

როცა მე ამდაგვარ ამბებს ვკითხულობდი თავზარდაცემული, ასე ვფიქრობდი: არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ ბიბლია მოძველებულია. მაგრამ მოძველდა არა ბიბლია, არამედ ჩვენი მსოფლმხედველობა. ბიბლია კი მომავლის გზამკვლევია.

ანტიქრისტეს შეუძლია ყველაფერი დაუშვას, ჭეშმარიტი მხსნელის, იესო ქრისტეს აღიარების გარდა. ამ მიზეზით მოსალოდნელია კიდევ ერთი დიდი დევნა ქრისტიანებისა.

როცა მე ერთხელ ჩემს ბავშვებს ვესაუბრებოდი ამის შესახებ, ჩემი პატარა გოგო ატირდა. მე ვკითხე მას: „ჩემო შვილო, რატომ სტირი?“ მან სლუკუნით მიპასუხა: „ეს ხომ ნებისმიერ დღეს შეიძლება დაიწყოს?“ – „კი, შეიძლება“, – ვუთხარი მე. „და მე რომ ვერ შევძლო ჩემი მხსნელის ერთგული დავრჩე, მაშინ რა იქნება?“ – სლუკუნ-სლუკუნით გააგრძელა მან. ამაზე მე ასე ვუპასუხე: „ეს საშინელება იქნებოდა. მაგრამ შენ მხოლოდ ერთი რამ გჭირდება – უკვე დღესვე მტკიცედ დადგე მის მხარეზე“. ეს შეიძლება ხვალაც კი გაჩაღდეს. მაშინ ჩვენ ვეღარ შევძლებთ ვიპოვოთ იესო. მაშინ აღარ იქნება ღმერთის მსახურება. ყველა საეკლესიო ზარებს გადააღნობენ ანტიქრისტეს ძეგლების გასაკეთებლად. ეკლესიები გადაიქცევა მუზეუმებად, სადაც გამოფენილი იქნება ფოტოსურათები ანტიქრისტეს გამოსახულებით ჭაბუკობის წლებში. ადამიანები ნუგეშის წყურვილით იქნებიან შეპყრობილი. მაგრამ ნუგეშისმცემელი არავინ იქნება, რადგანაც მათ უგულებელჰყვეს ერთადერთი ნუგეშისმცემელი – იესო. მე წამიკითხავს იერემია წინასწარმეტყველთან ასეთი სიტყვები: ვინაიდან განმაგდეთ მე, ამბობს უფალი, ვეღარ გექმნებით ნუგეშინისმცემლად.

მაშინ ადამიანი, მთელ თავის უნუგეშობაში, მხოლოდ ადამიანზე იქნებოდა დამოკიდებული. მე მიმაჩნია, რომ ქრისტიანები ბედნიერი ხალხია, მაშინაც კი, თუ მათ სიკვდილი უწერიათ. მათ ჰყავთ ნუგეშისმცემელი ამ საშინელ დროსაც!

მე ამაღელვა იესოს სიტყვებმა: „სულითა კაცთაჲთა შიშისაგან და მოლოდებისა მომავალისა ზედა სოფელსა ამას“.

იოანეს გამოცხადებაში ნათქვამია, რომ ანტიქრისტე აღავ-

სებს სამყაროს სპილენძის სასულე ინსტრუმენტების მუსიკითა და ბაირაღებით. მე გავიფიქრე: როგორ გავიგოთ ეს? ერთი მხრივ, ლაპარაკია შიშსა და მოლოდინზე, მეორე მხრივ კი, იხსენიება დიდი მიღწევები. მგრამ, 1933 წლიდან მოყოლებული, მე ვიცი, რომ ჩვენი სამყარო შეიძლება აღსავსე იყოს მისასალმებელი შეძახილებით, სასულე ინსტრუმენტების მუსიკით და ბაირაღებით, და ამავე დროს შიშითა და სამყაროს თავზე მოწევნადი უბედურების მოლოდინით.

მაგრამ როცა ანტიქრისტე დიდების მწვერვალზე იქნება, როცა ის გამარჯვებას იზეიმებს და ჩათვლის, რომ იესო დამარცხებულია, მაშინ საქმეში ჩაერევა ღმერთი: იესო მოვა დიდებით! ანტიქრისტეზე მეტი სიტყვაც აღარ დაიძრება. იგი აღგვილ იქნება პირისაგან მიწისა იესოს ბაგეთა დაქროლვით!

რაც უფრო შავბნელი ხდება დრო, რაც უფრო მეტად აშკარავდება ანტიქრისტეს სახელმწიფოსა და ადამიანის საშინელი უმწეობა, მით უფრო მეტ სიმაღლეებს სწვდება იმ ხალხის მზერა, ვინც ბიბლიას კითხულობს. ისინი ელიან იესოს მოსვლას!

3. რა მოხდება იესოს მოსვლის შემდეგ

ბიბლიაში აღწერილია კიდევ რამდენიმე დიდი ამბავი. პირველი ის, რომ იესო ათასი წელი იმეფებს ამ მიწაზე. ეს, როგორც ჩანს, ხატოვნადაა ნათქვამი და იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იესოს დიდხანს ექნება ძალაუფლება. ამბავთა თანმიმდევრობა შემდეგია: პირველად გამომჟღავნდება კაცობრიობის სრული უსუსურობა; შემდეგ ამას მოჰყვება უკანასკნელი მცდელობა სამყაროს გადარჩენისა ადამიანის შეუპოვრობით; შემდეგ გაბატონდება ჩემი მეუფე. ხოლო მან იცის მართვა! გირჩევთ, ესტუმროთ იმ ოჯახებს, რომელთაც იესო მართავს. როცა ასეთს სახლში მოხვდებით, თქვენ ხელად იგრძნობთ სულ სხვა ატმოსფეროს!

მე ვიცნობდი ერთ ახალგაზრდა წყვილს. ერთხელ ქმარი მომადგა და მითხრა: „მე კაპიტულაციას ვაპირებ ღმერთის წინაშე. აქამდე მე უარვყოფდი ღმერთს, სახალხოდ გამოვდიოდი მის წინააღმდეგ. მაგრამ მე მეტი აღარ შემიძლია ასე ცხოვრება!“ გამოირკვა, რომ ახალგაზრდულ ოჯახურ ცხოვრებაში დიდი უბედურება დატრიალებულა. ის მიყვებოდა: „მე მსურდა მთელი სამყაროსათვის დამემტკიცებინა,

რომ ღმერთის გარეშეც შეიძლება მოაწყო ბედნიერი ოჯახური ცხოვრება“. მაგრამ, აი, ყველაფერი დაიმსხვრა. ცოლქმარმა იჩხუბა თავისი პირველი ბავშვის ცხედრის სიახლოვეს. ახლა ის მიხვდა: „ღმერთი ჩვენს წინააღმდეგაა. მე მაღლა ვწევ თეთრ ალამს“. ბავშვის დაკრძალვა, რომელშიც მეც მივიღე მონაწილეობა, თავზარდამცემი იყო. ცენტრში – კუბო ცხედრით. მოპირდაპირე მხარეს – ახალგაზრდა, ლამაზი, მაგრამ გამწარებული ცოლი თავისი ახლობლებით. ორი სამყარო, ორი დაჯგუფება, მათ შორის კი – მიცვალებული ბავშვი. ერთ წელზე მეტი გავიდა, სანამ ცოლმაც არ ირწმუნა უფალი იესო. მე არასოდეს დამავიწყდება ის აღდგომის დილა, როცა ბარათი მივიღე მისგან: „ის აღსდგა ჩემს გულშიც!“ ამის შემდეგ ისინი ხელმეორედ შეუღლდნენ, ისინი ხომ ნამდვილად არც იყვნენ ჯვარდაწერილნი. და მათ ახალი ცხოვრება დაიწყეს. ისინი ძალიან დამოუკიდებელი, გონიერი ადამიანები იყვნენ. ახლა მათი ცხოვრება შესანიშნავი იყო. „აღრე ჩვენი ცხოვრება ვერ აეწყო“, – ამბობდა იგი. „რატომაა ახლა ყველაფერი კარგად?“ – შევეკითხე მე. რაზედაც მან სიხარულით მიპასუხა: „იმიტომ, რომ ახლა ჩვენთან ქრისტე მეფობს. ახლა ჩემი ცოლი აღარ ითხოვს, რომ მისი ნება იქნეს აღსრულებული, და აღარც მე ვამბობ, რომ ძალაუფლება ჩემს ხელთაა. ახლა ჩვენ ასე ვსვამთ კითხვას: „რა სურს იესოს?“ – და ყველაფერი ჩვენ აწყობილი გვაქვს!“ მაშინ მე გავიგე: თუ იესო უკვე აქ, სახლებში მართავს ასე კარგად, შესანიშნავად და დიდებულად, რა იქნება, როცა ის მთელი დედამიწის მმართველი გახდება! შესანიშნავი იქნება ათასწლოვანი სასუფეველი. წარმოიდგინეთ თქვენ იესო-მეუფე! „ო, დიდებული დღე, სადაც მზე – შენ ხარ, იესო!“

იესოს მეუფების პერიოდის შემდეგ ბედნიერ კაცობრიობას კიდევ ერთხელ ელოდება გამოცდა – ნამდვილად გარდაიქმნა კი ადამიანთა გულები. ეშმაკი სრულიად განთავისუფლდება და აღმოჩნდება, რომ ადამიანთა გულები, არსებითად, არ შეცვლილა და კაცობრიობა იგივე დარჩა, რაც იყო. ბიბლიაში აღნიშნულია, რომ ეს იქნება უკანასკნელი ამბოხი ღმერთის წინააღმდეგ. მაშინ დადგება დასასრული. მზის სისტემა აფეთქდება. ცა და დედამიწა გაქრება. ნათქვამია: „და ვიხილე საყდარი დიდი სპეტაკი და მჯდომარე მას ზედა... და ვიხილენ მკუდარნი, მდგომარენი წინაშე საყდრისა მის. და წიგნნი განეხუნეს და რომელიცა არა იპო-

ვა წიგნსა მას ცხოვრებისასა დაწერილ, შთავარდა ტბასა მას ცეცხლისასა“.

მე ერთხელ მკითხეს: „და სადღა იდგება საყდარი, თუკი ყველაფერი გაქრება?“. რაზედაც მე ვუპასუხე: „ჯობს იმაზე იზრუნოთ, რა მდგომარეობაში წარსდგებით თქვენ წინაშე საყდრისა!“ ხომ შეიძლება დაიღუპოთ. მე ვისურვებდი, რომ ეს საშინელი ჭეშმარიტება არ ყოფილიყო ჩაწერილი ბიბლიაში. მაგრამ ასეთი შემზარავი საშიშროება არსებობს: ჩვენ შეიძლება სამუდამოდ დავიღუპოთ!

ამასთან დაკავშირებით ერთი ისტორია უნდა მოგიყვეთ. ერთ-ერთ შოტლანდიურ ციხე-დარბაზში რაღაც საზოგადოება შეიკრიბა. საუბარი ჩამოვარდა ქრისტიანობაზე. ყველანი ისხდნენ ბუხრის გარშემო, სადაც ცეცხლი გუზგუზებდა. და, აი, ერთი ხანში შესული ელეგანტური მამაკაცი ეუბნება დიასახლისს: „თქვენი საუბრიდან მე ასე გავიგე, რომ თქვენ ქრისტიანი ბრძანდებით. ნამდვილად გჯერათ კი თქვენ ის, რაც ბიბლიაში სწერია?“ – „დიახ, მჯერა!“ – „და რომ ყველა, ვისი სახელიც ჩაწერილი არ არის ცხორების წიგნში, ჯოჯოხეთში მოხვდება?– „დიახ, მე მჯერა ეს!“ მაშინ, ეს მამაკაცი წამოდგა და დარბაზი გადაკვეთა. იქ, კუთხეში, ეკიდა გალია თუთიყუშით. მან გამოიყვანა თუთიყუში გალიიდან და ბუხარს მიუახლოვდა იმ განზრახვით, რომ ჩიტი ცეცხლში ჩაეგდო. შემკრთალი ქალბატონი აჩერებს მას: „რას აკეთებთ? საცოდავი ჩიტუნია“. მამაკაცმა გაიცინა: „აი, ხომ ხედავთ, თქვენ ეს საცოდავი ჩიტუნიაც კი შეგეცოდათ. ხოლო თქვენი, ე.წ. ღმერთი სიყვარულისა ჯოჯოხეთში ჰყრის მილიონობით ადამიანს. აბა, სასაცილო არაა განა სიყვარულის ღმერთი!“ წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ ქალბატონმა სთქვა: „თქვენ სცდებით! ღმერთი არავის არ ჰყრის ჯოჯოხეთში. ჩვენ თვითონ, ჩვენი ნებით მივიჩქარით იქით. ღმერთს სურს, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს.

ბიბლია საშინელი სამსჯავროს შემაძრწუნებელ სურათს გვიჩვენებს. ჩვენ ვხედავთ ღმერთის სამსჯავროს: „და ვიხილენ მკუდარნი, მცირენი თუ დიდნი, მდგომარენი წინაშე ღმრთისა“.

ადამიანი უტევს ამ ცნობას სამსჯავროს შესახებ: „ეს არაა მართალი!“ ერთ ჩემს ახალგაზრდა მეგობარს ჰკითხეს როგორღაც ფაბრიკაში: „მართლა გჯერა შენ საშინელი სამსჯავრო?“ – „დიახ, მჯერა“. და საცინად აიგდეს: „ერთი, ყური დაგვიგდე! რამდენი კაცი ცხოვრობს ახლა ქვეყანაზე?

და რამდენი ცხოვრობდა ადრე? ახლა წარმოიდგინე შენ, რომ თითოეული ცალ-ცალკე უნდა წარსდგეს სამსჯავროზე. ერთი დაფიქრდი მხოლოდ, რა დრო დასჭირდება ასეთს სამსჯავროს!“ მაგრამ ახალგაზრდა კაცმა უპასუხა: „როდესაც ეს მომენტი დადგება, დრო ყველას საკმარისზე მეტი ექნება. სხვა საქმე ხომ არაფერი ექნებათ!“

დიახ, ღმერთს მაშინაც საკმაო დრო ექნება ჩვენთვის. და რაკი ღმერთი ყოველ ჩვენგანს ცალ-ცალკე გაასამართლებს, ამით ის ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ მისი განზრახვა ჩვენს მიმართ სერიოზულია. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მან ძე თვისი სიკვდილზე გაუშვა. თქვენ მთელ თქვენს ცხოვრებას ცოდვასა და თავქარიანობაში ფლანგავთ, – ღმერთი კი ამას მთელი სერიოზულობით ეკიდება.

ბიბლიური თხრობა მომავლის შესახებ ასე მთავრება: „და ვიხილე ცაჲ ახალი და ქუეყანაჲ ახალი“, სადაცა სუფევს სამართალი.

ბიბლია ღამაზ ფერებში გვიხატავს ახალ სამყაროს, მაგრამ ყველგან აქ ხაზგასმულია მთავარი აზრი: ღმერთმა თავის მიზანს მიაღწია. ამ ახალ სამყაროში ყველანი იქნებიან, ვინც ცხორების წიგნშია ჩაწერილი, და ვინც მისი მსგავსია, მსგავსი ძისა ღმერთისა. ეს იქნება სამყარო პოლიციის გარეშე, ციხეების გარეშე, სამსჯავროების გარეშე, ეშმაკების გარეშე, ომის გარეშე, ტკივილების გარეშე, ცოდვის გარეშე, სიკვდილის გარეშე! წაიკითხეთ თავად ეს შესანიშნავი თავები „გამოცხადებისა“ – თავი 21 და 22. ეს არის ნათელი სურათები, მიუწვდომელი ჩვენი გონებისათვის, რადგან ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ცოდვის, სიკვდილისა და ტანჯვა-წამების სამყაროს. მე ვისურვებდი ცხოვრებას ამ ახალ ღვთიურ სამყაროში! და თქვენ?

4. ან-ან

მე მინდა შევაჯამო ყოველივე ზემოთქმული. იცით, რაც უფრო ვუკვირდები ბიბლიის ამ ბოლო სურათს, მით უფრო ვრწმუნდები, რომ, ბოლოს და ბოლოს, იარსებებს ადამიანთა მხოლოდ ორი კატეგორია: ხსნილნი და წარწყმედილნი. და თუ თქვენ მეტყვით, რომ დღევანდელ სამყაროში იშვიათად აინტერესებს ვინმეს იესო, პასუხად მე მხოლოდ ერთს გეტყოდით: დაღუპულთა რიცხვი შეიძლება ძალზე დიდი იყოს! ჩვენი მამები ასე ლოცულობდნენ: „თუნდაც ბევრნი

იყვნენ, ვინც შენთან არ არის, მომეც მე მცირედთა შორის შემოვიდე სახლში!“ საბოლოოდ, იქნებიან მხოლოდ გადარჩენილნი და დაღუპულნი! კიდევ ერთი მინდა გითხრათ.

ჯერ დაღუპულთ უნდა მივმართოთ. ჩემმა მეგობარმა, პაულ ჰუმბურგმა მიამბო ერთხელ: „მე დამესიზმრა განკითხვის დღე. მე გავიგონე როგორ მიმართა იესომ წარწყმედილთ: „წარვედით ჩემგან, წყეულნო!“ ასე სწერია ბიბლიაში. მე ვხედავდი, როგორ ილტვოდნენ ისინი – თავჩაქინდრულნი, შეშინებულნი, სასოწარკვეთილნი. ისიც გავიგე, როგორ ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „იხილე შენ? ხელი, რომელმაც განგვდევნა ჩვენ, გახვრეტილი იყო! ის გახვრეტილი იყო ჯვარზე ჩვენი გულისთვისაც, მაგრამ ჩვენ ამას არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებდით. ახლა ჩვენ, სამართლიანად, დაღუპული ხალხი ვართ!“.

მიაქციეთ ყურადღება, ის მოკვდა პირადად თქვენი გულისთვისაც! არა აქვს მნიშვნელობა, გჯერათ თქვენ თუ არა. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ იესო მოკვდა თქვენი გულისთვისაც! მიდით ბარემ უფალთან! და თუ თქვენ ცოდვილად თვლით თქვენ თავს, მე უნდა გითხრათ, რომ ის სწორედ ცოდვილთ ეძებს, სხვა ხალხი ხომ საერთოდ არც არსებობს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ თვითონ უცოდველია, ეს მტკნარი სიცრუეა. ასეთი ხალხი დიდად შემცდარია, ამასთან ისინი ვერც კი ამჩნევენ, რომ დაღუპულნი არიან.

ახლა მე გადარჩენილებს – ცხოვნებულთ მინდა მივმართო. მიაქციეთ ყურადღება: ბიბლიაში, სადაც მომავალი სამყაროა აღწერილი, ნათქვამია, რომ ახალ იერუსალიმს საფუძვლად აქვს თორმეტი უზარმაზარი პატიოსანი ქვა, რომლებზეც თორმეტი მოციქულის – ევანგელეს მოწამეთა, სახელები იხსენიება. მე დაახლოებით ასე წარმომიდგენია ეს: ქვებზე სწერია – „პეტრე, იოანე, იაკობი“. ერთ მათგანზე: „მათე“. და იცით თქვენ, საიდან გაჩნდა მათე? ეს იყო მეზუერე, თაღლითი და ქურდი. როცა ერთხელ ის თავისი ბინძური საქმეებით იყო გართული, მახლობლად იესომ გაიარა და უხმო მას, გამომყევიო. ლევიმ, როგორც ადრე ეძახდნენ მას, ყველაფერი მიატოვა და გაჰყვა იესოს. იგი მოწმე იყო იმისა, თუ როგორ მოკვდა მისთვის მაცხოვარი, როგორ აღსდგა, დაბრუნდა უხილავ სამყაროში და წარმოაგზავნა სული წმიდა.

მოგვიანებით მეგობრები ეუბნებიან მას: „შენ ამდენი ხანი ცხოვრობდი იესოსთან, ჩაიწერე ყველაფერი ის, რაც ნახე!“

და მან გააკეთა ეს. ასე გაჩნდა სახარებაჲ მათესი, რომელიც ბიბლიაში გვაქვს ჩვენ და რომლის შემწეობით უკვე მილიონობით ადამიანმა იპოვა იესო. მისი ახალი სახელი „მათე“ ახალ სამყაროში ავტორიტეტულ ადგილზეა, სახელი ამ არამზადისა, რომელიც იესომ იხსნა. ასე დიდია იესო ქრისტეს მადლი! ასეთი მხსნელი ძალა აქვს მას!

ეს მადლი მზადაა თქვენზეც გადმოიფრქვეს! ნუ შეეწინააღმდეგებით! ლაპარაკია თქვენს ხსნაზე უკუნითი უკუნისამდე.

რას ვიძენთ ჩვენ, როცა ღმერთს ვუძღვნით ჩვენს ცხოვრებას?[1]

ჩვენი თემის სათაურია: „რას ვიძენთ ჩვენ, როცა ღმერთს ვუძღვნით ჩვენს ცხოვრებას?“ მაგრამ საკითხი ასეც შეიძლებოდა დაგვესვა: „ღირს კი ვიყო ქრისტიანი?“ პასუხად მინდა ერთი ნაწყვეტი მოვიყვანო ბიბლიიდან. პავლე მოციქულის ეპისტოლეში ეფესელთა მიმართ ნათქვამია: „კურთხეულ არს ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელმან მაკურთხა ჩუენ ყოვლითა კურთხევითა სულიერითა ცათა შინა ქრისტეს მიერ?“ ამ სიტყვებში შესანიშნავადაა გამოხატული კურთხევის სიმდიდრე, რომელიც ქრისტიანებს აქვთ იესოს მიერ. მაგრამ ვიდრე ამაზე მოგითხრობდეთ და, ამდენად, ვიდრე გავშლიდე ამ თემას, მე მინდა ზოგი წანამძღვარი განვმარტო. პირველი, რაც უნდა ვთქვა, ესაა:

1. ცხოვრება, რომელსაც ღმერთს ვუძღვნით, არ არის ილუზია!

დიახ, ცხოვრება, რომელსაც ღმერთს ვუძღვნით, არ არის შთაგონება ანდა ილუზია! მინდა ეს განგიმარტოთ.

დიდი ქალაქის პასტორს სხვადასხვა საინტერესო შეხვედრები აქვს. აქ, ამას წინათ მე შევხვდი ერთ ახალგაზრდა კაცს და ვუთხარი მას: „ერთი, დამიგდე ყური, შენი ცხოვრება რომ ღმერთს ეკუთვნოდეს, შენ ბევრი რამისათვის შეგეძლო მიგეღწია!“ – „ახ, პასტორო, – შემეკამათა ის, – ნუ მოწყდებით ხალიჩას!“ ცნობილია თქვენთვის ასეთი გამოთქმა? მას უნდოდა ამ სიტყვებით ეთქვა: „ნუ მოწყდებით მიწას! ღმერთი ხომ საერთოდ არ არსებობს!“ პასუხად მე ვუთხარი: „ის, რასაც შენ ამბობ, ჩემთვის უკანასკნელი ცნობებია“. – „მომისმინეთ ყურადღებით, – თქვა მან, – ადრე ადამიანები სრულიად უმწეონი იყვნენ ბუნების ძალთა

[1] ეს გახლავთ ბუშის უკანასკნელი მოხსენება, რომლითაც ის ქალაქ ბასნიცაში გამოვიდა, კუნძულ რიუგენზე, 1996 წლის 19 ივნისს. გზად, ამ ევანგელისტური მსახურებიდან რომ ბრუნდებოდა, 1996 წლის 20 ივნისს, იგი უფალმა გაიხმო თავის საუფლოში.

წინაშე და, შესაბამისად, გამოიგონეს თავისთვის მძლეთა მძლე ძალები, რომელთაც შეეძლოთ დახმარება აღმოეჩინათ მათთვის. ერთნი უწოდებდნენ მათ ალაჰს, მეორენი – ღმერთს, მესამენი – იეღოვას, მეოთხენი ბუდას, მეხუთენი კიდევ როგორღაც. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ეს – შთაგონებაა, ცა ცარიელია!“ და ასე, ამ ახალგაზრდამ შესანიშნავი ლექცია წამიკითხა. როცა მან მოამთავრა, მე ვუპასუხე: „ეჰ, ჩემო ძვირფასო, შენ ხომ არ იცნობ იესოს!“ „იესო? – მკითხა მან, – ეს ხომ მრავალთა შორის ერთ-ერთი რელიგიის დამფუძნებელია“. – „არა! ეს გაუგებრობაა! – ვუხსნი მე. – ეს საშინელი შეცდომაა, ჩემო კარგო! მე გეტყვი შენ, ვინ არის იესო. მას აქეთ, რაც მე იესოს ვიცნობ, მე გავიგე, რომ არსებობს ღმერთი ცხოველი! იესოს გარეშე ჩვენ არაფერი გვეცოდინებოდა ღმერთის შესახებ!“ და შემდეგ მე ავუხსენი მას, თუ ვინ არის იესო.

რას წარმოადგენს იესო? მე მინდა ეს მაგალითით გიჩვენოთ. იცით, ჩემი ცხოვრების მანძილზე მე ბევრი რამ გადავიტანე. ხშირად ვმჯდარვარ ციხეში, იმიტომ კი არა, რომ ვერცხლის კოვზებს ვიპარავდი, ჩემი აღმსარებლობის გამო. მესამე რაიხის წლებში ნაცისტებს არ უყვარდათ ახალგაზრდობის ასეთი პასტორები, როგორიც მე ვიყავი, და ყველაზე საზიზღარ ციხეებში მოვხვედრილვარ. ერთხელაც საშინელ ციხეში ვიჯექი. მთელი შენობა ბეტონისა იყო, ხოლო კედლები ისეთი თხელი იყო, რომ ისმოდა, როგორ ახველებდა ვიღაც ქვემოთ ან როგორ ვარდებოდა ვიღაც ტახტიდან ზემოთ, მესამე სართულზე. მე ძალზე ვიწრო საკანში ვიყავი გამომწყვდეული, როცა გავიგონე, როგორ შემოიყვანეს მეზობელ კამერაში ვიღაც ახალი პატიმარი, ისიც გესტაპოს მიერ დაპატიმრებული. ეს კაცი, როგორც ჩანს, უკიდურეს სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. თხელი კედლების მიღმა მე მესმოდა ღამით მისი ქვითინი. მესმოდა, როგორ ბორგავდა იგი ტახტზე. ხშირად გაისმოდა მისი სლოკინი. საშინელებაა, როცა მამაკაცი სტირის. დღისით ჩვენ გვეკრძალებოდა ტახტზე დაწოლა. მე შევნიშნე, რომ ის წინ და უკან დადიოდა: ორნახევარი ნაბიჯი იქით და ორნახევარი ნაბიჯი უკან; ის დარბოდა კამერაში, როგორც გალიაში გამოკეტილი ნადირი. ისმოდა ზოგჯერ მისი ოხვრაც. ჩემთან კი, ჩემს კამერაში, ღვთიური მშვიდობა სუფევდა! იცით, კამერაში ჩემთან იესო მოვიდა! და როცა მე მესმოდა, რა ღღეში იყო კაცი ჩემს მეზობლად, ასე ვფიქრობდი: „მე

როგორმე უნდა მოვხვდე მასთან! მე უნდა გავესაუბრო მას! ბოლოს და ბოლოს, მე პასტორი ვარ!“ გამოვიძახე დარაჯი. როცა ის მოვიდა, მე ვუთხარი მას: „მომისმინეთ, ჩემს გვერდით არის კაცი, რომელიც სრულ სასოწარკვეთილებაშია, ის იღუპება! მე ვარ პასტორი, მომეცით ნება შევიდე მასთან! მე მინდა დაველაპარაკო მას!“ მან მიპასუხა: „მე წავალ, ვიკითხავ“. ერთი საათის შემდეგ დარაჯი დაბრუნდა: „არ მოგვცეს უფლება! უარი გვითხრეს!“ ამგვარად, მე არასდროს ეს კაცი ახლოს არ მინახავს. ის კი მთლად ჩემს გვერდით იყო. მე არ ვიცი, როგორ გამოიყურებოდა ის, მოხუცი იყო თუ ახალგაზრდა. მე ვგრძნობდი მხოლოდ, რა სასოწარკვეთილი იყო იგი. შეგიძლიათ თქვენ ამის წარმოდგენა? ასე ვიდექი ხშირად მე კედელთან და ვფიქრობდი: რომ შემძლებოდა გამენგრია ეს კედელი და ამ კაცთან შევსულიყავი! მაგრამ ამ კედლის განგრევას მე ვერ მოვახერხებდი, მთელი ჩემი ძალა და ენერგიაც რომ მომეკრიბა.

ახლა კი განსაკუთრებულ ყურადღებას ვითხოვ! ასეთ სიტუაციაში, როგორშიაც მე ვიყავი მაშინ, იმყოფება ღმერთი ცხოველი, შემოქმედი ცისა და ქვეყნისა. ჩვენ ჩამწყვდეულები ვართ ხილულ სამგანზომილებიან სამყაროში. ღმერთი მთლად ჩვენს გვერდითაა. ბიბლია ამბობს: „გარემომიცავ შენ მე ყოველის მხრით“. ღმერთი ორ ნაბიჯზეა ჩვენგან, მაგრამ ჩვენს შორის სხვა განზომილების კედელია აღმართული. და, აი, ღმერთს ესმის ამა სოფლის ყველა სიმწარე. მას ესმის გააფთრებულთა ლანძღვა-გინება, მარტოსულთა გოდება, მათი ტკივილი, ვინც კუბოსთან დგას, მათი ოხვრა, ვინც უსამართლობისგან იტანჯება. ყველაფერი ეს გულში სწვდება ღმერთს, ისე როგორც იმ კაცის სასოწარკვეთილება მწვდებოდა მე მისი კამერიდან. წარმოიდგინეთ თქვენ, ღმერთმა შესძლო ის მოემოქმედა, რაც მე ვერ შევძელი: მან ერთხელ გაანგრია კედელი, რომელიც მისგან გვყოფდა ჩვენ, და შემოიჭრა ჩვენს ხილულ სამყაროში ძე თვისის, იესოს, მეშვეობით! გასაგებია თქვენთვის? ძე თვისის, იესოს, სახით მოგვევლინა ღმერთი ჩვენ მთელი სიბილწითა და სიმწარით სავსე მიწაზე! და მას აქეთ, რაც მე იესო შევიცანი, მე ვიცი, რომ ღმერთი ცოცხალია. ჩვეულებრივ მე ასე ვამბობ: „მას აქეთ, რაც იესო მოვიდა, ღმერთის უარყოფა მხოლოდ უცოდინარობაა“.

ახლა მე მინდა იესოზე გესაუბროთ. ჩემს გამოსვლებში მე სიამოვნებით მოგითხრობდით მხოლოდ იესოს შესახებ, მაგ-

რამ მაშინ ჩვენ არ გვეყოფოდა საღამოები მთელი სისრულით გაგვეხსნა ეს შესანიშნავი თემა.

მაშ, ასე. იესო დაიბადა ბეთლემში, აღიზარდა, დავაჟკაცდა. გარეგნულად არაფერი იმჩნეოდა მისი ღვთაებრივი დიდებისაგან. და მაინც ადამიანები ილტვოდნენ მისკენ. ისინი გრძნობდნენ, რომ მისი სახით ჩვენთან მოვიდა ღმერთის სიყვარული და მადლი!

ქანაანის მიწა, სადაც იესო ცხოვრობდა როგორც ისრაელი ხალხის საზოგადოების ერთ-ერთი წევრი, რომაული ჯარების ხელთ იყო. ქალაქ კაპერნაუმში გარნიზონის კომენდანტი იყო რომაელი მხედართმთავარი. რომაელებს მრავალი ღმერთი ჰყავდათ, მაგრამ სინამდვილეში არც ერთი არა სწამდათ. ამ რომაელ მხედართმთავარს კაპერნაუმში ავად გაუხდა ერთი მსახურთაგანი, კაცი უძვირფასესი მისთვის. ავადმყოფი სასიკვდილოდ იყო გადადებული. მოიწვიეს ექიმები, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ უშველა. მხედართმთავარი მიხვდა, რომ მისი მსახური განწირული იყო. და აქ მას გაახსენდა: „მე ხომ ბევრი მსმენია იესოს შესახებ. იქნება მას შეუძლია გვიშველოს? მოდი, მივაკითხავ მას!“ და ეს სრულიად ურწმუნო წარმართი მიემგზავრება იესოსთან და სთხოვს მას: „უფალო იესო, ჩემი მსახური ავადაა. ხომ არ შეგიძლია განკურნო იგი?“: – „კი, – პასუხობს იესო, – წამოგყვები!“ მაგრამ მხედართმთავარი ამბობს: „ოო, ეს არ არის საჭირო. ჩემი ბრძანება უმალვე სრულდება. შენც ასევე, საკმარისია სიტყვა დაძრა – და ჩემი მსახური გამოჯანმრთელდება“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ წარმართმა რომაელმა მხედართმთავარმა გამოხატა აზრი: „შენ შეგიძლია შეუძლებელი შესაძლებლად აქციო! შენ – ღმერთის განსახიერება ხარ!“ იესო მიუბრუნდა და უთხრა: „ისრაელში ასეთი რწმენა მე ვერ ვნახე“. ეს ნიშნავს: ასეთი რწმენა, როგორიც ამ ათეისტსა აქვს, მე ვერ ვნახე მთელს ეკლესიაში.“ ჰხედავთ თქვენ, ეს წარმართი მხედართმთავარი მიხვდა, რომ იესოს სახით ჩვენ ღმერთი გამოგვეცხადა!

თქვენ უნდა იცოდეთ ისტორია იესო ქრისტესი! მე გთხოვთ თქვენ, გემუდარებით თქვენ: შეიძინეთ ახალი აღთქმა. წაიკითხეთ სახარებაჲ იოანესი, შემდეგ სხვები და ა. შ. ესაა შესანიშნავი ისტორიები იესოს შესახებ! მე არ ვიცი არც ერთი ილუსტრირებული ჟურნალი, სადაც ასეთი შესანიშნავი ისტორიები იყოს დაბეჭდილი, როგორიც ახალ აღთქმაშია.

მაგრამ იესო, ძე ღმრთისა, მოვიდა ამა სოფლად არა მარ-

ტო იმისათვის, რომ იმ რომაელი მსახურის მსგავსნი განკურნოს, რომ დაგვიმოწმოს და დაგვიმტკიცოს ღმერთის არსებობა. ის მოვიდა, რათა ადამიანები შეარიგოს ღმერთთან!

უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთსა და ჩვენს შორის არის არა მარტო სხვა განზომილების კედელი. ღმერთსა და ჩვენს შორის აღმართულია კიდევ სულ სხვა კედელიც, კერძოდ: კედელი ჩვენი დანაშაულისა. გითქვამთ თქვენ ტყუილი ოდესმე? კი? ამით თქვენ უკვე აღგიმართავთ ერთი ქვა ღმერთსა და თქვენს შორის, თუ თქვენ ერთი დღე მაინც გიცხოვრიათ ღმერთის გარეშე, ლოცვის გარეშე – ეს კიდევ ერთი ქვაა. უწმინდურობა, მრუშობა, თუ თქვენ არ იცავთ კვირადღის კურთხევას და ათასი სხვა წვრილმანი, მცნებათა ყველა დანაშაული – ყველაფერი ეს ყოველ ჯერზე ემატება კედლის შენებას. ოო, ჩვენ ყველანი ერთად ვაშენებდით ამ კედელს, რომელიც ადამიანებს მიჯნავს ღმერთისგან. მაგრამ ღმერთი წმიდა ღმერთია. უნდა გესმოდეთ, რომ სიტყვა „ღმერთის“ მხოლოდ წარმოთქმასაც კი უცილობლად მოსდევს საკითხი ჩვენი ცოდვისა და ჩვენი დანაშაულის შესახებ. ამ საკითხს გადაწყვეტა ჭირდება! ღმერთი მთელი სერიოზულობით ეკიდება ყოველ ცოდვას! მე ვიცნობ ხალხს, რომლებიც თვლიან: „ო, როგორ ახარებს ალბათ ღმერთს ის, რომ მე ჯერ კიდევ მაქვს რწმენა მისდამი!“ ჩემო ძვირფასებო, ეს არ არის საკმარისი! ეშმაკსაც სწამს ღმერთი! ის სრულებითაც არ არის ათეისტი. მან შესანიშნავად იცის, რომ ღმერთი ცოცხალია. მაგრამ მას არა აქვს მშვიდობაჲ ღმერთთან! მშვიდობაჲ ღმერთთან მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიღოთ, როცა დაინგრევა ჩემი ცოდვებისა და ჩემთა დანაშაულთა ის კედელი, რომელიც ღმერთსა და ჩემს შორისაა. ამისთვის მოვიდა სწორედ იესო. მან დალეწა ჩვენი დანაშაულის კედელი! ამისთვის დათანხმდა იგი ჯვარზე მიელურსმნათ! მან იცოდა, რომ ვიღაცას თავის თავზე უნდა აეღო დანაშაული ცოდვათა გამო – ან ადამიანებს, ან მას! გესმით თქვენ: ან ვილჰელმ ბუშს, ან იესოს! და მაშინ მან, უდანაშაულო ძემ ღმერთისა ცხოველისა, იესო ქრისტემ, თავის თავზე იტვირთა ჩემი სასჯელი! და თქვენიც!

ახლა მე მინდა წარმოგიდგინოთ თვალწინ ჯვარზე გაკრული იესო ქრისტე – ჩემთვის ეს ყველაზე ძვირფასი გამოსახულებაა. და, აი, ის ჰკიდია, ის, ვისი მეშვეობითაც გაანგრია ღმერთმა კედელი და მოვიდა ჩვენს მწუხრისა და სევდის სამყაროში. ჰკიდია ის, ვისზედაც ნათქვამია ბიბლი-

აში: „უფალმა აღჰკიდა მას ტვირთი ცოდვათა ჩუენთა ყოველთა“. ჰკიდია ის, ვისაც ყველა ცოდვიანი ქვა, ჩვენი დანაშაულის ქვები, თავის მხრებზე აქვს მოკიდებული. ის კრებს ჩვენთა ცოდვათა ქვებს. წაიკითხეთ თქვენ თვითონ ამის შესახებ ბიბლიაში. აქ, ჯვარზე, ხორციელდება სიტყვები: „სასჯელი ამა სოფლისა ჩუენისა იდვა მას ზედა“.

ნება მიბოძეთ, ეს კიდევ სხვაგვარად ავხსნა. შვეიცარიაში მე მყავს კარგი მეგობარი, რომელთან ერთადაც ხშირად მიმოგზაურია. როდესაც ერთად სადმე ვსადილობდით, ანგარიშს წარმოგვიდგენდნენ ხოლმე: „ერთ-ერთმა უნდა გადაიხადოთ! ვისი ქისაა უფრო სქელი?“ მე, ცხადია, შემეძლო მეთქვა: „მეგობარო, დღეს შენი რიგია. ამოყარე!“ ხომ გესმით, ვიღაცამ უნდა გადაიხადოს! ღმერთის წინაშე ჩვენი დანაშაულის გამო, ყველა ჩვენი ცოდვისა და დანაშაულის გამო ვიღაცამ უნდა გადაიხადოს! ან უნდა დაუჯეროთ თქვენ იესოს, რომ მან თქვენს მაგიერ გადაიხადა, ანდა ერთხელ თქვენ თავად მოგიწევთ გადახდა. მაგრამ ყოველი ცოდვა გადახდას თხოულობს. ხედავთ, რატომაა ჩემთვის ასე ძვირფასი იესო?! მე მტკიცედ მაქვს მასზე ხელი ჩავლებული, იმიტომ, რომ მან ჩემი გადასახდელი გადაიხადა!

მაგრამ ეს იესო არ დარჩა საფლავში, არა! და ეს შესანიშნავია! მესამე დღეს იესოს სიკვდილის შემდეგ ერთი კაცი დიდად დამწუხრებული იდგა და ფიქრობდა: რა დაემართა იესოს? ახლა ის მკვდარია. მე ვნახე, როგორ ჩაასვენეს ის ქვის კუბოში და ქვის ლოდი ააფარეს. იყო ის ძე ღმერთისა თუ არა? ამ კაცს თომა ერქვა. ის ასეთ ფიქრებში იყო, როცა მასთან მოვიდნენ მისი მეგობრები და სიხარულით შესძახეს: „ყური დაგვიგდე! ის ცოცხალია! რა არის, რომ შენ ისევ დარდობ? ის ცოცხალია!“ – „ვინ არის ცოცხალი?“ – „იესო!“ – „ეს შეუძლებელია!“ – და მაინც, ჩვენ ვნახეთ ცარიელი კუბო! ჩვენ ამის მოწმენი ვართ და შეგვიძლია დავიფიცოთ კიდეც! ჩვენ შევხვდით მას!“ – „ნუთუ ეს შესაძლებელია, – ფიქრობს თომა, – რომ ვინმე აღსდგეს? თუ ეს სიმართლეა, მაშინ ის ნამდვილად ძე ღმერთისაა“. მაგრამ თომა სკეპტიკოსი იყო. იგი თვლიდა, რომ ცხოვრებაში ბევრჯერ გაასულელეს და ამიტომ მას მეტი აღარაფერი არ სჯეროდა, რაც საკუთარი თვალით არ ეხილა. ჩემი ერთ-ერთი მგზავრობის დროს მე ვესაუბრე იესოს შესახებ გამყოლ ქალს, და მან თქვა: „მე მწამს მხოლოდ ის, რასაც ვხედავ!“ ზუსტად ასევე ფიქრობდა თომაც. და მან უთხრა დანარჩენებს: „უკუეთუ არა ვიხილო

ხელთა მისთა სახე იგი სამსჭუალთაჲ და დავსხნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამსჭუალთასა და დავსდვა ხელი ჩემი გუერდსა მისსა არსადა მრწმნეს“. მოწაფეებს რამდენიც არ უნდა ერწმუნებინათ თომა, იგი მაინც იტყოდა: „არასადა მრწმნეს!“ რვა დღის შემდეგ იგი თავის მეგობრებთან ერთად იყო. უცებ მათ შორის გაჩნდა იესო: „მშვიდობაჲ თქუენ თანა!“ – და, მიმართა რა თომას, ის ამბობს: „მოყვენ თითნი შენნი და იხილენ ხელნი და მოიღე ხელი შენი და დამდევ გუერდსა ჩემსა და ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ!“ მაშინ ეს ეჭვებით შეპყრობილი სკეპტიკოსი მუხლებზე დაემხო და წამოიძახა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“

ახლა თქვენთვის ნათელია ჩემი სიტყვები, რომ ღმერთისადმი მიძღვნილი ცხოვრება არ არის ილუზია! ღმერთი არ არის რაღაც გაურკვეველი, როგორც ზოგიერთები ამბობენ: „საღღაც ღმერთი კი უნდა იყოს, მაგრამ როგორ გამოიყურება ის, არავინ იცის“. არა, სრულებითაც არ არის ასე! ის ფაქტი, რომ არსებობს ცხოვრება ღმერთისა თანა, დასაბუთებულია იმით, რომ ძე ღმერთისაჲ მოვიდა ამ ქვეყნად, მოკვდა ჩვენი გულისათვის და მკვდრეთით აღსდგა. ამიტომ ღმერთის შესახებ ახლა მე ყველაფერი სრულიად გარკვეულად ვიცი.

თემის გასახსნელად მე, პირველ ყოვლისა, უნდა განმემარტა, რომ ცხოვრება, რომელიც ღმერთისადმია მიძღვნილი, არ არის არც ილუზია და არც შთაგონება. ახლა კი მე უნდა ვუპასუხო მეორე წინასწარულ კითხვაზე, კერძოდ:

2. როგორ მოვიპოვოთ ცხოვრება ღმერთისა თანა?

რა ხშირად უთქვამთ ჩემთვის: „პასტორო, თქვენ ბედნიერი კაცი ხართ! თქვენ გაქვთ რაღაც ის, რაც მე არ გამაჩნია“, და მე მათ ვპასუხობ: „სისულელეებს ნუ ამბობთ! თქვენც შეგიძლიათ იგივე გქონდეთ! იესო თქვენთვისაც არსებობს!“ ჩვეულებრივ ასეთი პასუხი მოყვება: „კი, მაგრამ როგორღა მოვიპოვო მე ცხოვრება ღმერთისა თანა?“ ამ კითხვაზე ბიბლია ნათლად და მოკლედ პასუხობს: „გრწმენინ უფლისაჲ იესო ქრისტესი!“

ოო, რომ შემეძლოს მე მიგიყვანოთ თქვენ ამ რწმენამდე! ამისთვის მე უნდა განვმარტო, რას ნიშნავს, საკუთრივ „რწმენა“. ბევრს სრულიად მცდარი წარმოდგენა აქვს რწმენაზე.

ერთხელ მე ლექციების კითხვა მომიწია ნორვეგიის

დედაქალაქში, ოსლოში. შაბათს დილით უკან უნდა გამოვ-ფრენილიყავი, რადგან უკვე მეორე დღეს ჩემს ქადაგებას ელოდებოდნენ ვუპერტალეში, დიდ საკრებულოში. მაგრამ თავიდანვე დავინავსე: ნისლის გამო ფრენა მთელი ერთი საათით გადაიდო. ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენმა თვით-მფრინავმა გეზი კოპენჰაგენისკენ აიღო, სადაც გადაჯდომა გვიწევდა. როდესაც უკვე თავზე დავტრიალებდით კოპენჰა-გენს, ჩვენი თვითმფრინავი შემობრუნდა და შვეციის მიმარ-თულებით გაფრინდა. ჩვენ გამოგვიცხადეს, რომ კოპენჰაგენი მთლიანად ნისლშია გახვეული და დაფრენა შეუძლებელია. გავფრინდით მალმეში. აქ, შვეციაში მე არაფერი მესაქმებო-და. მე მჭირდებოდა დიუსელდორფი! მე უნდა მექადაგა ვუ-პერტალეში! როგორც იყო, დავჯექით მალმეში და ვხედავთ, რომ მთელი აეროპორტი მგზავრებითაა გადაჭედილი. ხოლო თვითმფრინავები ისევ და ისევ ჯდებოდნენ ერთმანეთის მიყოლებით. გამოირკვა, რომ მხოლოდ მალმეს აეროპროტი იყო ნისლისგან გადაწმენდილი. ყველა თვითმფრინავი აქ მოფრინავდა. ეს იყო პატარა აეროპორტი, რომლის შენო-ბაში უკვე არც ერთი თავისუფალი ადგილი არ იყო მოსასვე-ნებლად. მე გამოვეცნაურე ერთ ავსტრიელ კომერსანტს. ჩვენ ორთავეს ერთი ინტერესი გვქონდა: როდემდე ვიქნებით ასე? შესაძლოა, დილამდე მოგვიხდეს ფეხზე დგომა. ასე ხომ ფეხებმაც შეიძლება გვიმტყუნოს! ყველა ილანძღებოდა, კი-თხულობდნენ, ბუზღუნებდნენ, უკმაყოფილებას გამოსთქვამ-დნენ, ისე როგორც ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში. უცებ რადიო აცხადებს: „მიფრინავს თვითმფრინავი სამხრეთის მიმართულებით! ჯერჯერობით არაა ცნობილი, საით გაფრინ-დება: ჰამბურგისკენ, დიუსელდორფისკენ თუ ფრანკფურტისა-კენ. მსურველებს შეგიძლიათ გაემართოთ ჩასასხდომად.“ ეს იყო სრული გაურკვევლობა. ჩვენს მახლობლად მაშინვე აქაქანდა ერთი ქალბატონი: „ამ თვითმფრინავში მე არ ჩავჯდები! მე მეშინია!“ მე მივმართე მას: „ძვირფასო! თქვენ შეგიძლიათ არ გაფრინდეთ, დარჩით აქ მშვიდად!“ ხოლო ჩემმა ავსტრიელმა სთქვა: „ჰო, ასეთ ნისლში გაფრენა! მით უმეტეს, რომ არ ვიცით, სად დავჯდებით!“ იმ დროს, როცა მოქაქანე ქალბატონი, ავსტრიელთან ერთად, ჩემში ეჭვებს აღძრავდა, პილოტმა ჩაგვიარა, ლურჯ ფორმაში გამოწყო-ბილმა. მე სახეზე შევნიშნე, რომ იგი საკმაოდ სერიოზული და დაძაბული იყო; ყველაფერში იგრძნობოდა ის დიდი პასუ-ხისმგებლობა, რომელიც მას ეკისრებოდა. და მე ვუთხარი

ჩემს ავსტრიელ მეგობარს: „ამ პილოტს შეიძლება ვენდოთ, წავიდეთ, ჩავსხდეთ! ეს არ ჩანს თავქარიანი კაცი!“ და ჩვენ გავემართეთ ჩასაჯდომად. იმ წუთიდან, როცა ჩვენ თვითმფრინავში შევედით, როცა მოვწყდით მიწას, და თვითმფრინავის კარი ჩაიკეტა, ჩვენ ამ კაცის ხელში აღმოვჩნდით. მაგრამ ჩვენ მივენდეთ მას. მე მივანდე მას ჩემი სიცოცხლე. თვითმფრინავი ფრანკფურტში დაჯდა. ვიდრე სახლამდე მივატანე, მთელი ღამე გაიპარა. მაგრამ მე მიზანს მივაღწიე. აი, რას ნიშნავს „რწმენა“! რწმენა – ნიშნავს მიენდო ვიღაცას.

როგორც მოვიპოვოთ ცხოვრება ღმერთისა თანა? „გრწმენინ უფლისაჲ იესო ქრისტესი!“ მე ვიტყოდი: „შედი იესოსთან!“ გასაგებია, რას ვამბობ? თვითმფრინავში ჩაჯდომისას მე შევამჩნიე, რომ ავსტრიელს დიდი სურვილი ჰქონდა ცალი ფეხით აეროპორტში დარჩენილიყო, ხოლო მეორეთი თვითმფრინავში მოხვედრილიყო. მაგრამ ამას, აბა, როგორ გააკეთებდა. ის ან აეროპორტში უნდა დარჩენილიყო, ანდა პილოტს უნდა მინდობოდა მთლიანად! ასევეა საქმე იესოს შემთხვევაშიც. თქვენ არ შეგიძლიათ ცალი ფეხით იესოს გარეშე იცხოვროთ, მეორეთი კი – მასთან შეხვიდეთ! ეს შეუძლებელია! რწმენა უფლისა იესო ქრისტეს მიმართ, ცხოვრება – ღმერთისადმი მიძღვნილი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მთლიანად მიენდობი მას. მე უნდა ვუთხრა მას: „ღმერთო, წაიღე ცხოვრება: ის//მთლიანად შენ გეძღვნება.“

ნება მიბოძეთ, გკითხოთ: ვის შეიძლება უფრო მეტად მიენდოთ თუ არა ძე ღმერთისას? არავის ამ ქვეყნად არ გაუკეთებია ჩემთვის იმდენი, რაც იესომ გამიკეთა! მან ისე შემიყვარა მე, რომ ის მოკვდა ჩემი გულისათვის. და თქვენი გულისთვისაც! არავის არ შევყვარებივართ ჩვენ ისე, როგორც მან შეგვიყვარა. იგი აღსდგა მკვდრეთით. ნუთუ მე არ შემიძლია ჩემი ცხოვრება მას მივანდო, ვინც აღსდგა? შეშლილი უნდა იყო, ეს რომ არ გააკეთო! იმ წუთიდან, როცა მე ჩემს ცხოვრებას გადავაბარებ იესოს, მე ვიწყებ ცხოვრებას, რომელიც ღმერთისადმია მიძღვნილი, ჩემთვის მეტად ძვირფასია სიტყვები ერთი ჰიმნიდან: „ვის, თუ არა შენ, მივუძღვნა თავი ჩემი. //ო, მეუფეო, მიიცვალე შენ ჯვარზე ცოდვილისა ჩემთვის. // შენთვის მომაქვს მსხვერპლად თავი და ცხოვრება ჩემი. // მსურს ვიყო ბოლომდე ერთგული, // მე – მეომარი შენი და შენი მსახური“. ო, თქვენც რომ შეგეძლოთ ამის თქმა!

მე მინდა ზოგი რამ კიდევ დავამატო. მისმინეთ, თუ თქვენ გსურთ თქვენი ცხოვრება იესოს მიუძღვნათ, მიენდოთ მას, უთხარით მას ამის შესახებ! ის თქვენს გვერდითაა! მას ესმის თქვენი! უთხარით მას: „უფალო იესო, შენ გიძღვნი მე ჩემს ცხოვრებას!“ როცა მე, ულმერთო, წარწყმედილმა ახალგაზრდა კაცმა იესოს მივმართე და შევიწყნარე იგი, ასე ვლოცულობდი: „უფალო იესო! ახლა მე შენ გაბარებ ჩემს ცხოვრებას. მე ვერ დაგპირდები, რომ კეთილი გავხდები. ამისათვის შენ სხვა გული უნდა ჩამიდგა მე! მე ჭირვეული ხასიათი მაქვს, მაგრამ მე ისეთი მოვდივარ შენთან, როგორიც ვარ. გააკეთე ჩემგან ის, რაც შენ გსურს!“ ეს იყო მომენტი, როცა მე ორივე ფეხით შევედი იესოსთან და მას მივანდე ჩემი ცხოვრების მართვა, ვინაც თავისი სისხლის ფასად გამომისყიდა მე.

მაგრამ ასეთ ცხოვრებაში რომ აღიზარდო, უნდა უცილობლად შეასრულო სამი პირობა: საღმრთო წერილის კითხვა, ლოცვა და ღვთის შვილებთან ურთიერთობა.

იცოდეთ, თქვენ ვერ შეძლებთ იმას, რომ იესოს ეკუთვნოდეთ, თუ არაფერს წაიკითხავთ მის შესახებ და არაფერს მოისმენთ. იკითხეთ ბიბლია, იკითხეთ ახალი აღთქმა ყოველდღიურად, მეოთხედი საათის განმავლობაში, ლოცვად განაბულნი. ნუ აგაღელვებთ თქვენ გაუგებარი ადგილები. რაც უფრო მეტს წაიკითხავთ, მით უფრო მეტი შესანიშნავი ჭეშმარიტება გადაიშლება თქვენს წინ. სიხარულით ივსება ჩემი გული, როცა დავფიქრდები, რომ მე ვეკუთვნი ამ საკვირველს მხსნელს და შემიძლია გაუწყოთ მის შესახებ. შესაძლოა არა მარტო გქონდეთ ცხოვრება, რომელიც ღმერთისადმია მიძღვნილი, არამედ მისი გაწილადებაც.

მეორე პირობა – ლოცვაა. იესოს, ესმის თქვენი. არ გჭირდებათ თქვენ ლამაზი სიტყვებით მიმართოთ მას. საკმარისია ილოცოთ ისე მარტივად, როგორც ერთი დიასახლისი ლოცულობს: „უფალო იესო, დღეს მძიმე დღეა: ჩემი ქმარი უგუნებოდ არის, ბავშვები ყურს არ გვიგდებენ, სარეცხი მაქვს, და ყველაფერთან ერთად, აუცილებლად გვჭირდება 10 მარკა. უფალო იესო, შენ ფეხთით ვყრი მთელს ჩემს ბეჩავ ქონებას. აჩუქე ჩემს გულს სიხარული, – ჩემი ცხოვრება ხომ ღმერთისადმია მიძღვნილი! მიშველე, რათა გადავიტანო ყველაფერი! უფალო იესო, მადლობას გწირავ, რომ მე შემიძლია მთლიანად მოგენდო შენ!“ გესმით, მე შემიძლია ყველაფერი ვუთხრა იესოს, რაც გულში მაქვს! შემიძლია აგრეთვე

ვთხოვო: „უფალო იესო, მომეც შეძლება უკეთ შეგიცნო შენ, რათა კიდევ უფრო გეკუთვნოდე შენ!“

მესამე პირობა ღმერთისა თანა ცხოვრებისა – ურთიერთობაა. ეს ნიშნავს – შეუერთდეთ მათ, ვინც აგრეთვე იესოს ეკუთვნის. ამას წინათ ვიღაცამ შემომჩივლა, რომ არ შეუძლია აღიზარდოს რწმენით. მე ვურჩიე მას ურთიერთობა დაემყარებინა ქრისტიანებთან. მაგრამ მან მითხრა, რომ ისინი სრულებით არ მოსწონს მას. მაშინ მე ვუპასუხე: „ვერაფერს იზამ, თუ თქვენ გსურთ მათთან ერთად იყოთ ზეცად, უნდა ისწავლოთ ეს უკვე აქ, მიწაზე! ღმერთი ვერ შექმნის თქვენთვის რაღაც განსაკუთრებულ ქრისტიანებს!“

ახალგაზრდობაში მე ვიცნობდი ერთ ბანკირს. ეს იყო ხანში შესული კაცი, რომელმაც ბევრი რამ მომიყვა თავისი სიყმაწვილის წლებიდან. როდესაც მან სწავლა მოამთავრა, მამამ მისცა მას გარკვეული თანხა ევროპის დედაქალაქებში სამოგზაუროდ. წარმოიდგინეთ თქვენ 18 წლის ყმაწვილი, რომელსაც ასეთი შესაძლებლობა გაუჩნდა. ასეთი რამ ყველას შეშურდებოდა! და ამ ხნიერმა კაცმა მიამბო: „მე ვიცოდი, რომ ღღევანდელ დროში ასეთ დიდ ქალაქებში ბევრი საცდური და ცდუნებაა, მე სულ ადვილად შემეძლო ცოდვაში ჩავვარდნილიყავი. მაგრამ მე მსურდა იესოს მივკუთვნებოდი და ამიტომ თან გავიყოლე ახალი აღთქმა. ყოველთვის, როცა სასტუმროდან გამოვდიოდი, მე მინდოდა მომესმინა იესოს ხმა, მინდოდა მასთან საუბარი. საცა არ უნდა ჩავსულიყავი, ყველგან ვეძებდი ქრისტიანებს. მე ყველგან ვპოულობდი იესოს მოწაფეებს: ლისაბონში, მადრიდში, ლონდონში... ყველაზე მეტად პარიზში გამიჭირდა. დიდხანს ვეძებდი იქ ვინმეს, ვინაც იესოს ეკუთვნოდა. ბოლოს და ბოლოს, მიმითითეს ერთ მეწაღეზე, რომელიც ბიბლიას კითხულობდა. და, აი, ეს ელეგანტური ყმაწვილი კაცი ჩადის კიბით მეწაღის სახელოსნოში და ეკითხება მას: „იცნობთ თქვენ იესოს?“ პასუხად მეწაღეს სიხარულით თვალები გაუბრწყინდა. ახალგაზრდამ სთხოვა მას: „შეიძლება ყოველ დილით მოვიდე თქვენთან და ერთად ვილოცოთ? ასეთი მნიშვნელოვანი იყო მისთვის მესამე პირობა – ურთიერთობა მასთან, ვისაც ნამდვილად სურს ქრისტიანი იყოს.

ამგვარად, მე მინდოდა, პირველ ყოვლისა, მეჩვენებინა თქვენთვის, რომ მას აქვეთ, რაც იესო მოგვევლინა, ცხოვრება, რომელიც ღმერთისადმია მიძღვნილი, არ არის ილუზია. მეორე – რათა მოვიპოვოთ ცხოვრება ღმერთისა თანა, უნდა

გვწამდეს უფალი იესო ქრისტე. და, ბოლოს, მე მივადექი ძირითად საკითხს.

3. რას გვაძლევს ჩვენ ცხოვრება ღმერთისა თანა?

ძვირფასო მეგობრებო! მე რომ ყველაფერი ის მომეთხრო თქვენთვის, თუ რას გვაძლევს ჩვენ ღმერთთან ცხოვრება და იესოსთან ურთიერთობა, დრო არ მეყოფოდა. იმდენად ბევრს მოიცავს ეს თემა.

მე არასოდეს დამავიწყდება რა მითხრა 53 წლის მამაჩემმა სასიკვდილო სარეცელზე რომ იწვა: „ვილჰელმ, უთხარი ყველა ჩემს მეგობარსა და ნაცნობს, რა ბედნიერება და ნეტარება მომიტანა იესომ მე ცხოვრებაშიც და სიკვდილშიც!“ იცით, როდესაც ადამიანი აგონიაშია, სიკვდილის წინ, მას ლამაზი სიტყვებისა და ფუშფუშა ფრაზების თავი არა აქვს. და თუ ის ამ დროს ადასტურებს, რომ იესომ იგი ბედნიერ კაცად აქცია ცხოვრებაშიც და სიკვდილშიაც, ეს სიტყვები მაშინ სულით ხორცამდე შეგვძრავს. როგორიღა იქნება თქვენი სიკვდილი?

როცა მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა პასტორი ვიყავი, რურის ოლქში საინტერესო ისტორია მოხდა. ხალხის დიდ თავყრილობაზე ერთი სწავლული კაცი ორი საათის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ღმერთი არ არსებობს. საამისოდ მან მთელი თავისი ცოდნა გამოიყენა. ოვაციები არ წყდებოდა: „ვაშა! ღმერთი არ არსებობს! ჩვენ შეგვიძლია ვაკეთოთ ის, რაც გვსურს!“ როცა ორი საათის შემდეგ ორატორმა დასრულა, კრების თავმჯდომარე ადგა და გამოაცხადა: „ახლა კი დავიწყოთ დისკუსია. ვისაც აქვს სურვილი გამოვიდეს, გთხოვთ, ხელი ასწიოთ!“ ცხადია, არავინ იყო ასეთი მამაცი. ყველა ასე ფიქრობდა: „ვის შეუძლია ასეთს სწავლულს შეეკამათოს?“ ბუნებრივია, ბევრი ისეთებიც იყვნენ, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ მას. მაგრამ ვის ეყოფოდა ვაჟკაცობა ტრიბუნაზე ასულიყო, როდესაც ათასობით ადამიანი ზის და ტაშს უკრავს? და მაინც! ერთმა ასწია ხელი. უკანა რიგებში აღმოჩნდა მოხუცი ქალი, ასეთი ნამდვილად აღმოსავლეთ-პრუსიელი დედაბერი შავი ჩაჩით, როგორებიც ბევრია რურის ოლქში. თავმჯდომარემ იკითხა: „ბებიკო, თქვენ გსურთ რაღაც სთქვათ?“ – „დიახ, – უპასუხა მან, – მე მინდა ზოგირამ ვთქვა!“ – „მაშინ თქვენ წინ უნდა გამობრძანდეთ! – „კი ბატონო, – სთქვა მან, – მე არ მეშინია!“ გაბედული ქალი

იყო! ეს იყო დაახლოებით 1925 წელს. მოხუცი ქალი ტრიბუნას მოადგა, კათედრაზე შედგა და დაიწყო: „ბატონო ორატორო. თქვენ ეს-ესაა ორი საათის განმავლობაში ყვებოდით თქვენს ურწმუნოებაზე. ნება მიბოძეთ, ახლა მე ვთქვა ხუთი წუთის მანძილზე ჩემი რწმენის შესახებ. მე მინდა თქვენ მოგითხროთ, რა გააკეთა ჩემთვის ჩემმა უფალმა, ჩემმა ზეციურმა მამამ. როცა მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი ვიყავი, ჩემი ქმარი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა მაღაროში. იგი მკვდარი მოასვენეს სახლში. დავრჩი მე მარტო ჩემი სამი პატარა ბავშვით. იმ დროს სოციალური დაწესებულებები ჯერ კიდევ ძალზე უძლურნი იყვნენ. როცა მე ჩემი მეუღლის კუბოსთან ვიდექი, გაოგნებული და სასოწარკვეთილი ვიყავი. მაგრამ ღმერთმა მანუგეშა ისე, როგორც ვერავინ ადამიანთაგან ვერ შესძლებდა ჩემს ნუგეშისცემას, ის, რასაც ადამიანები მეუბნებოდნენ მე, ერთ ყურში შედიოდა და მეორეში გამოდიოდა. ის კი – ღმერთი ცხოველი – ჩემი ნუგეშისმომცემი იყო! მე ვუთხარი მას: „უფალო, შენ უნდა იყო ჩემი ბავშვების მამა!“ (თავზარდამცემი იყო, რასაც ეს მოხუცი ჰყვებოდა!). „საღამოობით მე ხშირად არ ვიცოდი, სად უნდა მეშოვნა ფული, მეორე დღეს რომ ბავშვებს რაიმე საჭმელი ჰქონოდათ. და ამაზეც ვეუბნებოდი მე ჩემს მაცხოვარს: „უფალო, შენ ხომ იცი, რა გაჭირვება მადგას, მიშველე მე!“ შემდეგ ამ მოხუცმა ქალმა ორატორს მიმართა და სთქვა: „მას არასდროს არ მიუტოვებივარ მე, არასდროს! ზოგჯერ მე შავბნელი დღეები მქონდა, და ის მაშინაც ჩემს გვერდით იდგა. მან უფრო მეტიც გააკეთა ჩემთვის: მან მომივლინა მე ძე თვისი, უფალი იესო ქრისტე, რომელიც მოკვდა ჩემი გულისათვის და თავისი სისხლით განმბანა მე ყველა ცოდვებისაგან! დიახ, ახლა მე ბებერი ქალი ვარ. მე მალე მოვკვდები. მაგრამ, მისმინეთ, მან, იესომ მომცა მე ურყევი რწმენა სამარადისო ცხოვრებისა. და თუ მე ახლა, აქ, დავხუჭავ თვალებს, ზეცაში გავიღვიძებ, რადგან მე იესოს ვეკუთვნი. ყველაფერი ეს მან გააკეთა ჩემთვის! ახლა კი მე გეკითხებით თქვენ, ბატონო ორატორო, რა მოგცათ თქვენ თქვენმა ურწმუნოებამ?“ ორატორი წამოდგა, მოხუცებულს მხარზე მოუთათუნა ხელი და უთხრა: „ოო, ჩვენ არ გვინდა ასეთ ბებერ ქალს რწმენა წავართვათ! ბებრებისათვის იგი სავსებით შესაფერისია!“ უნდა გენახათ თქვენ მაშინ ეს ბებერი ბებია! მან ენერგიულად უარყო ყველაფერი ეს და სთქვა: „არა, არა, ასე ადვილად თქვენ ვერ

დამიძვრებით! მე შეკითხვა დაგისვით თქვენ, ბატონო ორატორო, და თქვენ უნდა მიპასუხოთ! ის, რაც ჩემმა უფალმა გამიკეთა მე, ეს მე მოგახსენეთ. ახლა კი თქვენ მიბრძანეთ მე: „რა გაგიკეთათ თქვენ თქვენმა ურწმუნოებამ?“ უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ბებია ჭკვიანი ქალი იყო...

და თუ ახალ მსოფლიოში ყოველი მხრიდან თავს ესხმიან ევანგელეს, მაშინ მეც მებადება ასეთი კითხვა: „რას გაძლევთ თქვენ, სახელდობრ, თქვენი ურწმუნოება?“ ყოველ შემთხვევაში, მე არ მექმნება შთაბეჭდილება, რომ ის ადამიანთა გულებს მშვიდობით აღავსებს და რომ მისგან ადამიანები ბედნიერნი არიან. არა, ჩემო ძვირფასებო!

მაინც რას გვაძლევს ჩვენ ცხოვრება, რომელიც იესოსადმია მიძღვნილი? მე მინდა მოგითხროთ ამის შესახებ ჩემი პირადი გამოცდილებიდან.

ჩემი ცხოვრება აუტანელი იქნებოდა, მე რომ არ მქონოდა მშვიდობა ღმერთისა თანა იესოს მეშვეობით! ხანდახან, ასე მეგონა, გული უნდა გამსკდომოდა: დღეს შევიტყვე, რომ აქ, მეზობლად, მოხდა დიდი უბედურება, რომელმაც ორი ოჯახი დააგლოვა. ჩვენც შეიძლება უცებ თავს დაგვატყდეს ყოველნაირი ჭირი, ისე რომ, გაფუყული ფრაზები ვერ გვიშველის და მხოლოდღა ხელებს თუ ავაფათურებთ ბნელში, თითქოს ვეკითხებოდეთ ვისმე: ნუთუ არ არის ის, ვისაც შეეძლო დახმარება აღმოეჩინა ჩემთვის? იცოდეთ თქვენ, რომ ცხოვრების უმძიმეს წუთებში ვლინდება ის, რაც თქვენ გაქვთ იესოში. როცა მე დავქორწინდი, ცოლს ვუთხარი: „მე მინდა მყავდეს ექვსი ვაჟი და ექვსივე რომ ტრომბონზე უკრავდეს“. მე ვფიქრობდი, რომ ეს შესანიშნავია – საკუთარი სასულე ორკესტრი სახლში. და ჩვენ მართლაც ექვსი ბავშვი გვყავდა: ოთხი მშვენიერი გოგო და ორი ვაჟი. მაგრამ არც ერთი ამ ბიჭებიდან აღარ არის ცოცხალი. ორივე წამართვა ღმერთმა, საშინელი უბედურებით, ჯერ ერთი, მერე – მეორე. დღემდე არ შემიძლია ამის გაგება. მთელი ჩემი ცხოვრება ახალგაზრდა ყმაწვილებთან მქონდა საქმე, რადგან ახალგაზრდების პასტორი ვიყავი, ჩემი საკუთარი ბიჭები კი... აქამდე მახსოვს, როცა ჩემი მეორე ვაჟის დაღუპვის ამბავი გავიგე, როგორ ვეხეთქებოდი აქეთ-იქით, თითქოს გულში დანა მქონდა გარჭობილი. მოდიოდა ხალხი სანუგეშო სიტყვებით, რომელიც არ ეკარებოდა ჩემს გულს და ვერავითარ ზემოქმედებას ვერ ახდენდა ჩემზე. მაგრამ მე ახალგაზრდების პასტორი ვიყავი და ვიცოდი, რომ დღეს საღამოს უნდა წავ-

სულიყავი ახალგაზრდების კლუბში, სადაც სიხარულით უნდა მექადაგა საღმრთო წერილი 150 ყმაწვილის წინაშე. ჩემი გული კი სისხლისგან იცლებოდა! მაშინ მე ჩავიკეტე ოთახში, მუხლებზე დავიჩოქე და ლოცვა დავიწყე: „უფალო იესო, შენ ხომ ცოცხალი ხარ, შემიწყალე მე, საცოდავი პასტორი!“ გადავშალე ახალი აღთქმა და წავიკითხე: „მიუგო იესო: „მშვიდობასა ჩემსა მოგცემ თქუენ“. მე ვიცოდი, რაც მან თქვა, ის მას აღასრულებს. და მე მას შევსთხოვე: „უფალო იესო, ახლა მე ვერ გამიგია, რატომ დაუშვი შენ ეს, მაგრამ მომეცი მე მშვიდობა შენი! აღავსე ჩემი გული შენი მშვიდობით!“ და მან ეს გააკეთა! მან ეს გააკეთა! ამას გიდასტურებთ თქვენ მე აქ.

და თქვენც დაგჭირდებათ იგი, როცა ვერცერთი ადამიანი ვერ შესძლებს თქვენს ნუგეშისცემას. ო, რა შესანიშნავია იცნობდე იესოს, რომელმაც გამოგვისყიდა ჩვენ ჯვარზე თავისი სისხლით და აღსდგა, როცა ვერც ერთი ადამიანი ვერ შესძლებს დაგეხმაროთ თქვენ! ჩვენ შეგვიძლია მას ვუთხრათ: „უფალო! მომეცი მე შენი მშვიდობა!“ მშვიდობა, რომელსაც ის გვაძლევს, ძლიერი ნაკადით იღვრება გულში. ეს ეხება ჩვენი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებსაც, როცა სიკვდილი გვიახლოვდება. როგორი იქნება თქვენი სიკვდილი? მაშინ ვერც თქვენ გიშველით ვერც ერთი ადამიანი. თქვენ მოგიწევთ ერთხელ ხელი გაუშვათ თქვენთვის ყველაზე საყვარელ ხელსაც კი. ო, როგორ იქნება ეს? და თქვენ წარსდგებით ღმერთის წინაშე! ნუთუ თქვენ გსურთ ყველა თქვენი ცოდვებით წარსდგეთ ღმერთის წინაშე! ო, მაცხოვრის ძლიერ ხელს რომ გქონდეთ ხელი ჩავლებული და რომ იცოდეთ: „შენ გამომისყიდე მე შენი ძვირფასი სისხლით და მომიტევე ყველა დანაშაული!“ – მაშინ შეიძლება მშვიდად მოკვდეთ.

მაინც რა გვეძლევა ჩვენ ცხოვრებისაგან, რომელიც ღმერთს მივუძღვენით? მე მინდა ჩამოგითვალოთ: მშვიდობა ღმერთთანა, მშვიდობა გულში, სიყვარული ღმერთის მიმართ და მოყვასის მიმართ, ისე, რომ შეიძლება მტერიც კი გიყვარდეს, და ყველა, ვინც ნერვებს გიშლის, ნუგეში უბედურებაში, ისე, რომ ყოველდღე შეიძლება იხილო ნათელი მზის სიკაშკაშე, ურყევი იმედი სამარადისო ცხოვრებისა, სული წმიდისა, ცოდვათა მიტევება, დათმენა.... ო, მე კიდევ დიდხანს შემიძლია გავაგრძელო!

მე ვამთავრებ ლექსით, რომელიც ჩემთვის უძვირფასესი ჰიმნიდანაა:

ღირს კუთვნილება იყო ქრისტესი
და რომ მოგიხმობს ის, სთქვა: „დიახაც,
მე ხომ შენი ვარ, ხოლო შენ – ჩემი!“
და ვაღიაროთ ის ყოველი ეჭვის გარეშე
ჩვენის შემუსვრის ჟამს შუამავლად,
ჩვენ კი ვუწოდეთ საკუთარ თავს
მემკვიდრე და თანაც მსახური.

ღირს ვიყოთ კუთვნილება მაცხოვრისა! მე მინდა გისურვოთ თქვენ ასეთი სიმდიდრე, ასეთი ბედნიერება!